

მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი

2021

მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი

მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი პირველად 2003 წელს მიიღეს. იგი ძალაში შევიდა 2004 წელს. შემდგომში კოდექსში სამჯერ შევიდა ცვლილებები, პირველად 2009 წლის 1 იანვარს, შემდგომ 2015 წლის 1 იანვარს და ბოლოს 2018 წლის 1 აპრილს (შესაბამისობის ცვლილებები). განახლებული 2021 წლის მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი ძალაში შევა 2021 წლის 1 იანვრიდან.

გამომცემელი:

მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო

სტოკ ექსჩენჯ თაუერი

800 პლეის ვიქტორია (სუიტი 1700)

საფოსტო ინდექსი 120

მონრეალი, კვებეკი

კანადა, H4Z 1B7

ვებ-გვერდი: www.wada-ama.org

ტელეფონი: +1 514 904 9232

ფაქსი: +1 514 904 8650

ელექტრონული ფოსტა: code@wada-ama.org

სარჩევი

ანტიდოპინგური პროგრამისა და კოდექსის მიზანი, ამოცანა და სტრუქტურა	10
კოდექსი.....	10
მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამა.....	11
საერთაშორისო სტანდარტები	11
ტექნიკური დოკუმენტები	11
საუკეთესო პრაქტიკისა და სახელმძღვანელო პრინციპების მაგალითები	12
მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის ფუნდამენტური საფუძველი.....	12
ნაწილი პირველი:დოპინგ კონტროლი.....	14
შესავალი	14
მუხლი 1. დოპინგის განმარტება	16
მუხლი 2. ანტიდოპინგური წესების დარღვევა.....	16
2.1 სპორტსმენის სინჯში აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტების ან მარკერების არსებობა:.....	16
2.2. სპორტსმენის მიერ აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება ან გამოყენების მცდელობა	17
2.3 სპორტსმენის მიერ სინჯის ჩაბარების თავის არიდება, უარი სინჯის ჩაბარებაზე ან სინჯის ჩაგდება.....	18
2.4 სპორტსმენის მიერ ადგილსამყოფელის შესახებ შეუტყობინებლობა	18
2.5 სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ დოპინგ კონტროლის ნებისმიერი ეტაპზე ჩარევა ან ჩარევის მცდელობა	18
2.6. სპორტსმენის ან სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ფლობა	19
2.7 სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის ტრეფიკინგი ან ტრეფიკინგის მცდელობა.....	19
2.8 სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ადმინისტრირება ან ადმინისტრირების მცდელობა სხვა ნებისმიერი სპორტსმენის მიმართ საშეჯიბრო პერიოდში, ან ნებისმიერი სპორტსმენისთვის არასაშეჯიბრო პერიოდში ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ადმინისტრირება ან ადმინისტრირების მცდელობა, რომელიც აკრძალულია არასაშეჯიბრო პერიოდში.....	19
2.9 სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ თანამონაწილეობა ან თანამონაწილეობის მცდელობა.....	19
2.10 სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ აკრძალული კავშირი	20

2.11 სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ განხორციელებული ქმედებები, რაც აფერხებს და ხელს უშლის შესაბამისი ორგანოების ინფორმირებას	21
მუხლი 3 დოპინგის მტკიცებულება.....	21
3.1 მტკიცების ტვირთი და სტანდარტები.....	21
3.2 ფაქტებისა და პრეზუმფციების დადგენის მეთოდები	22
მუხლი 4 აკრძალული სია	24
4.1 აკრძალული სიის გამოქვეყნება და შესწორება	25
4.2 აკრძალული სიით განსაზღვრული აკრძალული ნივთიერებები და არაკრძალული მეთოდები	25
4.3 აკრძალულ სიაში ნივთიერებების და მეთოდების შეტანის კრიტერიუმები	26
4.4. თერაპიული გამოყენების გამონაკლისი	27
4.5 მონიტორინგის პროგრამა	30
მუხლი 5 ტესტირება და გამოძიება	31
5.1. ტესტირებისა და გამოძიების მიზნები	31
5.2 ტესტირების ჩატარების უფლებამოსილება	31
5.3 ღონისძიების დროს ტესტირება.....	32
5.4 ტესტირებისთვის დადგენილი მოთხოვნები	33
5.5 სპორტსმენის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია	34
5.6 სპორტიდან წასული სპორტსმენების დაბრუნება შეჯიბრში	34
5.7 გამოძიება და ინფორმაციის შეგროვება	35
მუხლი 6 სინჯების ანალიზი	35
6.1 აკრედიტირებული, აღიარებული და სხვა ლაბორატორიების გამოყენება	35
6.2 სინჯებისა და მონაცემთა ანალიზის მიზანი	36
6.3 სინჯებისა და მონაცემების კვლევა	36
6.4 სინჯის ანალიზისა და ანგარიშის წარმოდგენის სტანდარტები.....	37
6.5 სინჯის შემდგომი ანალიზი შედეგების მართვის ან მოსმენის პროცესის დაწყებამდე ან მის დროს	37
6.6 სინჯის შემდგომი ანალიზი, თუ შედეგი უარყოფითია ან ან სხვაგვარად არ გამოიწვია ანტიდოპინგური წესების დარღვევის ბრალდება	37
6.7 ა ან ბ სინჯების დაყოფა	38
6.8 მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის ულფება ფლობდეს სინჯებსა და მონაცემებს	38
მუხლი 7 შედეგების მართვა: პასუხისმგებლობა, თავდაპირველი განხილვა, შეტყობინება და დროებითი დისკვალიფიკაცია	39

7.1 შედეგების მართვის განხორციელების ვალდებულება.....	39
7.2 ანტიდოპინგური წესების პოტენციური დარღვევის გადახედვა და შეტყობინება	42
7.3 წინა ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამოვლენა.....	42
7.4 დროებითი დისკვალიფიკაციის მიმართ გამოსაყენებელი პრინციპები	42
7.5 შედეგების მართვის გადაწყვეტილებები	44
7.6 შედეგების მართვის გადაწყვეტილებების შეტყობინება.....	45
7.7 სპორტიდან წასვლა	45
მუხლი 8: შედეგების მართვა: მიუკერძოებელი მოსმენის უფლება და მოსმენის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეტყობინება	45
8.1. სამართლიანი მოსმენები	45
8.2 მოსმენის ჩატარება ღონისძიების დროს.....	46
8.3. უარი მოსმენის ჩატარებაზე	46
8.4 გადაწყვეტილებების შეტყობინება	46
8.5 ერთჯერადი მოსმენა საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის წინაშე.....	46
მუხლი 9. ინდივიდუალური შედეგების ავტომატური დისკვალიფიკაცია	47
მუხლი 10. ინდივიდუალური სანქციები	47
10.1 იმ სპორტული ღონისძიების შედეგების გაუქმება, რომლის მიმდინარეობის დროსაც მოხდა ანტიდოპინგური წესების დარღვევა	48
10.2 დისკვალიფიკაცია აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოვლენის, გამოყენების ან გამოყენების მცდელობის ან ფლობისთვის	48
10.3 დისკვალიფიკაცია სხვა ანტიდოპინგური წესების დარღვევისთვის	49
10.4 დამამძიმებელი გარემოებები, რამაც შეიძლება გაზარდოს დისკვალიფიკაციის პერიოდი	51
10.5 დისკვალიფიკაციის პერიოდის გაუქმება ბრალის ან დაუდევრობის არარსებობის გამო	51
10.6 დისკვალიფიკაციის ვადის შემცირება უმნიშვნელო ბრალის ან უმნიშვნელო დაუდევრობის გამო	52
10.7 დისკვალიფიკაციის პერიოდის, ან სხვა შედეგების გაუქმება, შემცირება ან შეჩერება ბრალისგან დამოუკიდებელი მიზეზების საფუძველზე.....	53
10.8 შედეგების მართვის შეთანხმებები.....	55
10.9 მრავალჯერადი დარღვევები.....	56
10.10 შედეგების გაუქმება საშეჯიბრო პერიოდში სინჯის აღებასთან ან ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით	58
10.11 ფულადი ჯილდოს გაუქმება.....	58
10.12 ფინანსური შედეგები	59

10.13 დისკვალიფიკაციის პერიოდის ათვლა.....	59
10.14 სტატუსი დროებითი დისკვალიფიკაციის ან დისკვალიფიკაციის პერიოდში	60
10.15 სანქციის ავტომატური გამოქვეყნება	62
მუხლი 11 შედეგები გუნდებისთვის	62
11.1 გუნდური სპორტის სახეობების ტესტირება	62
11.2 შედეგები სპორტის გუნდური სახეობებისთვის	62
11.3 ღონისძიების ორგანიზატორის, ან საერთაშორისო ფედერაციის მიერ სპორტის გუნდური სახეობებისთვის უფრო მკაცრი სანქციის დაწესება.....	63
მუხლი 12 სანქციები ხელმომწერი მხარეების ან სხვა სპორტული ორგანიზაციების მიმართ.....	63
მუხლი 13 შედეგების მართვა: გასაჩვენება	63
13.1 გასაჩვენებას დაქვემდებარებული გადაწყვეტილებები	63
13.2 გასაჩვენება ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე, შედეგებზე, დროებით სანქციებზე, გადაწყვეტილებების აღსრულებასა და უფლებამოსილებაზე	64
13.3. ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ დროული გადაწყვეტილების გამოტანის შეუძლებლობა.....	67
13.4 თერაპიული გამოყენების გამონაკლისთან დაკავშირებული გასაჩვენებები	68
13.5 გასაჩვენებული გადაწყვეტილებების შესახებ შეტყობინება	68
13.6 მუხლი 24.1 -დან გამომდინარე გადაწყვეტილებების გასაჩვენება.....	68
13.7 აპელაციები ლაბორატორიებისთვის აკრედიტაციის შეჩერებასთან ან ლაბორატორიების აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით	68
მუხლი 14 კონფიდენციალურობა და ანგარიშგება	68
14.1 ინფორმაცია რომელიც ეხება არასასურველ ანატლიტიკურ შედეგს, ატიპურ შედეგს და სხვა დასაბუთებულ ანტიდოპინგური წესების დარღვევას	69
14.2 ანტიდოპინგური წესების დარღვევაზე, დისკვალიფიკაციასა და დროებით დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილების შეტყობინება და მასალების გამოთხოვა	70
14.3 გასაჯაროება	70
14.4 სტატისტიკური ანგარიშგება.....	71
14.5 დოპინგ კონტროლის შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ბაზა და შესაბამისობის მონიტორინგი.....	72
14.6 მონაცემთა დაცვა	73
მუხლი 15 გადაწყვეტილებების აღსრულება.....	73
15.1 ხელმომწერი ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ავტომატური სავალდებულო ხასიათი	73
15.2 ანტიდოპინგური ორგანიზაციის სხვა გადაწყვეტილებების აღსრულება	74

15.3 არახელმომწერი მხარის მიერ გადაწყვეტილებების აღსრულება.....	75
მუხლი 16 ანტიდოპინგური კონტროლი სპორტში მონაწილე ცხოველებისთვის	75
მუხლი 17 ხანდაზმულობის ვადა	76
ნაწილი 2:განათლება და კვლევა.....	76
მუხლი 18 განათლება.....	76
18.1 პრინციპები	76
18.2 ხელმომწერების საგანმანათლებლო პროგრამა და გეგმა.....	77
მუხლი 19 კვლევა.....	79
19.1 ანტიდოპინგური კვლევის მიზანი და ამოცანები.....	79
19.2 კვლევის სახეები	79
19.3 კვლევის კოორდინაცია და შედეგების გაზიარება	80
19.4 კვლევის პრაქტიკა	80
19.5 კვლევა, რომელიც იყენებს აკრძალულ ნივთიერებებს და მეთოდებს.....	80
19.6 შედეგების არამიზნობრივად გამოყენება	80
 ნაწილი 3: როლი და პასუხისმგებლობები	81
 მუხლი 20 ხელმომწერ მხარეთა და მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს დამატებითი როლი და პასუხისმგებლობა	81
20.1 საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა.....	82
20.2. საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა	83
20.3 საერთაშორისო ფედერაციების როლი და პასუხისმგებლობა	84
20.4 ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისა და ეროვნული პარალიმპიური კომიტეტების როლი და პასუხისმგებლობა	86
20.5 ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა	88
20.6 მთავარი ღონისძიების ორგანიზატორის როლი და პასუხისმგებლობა.....	89
20.7 მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის როლი და პასუხისმგებლობა	90
20.8 მესამე მხარეების მიერ დადგენილ რეგულაციებთან დაკავშირებული თანამშრომლობა	91
 მუხლი 21 სპორტსმენებისა და სხვა პირების დამატებითი როლი და პასუხისმგებლობა	92
21.1. სპორტსმენების როლი და პასუხისმგებლობა.....	92
21.2 სპორტსმენის დამხმარე პერსონალის როლი და პასუხისმგებლობა	93

21.3 კოდექსით გათვალისწინებული სხვა პირების როლი და პასუხისმგებლობა.....	93
21.4 რეგიონული ანტიდოპინგური ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა	93
მუხლი 22 მთავრობების ჩართულობა	94
ნაწილი მეოთხე: კოდექსის მიღება, შესაბამისობა, ცვლილებები და ინტერპრეტაცია	96
მუხლი 23 მიღება და იმპლემენტაცია.....	96
23.1 კოდექსის მიღება	96
23.2 კოდექსის იმპლემენტაცია	96
23.3 ანტიდოპინგური პროგრამების იმპლემენტაცია	98
მუხლი 24 კოდექსთან და იუნესკოს კონვენციასთან შესაბამისობის მონიტორინგი და აღსრულება	98
24.1 კოდექსთან შესაბამისობის მონიტორინგი და აღსრულება	98
24.2 იუნესკოს კონვენციასთან შესაბამისობის მონიტორინგი	103
მუხლი 25 კოდექსის განახლება და კოდექსიდან გასვლა	104
25.1 განახლება.....	104
25.2 კოდექსიდან გასვლა.....	104
მუხლი 26 კოდექსის ინტერპრეტაცია.....	104
მუხლი 27 გარდამავალი დებულებები.....	105
27.1 2021 კოდექსის კოდექსის ძალაში შესვლა	105
27.2 კოდექსის უკუძალის არ ქონა მუხლების 10.9.4 და 17 გარდა , ან თუ არ მოქმედებს „ლექს მიტიორის“ პრინციპი	105
27. 3 2021 კოდექსის მიღებამდე მიღებული გადაწყვეტილებების გამოყენება	106
27.4 მრავალჯერადი დარღვევები, როდესაც პირველი დარღვევა მოხდა 2021 წლის 1 იანვრამდე	106
27.5 კოდექსის დამატებითი ცვლილებები	106
27.6 აკრძალულ სიაში შეტანილი ცვლილებები	106

დანართი 1.....	107
განმარტებები	107

ანტიდოპინგური პროგრამისა და კოდექსის მიზანი, ამოცანა და სტრუქტურა

მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსისა და მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამის მიზნებია:

- დაიცვას სპორტსმენების ფუნდამენტური უფლება, მონაწილეობა მიიღონ დოპინგისგან თავისუფალ სპორტში და ხელი შეუწყოს ჯანმრთელობას, სამართლიანობასა და თანასწორობას მსოფლიოს მასშტაბით და
- უზრუნველყოს ჰარმონიული, კოორდინირებული და ეფექტური ანტიდოპინგური პროგრამების განხორციელება საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე დოპინგის გამოყენების პრევენციის მიზნით, რაც მოიცავს:

განათლებას - რაც გულისხმობს, ცნობიერების ამაღლებას, ინფორმირებას, კომუნიკაციას, ღირებულებების დანერგვას, ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ანტიდოპინგური წესების განზრახ და უნებლიე დარღვევები.

შეკავებას - პოტენციური დოპინგის მომხმარებლების შეკავებას, მდგრადი წესებისა და სანქციების დაწესებით, რომელიც თანაბრად მოიცავს ყველა დაინტერესებულ პირს;

აღმოჩენას - რაც გულისხმობს ეფექტური ტესტირებისა და გამოძიების სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ შეკავებას, არამედ ეფექტურია სუფთა სპორტსმენების დასაცავად და სპორტული სულისკვეთების შესანარჩუნებლად, ანტიდოპინგური წესების დამრღვევების დაკავებით, ასევე ანტიდოპინგურ ქცევაში შემჩნეული ნებისმიერი პირისთვის ხელის შეშლით;

აღსრულებას - რათა მოხდეს ანტიდოპინგური წესების დამრღვევების სათანადო სამართლებრივი განსჯა და სანქცირება;

კანონის უზენაესობას - რათა უზრუნველყოფილი იყოს რომ ყველა დაინტერესებული მხარე, რომელმაც გამოხატა კოდექსისა და საერთაშორისო სტანდარტების მიმართ თანხმობა, გაატარებს ყველა ღონისძიებას, რომელიც შეესაბამება კოდექსს და საერთაშორისო სტანდარტებს და ადამიანის უფლებებით აღიარებულ პროპორციულობის პრინციპს.

კოდექსი

კოდექსი არის ფუნდამენტური და უნივერსალური დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მიიღება ანტიდოპინგური პროგრამა. კოდექსის მიზანია, ანტიდოპინგური ძალისხმევის გაძლიერება ძირითადი ანტიდოპინგური ელემენტების უნივერსალური ჰარმონიზაციით. ის განკუთვნილია იმისთვის, რომ იყოს კონკრეტული ჰარმონიზაციის იმ საკითხებზე, სადაც ერთსულოვნება აუცილებელია, თუმცა, ზოგადი იმდენად, რომ დაუშვას გარკვეული ტიპის მოქნილობა, თუ როგორ უნდა მოხდეს ანტიდოპინგური პრინციპების დანერგვა. კოდექსი შეიქმნა ადამიანის უფლებებით დადგენილი პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით.¹

¹ [კომენტარი: 2005 წლის 19 ოქტომბერს პარიზში მიღებულ ოლიმპიურ ქარტია და სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კონვენცია ("იუნესკოს კონვენცია") ორივე აღიარებს დოპინგის პრევენციას და სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლას, როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და იუნესკოს მისიის გადამწყვეტ ნაწილს და ასევე კოდექსის ფუნდამენტურ როლს.]

მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამა

მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამა მოიცავს ყველა იმ ელემენტს, რაც უზრუნველყოფს ოპტიმალურ ჰარმონიზაციას და საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებას საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე. ეს მთავარი ელემენტებია:

- 1 დონე: მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი
- 2 დონე: საერთაშორისო სტანდარტები და ტექნიკური დოკუმენტები
- 3 დონე: საუკეთესო პრაქტიკისა და სახელმძღვანელო დოკუმენტის მაგალითები

საერთაშორისო სტანდარტები

საერთაშორისო სტანდარტები სხვადასხვა ტექნიკური თუ სამოქმედო მიმართულებებით ანდიტოპინგური პროგრამის ფარგლებში მიიღება და შემდგომშიც შემუშავდება ხელმომწერ სახელმწიფოებთან თანამშრომლობით და მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს თანხმობით. საერთაშორისო სტანდარტების მიზანია, მოახდინოს იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციების ჰარმონიზაცია, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კონკრეტული ტექნიკური და ოპერაციული ღონისძიებების ჩატარებაზე. საერთაშორისო სტანდარტებთან შეაბამისობა სავალდებულო მოთხოვნაა, რათა უზრუნველყოფილი იყოს კოდექსთან შესაბამისობაც. საერთაშორისო სტანდარტები შეიძლება დროდადრო შეიცვალოს მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ხელმომწერებთან, მთავრობებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შემდგომ. საერთაშორისო სტანდარტები და მისი ცვლილებები ქვეყნდება მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ძალაში შედის ამ საერთაშორისო სტანდარტებში ან მათ ცვლილებაში მითითებულ თარიღიდან.²

ტექნიკური დოკუმენტები

ტექნიკური დოკუმენტები ეხება სავალდებულო ტექნიკურ მოთხოვნებს, რომელიც აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტების დასანერგად და შეიძლება მიღებული იქნეს და გამოიცეს მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. ტექნიკურ დოკუმენტთან შესაბამისობა აუცილებელი პირობაა კოდექსთან შესაბამისობისთვის. როდესაც ახალი ტექნიკური დოკუმენტის დანერგვა ან ცვლილება არ არის დროის ფაქტორზე დამოკიდებული, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს შესაბამის ხელმომწერებთან, მთავრობებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან სათანადო კონსულტაციების გამართვა. ტექნიკური დოკუმენტები ძალაში შედის მსოფლიო

² [კომენტარი: საერთაშორისო სტანდარტები შეიცავს ტექნიკურ დეტალებს, რომლებიც აუცილებელია კოდექსის დანერგვისთვის. საერთაშორისო სტანდარტებს, ხელმომწერებთან, მთავრობებთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად, შეიმუშავებენ ექსპერტები და ასახავენ სხვადასხვა დოკუმენტებში. მნიშვნელოვანია, რომ WADA-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა შეძლოს დროული ცვლილებების შეტანა საერთაშორისო სტანდარტებში, კოდექსში ცვლილების შეტანის გარეშე.]

ანტიდოპინგური სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე, თუ სხვა თარიღი არ არის დოკუმენტში მითითებული.³

საუკეთესო პრაქტიკისა და სახელმძღვანელო პრინციპების მაგალითები

საუკეთესო პრაქტიკისა და სახელმძღვანელო პრინციპების მაგალითები ეფუძნება კოდექსსა და საერთაშორისო სტანდარტებს და შემუშავებულია და მომავალშიც შემუშავდება ანტიდოპინგური საქმიანობის სხვადასხვა მიმართულების შესაბამისად. ეს მაგალითები და სახელმძღვანელო პრინციპები წარმოადგენს მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მხრიდან რეკომენდაციას და იგი ხელმისაწვდომია ხელმომწერი მხარეებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის, თუმცა, მათი გამოყენება არ არის სავალდებულო. ამ დოკუმენტების გარდა, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო ასევე უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას ხელმომწერი მხარეებისთვის.⁴

მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის ფუნდამენტური საფუძველი

ანტიდოპინგური პროგრამები ეფუძნება სპორტის თანდაყოლილ ღირებულებას. ამ თანდაყოლილ ღირებულებას ხშირად უწოდებენ „სპორტულ სულისკვეთებას“: ეთიკური მისწრაფება ადამიანის სრულყოფისკენ თითოეული სპორტსმენის ბუნებრივი ნიჭის სრულყოფილების გზით.

ანტიდოპინგური პროგრამები ცდილობენ დაიცვან სპორტსმენტთა ჯანმრთელობა იმით, რომ ამღებენ მათ საშუალებას სრულყოფილად ადამიანური შესაძლებლობები აკრძალული ნივთიერებებისა და მეთოდების გამოყენების გარეშე.

ანტიდოპინგური პროგრამა მიზნად ისახავს სპორტის მთლიანობის შენარჩუნებას, წესებისა და მოწინააღმდეგეების პატივისცემას, ჯანსაღ შეჯიბრს, თანასწორუფლებიან გარემოს და სუფთა სპორტის ღირსებას მსოფლიოში.

სპორტის იდეა არის ადამიანური სულის, სხეულისა და გონების ზეიმი. ეს არის ოლიმპიზმის საფუძველი რომელიც აისახება სპორტულ ღირებულებებში და ესენია:

- ჯანმრთელობა

³ კომენტარი: მაგალითად, როდესაც საჭიროა დამატებითი ანალიტიკური პროცედურის ჩატარება, სანამ სინჯი გამოცხადდება როგორც უარყოფითი ანალიტიკური შედეგი, ეს პროცედურა დადგინდება ტექნიკურ დოკუმენტით, რომელიც დაუყოვნებლივ გამოსცემს WADA-ს აღმასრულებელი კომიტეტი.]

⁴ კომენტარი: ამ მაგალითის დოკუმენტებს შეიძლება ჰქონდეთ ალტერნატივები, საიდანაც დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ. ზოგიერთ დაინტერესებულ მხარეს შეუძლია დაამტკიცოს სამაგალითო წესები და საუკეთესო პრაქტიკის სხვა მაგალითები პირდაპირ. სხვებმა შეიძლება გადაწყვიტონ შეცვალონ მაგალითები. სხვა დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ საკუთარი წესების შემუშავება კოდექსში მოცემული ზოგადი პრინციპებისა და სპეციფიკური მოთხოვნების შესაბამისად.

უკვე შემუშავებულია ანტიდოპინგური საქმიანობისთვის კონკრეტული ნაწილების სამაგალითო დოკუმენტები ან სახელმძღვანელო პრინციპები და მუშაობა შეიძლება გაგრძელდეს დაინტერესებული მხარეების საყოველთაოდ აღიარებული საჭიროებებიდან და მოლოდინებიდან გამომდინარე.]

- ეთიკა და სამართლიანი და ღირსეული თამაში;
- სპორტსმენის უფლებები, კოდექსის მე-4 თავის შესაბამისად;
- უზადლო შესრულება
- ხასიათი და განათლება
- გართობა და სიამოვნება
- გუნდური მუშაობა
- თავდადება და თავგანწირვა
- წესებისა და კანონების პატივისცემა
- საკუთარი თავისა და სხვა მონაწილეთა პატივისცემა
- სიმამაცე
- ერთობა და სოლიდარობა

სპორტული სული გამოიხატება იმაში, თუ რამდენად სუფთად ვთამაშობთ. დოპინგი ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება სპორტულ სულისკვეთებას.

ნაწილი პირველი: დოპინგ კონტროლი

შესავალი

ანტიდოპინგური კოდექსის პირველი ნაწილი აწესებს ანტიდოპინგური წესებსა და პრინციპებს, რომელიც უნდა შესრულდეს იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ანტიდოპინგური წესების მიღებაზე, დანერგვასა და აღსრულებაზე თავიანთ უფლებამოსილების ფარგლებში, მაგალითად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო ფედერაციები, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები და პარალიმპიური კომიტეტები, მთავარი ღონისძიებების ორგანიზატორები და ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოები. ყველა მსგავს ორგანიზაციას კოლექტიურად ეწოდება ანტიდოპინგური ორგანიზაციები.

ანტიდოპინგური კოდექსის ყველა მუხლი სავალდებულოა და ეხება ყველა ანტიდოპინგურ ორგანიზაციას და სპორტსმენს, ან სხვა პირს. კოდექსი არ ცვლის ან კრძალავს ყოვლისმომცველ ანტიდოპინგური წესების საჭიროებას, რომელიც მიღებული უნდა იქნეს თითოეული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ. ანტიდოპინგური კოდექსის ზოგიერთი მუხლი მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე უნდა იქნეს გადმოტანილი ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ თავიანთ წესებში, თუმცა, ზოგიერთი მუხლი ადგენს ზოგად სავალდებულო სახელმძღვანელო პრინციპს და ეს აძლევს ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს მოქნილობას, მოახდინონ მათი ფორმულირება თავიანთი შეხედულებისამებრ, ან ადგენს ისეთ მოთხოვნებს, რომელსაც თითოეული ანტიდოპინგური ორგანიზაცია უნდა ასრულებდეს, თუმცა, მისი გადმოტანა ანტიდოპინგურ წესებში არ არის სავალდებულო.⁵

⁵ [კომენტარი: კოდექსის ის მუხლები, რომლებიც უნდა შეიტანონ ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესებში, არსებითი ცვლილების გარეშე, მოცემულია მუხლში 23.2.2. მაგალითად, ჰარმონიზაციის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა ხელმძღვანელი მხარე თავისი გადაწყვეტილებებში დაეყრდნოს ანტიდოპინგური წესების დარღვევის ერთ ჩამონათვალს, მტკიცების ერთსა და იმავე ტვირთს და დააკისროს იგივე შედეგები იგივე ანტიდოპინგური წესის დარღვევისთვის. ეს წესები უნდა იყოს საერთო, მიუხედავად იმისა თუ სად ტარდება მოსმენა, საერთაშორისო ფედერაციის წინაშე, ეროვნულ დონეზე თუ საერთაშორისო სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში.

ანტიდოპინგური წესები, ისევე როგორც შეჯიბრის წესები არის სპორტული წესები, რომლებიც არეგულირებს თამაშის პირობებს. ხელმომწერი მხარის სპორტსმენები და სპორტსმენების დამხმარე პირები ან სხვა პირები (მათ შორის საბჭოს წევრები, დირექტორები, ოფიცრები და სხვა დასაქმებული პირები ან მოხალისეები და დელეგირებული მესამე მხარეები და მათი დასაქმებულები), აღიარებენ ამ წესებს როგორც სპორტში მონაწილეობის და საქმიანობის წინაპირობას და ისინი ვალდებული არიან შეასრულონ ეს წესები.⁶ თითოეულმა ხელმომწერმა მხარემ უნდა დაადგინოს წესები და პროცედურები, რათა უზრუნველყოფილი იყოს რომ ყველა სპორტსმენი, სპორტსმენის დამხმარე პერსონალი ან სხვა პირები, რომლებიც არიან ხელმომწერი მხარის და მისი წევრი ორგანიზაციების უფლებამოსილების ქვეშ, ინფორმირებულები იყვნენ და დაეთანხმონ შესაბამისი ანტიდოპინგური ორგანიზაციის ძალაში მყოფ ანტიდოპინგური წესების სავალდებულო ხასიათს.

თითოეულმა ხელმომწერმა მხარემ უნდა დაადგინოს წესები და პროცედურები, რათა უზრუნველყოს რომ ყველა სპორტსმენი, სპორტსმენის დამხმარე პერსონალი ან სხვა პირები, რომლებიც არიან ხელმომწერი მხარის და მისი წევრი ორგანიზაციის უფლებამოსილების ქვეშ, ინფორმირებულები იყვნენ მათი პირადი ინფორმაციის გავრცელების შესახებ, ისე, როგორც ეს დადგენილია და დაშვებულია კოდექსის მიერ, ასევე უზრუნველყონ რომ ისინი აღიარებენ და შეასრულებენ კოდექსით დადგენილ ანტიდოპინგურ წესებს, და რომ შესაბამისი შედეგი დადგება იმ სპორტსმენების და სხვა პირების მიმართ, ვინც არ შეასრულებს ამ წესებს. სპორტთან დაკავშირებული ამ წესებისა და პროცედურების მიზანია, ანტიდოპინგური წესების აღსრულების ჰარმონიზება გლობალურ დონეზე და იგი, თავისი არსით, განსხვავდება სისხლის სამართლებრივი თუ სამოქალაქო წარმოებისაგან. ეს წესები არ არ შეიძლება დაექვემდებაროს და შეიზღუდოს ეროვნული მოთხოვნებისა და სამართლებრივი

კოდექსის დებულებები, რომლებიც 23.2.2 მუხლში არ არის ჩამოთვლილი, სავალდებულოა შინაარსობრივად, მიუხედავად იმისა, რომ ანტიდოპინგური ორგანიზაციას არ მოეთხოვება მათი სიტყვასიტყვით გადმოტანა. ზოგადად, ეს დებულებები ორ კატეგორიად იყოფა. პირველი: ზოგიერთი დებულება ანტიდოპინგ ორგანიზაციებსმიმართავს გარკვეული ზომების გატარებისკენ, მაგრამ არ არის საჭირო ამ დებულებების ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესებში განმეორება. მაგალითად, თითოეულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს ტესტირება, როგორც ეს გათვალისწინებულია მე -5 მუხლით, მაგრამ ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის ამ დებულების საკუთარ წესებში განმეორება არ არის საჭირო. მეორე: ზოგიერთი დებულება სავალდებულოა შინაარსობრივად, მაგრამ თითოეულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას გარკვეულ მოქნილობას ანიჭებს. მაგალითად, აუცილებელი არ არის ეფექტური ჰარმონიზაციისთვის, რომ ყველა ხელმომწერი მხარე აიძულოს გამოიყენოს ერთნაირი შედეგების მართვა და მოსმენის პროცესი, იმდენად რამდენადაც გამოყენებული პროცესი აკმაყოფილებს კოდექსში და შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტში მითითებულ მოთხოვნებს.]

⁶ თუ კოდექსი ითხოვს, რომ სხვა პირი, გარდა სპორტსმენისა და სპორტსმენის დამხმარე პერსონალისა, უნდა იყოს ვალდებული დაიცვას კოდექსი, ეს პირი, რა თქმა უნდა, არ დაექვემდებარება სინჯის აღებას ან ტესტირებას და ანტიდოპინგური წესის დარღვევას კოდექსით აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენებისთვის ან ფლობისთვის. ასეთი პირი დაექვემდებარება მხოლოდ დისციპლინურ წესებს კოდექსის 2.5-ე (გაყალბება), 2.7 (ტრეფიკინგის), 2.8 (ადმინისტრირება), 2.9 (თანამონაწილეობის), 2.10 (აკრძალული კავშირი) და 2.11 (ინფორმირებაზე ხელის შეშლა) მუხლების დარღვევის გამო. გარდა ამისა, ასეთ პირს დაეკისრება დამატებითი როლი და პასუხისმგებლობა 21.3 მუხლის შესაბამისად. აგრეთვე, **დასაქმებული პირისათვის კოდექსის სავალდებულო დაცვის მოთხოვნა ექვემდებარება მოქმედ კანონს.**]

სტანდარტებით რომლებიც ამგვარი წარმოებისას გამოიყენება, თუმცა, მათი გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანის უფლებები და პროპორციულობის პრინციპი. როდესაც კონკრეტული საქმეში ხდება ფაქტებისა და კანონის განხილვა, ყველა სასამართლო, საარბიტრაჟო პანელი და სხვა დავის განმხილველი ორგანო ვალდებულია გაითვალისწინოს კოდექსით დადგენილი ანტიდოპინგური წესების განსხვავებული ბუნება და მხედველობაში მიიღოს გარემოება, რომ ეს წესები წარმოადგენენ სამართლიანი სპორტით დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის კონსენსუსს.

კოდექსის მიხედვით, თოთოეული ანტიდოპინგური ორგანიზაცია ვალდებულია შეასრულოს დოპინგ კონტროლის ყველა ასპექტი. ამასთან, დოპინგ კონტროლის ან ანტიდოპინგური განათლების ნებისმიერი ასპექტი ანტიდოპინგური ორგანიზაციიდან შეიძლება გადაეცეს დელეგირებულ მესამე მხარეს, თუმცა, ამ შემთხვევაში, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა მოითხოვოს რომ მესამე მხარემ შეასრულოს მოქმედება კოდექსისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად და ანტიდოპინგური ორგანიზაცია რჩება სრულიად პასუხისმგებელი ამ დელეგირებული ასპექტის წესებთან შესაბამის უზრუნველყოფაზე.

მუხლი 1. დოპინგის განმარტება

დოპინგი განიმარტება, როგორც ერთი ან მეტი ანტიდოპინგური წესის დარღვევის არსებობა, რაც განმარტებულია კოდექსის 2.1-დან 2.11 მუხლების მიხედვით.

მუხლი 2. ანტიდოპინგური წესების დარღვევა

ამ მუხლის მიზანია, განსაზღვროს გარემოებები და ქმედება, რომელიც გულისხმობს ანტიდოპინგური წესების დარღვევას. საქმეზე მოსმენა წარიმართება იმ მტკიცებულებების საფუძველზე, რაც ადასტურებს ამ განსაზღვრული ერთი ან რამოდენიმე წესის დარღვევას; სპორტსმენი ან სხვა პირი პასუხისმგებელია იცოდეს, რა იგულისხმება ანტიდოპინგური წესების დარღვევაში და იმ ნივთიერებებისა და მეთოდების შესახებ, რომელიც შეტანილია აკრძალულ სიაში.

ანტიდოპინგური წესების დარღვევად ითვლება:

2.1 სპორტსმენის სინჯში აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტების ან მარკერების არსებობა:

2.1.1 სპორტსმენი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ აკრძალული ნივთიერება არ მოხვდება მის ორგანიზმში. სპორტსმენი პასუხისმგებელია ნებისმიერ აკრძალულ ნივთიერებაზე ან მის მეტაბოლიტებსა და მარკერებზე, რომელიც მის სინჯში აღმოჩნდება. შესაბამისად, არ არის აუცილებელი რომ სპორტსმენის მხრიდან დამტკიცდეს განზრახვა, ბრალი, დაუდევრობა ან წინასწარი

შეცნობით გამოყენება, რათა დადგინდეს ანტიდოპინგური წესების დარღვევა 2.1 მუხლის შესაბამისად.⁷

2.1.2 2.1 მუხლში მითითებული ანტიდოპინგური წესების დარღვევის საკმარისი მტკიცებულება დგინდება შემდეგნაირად: როდესაც სახეზეა აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტების ან მარკერების არსებობა სპორტსმენის სინჯში და როდესაც სპორტსმენი უარს ამბობს ბ სინჯის ანალიზზე და შესაბამისად, ბ სინჯის ანალიზი არ ტარდება; ან როდესაც სპორტსმენის ბ სინჯის ანალიზი ტარდება და ბ სინჯის ანალიზი ადასტურებს აკრძალული ნივთიერების ან მისი მეტაბოლოტების ან მარკერების არსებობას, რომელიც აღმოჩნდა სპორტსმენის ა სინჯში, ან როდესაც სპორტსმენის ა და ბ სინჯი იყოფა ორ ნაწილად და გაყოფილი სინჯის მეორე ნაწილი ადასტურებს პირველ ნაწილში აღმოჩენილი აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტების ან მარკერების არსებობას ან სპორტსმენი უარს ამბობს გაყოფილი სინჯის მეორე ნაწილის ანალიზზე.⁸

2.1.3 გარდა იმ ნივთიერებებისა, რომელთათვისაც აკრძალულ სიაში ან ტექნიკურ დოკუმენტში განსაზღვრულია ზღვრული ოდენობა, სპორტსმენის ნიმუშში აკრძალული ნივთიერების ან მისი მეტაბოლიტების ან მარკერების ნებისმიერი წარმოდგენილი რაოდენობის არსებობა წარმოადგენს ანტიდოპინგური წესის დარღვევას.

2.1.4 2.1 მუხლით დადგენილი ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით, აკრძალული სიით, საერთაშორისო სტანდარტებით ან ტექნიკური დოკუმენტებით შესაძლებელია დადგინდეს სპეციალური კრიტერიუმები ცალკეული აკრძალული ნივთიერებების ანგარიშების ან შეფასებისთვის.

2.2. სპორტსმენის მიერ აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება ან გამოყენების მცდელობა⁹

2.2.1 სპორტსმენის პირადი ვალდებულებაა, უზრუნველყოს რომ არანაირი აკრძალული ნივთიერება არ მოხვდება მის ორგანიზმში და რომ არანაირი აკრძალული მეთოდი არ იქნება

⁷ [კომენტარი 2.1.1 მუხლზე: ამ მუხლის მიხედვით, სახეზეა ანტიდოპინგური წესების დარღვევა სპორტსმენის ბრალის მიუხედავად. ეს მუხლი ხშირად არის მითითებული CAS-ის გადაწყვეტილებებში, როგორც „მკაცრი პასუხისმგებლობა“. სპორტსმენის ბრალეულობა მხედველობაში მიიღება, როცა დგინდება ანტიდოპინგური წესების დარღვევის შედეგები მე-10 მუხლის შესაბამისად. CAS-ის მიერ ხშირად ხდება ამ პრინციპის გამოყენება]

⁸ [კომენტარი 2.1.2 მუხლზე: ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება, შეუძლია თავისი დისკრეციის შესაბამისად, მოახდინოს ბ სინჯის ანალიზი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სპორტსმენი არ ითხოვს ბ სინჯის ანალიზს]

⁹ [კომენტარი 2.2. მუხლზე: ყოველთვის არსებობდა შემთხვევები, როდესაც აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება ან გამოყენების მცდელობის დადგენა შესაძლებელი იყო სანდო წყაროებით, ისე როგორც ეს მითითებულია 3.2 მუხლის კომენტარში, იმ წესისგან განსხვავებით, როდესაც საჭიროა ანტიდოპინგური წესების დარღვევის მტკიცებულება 2.1. მუხლის შესაბამისად, გამოყენება ან გამოყენების მცდელობა შეიძლება დადგინდეს სხვა სანდო საშუალებებით, როგორიცაა არის მაგალითად სპორტსმენის აღიარება, მოწმის ჩვენება, დოკუმენტური მასალა, გრძივი პროფილირება, მათ შორის მონაცემების შეგროვება სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტიდან, ან სხვა ანალიტიკური ინფორმაცია, რომელიც ვერ ადასტურებს სპორტსმენის სინჯში აკრძალული

გამოყენებული. შესაბამისად, არ არის სავალდებულო რომ სპორტსმენის მხრიდან დამტკიცდეს განზრახვა, ბრალი, დაუდევრობა ან შეუგნებლად, რათა დადგინდეს ანტიდოპინგური წესების დარღვევა აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენების გამო.

2.2.2 აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის წარმატებით ან წარუმატებლობით გამოყენებას ან გამოყენების მცდელობას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. საკმარისია, რომ სახეზეა აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება ან გამოყენების მცდელობა, რათა დადგინდეს ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტი.¹⁰

2.3 სპორტსმენის მიერ სინჯის ჩაბარების თავის არიდება, უარი სინჯის ჩაბარებაზე ან სინჯის ჩაგდება

პასუხისმგებელი პირის მიერ გაცემული შეტყობინების შემდეგ, სინჯის ჩაბარებისთვის თავის არიდება, სინჯის ჩაბარებაზე უარი ან სინჯის ჩაგდება შესაბამისი დასაბუთების გარეშე¹¹

2.4 სპორტსმენის მიერ ადგილსამყოფელის შესახებ შეუტყობინებლობა

რეგისტრირებულ ტესტირების სიაში მყოფი სპორტსმენის მხრიდან ნებისმიერ სამი ტესტის ჩაუბარებლობა ან ადგილსამყოფელის შესახებ შეუტყობინებლობა, როგორც ეს განმარტებულია შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტებით, 12 თვიანი პერიოდის მანძილზე.

2.5 სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ დოპინგ კონტროლის ნებისმიერი ეტაპზე ჩარევა ან ჩარევის მცდელობა

ნივთიერების არსებობას 2.1. მუხლის შესაბამისად; მაგალითად, გამოყენება შეიძლება დადგინდეს სანდო ანალიტიკური მონაცემების საფუძველზე ა სინჯის ანალიზით (ზ სინჯის ანალიზის გარეშე) ან მხოლოდ ზ სინჯის ანალიზით, როდესაც ანტიდოპინგური სააგენტო წარმოადგენს დამაკმაყოფილებელ განმარტებას სხვა სინჯში ამ დადასტურების არ არსებობის შესახებ]

¹⁰ [კომენტარი მუხლი 2.2.2-ზე: აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოყენების მცდელობის დემონსტრირებას სჭირდება სპორტსმენის განზრახვის არსებობა. ის ფაქტი, რომ ამ მუხლისთვის საჭიროა სპორტსმენის განზრახვის დადასტურება, არ გამოირიცხავს „მკაცრი პასუხისმგებლობის“ პრინციპს რომელიც დადგენილია 2.1 მუხლით და 2.2 მუხლით აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენების შესახებ. სპორტსმენის მიერ ანტიდოპინგური ნივთიერების გამოყენება წარმოადგენს ანტიდოპინგური წესების დარღვევას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს ნივთიერება არ არის აკრძალული არასაშეჯიბრო პერიოდში და სპორტსმენი მას მიიღებს არასაშეჯიბრო პერიოდში. (თუმცა, აკრძალული ნივთიერების ან მისი მეტაბოლიტების ან მარკერების სინჯში არსებობა რომელიც აღებულია საშეჯიბრო პერიოდში წარმოადგენს ანტიდოპინგური წესების დარღვევას 2.1 მუხლის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, როდის მოხდა ამ ნივთიერების მიღება)

¹¹ [კომენტარი მუხლი 2.3-ზე: მაგალითად სახეზე იქნება ანტიდოპინგური წესების დარღვევა, სინჯის ჩაბარებაზე თავის არიდების გამო, თუ დადგინდება, რომ სპორტსმენი მიზანმიმართულად არიდებდა თავს დოპინგ კონტროლის წარმომადგენელს, რათა თავი აერიდებინა შეტყობინების ან ტესტირებისთვის. სინჯის ჩაგდება შეიძლება გამოწვეული იყოს განზრახვით ან დაუდევრობით, ხოლო თავის არიდება და უაყროფა სპორტსმენის მიერ განზრახულ ქმედებაზე მიუთითებს.]

2.6. სპორტსმენის ან სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ფლობა

2.6.1 სპორტსმენის მიერ ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის ფლობა საშეჯიბრო პერიოდში, ან სპორტსმენის მიერ ისეთი აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის ფლობა არასაშეჯიბრო პერიოდში, რომელიც აკრძალულია არასაშეჯიბრო პერიოდში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სპორტსმენი დაადასტურებს რომ ამგვარი ფლობა შეესაბამება 4.4. მუხლის მიხედვით დადგენილ თერაპიული გამოყენების გამონაკლისს, ან წარმოადგენს სხვა მისაღებ გამამართლებელ განმარტებას.¹²

2.6.2 სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ საშეჯიბრო პერიოდში ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ფლობა, ან სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ არასაშეჯიბრო პერიოდში ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ფლობა, რომელიც აკრძალულია არასაშეჯიბრო პერიოდში და დაკავშირებულია სპორტსმენტან, შეჯიბრთან ან ვარჯიშთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სპორტსმენის დამხმარე პერსონალი დაადასტურებს, რომ ეს ფლობა შეესაბამება თერაპიული გამოყენების გამონაკლისს, რომელიც მინიჭებული აქვს სპორტსმენს 4.4 მუხლის შესაბამისად ან წარმოადგენს სხვა გამამართლებელ განმარტებას.¹³

2.7 სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის ტრეფიკინგი ან ტრეფიკინგის მცდელობა

2.8 სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ადმინისტრირება ან ადმინისტრირების მცდელობა სხვა ნებისმიერი სპორტსმენის მიმართ საშეჯიბრო პერიოდში, ან ნებისმიერი სპორტსმენისთვის არასაშეჯიბრო პერიოდში ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ადმინისტრირება ან ადმინისტრირების მცდელობა, რომელიც აკრძალულია არასაშეჯიბრო პერიოდში.

2.9 სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ თანამონაწილეობა ან თანამონაწილეობის მცდელობა

ანტიდოპინგური წესების დარღვევაში დახმარება, წახალისება, ხელშეწყობა, თანამონაწილეობა, შეთქმულება ან დამალვა და სხვა ნებისმიერი სახის განზრახ თანამონაწილეობა ან თანამონაწილეობის მცდელობა, და სხვა პირის მიერ მუხლი 10.14.1-ის დარღვევა ან დარღვევის მცდელობა.¹⁴

¹² [კომენტარი მუხლზე 2.6.1 და 2.6.2 მისაღები გამამართლებელი განმარტება არ გულისხმობს, მაგალითად, აკრძალული ნივთიერების ყიდვას ან ფლობას იმ მიზნით, რომ ის გადაეცეს მეგობარს ან ნათესავს, გარდა სათანადო სამედიცინო მდგომარეობისა, როდესაც პირს ჰქონდა ექიმის მიერ გაცემული რეცეპტი, მაგალითად დიაბეტიანი ბავშვისთვის ინსულინის ყიდვა]

¹³ [კომენტარი მუხლზე 2.6.1 და 2.6.2: გამამართლებელი განმარტება, შეიძლება იყოს მაგალითად, ა) როდესაც სპორტსმენს ან გუნდის ექიმს თან აქვს აკრძალული ნივთიერება ან მეთოდი მწვავე და გადაუდებელი შემთხვევისთვის (მაგალითად, ეპინეფრინის ინჟექტორი), ან ბ) როდესაც სპორტსმენი ფლობს აკრძალულ ნივთიერებას ან მეთოდს თერაპიული მიზნებისთვის, სულ მცირე პერიოდით ადრე, ვიდრე მიიღებს თერაპიული გამოყენების გამონაკლისს]

¹⁴ [კომენტარი მუხლზე 2.9: თანამონაწილეობა ან თანამონაწილეობის მცდელობა შეიძლება მოიცავდეს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ დახმარებას]

2.10 სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ აკრძალული კავშირი

2.10.1 ანტიდოპინგური ორგანიზაციის უფლებამოსილების ქვეშ მყოფი სპორტსმენის ან სხვა პირის კავშირი პროფესიონალურ ან სპორტთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის სახით სპორტსმენის დამხმარე პერსონალთან, რომელიც:

2.10.1.1 ექვემდებარება ანტიდოპინგური ორგანიზაციის უფლებამოსილებას და იხდის დისკვალიფიკაციის პერიოდს ან

2.10.1.2 არ ექვემდებარება ანტიდოპინგური ორგანიზაციის უფლებამოსილებას და დისკვალიფიკაცია არ იყო გამოყენებული კოდექსით დადგენილი შედეგების მართვის პროცესში, ხოლო სისხლის სამართლის, დისციპლინურ ან პროფესიულ წარმოებისას აღმოჩნდა რომ კოდექსით დადგენილი წესების გამოყენების შემთხვევაში მას დაუდასტურებოდა ანტიდოპინგური წესების დარღვევა. დისკვალიფიკაციის სტატუსი ასეთი პირისთვის უნდა გაგრძელდეს კიდევ 6 წლით, სისხლის სამართლის, პროფესიული ან დისციპლინური გადაწყვეტილების მიღებიდან ან მას შემდეგ რაც მას დაეკისრა სისხლის სამართლის, დისციპლინური ან პროფესიული სანქცია; ან

2.10.1.3 შუამავლობს ან მოქმედებს ისეთი პირის სახელით, რომელიც აღწერილია მუხლებში 2.10.1.1 და 2.10.1.2.

2.10.2 იმისთვის რომ დადგინდეს ანტიდოპინგური წესების დარღვევა 2.10 მუხლის მიხედვით, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დაადასტუროს, რომ სხვა პირმა იცოდა სპორტსმენის დამხმარე პერსონალის დისკვალიფიკაციის შესახებ.

ამ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი უნდა იყოს სპორტსმენზე ან სხვა პირზე, რომლებმაც უნდა დაადასტურონ რომ 2.10.1.1 ან 2.10.1.2 მუხლებით აღწერილი ნებისმიერი კავშირი სპორტსმენის დამხმარე პერსონალთან არ იყო პროფესიულ ანდაკავშირებული სპორტთან და/ან ამგვარი კავშირის თავიდან აცილება გონივრულად შეუძლებელი იყო.

ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა, რომელმაც იციან სპორტსმენის დამხმარე პერსონალის შესახებ, რომელიც პასუხობს 2.10.1.1 და 2.10.1.2 მუხლებში აღწერილ კრიტერიუმებს, უნდა აცნობოს ამის შესახებ მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას.¹⁵

¹⁵ [კომენტარი მუხლოზე 2.10: სპორტსმენები ან სხვა პირები არ უნდა თანამშრომლობდნენ იმ მწვრთნელებთან, ტრენერებთან, ექიმებთან ან სხვა დამხმარე პერსონალთან, რომლებიც დისკვალიფიცირებულნი არიან ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამო ან რომლებსაც წაყენებული აქვთ სისხლის სამართლებრივი სასჯელი ან დისციპლინური სახდელი დოპინგთან დაკავშირებით. ეს ასევე ეხება ურთიერთობას იმ სპორტსმენთან, რომელიც დისკვალიფიკაციის პერიოდში მუშაობს როგორც მწვრთნელი ან სპორტსმენის დამხმარე პერსონალი. ამგვარი კავშირების ზოგიერთი მაგალითია: ტრენინგის, სტრატეგიის, ტექნიკის, კვების რეჟიმის ან სამედიცინო რჩევის მიღება, ასევე თერაპია ან წამლების გამოწერა, ნებისმიერი სახის ადამიანის სხეულთან დაკავშირებული პროდუქტების მიწოდება ანალიზისთვის, ან სპორტსმენის დამხმარე პერსონალისთვის აგენტად ან წარმომადგენლად ყოფნის უფლების მინიჭება. აკრძალული ურთიერთობას/კავშირს არ არის აუცილებელი თან სდევდეს ფულადი კომპენსაცია. მაშინ როცა მუხლი 2.10 არ ავალდებულებს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას რომ შეატყობინოს სპორტსმენს ან სხვა პირს სპორტსმენის დამხმარე პერსონალის დისკვალიფიკაციის სტატუსის შესახებ, ამგვარი შეტყობინება, თუ იგი წარმოდგენილია, იქნება მნიშვნელოვანი მტკიცებულება იმისა, რომ

2.11 სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ განხორციელებული ქმედებები, რაც აფერხებს და ხელს უშლის შესაბამისი ორგანოების ინფორმირებას

როდესაც ამგვარი ქმედება არ წარმოადგენს 2.5 მუხლით გათვალისწინებულ დარღვევას, მაშინ:

2.11.1 ნებისმიერი ქმედება, რომელიც ემუქრება ან აშინებს სხვა პირს, რომელსაც სურს, კეთილსინდისიერად მიაწოდოს ინფორმაცია მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, კანონის აღმასრულებელს, მარეგულირებელ ან პროფესიულ დისციპლინურ ორგანოს, საქმის განმხილველ ორგანოს, ან პირს, რომელიც ატარებს გამოძიებას მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსა ან ანტიდოპინგური ორგანიზაციის სახელით ანტიდოპინგური წესების ან კოდექსთან შეუსაბამობის შესაძლო ფაქტზე,

2.11.2 პირის დასჯა, ვინც კეთილსინდისიერად მიაწოდა მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, კანონის აღმასრულებელს, მარეგულირებელ ან პროფესიულ დისციპლინურ ორგანოს, საქმის განმხილველ ორგანოს ან პირს, რომელიც ატარებს გამოძიებას მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსთვის ან ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის, მტკიცებულება ან ინფორმაცია რომელიც დაკავშირებულია ანტიდოპინგური წესების შესაძლო დარღვევასთან ან კოდექსთან შესაძლო შეუსაბამობასთან¹⁶

2.11 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, დასჯა, მუქარა ან შეურაცხყოფის მიყენება პირისთვის გულისხმობს არაკეთილსინდისიერ ან არაპროპორციული პასუხის შემთხვევებს.¹⁷

მუხლი 3 დოპინგის მტკიცებულება

3.1 მტკიცების ტვირთი და სტანდარტები

ანტიდოპინგური წესების დარღვევისას მტკიცების ტვირთი ეკისრება ანტიდოპინგურ ორგანიზაცია. მტკიცების სტანდარტი ითვალისწინებს ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ საქმის განმხილველი ორგანოსთვის მისაღებ დონეზე ანტიდოპინგური წესების დარღვევის

სპორტსმენმა ან სხვა პირმა იცოდა სპორტსმენის დამხმარე პერსონალის დისკვალიფიკაციის სტატუსის შესახებ]

¹⁶ [კომენტარი მუხლზე 2.11.2 ამ მუხლის მიზანია, რომ დაიცვას ის პირები ვინც კეთილსინდისიერად აცნობებენ შესაბამის ორგანოს ანტიდოპინგური წესების შესაძლო დარღვევის შესახებ და არა იმ პირთა დასაცავად, ვინც ტყუილ ინფორმაციას აწვდის ასეთ ორგანოებს.]

¹⁷ კომენტარი მუხლზე 2.11.2 დასჯა, მაგალითად, შეიძლება გულისხმობდეს ქმედებებს, რომლითაც ხდება ფიზიკური ან მენტალური კეთილდღეობაზე ზემოქმედება, ან აისახება შემტყობინებელი პირის, მისი ოჯახის ან მასთან დაკავშირებული პირების ეკონომიკურ ინტერესებზე. დასჯად არ ითვლება ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ კეთილსინდისიერების ფარგლებში ანტიდოპინგური წესების დარღვევაზე მითითება თვითონ შემტყობინებელი პირისთვის. მუხლი 2.11 მიზნებიდან გამომდინარე ეს შეტყობინება არაკეთილსინდისიერია, თუ პირმა იცის, რომ მისი ინფორმაცია არის მცდარი]

დადასტურებას, წაყენებული ბრალდების სერიოზულობის გათვალისწინებით. მტკიცების ეს სტანდარტი ყველა შემთხვევაში აღემატება ალბათობის უბრალო ბალანსს, მაგრამ ნაკლებია ვიდრე მტკიცებულება გონივრული ეჭვის მიღმა.¹⁸ იმ შემთხვევაში, როდესაც კოდექსით მტკიცების ტვირთი ეკისრება ანტიდოპინგური წესების დარღვევაში ეჭვმიტანილ სპორტსმენს ან სხვა პირს, რომელმაც უნდა უარყოს პრეზუმფცია ან დაადგინოს ფაქტების ან გარემოებების, მტკიცების სტანდარტი უნდა ეფუძნებოდეს ალბათობის ბალანსს, გარდა მუხლებით 3.2.2 და 3.2.3 გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.2 ფაქტებისა და პრეზუმფციების დადგენის მეთოდები

ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებული ფაქტების დადგენა დასაშვებია ნებისმიერი სანდო საშუალებებით, მათ შორის აღიარებებით. ¹⁹ დოპინგთან დაკავშირებულ საქმეებში მისაღებია მტკიცებულებებისთვის დადგენილი შემდეგი წესები:

3.2.1 ანალიტიკური მეთოდები ან ზღვრული ოდენობები, რომელიც დადგენილია მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ შესაბამის სამეცნიერო წრესთან კონსულტაციის შემდეგ, ან რომელმაც გაიარა კოლეგიური შემოწმება, ითვლება მეცნიერულად დასაბუთებულად. ნებისმიერმა სპორტსმენმა ან სხვა პირმა, რომელიც ცდილობს ამ მეცნიერულად დადასტურებული პრეზუმფციის გარემოებების ან პრეზუმფციის მეცნიერული დასაბუთების უარყოფას, პირველ რიგში უნდა აცნობოს WADA-ს დავისა და დავის საფუძვლის შესახებ. პირველი ინსტანციის მოსმენის ორგანოს, სააპელაციო ორგანოს ან CAS-ს, საკუთარი ინიციატივით, ასევე შეუძლია WADA-ს აცნობოს ნებისმიერი ასეთი სადაო საკითხის შესახებ. WADA-ს მიერ ასეთი შეტყობინების და საქმის მასალების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში ექნება უფლება ჩაერთოს საქმეში როგორც მხარე, გამოცხადდეს როგორც *amicus curiae* ან სხვაგვარად უზრუნველყოს მტკიცებულების წარდგენა. CAS-ის წინაშე წარდგენილ საქმეებში, WADA-ს თხოვნით, CAS კოლეგიამ უნდა დანიშნოს სამეცნიერო ექსპერტი, რომელიც პანელს დაეხმარება სადაო საკითხის შეფასებაში.²⁰

¹⁸ [კომენტარი მუხლზე 3.1] მტკიცების ეს სტანდარტი რომელიც ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს, შეიძლება შედარდეს ქვეყნების უმეტესობაში გამოყენებულ სტანდარტებს, რომლებიც გამოიყენება პროფესიული გადაცდომების შემთხვევებში.]

¹⁹ [კომენტარი მუხლზე 3.2: მაგალითად, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია დაადასტუროს ანტიდოპინგური წესების დარღვევა მუხლი 2.2 შესაბამისად სპორტსმენის აღიარებების, მესამე პირთა სანდო ჩვენებების, სანდო დოკუმენტური მასალის, ა და ბ სინჯიდან მიღებული სანდო ანალიტიკური ინფორმაციის ან დასკვნების საფუძველზე, რომელიც კეთდება სპორტსმენის სისხლის ან შარდის ანალიზებიდან, მაგალითად სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტიდან]

²⁰ [კომენტარი მუხლზე 3.2.1 ცალკეული აკრძალული ნივთიერებებისთვის, WADA-მ შეიძლება მისცეს მითითება მის მიერ აკრედიტირებულ ლაბორატორიებს, რომ არ წარმოადგინონ ნიმუშები როგორც უარყოფითი ანალიტიკური შედეგები, იმ შემთხვევებში, როდესაც აკრძალული ნივთიერება, მისი მეტაბოლიტები ან მარკერები არის მინიმალური ანგარიშგების ზღვარს ქვემოთ. WADA-ს გადაწყვეტილება ანგარიშგების მინიმალური დონის დადგენის ან აკრძალული ნივთიერებების განსაზღვრის მინიმალური დონის დადგენის შესახებ არ შეიძლება გახდეს სადაო. გარდა ამისა, ლაბორატორიის მიერ აკრძალული ნივთიერების კონცენტრაციის დადგენა შეიძლება იყოს მხოლოდ სავარაუდო. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება რომ აკრძალული ნივთიერების ზუსტი კონცენტრაცია სინჯში, რომელიც არის ანგარიშგების მინიმალურ ზღვარს ქვემოთ, გამოყენებული იყოს იმ ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტის უარსაყოფად, რომელიც გულისხმობს სინჯში აკრძალული ნივთიერების არსებობას.]

3.2.2 WADA-ს მიერ აკრედიტირებული ლაბორატორიები ან სხვა ლაბორატორიები, რომლებიც აღიარებულია WADA-ს მიერ, ახორციელებენ სინჯის ანალიზს და მასთან დაკავშირებულ პროცედურებს ლაბორატორიებისთვის დადგენილი საერთაშორისო სტანდარტის დაცვის პრეზუმპციით. სპორტსმენს ან სხვა პირს შეუძლია გაასაჩივროს ეს პრეზუმპცია, თუ დაადასტურებენ, რომ მოხდა ლაბორატორიებისთვის დადგენილი საერთაშორისო სტანდარტიდან გადახვევა, რასაც შეეძლო გამოეწვია არასასურველი ანალიტიკური შედეგი. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი გაასაჩივრებს ამ პრეზუმპციას, იმის ჩვენებით, რომ ლაბორატორიებისთვის დადგენილი საერთაშორისო სტანდარტიდან გადახვევას შეეძლო გამოეწვია არასასურველი ანალიტიკური შედეგი, მაშინ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას დაეკისრება მტკიცების ტვირთი იმის დასადასტურებლად, რომ ამგვარ გადახვევას არ გამოუწვევია უარყოფითი ანალიტიკური შედეგის დადგომა.²¹

3.2.3 გადახვევა ნებისმიერი სხვა საერთაშორისო სტანდარტიდან, ანტიდოპინგური წესიდან ან პოლიტიკის დოკუმენტიდან რომელიც დადგენილია კოდექსით ან ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესებით, არ იწვევს ანალიტიკური შედეგების ან სხვა მტკიცებულებების ბათილობას და არ შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც მტკიცებულება ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტის გასაბათილებლად.²² თუმცა, თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს რომ ერთ ან რამოდენიმე კონკრეტული საერთაშორისო სტანდარტიდან გადახვევას, რომელიც ქვემოთ არის ჩამოთვლილი, გონივრულად შეეძლო გამოეწვია ანტიდოპინგური წესების დარღვევა რაც გამოიხატა არასასურველ ანალიტიკურ შედეგის დადგომას ან ადგილსამყოფელის შეტყობინების წესის დარღვევაში, მაშინ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ეკისრება ვალდებულება დაამტკიცოს რომ ამგვარ გადახვევას არ გამოუწვევია არასასურველი ანალიტიკური შედეგის დადგომა ან ადგილსამყოფელის შეტყობინების წესის დარღვევა.

- i. ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტიდან გადახვევა, რაც დაკავშირებულია სინჯის აღებასთან ან სინჯთან მოპყრობასთან, რომელსაც გონივრულად შეიძლება გამოეწვია ანტიდოპინგური წესების დარღვევა, რაც გამოვლინდა არასასურველი ანალიტიკური შედეგის დადგომაში. ამ შემთხვევაში,

²¹ [კომენტარი მუხლზე 3.2.2: სპორტსმენს ან სხვა პირს, ალბათობის ბალანსიდან გამომდინარე, ეკისრება მტკიცების ტვირთი, თუ მათ სურთ დაამტკიცონ რომ არასასურველი ანალიტიკური შედეგი დადგა ლაბორატორიებისთვის დადგენილი საერთაშორისო სტანდარტისგან გადახვევით. შესაბამისად, მას შემდეგ რაც სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს გადახვევას ალბათობის ბალანსირებიდან გამომდინარე, მათ მიერ მიზეზობრივი კავშირის მტკიცების სტანდარტი იწვევს დაბლა, დაახლოებით ამგვარად „გონივრულად შეეძლო გამოეწვია“. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი აკმაყოფილებს ამ სტანდარტებს, მაშინ მტკიცების ტვირთი გადადის ანტიდოპინგურ ორგანიზაციაზე, რომ დაუმტკიცოს საქმის მწარმოებელ პანელს, რომ ამგვარ გადახვევას არ გამოუწვევია არასასურველი ანალიტიკური შედეგი.]

²² [კომენტარი მუხლზე 3.2.3: საერთაშორისო სტანდარტებიდან ან სხვა წესებიდან, რომელიც არ ეხება სინჯის აღებას და მის მართვას, უარყოფითი პასპორტის შედეგს, ან სპორტსმენის შეტყობინებას ადგილსამყოფელთან დაკავშირებით, ან ბ სინჯის გახსნას, მაგალითად, განათლებასთან, პირად მონაცემებთან ან თერაპიული გამოყენების გამონაკლისთან დაკავშირებული წესები, შეიძლება გახდეს მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მხრიდან შესაბამისობის საქმის წარმოების საფუძველი, მაგრამ ეს არ იქნება დაკავშირებული იმასთან, ჩაიდინა თუ არა სპორტსმენმა ანტიდოპინგური წესების დარღვევა. მსგავსად ზემოთ თქმულისა, ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ 20.7.7 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტის დარღვევა, ვერ იქნება გამოყენებული ანტიდოპინგური წესების დარღვევის გასამართლებლად.]

- ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ევალება დაამტკიცოს, რომ ამგვარ გადახვევას არ შეიძლებოდა გამოეწვია არასასურველი ანალიტიკური შედეგის დადგომა;
- ii. შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტიდან ან ტესტირების საერთაშორისო სტანდარტიდან გადახვევა, რომელიც დაკავშირებულია სპორტსმენის პასპორტის მონაცემებთან და რომელსაც გონივრულად შეეძლო გამოეწვია ანტიდოპინგური წესების დარღვევა. ამ შემთხვევაში ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ეკისრება ვალდებულება დაამტკიცოს, რომ ამგვარ გადახვევას არ გამოუწვევია ანტიდოპინგური წესების დარღვევა;
 - iii. შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტიდან გადახვევა, რომელიც დაკავშირებულია სპორტსმენისთვის ბ სინჯის გახსნის შეტყობინებასთან და რომელსაც გონივრულად შეეძლო გამოეწვია ანტიდოპინგური წესების დარღვევა, რაც გამოვლინდა არასასურველი ანალიტიკური შედეგის დადგომაში. ასეთ შემთხვევაში ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ეკისრება ვალდებულება დაამტკიცოს, რომ ამგვარ გადახვევას არ გამოუწვევია არასასურველი ანალიტიკური შედეგის დადგომა.²³
 - iv. შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტიდან გადახვევა, რომელიც დაკავშირებულია სპორტსმენისთვის შეტყობინებასთან და რომელსაც გონივრულად შეეძლო გამოეწვია ანტიდოპინგური წესების დარღვევა, რაც გამოვლინდა ადგილსამყოფელის შეტყობინების წესის დარღვევით. ამ შემთხვევაში ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ეკისრება ვალდებულება დაამტკიცოს, რომ ამგვარ გადახვევას არ შეეძლო გამოეწვია ადგილსამყოფელის წესის დარღვევა.

3.2.4 ფაქტები, დადგენილი სასამართლოს ან კომპეტენტური იურისდიქციის პროფესიული დისციპლინურ ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, რომლებიც არ არის გასაჩივრებული, უნდა წარმოადგენდეს უტყუარ მტკიცებულებას იმ სპორტსმენის ან სხვა პირის წინააღმდეგ, რომელსაც გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები ეხებოდა, თუ სპორტსმენი ან სხვა პირი არ დაამტკიცებს, რომ ამ გადაწყვეტილებით მის მიმართ დაირღვა ბუნებრივი სამართლიანობის პრინციპები.

3.2.5 საქმის განმხილველმა პანელმა შესაძლოა უარყოფითი დასკვნა გამოიტანოს სპორტსმენის ან სხვა პირის მიმართ, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ანტიდოპინგური წესების დარღვევაში, რადგან მიუხედავად დროული შეტყობინებისა, სპორტსმენი ან სხვა პირი უარს აცხადებს საქმის განმხილველი ორგანოს წინაშე წარდგომაზე (პირადად ან სატელეფონო საშუალების გამოყენებით, რასაც დაადგენს განმხილველი ორგანო) ან საქმის განმხილველი პანელისა ან ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემაზე.

მუხლი 4 აკრძალული სია

²³ [კომენტარი მუხლზე 3.2.3: საერთაშორისო სტანდარტებიდან ან წესებიდან გადახვევა, რომელიც არ ეხება სინჯის აღებას, არასასურველი პასპორტის შედეგს, ან სპორტსმენის შეტყობინებას ადგილსამყოფელის დასადგენად ან ბ სინჯის აღებას - მაგალითად, განათლების საერთაშორისო სტანდარტები, მონაცემთა დაცვა ან თერაპიული გამოყენების გამონაკლისი შეიძლება გამოიწვიოს შეუსაბამო პროცესის დაწყება WADA-ს მიერ, მაგრამ არ გამოდგება ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტის გასამართლებლად. შესაბამისად, ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ იმ დოკუმენტის დარღვევის ფაქტი რომელიც მითითებულია 20.7.7 მუხლში არ გამოდგება ამგვარი საფუძველისთვის.

4.1 აკრძალული სიის გამოქვეყნება და შესწორება

მსოფლიო ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, შესაბამისი სიხშირით, თუმცა, არანაკლებ ყოველწლიურად, უნდა გამოაქვეყნოს აკრძალული სია, საერთაშორისო სტანდარტის სახით. წარმოდგენილი აკრძალული სია და მისი შესწორებები წერილობითი სახით დაუყოვნებლივ ეგზავნება ყველა ხელმომწერ მხარესა და მთავრობებს კომენტარებისა და კონსულტაციებისთვის. აკრძალული სიის თითოეული ყოველწლიური ვერსია და მისი შესწორებები დაუყოვნებლივ ეგზავნება მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ ყველა ხელმომწერ მხარეს, აკრედიტირებულ ან დამტკიცებულ ლაბორატორიასა და მთავრობებს და განთავსდება მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის ვებ-გვერდზე. თითოეული ხელმომწერი გაატარებს შესაბამისი ღონისძიებებს, რათა აკრძალული სია მიაწოდოს მის წევრებსა და ამომრჩევლებს. ყოველი ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესებში აღინიშნება, რომ თუ სიაში ან მის ცვლილებებში სხვაგვარად არ არის მითითებული, აკრძალული სია და მისი ცვლილებები ძალაში შედის ანტიდოპინგური ორგანიზაციებისთვის ავტომატურად, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ მისი გამოქვეყნებიდან სამ თვის ვადაში და არ საჭიროებს ანტიდოპინგური ორგანიზაციების მხრიდან დამატებით მოქმედებების გატარებას.²⁴

4.2 აკრძალული სიით განსაზღვრული აკრძალული ნივთიერებები და აკრძალული მეთოდები

4.2.1 აკრძალული ნივთიერებები და აკრძალული მეთოდები

აკრძალული სიით განისაზღვრება ის აკრძალული ნივთიერებები და მეთოდები, რომლებიც აკრძალულია სპორტში (როგორც საშეჯიბრო ისე არასაშეჯიბრო პერიოდში) რადგან მათ აქვთ უნარი გააუმჯობესონ სპორტული შედეგი მომდევნო შეჯიბრში ან აქვთ უნარი შენიღბონ ის ნივთიერებები და მეთოდები, რომლებიც აკრძალულია მხოლოდ საშეჯიბრო პერიოდში. მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ აკრძალული სია კონკრეტული სპორტის სახეობისთვის შეიძლება გაიზარდოს. აკრძალული ნივთიერებები და აკრძალული მეთოდები შეიძლება შევიდეს აკრძალულ სიაში ზოგადი კატეგორიის სახით (მაგალითად ანაბოლური აგენტები) ან გაკეთდეს განსაზღვრული მითითება კონკრეტულ ნივთიერებაზე ან მეთოდზე.²⁵

²⁴ [კომენტარი მუხლზე 4.1: აკრძალული სია ან მისი შესწორება შეიძლება გამოქვეყნდეს საჭიროებისამებრ. თუმცა, იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს პროგნოზირება, სია გამოქვეყნდება ყოველწლიურად მიუხედავად იმისა მოხდება თუ არა მასში ცვლილება. მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციას ყოველთვის ექნება ყველაზე განახლებული აკრძალული სია თავის ვებ-გვერდზე. აკრძალული სია არის სპორტში დოპინგის საწინააღმდეგო კონვენციის ინტეგრირებული ნაწილი. მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო აცნობებს იუნესკოს გენერალურ დირექტორს აკრძალულ სიაში ცვლილებების შეტანის თაობაზე]

²⁵ [კომენტარი მუხლზე 4.2.1: არასაშეჯიბრო პერიოდში აკრძალული ნივთიერების გამოყენება, რომელიც აკრძალულია მხოლოდ საშეჯიბრო პერიოდში არ წარმოადგენს ანტიდოპინგური წესების დარღვევას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დგება არასასურველი ანალიტიკური შედეგი ნივთიერებაზე, მის მეტაბოლიტებზე ან მარკერებზე სინჯში, რომელიც აღებული იყო საშეჯიბრო პერიოდში]

4.2.2 განსაზღვრული ნივთიერებები და განსაზღვრული მეთოდები

მუხლი 10-ის მიზნებიდან გამომდინარე, ყველა აკრძალული ნივთიერება არის განსაზღვრული ნივთიერება, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული აკრძალულ სიაში. არც ერთი აკრძალული მეთოდი არ არის განსაზღვრული მეთოდი თუ ეს კონკრეტულად არ არის ასე მითითებული აკრძალულ სიაში.²⁶

4.2.3 ბოროტად გამოყენებული ნივთიერებები

მუხლი 10-ის მიზნებიდან გამომდინარე, ბოროტად გამოყენებული ნივთიერებები გულისხმობს ისეთ აკრძალულ ნივთიერებებს, რომლებიც ასეთად არის მითითებული აკრძალულ სიაში, რადგან ისინი ბოროტად გამოიყენება საზოგადოებაში სპორტისგან კონტექსტიდან დამოუკიდებლად.

4.2.4 აკრძალული ნივთიერებების და აკრძალული მეთოდების ახალი კლასები

იმ შემთხვევაში როდესაც მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო გაზრდის აკრძალული ნივთიერებების ან მეთოდების სიას 4.1 მუხლის შესაბამისად, მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტი დაადგენს წარმოდგენს თუ არა ყველა ან რამოდენიმე აკრძალული ნივთიერება და მეთოდი განსაზღვრულ ნივთიერებას ან განსაზღვრულ მეთოდს 4.2.2 მუხლის, ან ბოროტად გამოყენებულ ნივთიერებას 4.2.3 მუხლის შესაბამისად.

4.3 აკრძალულ სიაში ნივთიერებების და მეთოდების შეტანის კრიტერიუმები

მსოფლიო ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი კრიტერიუმები, როდესაც შეაქვს ნივთიერება ან მეთოდი აკრძალულ სიაში:

4.3.1 ნივთიერება ან მეთოდი განიხილება აკრძალულ სიაში შესატანად, თუ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო თავისი დისკრეციის ფარგლებში დაადგენს რომ სახეზეა ორიდან ერთ-ერთი კრიტერიუმი:

4.3.1.1 სამედიცინო ან სხვა მეცნიერული მტკიცებულება, ფარმაკოლოგიური ეფექტი ან გამოცდილება ადასტურებს, რომ აკრძალულ ნივთიერებას ან მეთოდს, დამოუკიდებლად ან სხვა ნივთიერებებთან და მეთოდებთან კომბინაციაში, შეუძლია გააუმჯობესოს ან აუმჯობესებს სპორტულ შედეგს;²⁷

²⁶ [კომენტარი მუხლზე 4.2.2: განსაზღვრული ნივთიერებები და მეთოდები, რომელიც ამ მუხლშია მითითებული არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს რომ არის ნაკლებ მნიშვნელოვანი ან ნაკლებად საშიში. უბრალოდ, ეს არის ის ნივთიერებები და მეთოდები, რომელიც უფრო იოლად შეიძლება მიიღოს ან გამოიყენოს სპორტსმენმა და აუცილებელი არ არის ის ემსახურებოდეს შედეგების გაუმჯობესების მიზანს]

²⁷ [კომენტარი მუხლზე 4.3.1.1.: ეს მუხლი ითვალისწინებს იმას, რომ შეიძლება არსებობდეს ისეთი ნივთიერებები, რომლებიც არ არის აკრძალული მაგრამ შეიძლება აიკრძალოს, თუ მათი გამოყენება მოხდება ზოგიერთ სხვა ნივთიერებასთან ერთად. იმ ნივთიერებებზე, რომლებიც შეტანილია აკრძალულ სიაში, მაგრამ შედეგის გაუმჯობესება შეუძლიათ მხოლოდ სხვა ნივთიერებასთან კომბინაციაში, უნდა გაკეთდეს სათანადო დათქმა და უნდა აღინიშნოს, რომ მათი აკრძალვა უნდა

4.3.1.2 სამედიცინო ან სხვა მეცნიერული მტკიცებულება, ფარმაცოლოგიური ეფექტი ან გამოცდილება რომ ამ ნივთიერების ან მეთოდის გამოყენება წარმოადგენს სპორტსმენის ჯანმრთელობისთვის არსებულ ან პოტენციურ რისკს;

4.3.1.3. მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ ნივთიერების ან მეთოდის გამოყენება არღვევს კოდექსის შესავალ ნაწილში აღწერილ სპორტულ სულისკვეთებას.

4.3.2 ნივთიერება ან მეთოდი ასევე უნდა იყოს შეტანილი აკრძალულ სიაში, თუ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო დაადგენს რომ არსებობს სამედიცინო ან სხვაგვარი მტკიცებულება, ფარმაცოლოგიური ეფექტი ან გამოცდილება, რომ ამ ნივთიერებას ან მეთოდს აქვს პოტენციალი შენიღბოს სხვა აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება.²⁸

4.3.3 მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ აკრძალული ნივთიერებების და აკრძალული მეთოდების დადგენა, რომლებიც შეტანილი იქნება აკრძალულ სიაში, ამ ნივთიერებების კლასიფიკაცია, ნივთიერებების კლასიფიკაცია რომელიც აკრძალულია ყოველთვის ან მხოლოდ საშეჯიბრო პერიოდში, ნივთიერებების და მეთოდების კლასიფიკაცია როგორც განსაზღვრული ნივთიერება ან განსაზღვრული მეთოდი ან ნივთიერება, რომელიც ბოროტად გამოიყენება, არის საბოლოო და არ შეიძლება გახდეს დავის საგანი სპორტსმენის ან სხვა პირის მხრიდან იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ნივთიერება ან მეთოდი არ იყო შემნილბავი აგენტი ან არ ჰქონდა უნარი გაეუმჯობესებინა სპორტული შედეგი, არ წარმოადგენდა რისკს ჯანმრთელობისთვის ან არ ეწინააღმდეგებოდა სპორტულ სულისკვეთებას.

4.4. თერაპიული გამოყენების გამონაკლისი

4.4.1 აკრძალული ნივთიერების ან მისი მეტაბოლიტების და მარკერების არსებობა, მათი გამოყენება ან გამოყენების მცდელობა, ფლობა ან ადმინისტრირება ან ადმინისტრირების მცდელობა არ ჩაითვლება ანტიდოპინგური წესების დარღვევად თუ ის შეესაბამება თერაპიული გამოყენების გამონაკლისს, რომელიც გაცემულია თერაპიული გამოყენების გამონაკლისის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

4.4.2 სპორტსმენებმა, რომლებიც არ არიან საერთაშორისო დონის სპორტსმენები, თერაპიული გამოყენების გამონაკლისისთვის უნდა მიმართონ თავიანთ ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას. თუ ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია უარს იტყვის განაცხადზე, სპორტსმენს აქვს უფლება გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება მხოლოდ ეროვნულ სააპელაციო ორგანოში რომელიც განმარტებულია მუხლში 13.2.2.

4.4.3 საერთაშორისო დონის სპორტსმენებს შეუძლიათ მიმართონ თავიანთ საერთაშორისო ფედერაციებს.²⁹

მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს მტკიცებულება ორივე ნივთიერების კომბინირებულად გამოყენების შესახებ.]

²⁸ [კომენტარი მუხლზე 4.3.2: როგორც მთლიანი პროცესის ნაწილი, ხელმომწერებს და მთავრობებს აქვთ უფლება წარმოადგინონ თავიანთი კომენტარები მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ აკრძალული სიის შინაარსთან დაკავშირებით.]

²⁹ [კომენტარი მუხლზე 4.4.3: თუ საერთაშორისო ფედერაცია უარს იტყვის თერაპიული გამოყენების გამონაკლისის აღიარებაზე, რომელიც გაცემულია ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ მხოლოდ იმიტომ რომ არ არსებობს სამედიცინო ჩანაწერები ან სხვა ინფორმაცია, რაც აუცილებელია კრიტერიუმებია თერაპიული გამოყენების გამონაკლისისთვის საერთაშორისო სტანდარტების

4.4.3.1 თუ სპორტსმენს უკვე აქვს შესაბამისი ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გაცემული ნებართვა სადაო ნივთიერების ან მეთოდის თერაპიული მიზნით გამოყენებაზე, და თუ ეს ნებართვა შეესაბამება თერაპიული გამოყენების გამონაკლისის საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ კრიტერიუმებს, მაშინ საერთაშორისო ფედერაციამ უნდა აღიაროს ეს ნებართვა. თუ საერთაშორისო ფედერაცია ჩათვლის რომ თერაპიული გამოყენების განმაცლისი არ პასუხობს ამ კრიტერიუმებს და შესაბამისად, არ აპირებს მის აღიარებას, მაშინ მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სპორტსმენს და სპორტსმენის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას და მიუთითოს მიზეზი. სპორტსმენს ან ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას უნდა მიეცეს 21 დღე შეტყობინების მიღებიდან, რათა მათ გადაეგზავნონ საკითხი მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოში განსახილველად. სანამ საკითხი გადაგზავნილია მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციაში, თერაპიული გამოყენების გამონაკლისი მოქმედებს ეროვნულ დონეზე საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირების პერიოდში (მაგრამ არა საერთაშორისო დონის საშეჯიბრო პერიოდში) მანამ, სანამ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო მიიღებს გადაწყვეტილებას. თუ საკითხი არ გადაეგზავნება მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს დადგენილი 21 დღის განმავლობაში, სპორტსმენის ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა გადაწყვიტოს დარჩება თუ არა თერაპიული გამოყენების გამონაკლისი ძალაში ეროვნული დონის საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირების პერიოდში (იმის გათვალისწინებით, რომ სპორტსმენი შეწყვეტს საერთაშორისო დონის სპორტსმენობას და არ მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო დონის შეჯიბრებებში). ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, თერაპიული გამოყენების გამონაკლისი ძალაში რჩება ეროვნული საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირებისთვის (მაგრამ არ არის ძალაში საერთაშორისო დონის შეჯიბრისთვის).

4.4.3.2 თუ სპორტსმენს არ აქვს შესაბამისი ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გაცემული ნებართვა სადაო ნივთიერების ან მეთოდის თერაპიული მიზნით გამოყენებაზე, მაშინ მან საჭროების წარმოშობიდან დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს თავის საერთაშორისო ფედერაციას ამ ნებართვის მისაღებად. თუ საერთაშორისო ფედერაცია (ან ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია, როდესაც ის დათანხმდა რომ განიხილოს განაცხადი საერთაშორისო ფედერაციის მაგივრად) უარს იტყვის განაცხადის დაკმაყოფილებაზე, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სპორტსმენს ამის შესახებ, შესაბამისი მიზეზების მითითებით. თუ საერთაშორისო ფედერაცია დააკმაყოფილებს განაცხადს, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს არა მხოლოდ სპორტსმენს, არამედ სპორტსმენის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, ხოლო თუ ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია ჩათვლის რომ თერაპიული გამოყენების გამონაკლისი არ შეესაბამება დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს, მას აქვს 21 დღე რომ მიმართოს მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს საკითხის განსახილველად. თუ ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია გააგზავნის საკითხს მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციაში განსახილველად, თერაპიული გამოყენების გამონაკლისი დარჩება ძალაში საერთაშორისო საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირებისთვის (მაგრამ არ იქნება ძალაში ეროვნული დონის შეჯიბრისთვის) მანამ, სანამ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო მიიღებს გადაწყვეტილებას. თუ ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია არ გადაეგზავნის საკითხს მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციაში განსახილველად, მაშინ

შესაბამისად, საკითხი უნდა გადაეგზავნოს მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს. ასევე, შესაძლებელია განაცხადის თავიდან შევსება და საერთაშორისო ფედერაციაში წარდგენა.]

თერაპიული გამოყენების გამონაკლისი ძალაში შევა ეროვნული დონის საშეჯიბრო ტესტირებისთვისაც, მას შემდეგ, რაც გავა განხილვისთვის დადგენილი 21 დღიანი პერიოდი.

4.4.4. მთავარი ღონისძიების ორგანიზატორს შეუძლია მოსთხოვოს სპორტსმენს აილოს თერაპიული გამოყენების გამონაკლისი თუ მას სურს გამოიყენოს აკრძალული ნივთიერება ან აკრძალული მეთოდი ამ ღონისძიებასთან კავშირში. ამ შემთხვევაში:

4.4.4.1 მთავარი ღონისძიების ორგანიზატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ სპორტსმენს მიეცეს შესაძლებლობა მოითხოვოს თერაპიული გამოყენების გამონაკლისი, თუ მას ეს ნებართვა ჯერ არ აუღია. თუ სპორტსმენს ნებართვა აღებული აქვს, ეს ნებართვა ძალაშია მხოლოდ ამ კონკრეტული ღონისძიებისთვის.

4.4.4.2 თუ სპორტსმენს უკვე აქვს აღებული თერაპიული გამოყენების გამონაკლისი ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციისგან ან საერთაშორისო ფედერაციისგან და ის პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს, მაშინ მთავარი ღონისძიების ორგანიზატორმა უნდა აღიაროს ეს დოკუმენტი. თუ მთავარი ღონისძიების ორგანიზატორი ჩათვლის, რომ თერაპიული გამოყენების გამონაკლისი არ პასუხობს ამ კრიტერიუმებს და უარს ამბობს მის აღიარებაზე, მაშინ მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ სპორტსმენს შესაბამისი მიზეზების მითითებით.

4.4.4.3 მთავარი ღონისძიების ორგანიზატორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება თერაპიული გამოყენების გამონაკლისის არ აღიარების შესახებ, შეიძლება ექსკლუზიურად გასაჩივრდეს იმ დამოუკიდებელ ორგანოში, რომელიც ამ მიზნებისთვის დაადგინა ან დანიშნა მთავარი ღონისძიების ორგანიზატორმა. თუ სპორტსმენი არ გაასაჩივრებს (ან გასაჩივრება აღმოჩნდება წარუმატებელი) ამ გადაწყვეტილებას, მას არ ექნება უფლება გამოიყენოს ეს აკრძალული ნივთიერება ან მეთოდი ამ ღონისძიების ფარგლებში, თუმცა, თერაპიული გამოყენების გამონაკლისი რომელიც გაცემულია ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის ან საერთაშორისო ფედერაციის მიერ ამ ნივთიერებასთან დაკავშირებით, ძალაში რჩება ამ ღონისძიების ფარგლებს გარეთ.³⁰

4.4.5 თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია გადაწყვეტს სინჯის აღებას იმ სპორტსმენისგან, რომელიც არ არის საერთაშორისო დონის სპორტსმენი ან ეროვნული დონის სპორტსმენი, ხოლო სპორტსმენი იყენებს აკრძალულ ნივთიერებას ან აკრძალულ მეთოდს თერაპიული მიზნებიდან გამომდინარე, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა მისცეს ამ სპორტსმენს უფლება რეტროაქტიულად მიიღოს თერაპიული გამოყენების გამონაკლისზე ნებართვა.

4.4.6 მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ განიხილავს საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებას, რომელმაც უარი თქვა ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გაცემული თერაპიული გამოყენების გამონაკლისის აღიარებაზე, რომელიც მას გადაეგზავნა სპორტსმენის ან სპორტსმენის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ. ამასთან ერთად, მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტო განიხილავს თერაპიული გამოყენების გამონაკლისზე ნებართვას, რომელიც გაცემულია საერთაშორისო ფედერაციის მიერ, თუ ის გადაგზავნილია ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ. მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს ასევე უფლება აქვს განიხილოს ნებისმიერ დროს გაცემული თერაპიული გამოყენების გამონაკლისი, იმ მხარეების მოთხოვნით, ვისაც

³⁰ [კომენტარი მუხლზე 4.4.4.3: მაგალითად, CAS-ის მიერ სპეციალურად დანიშნული კომიტეტი ან მსგავსი ორგანო შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სააპელაციო ორგანო ამგვარი ღონისძიებებისთვის, ან მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო შეიძლება დათანხმდეს, შეასრულოს ეს ფუნქცია. თუ არც CAS და არც მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო არ შეასრულებს ამ ფუნქციას, მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს აქვს უფლება (და არა ვალდებულება) გადახედოს თერაპიული გამოყენების გამონაკლისზე გადაწყვეტილებას ნებისმიერ დროს 4.4.6 მუხლის შესაბამისად].

ის ეხებოდა, ან საკუთარი ინიციატივით. თუ თერაპიული გამოყენების გამონაკლისის განხილვისას აღმოჩნდა, რომ ის შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ კრიტერიუმებს, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო მას არ გააუქმებს. თუ აღმოჩნდა, რომ თერაპიული გამოყენების გამონაკლისი არ პასუხობს დადგენილ კრიტერიუმებს, მაშინ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო გააუქმებს მას.³¹

4.4.7 ნებისმიერი თერაპიული გამოყენების გამონაკლისის თაობაზე საერთაშორისო ფედერაციის (ან ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის, თუ ის გადაწყვეტს რომ განიხილოს განცხადება საერთაშორისო ფედერაციის მაგივრად) მიერ მიღებული გადაწყვეტილება რომელიც არ გადაიხედება მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, ან გადაიხედება მაგრამ არ გაუქმდება, შეიძლება ექსკლუზიურად გასაჩივრდეს CAS-ში სპორტსმენის ან/და ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ.³²

4.4.8 მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება თერაპიული გამოყენების გამონაკლისის ნებართვის გაუქმების შესახებ, შეიძლება ექსკლუზიურად გასაჩივრდეს CAS-ში, სპორტსმენის, ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის და/ან საერთაშორისო ფედერაციის მიერ, ვისზეც გავლენა მოახდინა ამ გადაწყვეტილებამ.

4.4.9 წესების დაცვით წარდგენილი თერაპიული გამოყენების გამონაკლისის განაცხადის გაცემა/აღიარებაზე ან მის გადახედვაზე გონივრულ ვადაში გადაწყვეტილების მიუღებლობა, ჩათვლება განაცხადზე უარის თქმად და შესაბამისად, წარმოიშობა მისი გადახედვის/გასაჩივრების უფლება.

4.5 მონიტორინგის პროგრამა

მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო, ხელმომწერ მხარეებთან და მთავრობებთან ერთად შეიმუშავებს მონიტორინგის პროგრამას იმ ნივთიერებებზე დასაკვირვებლად, რომლებიც არ შედიან აკრძალულ სიაში, მაგრამ მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს სურს დაადგინოს, სპორტში მათი პოტენციური არამიზნობრივი გამოყენების ფაქტები. ამასთან ერთად, მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ მონიტორინგის პროგრამაში შეიძლება შეიტანოს ისეთი ნივთიერებები, რომლებიც არის აკრძალულ სიაში, მაგრამ მათი მონიტორინგი უნდა მოხდეს განსაკუთრებულ შემთხვევებში - მაგალითად, არასაშეჯიბრო პერიოდში იმ ნივთიერებების გამოყენება, რომლების აკრძალულია მხოლოდ სააშეჯიბრო პერიოდში ან სხვადასხვა ნივთიერებების დაბალი დოზებით კომბინირებულად გამოყენების შემთხვევები, რათა დადგინდეს „გამოყენება“ ან მიღებულ იქნას ადექვატური

³¹ [კომენტარი მუხლზე 4.4.6: მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს უფლება აქვს მოითხოვოს ა) ნებისმიერი იმ განხილვის ხარჯების დაფარვა, რომელსაც მისგან მოითხოვენ 4.4.6 მუხლის პირობების შესაბამისად, ასევე ბ) ნებისმიერი იმ განხილვის ხარჯების დაფარვა, რომელსაც ჩაატარებს საკუთარი ინიციატივით, იმ შემთხვევაში, თუ განხილული გადაწყვეტილება გაუქმებული იქნება.]

³² [კომენტარი მუხლზე 4.4.7: ამ შემთხვევაში აპელაციის საგანია საერთაშორისო ფედერაციის თერაპიული გამოყენების გამონაკლისის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და არა მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს გადაწყვეტილება რომ არ გადაეხედა თერაპიული გამოყენების გამონაკლისისთვის (ან როცა განიხილა) ან არ გაუქმებინა მიღებული გადაწყვეტილება. თუმცა, აპელაციის ვადის ათვლა დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო აცნობებს მხარეს თავისი გადაწყვეტილების შესახებ. თუმცა, მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა გადაწყვეტილების გადახედვა მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ, მას უნდა ეცნობოს აპელაციის შესახებ, რათა სააგენტომ გადწყვიტოს მონაწილეობა, თუ ამის საჭიროებას ჩათვლის].

გადაწყვეტილებები მათ ლაბორატორიულ ანალიზთან ან აკრძალულ სიაში მათ სტატუსთან დაკავშირებით.

მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო გამოაქვეყნებს მონიტორინგის ქვეშ მყოფი ნივთიერებების სიას.³³ ლაბორატორიები აცნობებენ ამ ნივთიერებების გამოყენების ან სინჯში არსებობის ფაქტებს მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს. მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ, სულ მცირე წლიურად, უნდა უზრუნველყოს მონიტორინგის ქვეშ მყოფი ნივთიერებების შესახებ შეგროვებული ინფორმაციის სპორტის სახეობების მიხედვით გაცნობა საერთაშორისო ფედერაციებისა და ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციებისთვის. მონიტორინგის პროგრამის ეს ანგარიშები არ უნდა შეიცავდეს დამატებით დეტალებს, რათა არ მოხდეს კონკრეტული სინჯების დაკავშირება მონიტორინგის შედეგებთან. მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა ამ ანგარიშებში მკაცრად იქნეს დაცული კონკრეტული სპორტსმენის ანონიმურობა. ინფორმაცია მონიტორინგს დაქვემდებარებული ნივთიერებების გამოყენების შესახებ ან მათი აღმოჩენა სინჯში არ ითვლება ანტიდოპინგური წესების დარღვევად.

მუხლი 5 ტესტირება და გამოძიება

5.1. ტესტირებისა და გამოძიების მიზნები

ტესტირება და გამოძიება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ტიპის ანტიდოპინგური მიზნებისთვის.³⁴

5.1.1 ტესტირება შეიძლება ჩატარდეს, რათა აღებული იქნეს ანალიტიკური მტკიცებულება იმის თაობაზე, დაარღვია თუ არა სპორტსმენმა კოდექსის მუხლი 2.1 (აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტების ან მარკერების აღმოჩენა სპორტსმენის სინჯში) ან მუხლი 2.2 (სპორტსმენის მიერ აკრძალული ნივთიერების ან აკრძალულიმეთოდის გამოყენება ან გამოყენების მცდელობა).

5.2 ტესტირების ჩატარების უფლებამოსილება

შესაბამის ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია ტესტირების უფლებამოსილება, შეუძლია ნებისმიერ სპორტსმენს ნებისმიერ დროსა და ადგილას

³³ [კომენტარი მუხლზე 4.5: იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს მონიტორინგის პროგრამის ეფექტურობა, მას შემდეგ რაც ახალი ნივთიერება დაემატება გამოქვეყნებულ მონიტორინგის პროგრამას, ლაბორატორიებს აქვთ უფლება ხელახლა გაადაამუშაონ მონაცემები და უკვე გაანალიზებული სინჯები რათა დაადგინონ, ამ ახალი ნივთიერებების სინჯში არსებობის ან არარსებობის ფაქტი]

³⁴ [კომენტარი მუხლზე 5.1: როდესაც ტესტირება ხორციელდება ანტიდოპინგური მიზნებისთვის, ტესტირებიდან მიღებული ანალიტიკური შედეგი და მონაცემები შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა სამართლებრივი მიზნებისთვისაც ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესების შესაბამისად, იხილეთ კომენტარი მუხლზე 23.2.2]

მოსთხოვოს სინჯის ჩაბარება, ³⁵ ღონისძიების დროს ტესტირებაზე დადგენილი შეზღუდვების გარდა, რომელიც წარმოდგენილია მუხლში 5.3:

5.2.1 თითოეულ ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას გააჩნია საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირების ჩატარების უფლებამოსილება ყველა იმ სპორტსმენზე რომელიც არის იმ ქვეყნის მოქალაქე, რეზიდენტი, სპორტული ორგანიზაციის ლიცენზიის მქონე ან წევრი, სადაც ეს ანტიდოპინგური ორგანიზაცია მდებარეობს ან მათ მიმართ, ვინც მოღვაწეობს ამ ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის ქვეყანაში.

5.2.2 თითოეულ საერთაშორისო ფედერაციას აქვს საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირების ჩატარების უფლებამოსილება ყველა სპორტსმენის მიმართ, რომელზედაც ვრცელდება მისი წესები, მათ შორის მათზე ვინც მონაწილეობს საერთაშორისო ღონისძიებებში ან ღონისძიებებში, რომლებზეც ვრცელდება ამ საერთაშორისო ფედერაციის წესები, ან მათზე, ვინც არიან ამ საერთაშორისო ფედერაციის, ან მისი წევრი ეროვნული ფედერაციების ან მისი წევრების ლიცენზიის მფლობელები.

5.2.3 თითოეული მთავარი ღონისძიების ორგანიზატორს, მათ შორის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტს და საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტს, აქვს საშეჯიბრო ტესტირების უფლებამოსილება თავიანთი ღონისძიებებზე და არასაშეჯიბრო ტესტირების უფლებამოსილება ყველა სპორტსმენზე, რომელიც მიიღებს მონაწილეობას მათ მიერ მოწყობილ ღონისძიებებზე ან სხვაგვარად დაექვემდებარებიან ტესტირებას ძირითადი ღონისძიების ორგანიზატორის მხრიდან მომავლ ღონისძიებაში.

5.2.4 მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს აქვს საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირების უფლებამოსილება მუხლი 20.7.10 შესაბამისად.

5.2.5 ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შეუძლიათ ყველა ყველა იმ სპორტსმენის ტესტირება, რომლებიც შედიან მათ დაქვემდებარებაში და არ არიან წასული სპორტიდან, მათ შორის დისკვალიფიცირებული სპორტსმენების.

5.2.6 თუ საერთაშორისო ფედერაცია ან ძირითადი ღონისძიების ორგანიზატორი განახორციელებს ტესტირების ნებისმიერი ეტაპის დელეგირებას ან ხელშეკრულებით გადაცემას ეროვნულ ანტიდოპინგური ორგანიზაციასთვის, პირდაპირ ან ეროვნული ფედერაციის მეშვეობით, მაშინ ამ ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ექნება უფლება დამატებით აიღოს სინჯები ან მიუთითოს ლაბორატორიას დამატებითი კვლევების ჩატარების შესახებ საკუთარი ხარჯებით. საერთაშორისო ორგანიზაციას ან ძირითადი ღონისძიების ორგანიზატორს ეცნობება დამატებითი სინჯების აღების ან დამატებითი ანალიზის შესახებ.

5.3 ღონისძიების დროს ტესტირება

³⁵ [კომენტარი მუხლზე 5.2: ტესტირების ჩატარების დამატებითი უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს ხელმძღვრე მართა ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებებით. იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენმა არ აღნიშნა 60 წუთიანი ტესტირების ფანჯარა ქვემოთ მოყვანილი დროის მონაკვეთში, ან სხვაგვარად არ მისცა თანხმობა დროის ამ მონაკვეთში ტესტირებაზე, მაშინ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს სერიოზული და კონკრეტული ეჭვი სპორტსმენის მიერ დოპინგის მიღების თაობაზე თუ ის ანტიდოპინგური ორგანიზაცია გადაწყვეტს სპორტსმენის ტესტირებას 23.00 დან 06.00 საათების შუალედში. დავა იმაზე, ჰქონდა თუ არა ანტიდოპინგურ სააგენტოს საფუძვლიანი ეჭვი, არ გამოდგება როგორც დაცვის სტრატეგია ანტიდოპინგური წესების დარღვევის შემთხვევაში რომელიც დადასტურდა ამ ტესტის აღების ან ტესტის აღების მცდელობის შედეგად.]

5.3.1 თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, მხოლოდ ერთ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს ტესტირების ჩატარების უფლება ღონისძიების ჩატარების ადგილას მოცემულ პერიოდში. საერთაშორისო ღონისძიებებზე (მაგალითად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიური თამაშებისთვის, საერთაშორისო ფედერაცია მსოფლიო ჩემპიონატისთვის, პანამერიკული სპორტის ორგანიზაცია პანამერიკული თამაშებისთვის,) საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც არის ღონისძიების ორგანიზატორი, აქვს უფლებამოსილება, ჩაატაროს ტესტირება. ეროვნულ ღონისძიებებზე, იმ ქვეყნის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას აქვს ტესტირების ჩატარების უფლებამოსილება, სადაც ეს ღონისძიება ტარდება. ღონისძიების ორგანიზატორის მოთხოვნით, ნებისმიერი ტესტირება ღონისძიების პერიოდში რომელიც ტარდება ღონისძიების ადგილმდებარეობის მიღმა, უნდა შეთანხმდეს მასთან.³⁶

5.3.2 თუ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც სხვაგვარად ექნებოდა ტესტირების ჩატარების უფლება, მაგრამ არ არის პასუხისმგებელი ამ ღონისძიების ტესტირებაზე, მოუწდება ტესტირების ჩატარება ღონისძიების ჩატარების ადგილას, მან უნდა შეუთანხმოს ეს გადაწყვეტილება ღონისძიების ორგანიზატორს და მიიღოს მისგან თანხმობა. თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია არ იქნება კმაყოფილი ღონისძიების ორგანიზატორის გადაწყვეტილებით, მას ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, უფლება აქვს მოითხოვოს ნებართვა მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსგან ტესტირების ჩასატარებლად და კოორდინაციის გასაწევად. მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ არ უნდა გასცეს თანხმობა, მანამ სანამ არ გაივლის კონსულტაციას ღონისძიების ორგანიზატორთან. მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს გადაწყვეტილება არის საბოლოო და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ტესტირების ჩატარების უფლებამოსილებაში, ამგვარი ტესტი უნდა ჩაითვალოს არასაშეჯიბრო პერიოდში ჩატარებულ ტესტირებად. შედეგების მართვის პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომლის ინიციატივითაც ჩატარდა ტესტირება, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ღონისძიების ორგანიზატორის მიერ დადგენილ წესებით.³⁷

5.4 ტესტირებისთვის დადგენილი მოთხოვნები

5.4.1 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა უნდა განახორციელოს ტესტირების დაგეგმვა ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

³⁶ [კომენტარი მუხლზე 5.3.1: ზოგიერთი საერთაშორისო ღონისძიების ორგანიზატორები შეიძლება ატარებდნენ თავიანთ ტესტირებებს ღონისძიების ადგილმდებარეობის მიღმა ღონისძიების პერიოდში და შესაბამისად სურთ ტესტირების კოორდინირება ეროვნულ ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ტესტირებასთან.]

³⁷ [კომენტარი მუხლზე 5.3.2: სანამ ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას მისცემს ტესტირების ჩატარების უფლებას საერთაშორისო ღონისძიებაზე, მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ კონსულტაცია უნდა გაიაროს ამ ღონისძიების ორგანიზატორთან. სანამ საერთაშორისო ფედერაციას მისცემს ტესტირების ჩატარების უფლებას ეროვნულ ღონისძიებაზე, მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ უნდა გაიაროს კონსულტაცია იმ ქვეყნის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან, სადაც ტარდება ღონისძიება. ანტიდოპინგურ ორგანიზაციას რომელიც ახორციელებს ტესტირებას, შეუძლია თუ მოისურვებს, დადოს ხელშეკრულება დელეგირებულ მესამე მხარესთან, ვისაც გადასცემს სინჯის აღების ან სხვა ანტიდოპინგური კონტროლის პროცესის უფლებამოსილებას.]

5.4.2 სადაც ეს გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელია, ტესტირების კოორდინირება უნდა მოხდეს ადამსის მეშვეობით, რათა მაქსიმალურად ეფექტურად მოხდეს ტესტირების კომბინირებული ძალისხმევის გამოყენება და განმეორებითი ტესტების თავიდან აცილება.

5.5 სპორტსმენის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია

სპორტსმენებმა, რომლებიც თავიანთი საერთაშორისო ფედერაციის და/ან ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ შეყვანილები არიან რეგისტრირებული ტესტირების სიაში უნდა წარმოადგინონ ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მათ მიერ 2.4 მუხლის დარღვევა გამოიწვევს სამართლებრივ შედეგებს მუხლი 10.3.2 ის შესაბამისად. საერთაშორისო ფედერაციებმა და ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა უნდა მოახდინონ ამგვარი სპორტსმენების ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის შეგროვების კოორდინაცია. თითოეულმა საერთაშორისო ფედერაციამ და ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ადამსის მეშვეობით ხელმისაწვდომი უნდა გახადოს სია, რომელშიც აღნიშნულია იმ სპორტსმენების სახელები, რომლებიც შეყვანილები არიან რეგისტრირებული ტესტირების სიაში. სპორტსმენებს უნდა მიეცეთ შეტყობინება, მანამ სანამ მათ შეიყვანენ რეგისტრირებული ტესტირების სიაში და მაშინაც, როდესაც მოხდება მათი ამ სიიდან ამოღება. სპორტსმენები ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას წარმოადგენენ მანამ, სანამ იქნებიან რეგისტრირებული ტესტირების სიაში. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ადამსის მეშვეობით მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის და სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციებისთვის, რომელთაც ექნებათ სპორტსმენის ტესტირების უფლებამოსილება 5.2 მუხლის შესაბამისად. ადგილმებარეობის შესახებ ინფორმაცია ყოველთვის კონფიდენციალურია და გამოიყენება მხოლოდ დოპინგ კონტროლის განხორციელების დასაგეგმად და დასაორგანიზებლად. სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტის ან სხვა ანალიზის პასუხის გაიცემა მხოლოდ ანტიდოპინგური წესების პოტენციური დარღვევის გამოძიებისას, ან ანტიდოპინგური წესების დარღვევის საქმისწარმოების დასახმარებლად და ნადგურდება მაშინვე, როდესაც ის აღარ არის რელევანტური ამ მიზნებისთვის პირადი ინფორმაციის დაცვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შეუძლიათ ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, შეაგროვონ ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია იმ სპორტსმენებისგან, რომლებიც არ არიან შეყვანილნი რეგისტრირებული ტესტირების სიაში და დააკისრონ შესაბამისი პროპორციული ვალდებულებები არა კოდექსის 2.4 მუხლის არამედ, თავიანთი წესების შესაბამისად.

5.6 სპორტიდან წასული სპორტსმენების დაბრუნება შეჯიბრში

5.6.1 თუ საერთაშორისო ან ეროვნული დონის სპორტსმენი რომელიც შეყვანილია რეგისტრირებული ტესტირების სიაში წავა სპორტიდან და შემდგომ სურს დაუბრუნდეს სპორტს და მიიღოს აქტიური მონაწილეობა, მას არ ექნება საერთაშორისო ან ეროვნულ დონისძიებებში მონაწილეობის უფლება სანამ არ განაცხადებს თანხმობას ტესტირებაზე. მან ამის შესახებ 6 თვით ადრე წერილობით უნდა შეატყობინოს თავის საერთაშორისო ფედერაციას და ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას. მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს, შესაბამის საერთაშორისო ფედერაციასა და ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან კონსულტაციის საფუძველზე, შეუძლია დაუშვას ამ 6 თვიან ვადაზე გამონაკლისი, თუ ეს ვადა ჩაითვლება უსამართლოდ სპორტსმენის მიმართ. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მუხლი 13-ის შესაბამისად.³⁸

5.7 გამოძიება და ინფორმაციის შეგროვება

მუხლი 6 სინჯების ანალიზი

სინჯები გაანალიზდება შემდეგი პრინციპების დაცვით:

6.1 აკრედიტირებული, აღიარებული და სხვა ლაბორატორიების გამოყენება

არასასურველი ანალიტიკური შედეგის დასამტკიცებლად, სინჯები აუცილებლად იგზავნება მხოლოდ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ აკრედიტირებულ ან სხვაგვარად აღიარებულ ლაბორატორიებში. მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ

აღიარებული ან აკრედიტირებული ლაბორატორიის არჩევა არის იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციის უფლებამოსილება, რომელიც პასუხისმგებელია შედეგების მართვაზე.³⁹

6.1.1 როგორც ეს დადგენილია მუხლით 3.2, ანტიდოპინგური წესების დარღვევა შეიძლება დადასტურდეს ნებისმიერი სანდო საშუალებით. ეს მოიცავს, მაგალითად, სანდო ლაბორატორიის ან სხვა სასამართლო ექსპერტიზის ტესტებს, რომელიც ჩატარდა მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ აკრედიტირებული ან აღიარებული ლაბორატორიებს გარეთ.

6.2 სინჯებისა და მონაცემთა ანალიზის მიზანი

სინჯებისა და მასთან დაკავშირებული ანალიტიკური მონაცემების ან დოპინგ-კონტროლის შესახებ ინფორმაციის ანალიზი მოხდება აკრძალულ სიით გათვალისწინებული ნივთიერებების და მეთოდების და სხვა ნივთიერებების აღმოსაჩენად, რომლებსაც WADA ადგენს 4.5 მუხლის შესაბამისად, ან იმისთვის, რომ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას დაეხმაროს სპორტსმენის შარდში, სისხლში ან სხვა მატრიქსში, რომელშიც შედის დნმ ან გენომური პროფილირება, ან რაიმე სხვა ლეგიტიმური ანტიდოპინგური მიზნით.⁴⁰

6.3 სინჯებისა და მონაცემების კვლევა

სინჯები, მასთან დაკავშირებული ანალიტიკური მონაცემები და დოპინგ-კონტროლის შესახებ ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას ანტიდოპინგური კვლევის მიზნით, თუმცა, არც ერთი ნიმუში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას კვლევისთვის, სპორტსმენის წერილობითი თანხმობის გარეშე. ნიმუშები და მასთან დაკავშირებული ანალიტიკური მონაცემები ან დოპინგ-კონტროლის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება კვლევის მიზნებში, უნდა დამუშავდეს ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული ნიმუშების და მასთან დაკავშირებული ანალიტიკური მონაცემების ან დოპინგ-კონტროლის შესახებ ინფორმაციის დაკავშირება კონკრეტულ სპორტსმენთან.⁴¹ სინჯისა და მასთან

³⁹ [კომენტარი მუხლზე 6.1: ფასისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ შეიძლება აღიაროს ლაბორატორიები, რომლებიც მისგან არ არის აკრედიტირებული კონკრეტული ანალიზის ჩასატარებლად, მაგალითად: როდესაც სისხლის ანალიზი უნდა გაიგზავნოს კონკრეტულ ლაბორატორიაში დადგენილ ვადებში. ასეთ ლაბორატორიაში სინჯის გაგზავნამდე, მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაცია უზრუნველყოფს რომ ლაბორატორია აკმაყოფილებდეს დადგენილ სტანდარტებს. მუხლი 2.1 ის დარღვევის ფაქტი, შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებულ ან აღიარებული ლაბორატორიის დასკვნის საფუძველზე. ანტიდოპინგური წესების სხვა დარღვევები შეიძლება დადგინდეს სხვა ლაბორატორიების დასკვნის საფუძველზე, თუ ეს დასკვნა სანდოა.]

⁴⁰ [კომენტარი მუხლზე 6.2: მაგალითად, დოპინგ კონტროლთან დაკავშირებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებული იყოს მიზნობრივი ტესტირებისთვის ან ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტიდან გამომდინარე წარმოებისთვის მუხლი 2.2 შესაბამისად, ან ორივე შემთხვევაში. ასევე იხილეთ კომენტარები მუხლებზე 5.1 და 23.2.2]

⁴¹ როგორც ეს უმეტეს სამედიცინო ან სამეცნიერო კონტექსტში ხდება, ნიმუშებისა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება ხარისხის უზრუნველყოფის, ხარისხის გაუმჯობესების, მეთოდის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით ან რეფერენციული პოპულაციების დასადგენად არ ითვლება კვლევად. ნიმუშები და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომლებიც გამოიყენება

დაკავშირებული ანალიტიკური მონაცემები ან დოპინგ-კონტროლის შესახებ ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს მე -19 მუხლში მითითებულ პრინციპებს.

6.4 სინჯის ანალიზისა და ანგარიშის წარმოდგენის სტანდარტები⁴²

ლაბორატორიებმა უნდა განახორციელონ სინჯის ანალიზი და წარმოადგინონ მისი ანგარიში ლაბორატორიებისთვის დადგენილი საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

6.4.1 ლაბორატორიებს საკუთარი ინიციატივით და ხარჯებით შეუძლიათ გაანალიზონ სინჯები აკრძალული ნივთიერებებსა ან აკრძალული მეთოდებზე, რომლებიც არ არის შეტანილი სინჯის ანალიზის სტანდარტულ მენიუში, ან ანტიდოპინგური ორგანიზაციის მოთხოვნით, რომელმაც დაიწყო სინჯის შეგროვება. ნებისმიერი ასეთი ანალიზის შედეგების შესახებ ეცნობება ანტიდოპინგურ ორგანიზაციას და აქვს იგივე მოქმედება და შედეგები, როგორც ნებისმიერი სხვა ანალიტიკურ შედეგს.

6.5 სინჯის შემდგომი ანალიზი შედეგების მართვის ან მოსმენის პროცესის დაწყებამდე ან მის დროს

ლაბორატორიის უფლებამოსილება არ შეიძლება შეიზუღოდოს, რომ განახორციელოს ნიმუშის განმეორებითი ან დამატებითი ანალიზი, სანამ ანტიდოპინგური ორგანიზაცია შეატყობინებს სპორტსმენს, რომ სინჯი საფუძვლად დაედო ანტიდოპინგური წესის დარღვევას მუხლი 2.1 შესაბამისად. თუ ასეთი შეტყობინების შემდეგ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას სურს დამატებითი ანალიზი ჩაატაროს ამ სინჯზე, ეს შეიძლება გააკეთოს სპორტსმენის თანხმობით ან საქმის მწარმოებელი ორგანოს თანხმობით.

6.6 სინჯის შემდგომი ანალიზი, თუ შედეგი უარყოფითია ან ან სხვაგვარად არ გამოიწვია ანტიდოპინგური წესების დარღვევის ბრალდება

მას შემდეგ, რაც ლაბორატორიამ შეაფასა ნიმუში უარყოფითად, ან სინჯს სხვაგვარად არ მოჰყვა ანტიდოპინგური წესის დარღვევის ბრალდება, იგი შეიძლება შეინახოს და დაექვემდებაროს შემდგომ ანალიზს 6.2-ე მუხლის მიზნებისათვის, ნებისმიერ დროს, მხოლოდ იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციის მოთხოვნით, რომელმაც აიღო სინჯის ან მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ. ნებისმიერ სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს უფლებამოსილება ჩაატაროს ტესტირება სპორტსმენზე,

ასეთი ნებადართული არასაკვლევ მიზნებისთვის, ასევე უნდა დამუშავდეს ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული კონკრეტული სპორტსმენის იდენტიფიკაცია მე -19 მუხლში მოცემული პრინციპების გათვალისწინებით, აგრეთვე ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტისა და კონფიდენციალურობისა და პირადი ინფორმაციის დაცვის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.]

⁴² [კომენტარი მუხლზე 6.4: ამ მუხლის მიზანია "ინტელექტუალური ტესტირების" პრინციპის გავრცელება ნიმუშის ანალიზის მენიუში ისე, რომ მაქსიმალურად ეფექტურად და სწრაფად მოხდეს სინჯში დოპინგის აღმოჩენა. აღიარებულია, რომ დოპინგთან საბრძოლველად ხელმისაწვდომი რესურსი შეზღუდულია და რომ ნიმუშის ანალიზის მენიუს გაზრდამ შეიძლება ზოგიერთ სპორტში და ქვეყანაში შეამციროს სინჯების რაოდენობა, რომელთა ანალიზი შესაძლებელია.]

შეუძლია მოთხოვოს აღებული სინჯის შემდგომი ანალიზი იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციის თანხმობით, რომელმაც ჩაატარა თავდაპირველი ტესტირება ან მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის თანხმობით, და პასუხისმგებელი იქნება შემდგომ შედეგების მართვაზე. სინჯის შენახვა და მისი შემდგომი ანალიზი, რომელიც ინიცირებულია მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის ან სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, უნდა იყოს მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის ან სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციის ხარჯზე. სინჯების შემდგომი ანალიზი უნდა პასუხობდეს ლაბორატორიებისთვის დადგენილი საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს.

6.7 ა ან ბ სინჯების დაყოფა

როდესაც WADA-ს, ანტიდოპინგური ორგანიზაციას, რომელსაც აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება და / ან WADA-ს მიერ აკრედიტირებული ლაბორატორიას (WADA-ს ან იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ თანხმობით, ვისაც აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება) სურს გაეყოს ა ან ბ ნიმუში, იმ მიზნით რომ გამოიყენოს სინჯის პირველი ნაწილი ანალიზისთვის ხოლო მეორე ნაწილი დადასტურებისთვის, აუცილებელია, დაცული იყოს ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტით განსაზღვრული პროცედურები.

6.8 მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის უფლება ფლობდეს სინჯებსა და მონაცემებს

მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს, წინასწარი გაფრთხილებით ან მის გარეშე, ფიზიკურად მიიღოს მფლობელობაში ნებისმიერი სინჯი და მასთან დაკავშირებული ანალიტიკური მონაცემები ან ინფორმაცია, რომელსაც ფლობს ლაბორატორია ან ანტიდოპინგური ორგანიზაცია. მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს თხოვნის საფუძველზე, ლაბორატორიამ ან ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, რომელიც ფლობს სინჯს, დაუყოვნებლივ უნდა მიანიჭოს WADA-ს წვდომა და უზრუნველყოს ამ მონაცემების ფიზიკური გადაცემა.⁴³ თუ მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ ლაბორატორიას ან ანტიდოპინგურ ორგანიზაციას წინასწარ არ აცნობა სინჯის მფლობელობაში მიღების შესახებ, მან გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს ლაბორატორიასა და ყველა ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ვისგანაც სინჯი მიიღო ამ სინჯების ფლობის შესახებ. ჩამორთმეული სინჯის ანალიზის ან სხვაგვარი კვლევის შემდეგ, მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ტესტირების ჩატარების უფლებამოსილების მქონე

⁴³ [კომენტარი მუხლზე 6.7: წინააღმდეგობა ან უარი WADA-ს ნიმუშების ფიზიკურ გადაცემაზე შეიძლება ჩაითვალოს როგორც ხელმომწი მხარის მიერ კოდექსთან შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტის განხორციელებისთვის ხელის შეშლა, თანამონაწილეობა ან წარმოადგენდეს ლაბორატორიებისთვის საერთაშორისო სტანდარტის დარღვევას. საჭიროების შემთხვევაში, ლაბორატორია და / ან ანტიდოპინგური ორგანიზაცია დაეხმარება WADA-ს იმის უზრუნველყოფაში, რომ ჩამორთმეული ნიმუში და მასთან დაკავშირებული მონაცემები არ დააყოვნებს შესაბამისი ქვეყნის დატოვებას].

ანტიდოპინგურ ორგანიზაციას თავის თავზე აიღოს შედეგების მართვის ვალდებულება ამ სინჯზე, თუ სახეზეა ანტიდოპინგური წესების პოტენციური დარღვევის ფაქტი. ⁴⁴

მუხლი 7 შედეგების მართვა: პასუხისმგებლობა, თავდაპირველი განხილვა, შეტყობინება და დროებითი დისკვალიფიკაცია⁴⁵

შედეგების მართვა კოდექსის შესაბამისად (როგორც ეს მოცემულია მე -7, მე -8 და მე -13 მუხლებში) ადგენს პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს ანტიდოპინგური წესების დარღვევის საკითხების სამართლიან, სწრაფ და ეფექტურ მოგვარებას. ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, რომელიც ახორციელებს შედეგების მართვას, უნდა დაადგინოს ანტიდოპინგური წესების პოტენციური დარღვევის წინასწარი მოსმენის პროცედურა, რომელიც აღიარებს ამ მუხლში მითითებულ პრინციპებს. მიუხედავად იმისა, რომ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას უფლება აქვს მიიღოს და დანერგოს საკუთარი შედეგების მართვის პროცესი, ყველა ანტიდოპინგური ორგანიზაცია ვალდებულია სულ მცირე აკმაყოფილებდეს შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

7.1 შედეგების მართვის განხორციელების ვალდებულება

⁴⁴ [კომენტარი მუხლზე 6.8. ამასთან, WADA–ს რა თქმა უნდა ერთპიროვნულად არ შეუძლია სინჯების ან მასთან დაკავშირებული ანალიტიკური მონაცემების გამოთხოვა თუ არ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი ანტიდოპინგური წესების პოტენციური დარღვევის და ხელმომწერი მხარის ან დოპინგის განმახორციელებელი სხვა პირის მიერ კოდექსის მოთხოვნების შეუსრულებლობის შესახებ.

გადაწყვეტილება, აქვს თუ არა მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას საფუძვლიანი ეჭვი, არ ექვემდებარება დავას. შესაბამისად, ჰქონდა თუ არა მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას საფუძვლიანი ეჭვი, ვერ გახდება დაცვის არგუმენტი ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტზე.]

⁴⁵ [კომენტარი მუხლზე 7: სხვადასხვა ხელმომწერებმა შექმნეს საკუთარი მიდგომები შედეგების მართვის მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მიდგომები მთლიანად ერთგვაროვანი არ ყოფილა, ბევრმა დაადასტურა, რომ ეს იყო სამართლიანი და ეფექტური სისტემები შედეგების მართვისთვის. კოდექსი არ ცვლის ხელმომწერთა შედეგების მართვის სისტემას. ამასთან, ამ მუხლში და შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტში მითითებულია ძირითადი პრინციპები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შედეგების მართვის პროცესის ფუნდამენტური სამართლიანობა, რომელიც თითოეულმა ხელმომწერმა უნდა დაიცვას. თითოეული ხელმომწერის სპეციფიკური ანტიდოპინგური წესები უნდა შეესაბამებოდეს ამ ძირითად პრინციპებს. ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ წამოწყებული ყველა ანტიდოპინგური პროცედურა არ საჭიროებს მოსმენას. შეიძლება არსებობდეს შემთხვევები, როდესაც სპორტსმენი ან სხვა პირი ეთანხმება სანქციას, რომელიც ან კოდექსით არის გათვალისწინებული, ან რომელსაც ანტიდოპინგური ორგანიზაცია მიზანშეწონილად მიიჩნევს, იმ შემთხვევებში როდესაც სანქციების მოქნილობა ნებადართულია. ყველა შემთხვევაში, ამგვარი შეთანხმების საფუძველზე დაწესებული სანქციის შესახებ ეცნობება მხარეებს, რომლებსაც აქვთ გასაჩივრების უფლება 13.2.3 და 14.2.2 მუხლების შესაბამისად და გამოქვეყნდება 14.3.2 მუხლის მიხედვით.]

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული 6.6, 6.8 და 7.1.3-7.1.5 მუხლებით, შედეგების მართვის ვალდებულება ეკისრება იმ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელმაც დაიწყო და განახორციელა ტესტირება მის მიერვე დადგენილი წესების შესაბამისად (ან, თუ სინჯის აღება არ იყო გათვალისწინებული, ანტიდოპინგური ორგანიზაცია რომელიც პირველად შეატყობინებს სპორტსმენს ან სხვა პირს ანტიდოპინგური წესების შესაძლო დარღვევის თაობაზე). იმისდამიუხედავად თუ ვინ ჩაატარებს შედეგების მართვას, ის უნდა პასუხობდეს შედეგების მართვის პრინციპებს, რომელიც ასახულია ამ მუხლში და შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტის მუხლებში 8 და 13. თითოეულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დაწეროს თავის წესებში 23.2.2 მუხლის მოთხოვნები მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის გარეშე.

7.1.1 თუ წარმოიშობა დავა იმის თაობაზე, თუ რომელმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს შედეგების მართვა, მაშინ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს CAS-ში 7 დღის განმავლობაში, მას შემდეგ რაც მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო აცნობებს მოდავე ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს თავისი გადაწყვეტილების შესახებ. CAS-მა საქმე უნდა განიხილოს დაჩქარებული წესით ერთი არბიტრის მონაწილეობით. ნებისმიერ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც სურს შედეგების მართვის განხორციელება მისი უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ მუხლი 7.1 შესაბამისად, შეუძლია მიმართოს მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ამ მოთხოვნით.

7.1.2 როდესაც ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია გადაწყვეტს რომ აიღოს დამატებითი სინჯები 5.2.6 მუხლის შესაბამისად, მაშინ ის უნდა განიხილებოდეს როგორც ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელმაც დაიწყო და აიღო სინჯები. თუმცა, როდესაც ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია მხოლოდ მიუთითებს ლაბორატორიას რომ განახორციელოს დამატებითი ტიპის კვლევა ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის ხარჯზე, მაშინ საერთაშორისო ფედერაცია ან მთავარი ღონისძიების ორგანიზატორი უნდა ჩაითვალოს იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციად, რომელმაც დაიწყო და განახორციელა სინჯების აღება.

7.1.3 იმ შემთხვევებში, როდესაც ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესები არ აძლევს ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას უფლებამოსილებას სპორტსმენზე ან სხვა პირზე, რომელიც არ არის ამ ქვეყნის მოქალაქე, რეზიდენტი, ლიცენზიის მფლობელი ან სპორტული ორგანიზაციის წევრი, ან ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია უარს იტყვის ასეთი უფლებამოსილების განხორციელებაზე. შედეგების მართვას ახორციელებს მოქმედი საერთაშორისო ფედერაცია ან მესამე მხარე, რომელსაც აქვს უფლებამოსილება სპორტსმენზე ან სხვა პირზე, საერთაშორისო ფედერაციის წესების შესაბამისად. შედეგების მართვისა და WADA-ს მიერ საკუთარი ინიციატივით ჩატარებული ტესტის ან მოსმენის ჩატარების, ან WADA-ს მიერ აღმოჩენილი ანტიდოპინგური წესის დარღვევისას, WADA ნიშნავს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელიც უფლებამოსილია სპორტსმენზე ან სხვა პირზე.⁴⁶

⁴⁶ [კომენტარი მუხლზე 7.1.2: სპორტსმენის ან სხვა პირის საერთაშორისო ფედერაცია გახდება შედეგების მმართველი უკანასკნელ შემთხვევაში, თუ ვერც ერთი სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაცია ვერ მოიძებნება შედეგების მართვის განსახორციელებლად. საერთაშორისო ფედერაციას უფლება აქვს

7.1.4 თუ მოხდება სინჯის აღების ინიცირება და აღება ღონისძიებაზე, რომელიც ორგანიზებულია ძირითადი ღონისძიების ორგანიზატორის მიერ, ან როდესაც ხდება ანტიდოპინგური წესების დარღვევა ამ ღონისძიებაზე, მაშინ ძირითადი ღონისძიების ორგანიზატორი ვალდებულია თავის თავზე აიღოს შედეგების მართვის ვალდებულება და სულ მცირე ჩაატაროს მოსმენა, რათა დაადგინოს მოხდა თუ არა ანტიდოპინგური წესების დარღვევა, ხოლო დადასტურების შემთხვევაში გამოიყენოს დისკვალიფიკაცია მუხლების 9 და 10-ის შესაბამისად, მოახდინოს ღონისძიებაზე მიღებული ნებისმიერი მედლის, ქულის ან პრიზის ჩამოღოვნა და იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც გამოიწვია ანტიდოპინგური წესების დარღვევამ. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი ღონისძიების ორგანიზატორი აიღებს შედეგების მართვის შეზღუდულ პასუხისმგებლობას, ძირითადი ღონისძიების ორგანიზატორი გადასცემს საქმეს შესაბამის საერთაშორისო ფედერაციას შედეგების მართვის დასრულების მიზნით.

7.1.5 მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ შეიძლება მიმართოს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შედეგების მართვის უფლებამოსილებით, რომ განახორციელოს შედეგების მართვა კონკრეტულ შემთხვევებში. თუ ეს ანტიდოპინგური ორგანიზაცია უარს იტყვის განახორციელოს შედეგების მართვა მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ დადგენილ გონივრულ ვადებში, ამგვარი უარი ჩაითვლება შეუსრულებლობად და მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს უფლება აქვს გადასცეს შედეგების მართვა სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელიც თანახმაა განახორციელოს შედეგების მართვა და გააჩნია უფლებამოსილება სპორტსმენსა ან სხვა პირზე, ან თუ არ არსებობს ამგვარი ორგანიზაცია, ნებისმიერ სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელიც თანახმაა განახორციელოს შედეგების მართვა. ასეთ შემთხვევებში, ის ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელიც უარს აცხადებს შედეგების მართვაზე, ვალდებულია გადაიხადოს იმ იურისტის ხარჯები, რომელიც განახორციელებს შედეგების მართვას მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ დადგენილ სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციაში, ამ ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმა უნდა ჩაითვალოს შეუსრულებლობად.⁴⁷

7.1.6 შედეგების მართვა ადგილსამყოფელის შესახებ წესების პოტენციურ დარღვევასთან დაკავშირებით (შეუტყობინებლობა ან ტესტირების გამოტოვება) უნდა ჩატარდეს საერთაშორისო ფედერაციის ან ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, ვისთანაც სპორტსმენი აგზავნის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას, როგორც ეს არის გათვალისწინებული შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტით. ანტიდოპინგური ორგანიზაცია რომელიც განსაზღვრავს შეუტყობინებლობის ან ტესტირების გამოტოვების საკითხს, ვალდებულია აცნობოს ეს ინფორმაცია მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ადამსის მეშვეობით, სადაც ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება სხვა შესაბამისი ანტიდოპინგური ორგანიზაციებისთვის.

მიუთითოს თავის წესებში, რომ სპორტსმენის ან სხვა პირის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია არის პასუხისმგებელი შედეგების მართვაზე.]

⁴⁷ კომენტარი მუხლზე 7.1.5: როდესაც WADA სხვა ანტიდოპინგ ორგანიზაციას გადასცემს შედეგების მართვას ან დოპინგ კონტროლის სხვა ღონისძიებების ჩატარებას, WADA არ მიიჩნევს ასეთი გადაცემას "დელეგირებად".]

7.2 ანტიდოპინგური წესების პოტენციური დარღვევის გადახედვა და შეტყობინება

ანტიდოპინგური წესების პოტენციური დარღვევის გადახედვა და შეტყობინება უნდა განხორციელდეს შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

7.3 წინა ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამოვლენა

მანამ, სანამ სპორტსმენს ან სხვა პირს ეცნობება ანტიდოპინგური წესების პოტენციური დარღვევის შესახებ, როგორც ეს ზემოთ არის განსაზღვრული, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა მიმართოს ადამის და მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს და შესაბამის ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს რათა განსაზღვროს იყო თუ არა მანამდეც ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტი.

7.4 დროებითი დისკვალიფიკაციის მიმართ გამოსაყენებელი პრინციპები⁴⁸

7.4.1 სავალდებულო დროებით დისკვალიფიკაცია უარყოფითი ანალიტიკური შედეგის ან უარყოფითი პასპორტის შედეგის დადგომისას
ამ პუნქტში ჩამოთვლილმა ხელმომწერმა მხარეებმა უნდა მიიღონ წესები, რომ როდესაც მიიღება უარყოფითი ანალიტიკური შედეგი ან უარყოფითი პასპორტის შედეგი (უარყოფითი პასპორტის აღმოჩენის განხილვის პროცესის დასრულების შემდეგ) აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენების შედეგად, გარდა განსაზღვრული ნივთიერების ან განსაზღვრული მეთოდისა, დროებითი დისკვალიფიკაცია უნდა დაწესდეს დაუწყოვნებლივ 7.2 მუხლის შესაბამისად, მაშინ ან მას შემდეგ რაც მოხდება 7.2 მუხლით გათვალისწინებული გადახედვა და შეტყობინება: სადაც ხელმომწერ მხარე არის ღონისძიების ორგანიზატორი (ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით); როცა ხელმომწერი მხარე პასუხისმგებელია გუნდის შერჩევაზე (ამ გუნდთან დაკავშირებით); როცა ხელმომწერი მხარე არის საერთაშორისო ფედერაცია ან როცა ხელმომწერი მხარე არის სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელსაც აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება შესაძლო ანტიდოპინგური წესების დარღვევაზე. სავალდებულო დროებითი დისკვალიფიკაცია შეიძლება შეწყდეს თუ: სპორტსმენი მოსმენის პანელის წინაშე დაამტკიცებს, რომ დარღვევა გამოწვეული იყო დაბინძურებული პროდუქტით, დარღვევა დაკავშირებულია ბოროტად გამოყენებულ ნივთიერებასთან და დაამტკიცებს, რომ მას აქვს შემცირებული დისკვალიფიკაციის მოთხოვნის უფლება 10.2.4.1 მუხლის შესაბამისად. მოსმენი ორგანოს გადაწყვეტილება, შეწყვიტოს სავალდებულო დროებითი დისკვალიფიკაცია სპორტსმენთან დაკავშირებით, რომელიც ამტკიცებს რომ პროდუქტი იყო დაბინძურებული, არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

⁴⁸ [კომენტარი მუხლზე 7.4: ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ დროებითი შეჩერების ცალმხრივად დაწესებამდე, სრულდება კოდექსში მითითებული შიდა განხილვა. ამას გარდა, ხელმომწერი მხარე, რომელიც ახდენს დროებით შეჩერებას, უზრუნველყოფს, რომ სპორტსმენს მიეცეს დროებითი მოსმენის შესაძლებლობა დროებითი შეჩერების დაწესებამდე ან დაუყოვნებლივ, ან მე -8 მუხლის შესაბამისად, ან დაჩქარებული დასკვნითი მოსმენა დროებითი შეჩერების დაწესების შემდეგ. სპორტსმენს აქვს გასაჩივრების უფლება 13.2.3 მუხლის შესაბამისად.]

7.4.2 არასავალდებულო დროებითი დისკვალიფიკაცია, რაც გამოწვეულია განსაზღვრული ნივთიერებების, განსაზღვრული მეთოდების, დაბინძურებული პროდუქტების გამო დამდგარი არასასურველი ანალიტიკური შედეგით ან ანტიდოპინგური წესების სხვა დარღვევებით

ხელმომწერ მხარეს უფლება აქვს მიიღოს წესები, რომელიც გამოყენებული იქნება ყველა იმ ღონისძიებაზე, რომელსაც ეს ხელმომწერი წარმართავს, ან სადაც ნებისმიერი გუნდის შერჩევის პროცესი არის ხელმომწერის პასუხისმგებლობა, ან სადაც ხელმომწერი არის საერთაშორისო ფედერაცია ან აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება შესაძლო ანტიდოპინგური დარღვევის ფაქტზე, რომელიც იძლევა უფლებას დაწესდეს დროებითი დისკვალიფიკაცია ანტიდოპინგურ წესების დარღვევაზე, რომელიც არ არის მოხსენებული 7.1 მუხლში მანამ, სანამ მოხდება სპორტსმენის ბ სინჯის ანალიზი ან დასრულდება მოსმენა, როგორც ეს მითითებულია მე-8 მუხლში.

7.4.3 მოსმენის ან გასაჩივრების შესაძლებლობა

7.4.1 და 7.4.2 მუხლების მიუხედავად, დროებითი დისკვალიფიკაცია არ შეიძლება დაწესდეს, თუ ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესები არ მისცემს სპორტსმენს ან სხვა პირს: ა) წინასწარი მოსმენის შესაძლებლობას დროებითი დისკვალიფიკაციის დაკისრებამდე ან დროულად, დაკისრების შემდგომ ან (ბ) დროებითი დისკვალიფიკაციის დაწესების შემდეგ დაჩქარებული მოსმენის შესაძლებლობას მე -8 მუხლის შესაბამისად. ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესები აგრეთვე უზრუნველყოფს დაჩქარებული გასაჩივრების შესაძლებლობას დროებითი დისკვალიფიკაციის ან დროებითი დისკვალიფიკაციის არ დაწესებისთვის მე -13 მუხლის შესაბამისად.

7.4.4. ნებაყოფლობითი თანხმობა დროებითი დისკვალიფიკაციის დაკისრებაზე

სპორტსმენებს შეუძლიათ, თავიანთი ინიციატივით, ნებაყოფლობით დათანხმდნენ დროებით დისკვალიფიკაციას იქამდე სანამ: ა) გავა 10 დღე ბ სინჯის ანალიზიდან (ან ბ სინჯის ანალიზზე უარის თქმიდან) ან 10 დღე ნებმისმიერი სხვა ანტიდოპინგური წესის დარღვევის შეტყობინებიდან, ან ბ) მანამ, სანამ სპორტსმენი პირველად მიიღებს შეჯიბრში მონაწილეობას ამგვარი ანგარიშის ან შეტყობინების მიღებიდან. სხვა პირებს თავიანთი ინიციატივით ნებაყოფლობით შეუძლიათ მიიღონ დროებითი დისკვალიფიკაცია, თუ ეს მოხდება ანტიდოპინგური წესის დარღვევის შეტყობინებიდან 10 დღის ვადაში. ამგვარი ნებაყოფლობითი თანხმობის შემთხვევაში, დროებით შეჩერება უნდა იყოს სრულიად ეფექტური და იგივე დატვირთვის, როგორც დროებითი დისკვალიფიკაცია მუხლების 7.4.1 ან 7.4.2 შესაბამისად; ამასთან, სპორტსმენს ან სხვა პირს შეუძლია, ნებისმიერ დროს, მას შემდეგ რაც ნებაყოფლობით დათანხმდნენ დროებით დასკვალიფიკაციას, უკან გაითხოვონ თანხმობა. ამ შემთხვევაში მათ დროებითი დისკვალიფიკაციის დღეები არ ჩაეთვლება.

7.4.5 თუ დროებითი დისკვალიფიკაცია დაეკისრება სპორტსმენს უარყოფითი ანალიტიკური შედეგის გამო და შემდგომ ბ სინჯის ანალიზი (თუ ამას მოითხოვს სპორტსმენი ან ანტიდოპინგური ორგანიზაცია) არ დაადასტურებს ა სინჯის ანალიზს, მაშინ სპორტსმენს არ შეიძლება დაეკისროს დროებითი დისკვალიფიკაცია 2.1 მუხლზე

მითითებით. იმ შემთხვევაში, როცა სპორტსმენს (ან სპორტსმენის გუნდს, როგორც ეს შეიძლება იყოს მითითებული ძირითადი ღონისძიების ორგანიზატორის ან საერთაშორისო ფედერაციის წესებში) ჩამოაშორებენ ღონისძიებას 2.1. მუხლის შესაბამისად და ზ სინჯის ანალიზი არ დაადასტურებს ა სინჯის ანალიზს, სპორტსმენი ან გუნდი უნდა დაბრუნდეს შეჯიბრში და მონაწილეობა მიიღოს მასში თუ ეს არ გამოიწვევს ღონისძიებისთვის ხელის შეშლას.

7.5 შედეგების მართვის გადაწყვეტილებები

7.5.1 შედეგების მართვის გადაწყვეტილებები ან ანტიდოპინგური ორგანიზაციის დასკვნები არ იზღუდება კონკრეტული გეოგრაფიული არეალით ან სპორტის სახეობით განსაზღვრავს და ადგენდეს შემდეგ საკითხებს: ა) მოხდა თუ არა ანტიდოპინგური წესების დარღვევა, ან უნდა მოხდეს, თუ არა, დროებითი დისკვალიფიკაციის დაწესება, გადაწყვეტილების ფაქტობრივი გარემოებები, დარღვეული ანტიდოპინგური კოდექსის მუხლები, და ბ) ყველა შედეგი, რომელიც დადება ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამო, მათ შორის გამოსაყენებელი დისკვალიფიკაცია მუხლების 9 და 10.10 შესაბამისად, მედლისა და პრიზის ჩამორთმევის ან დისკვალიფიკაციის პერიოდის საკითხი (მისი დაწყების თარიღის მითითებით) და ფინანსური შედეგები. ძირითადი ღონისძიების ორგანიზატორს არ მოეთხოვება იმ დისკვალიფიკაციისა და ფინანსური შედეგების განსაზღვრა, რომელიც ცდება მათ მიერ ორგანიზებული ღონისძიების ფარგლებს.⁴⁹

7.5.2 შედეგების მართვის გადაწყვეტილება ან ძირითადი ღონისძიების ორგანიზატორის დასკვნა, რომელიც მიიღება კონკრეტულ ღონისძიებასთან დაკავშირებით და აქვს შეზღუდული მოქმედების არეალი, უნდა განსაზღვრავდეს და ადგენდეს სულ მცირე შემდეგ საკითხებს; ა) მოხდა თუ არა ანტიდოპინგური წესების დარღვევა, გადაწყვეტილების ფაქტობრივი გარემოებები და კოდექსის კონკრეტული მუხლები, რომლებიც დაირღვა და ბ) გამოსაყენებელი დისკვალიფიკაცია მუხლი 9 და 10.1-ის მიხედვით და შედეგად მედლების, ქულების და პრიზების ჩამორთმევა. თუ ძირითადი ღონისძიების ორგანიზატორი იღებს შედეგების მართვის პასუხისმგებლობას შეზღუდულ ფარგლებში, მაშინ ის უნდა დაემორჩილოს მუხლი 7.1.4-ის მოთხოვნებს.⁵⁰

⁴⁹ [კომენტარი მუხლზე 7.5.1: შედეგების მართვის გადაწყვეტილება ასევე მოიცავს დროებით დისკვალიფიკაციას.]

⁵⁰ [კომენტარი მუხლზე 7.5.: ღონისძიების ძირითადი ორგანიზატორის მიერ მიღებული შედეგების მართვის გარდა, ანტიდოპინგური ორგანიზაციის თითოეული გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს მოხდა თუ არა ანტიდოპინგური წესის დარღვევა და დარღვევის შედეგად წარმოქმნილი ყველა შედეგს, მათ შორის ნებისმიერი სახის დისკვალიფიკაციას თუ ის განსხვავდება 10.1 მუხლით გათვალისწინებული დისკვალიფიკაციისგან (რომელიც უნდა გადაწყვიტოს ღონისძიების მმართველმა ორგანომ). მე -15 მუხლის თანახმად, ამგვარი გადაწყვეტილება და მისგან დამდგარი შედეგები ავტომატურად მოქმედებს ყველა სპორტის სახეობაში ყველა ქვეყანაში. მაგალითად, იმის დასადგენად, რომ სპორტსმენმა ანტიდოპინგური წესის დარღვევა ჩაიდინა საშეჯიბრო პერიოდში არასასურველი ანალიტიკური შედეგის მიღებით, მისი შეჯიბრში მიღებული შედეგები გაუქმდება მუხლი 9 შესაბამისად, ხოლო ყველა სხვა შედეგი, რომელსაც სპორტსმენმა მიაღწია სინჯის აღების თარიღიდან დაწყებული დისკვალიფიკაციის მთელი პერიოდის განმავლობაში გაუქმდება მუხლი 10.10-ის მიხედვით; თუ არასასურველი ანალიტიკური შედეგი დადგა ღონისძიების პერიოდში ტესტირებისას, ძირითადი ღონისძიების ორგანიზატორი იქნება პასუხისმგებელი

7.6 შედეგების მართვის გადაწყვეტილებების შეტყობინება

სპორტსმენებს, სხვა პირებს, ხელმომწერ მხარეებსა და მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ეცნობებათ შედეგების მართვის გადაწყვეტილებების შესახებ, როგორც ეს დადგენილია შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტების მუხლში 14.2.

7.7 სპორტიდან წასვლა⁵¹

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი ანებებს თავს აქტიურ სპორტს, მაშინ როდესაც უკვე დაწყებულია შედეგების მართვის პროცესი, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შედეგების მართვას უფლება აქვს ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული პროცესი. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი წავა სპორტიდან მანამ, სანამ დაიწყება შედეგების მართვის პროცესი, ის ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელსაც ექნებოდა შედეგების მართვის უფლება მაშინ, როდესაც სპორტსმენმა დაარღვია ანტიდოპინგური წესები, უფლებამოსილია დაიწყოს შედეგების მართვის პროცესი.

მუხლი 8: შედეგების მართვა: მიუკერძოებელი მოსმენის უფლება და მოსმენის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეტყობინება

8.1. სამართლიანი მოსმენები

ანტიდოპინგური წესების დარღვევაში ბრალდებული ყველა პირის მიმართ შედეგების მართვაზე პასუხისმგებელმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს სულ მცირე მიუკერძოებელი მოსმენის ჩატარება დროის გონივრულ პერიოდში სამართლიანი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მოსმენის პანელის მიერ მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ დადგენილი შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. დროული, დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს დისკვალიფიკაციის ნებისმიერი პერიოდის დასაბუთებასა და დისკვალიფიცირებულ შედეგებს 10.10 მუხლის თანახმად, უნდა გასაჯაროვდეს ისე, როგორც ეს დადგენილია 14.3 მუხლით.⁵²

გადაწყვეტოს გაუქმდეს თუ არა ღონისძიების განმავლობაში სპორტსმენის მიერ მიღწეული ინდივიდუალური შედეგები სინჯის აღებამდე 10.1 მუხლის შესაბამისად.]

⁵¹ სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ გადაცდომის ჩადენა მანამ, სანამ ის მოექცეოდა ნებისმიერი ანტიდოპინგური ორგანიზაციის იურისდიქციის ქვეშ, არ შეიძლება ჩაითვალოს ანტიდოპინგური წესების დარღვევად, მაგრამ შეიძლება გახდეს სამართლებრივი უარის საფუძველი აღნიშნული სპორტსმენის ან სხვა პირის სპორტულ ორგანიზაციის წევრობაზე.]

⁵² ამ მუხლის თანახმად, შედეგების მართვის პროცესის გარკვეულ ეტაპზე სპორტსმენს ან სხვა პირს უნდა მიეცეს დროული, სამართლიანი და მიუკერძოებელი მოსმენის შესაძლებლობა. ეს პრინციპები ასევე გვხვდება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 6.1 მუხლში და საერთაშორისო სამართალში და წარმოადგენს ზოგადად მიღებულ პრინციპებს. ეს მუხლი მიზნად

8.2 მოსმენის ჩატარება ღონისძიების დროს

ღონისძიების დროს მოსმენები შეიძლება ჩატარდეს სასწრაფო წესით, თუ ეს ნებადართულია შესაბამისი ანტიდოპინგური ორგანიზაციისა და საქმის განმხილველი ორგანოს მიერ.⁵³

8.3. უარი მოსმენის ჩატარებაზე

განხილვაზე უფლება შეიძლება გაუქმდეს ცალსახად, ან როდესაც სპორტსმენი ან სხვა პირი ვერ გახდის სადაოდ ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესებით განსაზღვრული დროის მონაკვეთში, ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ წამოყენებულ ბრალდებას ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით.

8.4 გადაწყვეტილებების შეტყობინება

მოსმენის შედეგად მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილებას, ხოლო მოსმენაზე უარის შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთებული გადაწყვეტილებას, შედეგების მართვაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია აცნობებს სპორტსმენს მუხლის 14.2.1 შესაბამისად. შედეგების მართვაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია ამ ინფორმაციას ასევე შეატყობინებს 13.2.3 მუხლით დადგენილ, გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, 14.2.1 და 14.5.3 მუხლების შესაბამისად.

8.5 ერთჯერადი მოსმენა საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის წინაშე

იმ შემთხვევაში, როდესაც ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ ბრალდება წარედგინება საერთაშორისო ან ეროვნული დონის სპორტსმენს, ან სხვა პირს და როდესაც არსებობს თანხმობა სპორტსმენისა და სხვა პირისგან, შედეგების მართვის უფლების მქონე ანტიდოპინგური ორგანიზაციისგან და მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსგან, მოსმენა შეიძლება გაიმართოს ერთჯერადად, პირდაპირ საერთაშორისო სპორტულ საარბიტრაჟის წინაშე.

54

ისახავს არა ანტიდოპინგური ორგანიზაციის მოსმენის წესების შეცვლას, არამედ იმას, რომ ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს მოსმენის პროცესი ამ პრინციპების შესაბამისად.]

⁵³ [კომენტარი მუხლზე 8.2: მაგალითად, სასწრაფო წესით განხილვა შეიძლება გაიმართოს დიდი ტურნირის წინ, როდესაც დღის წესრიგში დგას ამ ღონისძიებაში სპორტსმენის ან სხვა პირის მონაწილეობის საკითხი, ან ჩატარდეს უშუალოდ ასეთი ტურნირის მიმდინარეობისას, რათა გადაწყდეს სპორტსმენის ან სხვა პირის შედეგების აღიარების ან ღონისძიებაში შემდგომი მონაწილეობის საკითხი.]

⁵⁴ [კომენტარი მუხლზე 8.5: ზოგიერთ შემთხვევაში, საერთაშორისო ან ეროვნულ დონეზე პირველი მოსმენის და შემდეგ საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის წინაშე განმეორებითი მოსმენის კომბინირებული ხარჯი შეიძლება საკმაოდ დიდი იყოს. აქედან გამომდინარე, თუ ამ მუხლით განსაზღვრული ყველა მხარე თვლის, რომ მათი ინტერესები ადექვატურად იქნება დაცული ერთი

მუხლი 9. ინდივიდუალური შედეგების ავტომატური დისკვალიფიკაცია

სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში საშეჯიბრო პერიოდში ჩატარებული ტესტირებისას გამოვლენილ ანტიდოპინგური წესების დარღვევას მოსდევს ამ შეჯიბრში აღებული ყველა შედეგის გაუქმება და ყველა სხვა შედეგის დადგომა, მათ შორის მედლების, ქულებისა და პრიზების ჩამორთმევა.⁵⁵

მუხლი 10. ინდივიდუალური სანქციები⁵⁶

მოსმენის შმთხვევაშიც, სპორტსმენს ან ანტიდოპინგურ ორგანიზაციას აღარ დასჭირდება ორი მოსმენისთვის აუცილებელი ხარჯების გაღება. ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის წინაშე, როგორც მხარეს ან როგორც დამკირვებელს, შეუძლია მოითხოვოს ამის უფლება ერთჯერადად მოსმენაზე თავისი თანხმობის სანაცვლოდ.]

⁵⁵ [კომენტარი მუხლზე 9: სპორტის გუნდურ სახეობებისთვის, წესის დამრღვევი მოთამაშის მიერ მოპოვებული ნებისმიერი ჯილდო ანულირდება, ხოლო გუნდური შედეგების ანულირება მოხდება მუხლი 11-ის შესაბამისად. ისეთ სახეობებში, რომლებიც არ არის გუნდური, მაგრამ ჯილდოები გადაეცემათ გუნდებს, თუ გუნდის ერთი ან მეტი წევრის მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევა, გუნდის შედეგების გაუქმება ან სხვა დისციპლინური სასჯელის დაკისრება გუნდის მიმართ, გადაწყდება შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის წესებით.]

⁵⁶ [კომენტარი მუხლზე 10: სანქციების ჰარმონიზაცია ანტიდოპინგის ერთ-ერთი ყველაზე განხილული და სადავო თემაა. ჰარმონიზაცია ნიშნავს, რომ იგივე წესები და კრიტერიუმები გამოიყენება თითოეული საქმის უნიკალური ფაქტების შესაფასებლად. სანქციების ჰარმონიზაციის მოთხოვნის საწინააღმდეგო არგუმენტები ემყარება სპორტის სახეობებს შორის განსხვავებებს, მაგალითად, შემდეგს: ზოგიერთ სპორტში სპორტსმენები არიან პროფესიონალები, რომლებსაც დიდი შემოსავალი აქვთ სპორტიდან, ზოგან კი ნამდვილი მოყვარულები არიან; იმ სპორტებში, სადაც სპორტსმენის კარიერა ხანმოკლეა, დისკვალიფიკაციის სტანდარტული პერიოდი ბევრად უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სპორტსმენზე, ვიდრე სპორტში, სადაც კარიერა ტრადიციულად ბევრად უფრო გრძელია. ჰარმონიზაციის სასარგებლოდ ძირითადი არგუმენტი ისაა, რომ უზრალოდ არ არის სწორი, რომ ერთი ქვეყნის ორმა სპორტსმენმა, რომლებსაც აქვთ დადებითი შედეგები ერთი და იგივე აკრძალული ნივთიერების მიმართ, განსხვავებულ სანქციები მიიღონ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა სპორტში. გარდა ამისა, სანქციების დროს ძალიან დიდი მოქნილობა ხშირად განიხილებოდა, როგორც მიუღებელი შესაძლებლობა, რომ ზოგიერთი სპორტული ორგანიზაცია უფრო ლიბერალური ყოფილიყო დოპერის მიმართ. სანქციების ჰარმონიზაციის არარსებობა ხშირად წარმოშობდა კონფლიქტებს საერთაშორისო ფედერაციებსა და ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შორის.]

10.1 იმ სპორტული ღონისძიების შედეგების გაუქმება, რომლის მიმდინარეობის დროსაც მოხდა ანტიდოპინგური წესების დარღვევა

სპორტული ღონისძიების დროს, ან მასთან დაკავშირებით გამოვლენილ ანტიდოპინგურ წესებიდან დარღვევას ღონისძიების ორგანიზატორის გადაწყვეტილებით შიძლება მოჰყვეს სპორტსმენის მიერ აღნიშნულ ღონისძიებაში მიღწეული ყველა ინდივიდუალური შედეგის გაუქმება და ყველა სხვა შედეგის დადგომა, მათ შორის ყველა მედლის, ქულისა და პრიზის ჩამორთმევა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც გათვალისწინებულია 10.1.1 მუხლით.⁵⁷

სხვა შედეგების გაუქმების საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელ ფაქტორებს მიეკუთვნება, მაგალითად, ანტიდოპინგური წესების დარღვევის სიმძიმე ან მოცემული სპორტსმენის მიერ სხვა შეჯიბრში ტესტირებისას დამდგარი უარყოფითი შედეგი.

10.1.1 თუ სპორტსმენი დაატმკიცებს, რომ მას არ მიუძღვის ბრალი ან არ დაურღვევია ანტიდოპინგური წესები დაუდევრობით, ამ სპორტსმენის მიერ სხვა შეჯიბრებებში მიღწეული შედეგები არ გაუქმდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ანტიდოპინგური წესების დარღვევამ გავლენა იქონია სხვა შეჯიბრებების შედეგებზე და არა მხოლოდ იმ შეჯიბრზე, რომლის დროსაც გამოვლინდა ანტიდოპინგური წესების დარღვევა.

10.2 დისკვალიფიკაცია აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოვლენის, გამოყენების ან გამოყენების მცდელობის ან ფლობისთვის

დისკვალიფიკაციის პერიოდი მუხლების 2.1.2.2. და 2.6-ის დარღვევისას უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაძლებელია სანქციის პოტენციური შემცირება მუხლების 10.5, 10.6 და 10.7 თანახმად:

10.2.1 10.2.4-ე მუხლის შესაბამისად, დისკვალიფიკაცია უნდა შეადგენდეს ოთხ წელს როდესაც:

10.2.1.1 ანტიდოპინგური წესების დარღვევა არ შეეხება განსაზღვრულ ნივთიერებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს, რომ ანტიდოპინგური წესების დარღვევა არ იყო ჩადენილი განზრახვით.⁵⁸

10.2.1.2 როდესაც ანტიდოპინგური წესების დარღვევა ეხება განსაზღვრულ ნივთიერებას და ანტიდოპინგური ორგანიზაცია დაამტკიცებს, რომ ანტიდოპინგური წესების დარღვევა იყო ჩადენილი განზრახვით.

10.2.2 10.2.1-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, მუხლი 10.2.4.1-ის შესაბამისად, დისკვალიფიკაციის პერიოდმა უნდა შეადგინოს ორი წელი.

⁵⁷ [კომენტარი მუხლზე 10.1: მე-9 მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ იმ შეჯიბრის შედეგების გაუქმებას, რომლის დროსაც სპორტსმენს დაუფიქსირდა დადებითი ტესტი (მაგალითად 100 მეტრზე ზურგზე ცურვა), მოცემული მუხლი კი შესაძლოა გავრცელდეს მიმდინარე შეჯიბრზე მიღწეულ ყველა შედეგზე (მაგალითად ცურვაზე მსოფლიო ჩემპიონატის დროს).

⁵⁸ [კომენტარი მუხლზე 10.2.1.1: მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად შესაძლებელია სპორტსმენმა ან სხვა პირმა დაამტკიცოს, რომ ანტიდოპინგური წესის დარღვევა არ ყოფილა ჩადენილი განზრახვით, იმის ჩვენების გარეშე, თუ როგორ შემოვიდა აკრძალული ნივთიერება სპორტსმენის სისტემაში, ნაკლებად სავარაუდოა რომ 2.1 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სპორტსმენი წარმატებით დაამტკიცოს, რომ ის მოქმედებდა განზრახვის გარეშე თუ ვერ დაამტკიცებს აკრძალული ნივთიერების წყაროს].

10.2.3 მუხლი 10.2-ში ტერმინი „განზრახვით: გამოიყენება იმ სპორტსმენებისა და სხვა პირების გამოსავლენად, რომლებიც ჩადიან ისეთ ქმედებას, რომელიც იცინა წარმოადგენს ანტიდოპინგური წესების დარღვევას ან იცინა, რომ ამგვარმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ანტიდოპინგური წესების დარღვევა და უგულვებელყოფენ ამ რისკს.“⁵⁹ ანტიდოპინგური წესების დარღვევა, რომელიც დადგა არასასურველი ანალიტიკური შედეგის გამო იმ ნივთიერებაზე, რომელიც აკრძალულია მხოლოდ საშეჯიბრო პერიოდში, შეიძლება ჩაითვალოს არა განზრახულად, თუ ნივთიერება არის განსაზღვრული ნივთიერება და სპორტსმენს შეუძლია დაამტკიცოს რომ აკრძალული ნივთიერება გამოყენებული იყო არასაშეჯიბრო პერიოდში. ანტიდოპინგური წესების დარღვევა, რომელიც დადგა არასასურველი ანალიტიკური შედეგის საფუძველზე იმ ნივთიერების აღმოჩენით, რომელიც აკრძალულია მხოლოდ საშეჯიბრო პერიოდში, არ უნდა ჩაითვალოს „განზრახვით“ ჩადენილად თუ ნივთიერება არ არის განსაზღვრული ნივთიერება და სპორტსმენი დაამტკიცებს, რომ აკრძალული ნივთიერება გამოიყენა არასაშეჯიბრო პერიოდში და მისი გამოყენება არ იყო დაკავშირებული სპორტული შედეგების გაუმჯობესებასთან.

10.2.4 მუხლი 10.2-ის სხვა დებულებების მიუხედავად, როდესაც ანტიდოპინგური წესების დარღვევა ეხება ბოროტად გამოყენებულ ნივთიერებებს:

10.2.4.1 თუ სპორტსმენი დაამტკიცებს, რომ მიღება ან გამოყენება მოხდა არასაშეჯიბრო პერიოდში და არ იყო დაკავშირებული სპორტული შედეგების გაუმჯობესებასთან. ამ შემთხვევაში დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა იყოს სამი თვე.

ამასთან, დისკვალიფიკაციის პერიოდის გამოანგარიშება ამ მუხლის მიხედვით, შეიძლება შემცირდეს ერთ თვემდე, თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დამაკმაყოფილებლად გაივლის ბოროტად გამოყენებული ნივთიერების მკურნალობის პროგრამას, რომელიც აღიარებულია იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, რომელსაც აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება.

⁶⁰ დისკვალიფიკაციის პერიოდი ამ მუხლის მიხედვით არ ექვემდებარება შემდგომ შემცირებას მუხლი 10.6-ის საფუძველზე.

10.2.4.2. თუ ნივთიერების მიღება, გამოყენება ან ფლობა მოხდა საშეჯიბრო პერიოდში და სპორტსმენს შეუძლია დაამტკიცოს, რომ მიღება, გამოყენება ან ფლობა არ იყო დაკავშირებული სპორტული შედეგების გაუმჯობესებასთან, მაშინ მიღება, გამოყენება ან ფლობა, არ იქნება ჩადენილი განზრახვით 10.2.1 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე და არ გახდება დამამძიმებელი გარემოებების დადგენის საფუძველი 10.4 მუხლის შესაბამისად.

10.3 დისკვალიფიკაცია სხვა ანტიდოპინგური წესების დარღვევისთვის

მუხლი 10.2 გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად, თუ არ გამოიყენება მუხლები 10.6 ან 10.7:

⁵⁹ [კომენტარი მუხლზე 59: მუხლი 10.2.3 აწესებს „განზრახვის“ სპეციალურ განმარტებას, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ 10.2 მუხლის მიზნებისთვის.]

⁶⁰ [კომენტარი მუხლზე 10.2.4.1.: იმის დადგენა, დამტკიცებულია თუ არა მკურნალობის პროგრამა და გაიარა თუ არა ეს პროგრამა დამაკმაყოფილებლად სპორტსმენმა ან სხვა პირმა არის ანტიდოპინგური ორგანიზაციის დისკრეცია. ეს მუხლი მიზნად ისახავს მისცეს ანტიდოპინგურ ორგანიზაციების შესაძლებლობა თვითონ შეაფასონ და დაადგონ ლეგიტიმური და რეპუტაციის მქონე მკურნალობის პროგრამები და არა „ცრუ“ მკურნალობის პროგრამები. ამასთან, მოსალოდნელია, რომ ლეგიტიმური მკურნალობის პროგრამების მახასიათებლები შეიძლება მრავალფეროვანი იყოს და დროთა განმავლობაში შეიცვალოს ისე, რომ WADA- სთვის პრაქტიკული არ იყოს სავალდებულო კრიტერიუმების შემუშავება, მისაღები მკურნალობის პროგრამების დასადგენად.]

10.3.1 მუხლების 2.3 ან 2.5 დარღვევისთვის, დისკვალიფიკაციის ვადა განისაზღვრება 4 წლით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა: ა) არ ხდება სინჯის ჩაბარება, თუ სპორტსმენი დაამტკიცებს, რომ ეს დარღვევა არ იყო ჩადენილი განზრახვით, მაშინ დისკვალიფიკაციის პერიოდი განისაზღვრება ორი წლით; ბ) ყველა სხვა შემთხვევაში, თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს რომ სახეზე იყო განსაკუთრებული გარემოებები, რამაც შეიძლება გამოიწვევოს დისკვალიფიკაციის პერიოდის შემცირება, დისკვალიფიკაციის პერიოდი შეიძლება განისაზღვროს ორი წლიდან ოთხ წლამდე ამ სპორტსმენისა ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხის შესაბამისად; გ) იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება დაცულ პირს ან რეკრეაციულ სპორტსმენს, დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა მერყეობდეს მინიმუმ გაკიცხვასა და მაქსიმუმ, ორ წლიან დისკვალიფიკაციას შორის, დაცული პირის ან რეკრეაციული სპორტსმენის ბრალეულობის ხარისხის შესაბამისად.

10.3.2 მუხლი 2.4 გათვალისწინებული წესების დარღვევისთვის დისკვალიფიკაციის ვადა შეადგენს ორ წელიწადს და შეიძლება შემცირდეს მინიმუმ ერთ წლამდე, სპორტსმენის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით. ამ მუხლით დადგენილი დისკვალიფიკაციის პერიოდის ერთ წლამდე შემცირების უფლებით ვერ ისარგებლებენ სპორტსმენები, რომელთა შემთხვევაში სახეზეა ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის ბოლო წუთას სისტემატური შეცვლა ან სხვა მსგავსი ქმედებები, რომელიც სერიოზულ ეჭვს აღძრავს, რომ სპორტსმენი ცდილობს თავი აარიდოს ტესტირებას.

10.3.3 მუხლების 2.7 და 2.8 დარღვევის შემთხვევაში, დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა განისაზღვროს მინიმუმ ოთხი წლიდან სამუდამო დისკვალიფიკაციამდე, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით. თუ ამ მუხლების დარღვევაში მონაწილეობს დაცული პირი, მაშინ ეს უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებით მძიმე დარღვევად და თუ ეს ჩადენილია სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ, ამ უკანასკნელს უნდა დაეკისროს სამუდამო დისკვალიფიკაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დარღვევა ეხებოდა განსაზღვრულ ნივთიერებას. გარდა ამისა, მუხლების 2.7 და 2.8 მნიშვნელოვანი დარღვევა, რომელიც ასევე შეიძლება გულისხმობდეს არა სპორტთან დაკავშირებული წესებისა და რეგულაციების დარღვევას, უნდა ეცნობოს კომპეტენტურ ადმინისტრაციულ, პროფესიულ ან სასამართლო ორგანოებს.⁶¹

10.3.4 მუხლი 2.9 გათვალისწინებული წესების დარღვევისთვის, დისკვალიფიკაციის პერიოდი შეადგენს მინიმუმ ორ წელს და შეიძლება გაიზარდოს სიცოცხლის ბოლომდე დისკვალიფიკაციით, დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე.

10.3.5 მუხლის 2.10 დარღვევისთვის, დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა შეადგენდეს ორ წელს და შეიძლება შემცირდეს ერთ წლამდე, სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხის ან საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით.⁶²

⁶¹ [კომენტარი მუხლზე 10.3.3: პირები, რომლებიც მონაწილეობენ სპორტსმენისთვის დოპინგის მიცემაში ან დოპინგის შემთხვევების დაფარვაში, უნდა დაისაჯონ უფრო მკაცრად ვიდრე სპორტსმენები. ვინაიდან სპორტული ორგანიზაციების უფლებამოსილება ამ პირების მიმართ შემოიფარგლება მხოლოდ აკრედიტაციის დისკვალიფიკაციით, წევრობის ან სხვა სპორტული სარგებლის ჩამორთმევით, სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ ჩადენილი ქმედებების შესახებ კომპეტენტური ორგანოების ინფორმირება მნიშვნელოვანი ნაბიჯია დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში.]

⁶² [კომენტარი მუხლზე 10.3.5: როდესაც „სხვა პირი“ რომელიც მითითებულია მუხლში 2.10 (აკრძალული კავშირი სპორტსმენის ან სხვა პირის) არის დაწესებული და არა ინდივიდი, ამ დაწესებულებას უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მუხლი 12-ის შესაბამისად.]

10.3.6 მუხლი 2.11 გათვალისწინებული დარღვევებისას, დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა იყოს ორი წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმიდან გამომდინარე.⁶³

10.4 დამამძიმებელი გარემოებები, რამაც შეიძლება გაზარდოს დისკვალიფიკაციის პერიოდი

თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია ინდივიდუალურ შემთხვევაში დააფიქსირებს ანტიდოპინგური წესის დარღვევას, გარდა დარღვევებისა რომელიც გათვალისწინებულია 2.7 (ტრეფიკინგი ან ტრეფიკინგის მცდელობა), 2.8 (ადმინისტრირება ან ადმინისტრირების მცდელობა), 2.9 (თანამონაწილეობა) ან 2.11 (სპორტსმენის ან სხვა პირის ქმედება რომ ხელი შეუშალოს დოპინგის შესახებ ინფორმაციის შეტყობინებას) მუხლებით, მაშინ სახეზეა დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც ამართლებს სტანდარტულ სანქციაზე მკაცრი დისკვალიფიკაციის პერიოდის დაწესებას. დისკვალიფიკაციის სტანდარტული ვადა უნდა გაიზარდოს ორ წლამდე დარღვევის სერიოზულობიდან და დამამძიმებელი გარემოების შინაარსიდან გამომდინარე, თუ სპორტსმენი ან სხვა პირი არ დაამტკიცებს, რომ მათ არ შეეძლოთ ცოდნოდან რომ დაარღვიეს ანტიდოპინგური წესები.⁶⁴

10.5 დისკვალიფიკაციის პერიოდის გაუქმება ბრალის ან დაუდევრობის არარსებობის გამო

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს რომ მას არ მიუძღვის ბრალი ან დაუდევრობა, მაშინ ამ დარღვევისთვის გათვალისწინებული დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა გაუქმდეს.⁶⁵

⁶³ [კომენტარი მუხ ლზე 10.3.6: თუ აღმოჩნდა რომ ქმედება ეწინააღმდეგება ორივე მუხლს: 2.5 და 2.11, მაშინ გამოყენებული უნდა იყოს ის მუხლი, რომლისთვისაც უფრო მკაცრი სანქცია არის გათვალისწინებული.]

⁶⁴ [კომენტარი მუხლზე 10.4: დარღვევები მუხლების 2.7, 2.8, 2.9 და 2.11 არ გამოიყენება მუხლში 10.4 რადგან ამ მუხლისთვის დადგენილი სანქციები ითვალისწინებენ საკმარის დისკრეციას, რომ მათი დამრღვევები დაისაჯონ სიცოცხლის ბოლომდე დისკვალიფიკაციით და აღარ საჭიროებს დამატებით დამამძიმებელი გარემოებების განხილვას.]

⁶⁵ [კომენტარი მუხლზე 10.5: ეს მუხლი და მუხლი 10.6.2 ეხება მხოლოდ სანქციების დაკისრების საკითხს, ისინი არ გამოიყენება იმის განსასაზღვრად, დაირღვა თუ არა ანტიდოპინგური წესები. ეს მუხლები ამოქმედდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მაგალითად, თუ სპორტსმენი დაატყვევებს, რომ მიუხედავად სათანადო ყურადღებისა, მეტოქემ მოახდინა მისი საბოტაჟირება. მეორე მხრივ, ბრალის ან დაუდევრობა არ არსებობა არ შეეხება შემდეგ შემთხვევებს: ა) ტესტის დადებითი შედეგი არასწორად ეტიკეტირებული ან დაბინძურებული ვიტამინის ან საკვები დანამატის მიღების გამო (სპორტსმენები პასუხისმგებელნი არიან იმაზე, თუ რა მოხდება მათ ორგანიზმში, მუხლი 2.1) და გაფრთხილებულები არიან საკვებ დანამატში დაბინძურების არსებობის შესახებ; ბ) აკრძალული ნივთიერების მიცემა სპორტსმენისთვის მისი ექიმის ან მწვრთნელის მიერ, მისი საქმის კურსში ჩაყენების გარეშე (სპორტსმენები პასუხისმგებელნი არიან მედპერსონალის შერჩევაზე და მათ გაფრთხილებაზე, რომ ვერ მიიღებენ აკრძალულ ნივთიერებებს); გ) საბოტაჟი სპორტსმენის მეუღლის, მწვრთნელის ან მისი გარემოცვის ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან (სპორტსმენები პასუხისმგებელნი არიან იმაზე, თუ რა ხდება მათ ორგანიზმში და აგრეთვე იმ პერსონალის ქცევაზე, ვისაც ანდობენ ხელმისაწვდომობას თავიანთ საკვებსა და სასმელზე). თუმცა, კონკრეტულ შემთხვევებში, საქმის უნიკალურ გარემოებებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ნებისმიერ ზემოთმოყვანილი სანქცია შემსუბუქდეს თუ სახეზეა უმნიშვნელო ბრალი ან დაუდევრობა.]

10.6 დისკვალიფიკაციის ვადის შემცირება უმნიშვნელო ბრალის ან უმნიშვნელო დაუდევრობის გამო

10.6.1 განსაკუთრებულ შემთხვევებში 2.1, 2.2 ან 2.6 მუხლების დარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციების შემსუბუქება

მუხლი 10.6.1 გათვალისწინებული ყველა შემსუბუქება არის ურთიერთგამომრიცხავი და არ შეიძლება მათი კუმულაციურად გამოყენება.

10.6.1.1 განსაზღვრული ნივთიერებები ან განსაზღვრული მეთოდები

როდესაც ანტიდოპინგური წესების დარღვევა ეხება განსაზღვრულ ნივთიერებას (და არა ბოროტად გამოყენებულ ნივთიერებას) ან განსაზღვრულ მეთოდს, და სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს რომ სახეზე იყო უმნიშვნელო ბრალი ან უმნიშვნელო დაუდევრობა, მაშინ დისკვალიფიკაცია უნდა შემოიფარგლოს მინიმუმ გაფრთხილებით და მაქსიმუმ ორწლიანი დისკვალიფიკაციით, სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით.

10.6.1.2 დაბინძურებული პროდუქტები

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს, რომ სახეზეა უმნიშვნელო ბრალი ან უმნიშვნელო დაუდევრობა და ორგანიზმში აკრძალული ნივთიერების მოხვედრის წყარო იყო დაბინძურებული პროდუქტი, დაკისრებული საქნცია უნდა შემოიფარგლოს მინიმუმ გაფრთხილებით და მაქსიმუმ ორწლიანი დისკვალიფიკაციით, სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით.⁶⁶

10.6.1.3 დაცული პირები და რეკრეაციული სპორტსმენები

როდესაც ანტიდოპინგური წესების დარღვევა ეხება ბოროტად გამოყენებულ ნივთიერებას და ის ჩადენილია დაცული პირის ან რეკრეაციული სპორტსმენის მიერ და დაცულ პირს და რეკრეაციულ სპორტსმენს ჩეუძლიათ დაამტკიცონ ბრალის ან დაუდევრობის არ არსებობა, მაშინ დისკვალიფიკაცია უნდა შემოიფარგლოს მინიმუმ გაფრთხილებით და მაქსიმუმ ორ წლიანი დისკვალიფიკაციით დაცული პირისა და რეკრეაციული სპორტსმენის ბრალის ხარისხის გათვალისწინებით.

⁶⁶ [კომენტარი მუხლზე 10.6.1.2: ამ მუხლით გათვალისწინებული სარგებლის მიღება სპორტსმენს შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ ის არა მხოლოდ დაამტკიცებს იმას, რომ აკრძალული ნივთიერება მის ორგანიზმში მოხვდა დაბინძურებული პროდუქტის საშუალებით, არამედ რომ სახეზე იყო უმნიშვნელო ბრალი ან უმნიშვნელო დაუდევრობა. ამასთან ნიშანდობლივია, რომ სპორტსმენებს ეძლევათ შეტყობინება, რომ ისინი საკვებ დანამატებს იღებენ თავიანთი რისკის საფუძველზე. სანქციის შემცირება დაბინძურებულ პროდუქტთან დაკავშირებით, სადაც სახეზე იყო უმნიშვნელო ბრალი ან უმნიშვნელო დაუდევრობა, იშვიათად გამოიყენება, რადგან სპორტსმენმა უნდა დაამტკიცოს რომ მან მიიღო სიფრთხილის ყველა ზომა დაბინძურებული პროდუქტის მიღებამდე. როდესაც ხდება შეფასება შეუძლია თუ არა სპორტსმენს დაამტკიცოს დაბინძურების წყაროს წარმომავლობა, მნიშვნელოვანია, მაგალითად იმის დადგენა, გამოიყენა თუ არა რეალურად სპორტსმენმა აკრძალული ნივთიერება ან განაცხადა თუ არა ამ პროდუქტის შესახებ, დოპინგ კონტროლის ფორმაზე. ეს მუხლი არ უნდა გავრცელდეს იმ პროდუქტებზე, რომლებმაც გაიარეს გარკვეული ტიპის დამუშავება. როდესაც არასასურველი ანალიტიკური შედეგი დგება გარემოს დაბინძურების გამო, არა პროდუქტების არამედ მაგალითად სასმელი წყლის ან ტბის წყლის გამო, იმ გარემოებების დადგომის გამო რასაც გონივრულად მოაზროვნე ადამიანი ვერ გაითვალისწინებდა, მაშინ სახეზე იქნება ბრალის ან დაუდევრობის არ არსებობა მუხლი 10.5-ის შესაბამისად.]

10.6.2 უმნიშვნელო ბრალის ან უმნიშვნელო დაუდევრობის გამოყენება 10.6.1 მუხლის მიღმა⁶⁷ თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც არ გამოიყენება 10.6.1 მუხლი, რომ სახეზეა უმნიშვნელო ბრალი ან უმნიშვნელო დაუდევრობა, მაშინ მე –10.7 მუხლით გათვალისწინებული სანქციის შემდგომი შემცირება ან გაუქმება შესაძლებელია, და სხვაგვარად გამოსაყენებელი დისკვალიფიკაციის პერიოდი შეიძლება შემცირდეს სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით, მაგრამ დაუშვებელია შემცირებული პერიოდი იყოს გამოსაყენებელი დისკვალიფიკაციის პერიოდის ნახევრისა. თუ სხვა შემთხვევაში გამოსაყენებელი დისკვალიფიკაციის პერიოდის ვადა იქნებოდა სიცოცხლის ბოლომდე, მაშინ მისი შემცირებული ვადა უნდა იყოს არანაკლებ რვა წლისა.

10.7 დისკვალიფიკაციის პერიოდის, ან სხვა შედეგების გაუქმება, შემცირება ან შეჩერება ბრალისგან დამოუკიდებელი მიზეზების საფუძველზე

10.7.1 ქმედითი დახმარება ანტიდოპინგური წესების დარღვევის აღმოჩენასა და დადგენაში⁶⁸

შედეგების მართვაზე პასუხისმგებელ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია, მე-13 მუხლით გათვალისწინებული სააპელაციო გადაწყვეტილების მიღებამდე, ან აპელაციის ვადის გასვლამდე, დროებით შეაჩეროს სპორტსმენზე დაკისრებული შედეგები (გარდა გაუქმებისა და სავალდებულო გასაჯაროებისა), როდესაც სპორტსმენი ან სხვა პირი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოს ან პროფესიულ დისციპლინარულ ორგანოს და რამაც გამოიწვია: 1) სხვა პირის მიერ ჩადენილი ანტიდოპინგური წესის დარღვევის გამოვლენა ან 2) სხვა პირის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლებრივი დარღვევის ან პროფესიული წესების დარღვევის აღმოჩენა ან გამოაშკარავება სამართალდამცავი ან დისციპლინარული ორგანოების მიერ, როდესაც ინფორმაცია მიწოდებულია დახმარების გამწევი პირის მიერ ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის, რომელსაც აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება, ან 3) მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ წარმოება ხელმომწერი მხარის, აკრედიტირებული ლაბორატორიის ან სპორტსმენის პასპორტის მმართველი ორგანოს (როგორც ეს განმარტებულია ტესტირებისა და მოკვლევის საერთაშორისო სტანდარტებში) წინააღმდეგ კოდექსთან, საერთაშორისო სტანდარტებთან ან სხვა ტექნიკურ დუკომენტებთან შეუსაბამობის გამო, ან 4) სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოს ან დისციპლინური ორგანოების მხრიდან მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს თანხმობით, სისხლის სამართლის დანაშაულის ან პროფესიული გადაცდომის ან სპორტის მთლიანობის წესების დარღვევის ფაქტის დადგენა, რომელიც არ არის დაკავშირებული დოპინგთან. მე-13 მუხლით დადგენილი სააპელაციო გადაწყვეტილების ან სააპელაციო ვადის გასვლის შემდეგ, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია შეაჩეროს სხვაგვარად გამოსაყენებელი

⁶⁷ კომენტარი მუხლზე 10.6.2: ეს მუხლი შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა ანტიდოპინგური წესის დარღვევის საქმეზე, გარდა იმ მუხლებისა სადაც ანტიდოპინგური წესების დარღვევა გულისხმობს განზრახვას (მაგალითად, მუხლები 2.5, 2.7, 2.8, 2.9 ან 2.11) ან განზრახვა არის კონკრეტული სანქციის ელემენტი (მაგალითად მუხლი 10.2.1) ან სანქციის დიპაზონი მოცემულია უკვე თავად მუხლში სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხიდან გამომდინარე.]

⁶⁸ [კომენტარი მუხლზე 10.7.1: სპორტსმენის, სპორტსმენის დამხმარე პერსონალის ან სხვა პირის მიერ თავიანთი შეცდომის გაცნობიერება და თანამშრომლობა რომ გამოვლინდეს სხვა ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტები მნიშვნელოვანია სუფთა სპორტისათვის.]

სამართლებრივი შედეგების ნაწილი მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსა და შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის თანხმობით.

სხვაგვარად გამოსაყენებელი დისკვალიფიკაციის პერიოდის შეჩერება დამოკიდებული უნდა იყოს სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ჩადენილი ანტიდოპინგური წესების დარღვევის და იმ მნიშვნელოვანი დახმარების ხარისზე, რომელსაც სპორტსმენი ან სხვა პირი გასწევს სპორტში დოპინგის აღმოფხვრის, კოდექსთან შეუსაბამობის და/ან სპორტული მთლიანობის წესების დარღვევის გამოსავლენად. არ შეიძლება სანქციის სამ-მეოთხედზე მეტის შეჩერება. თუ სხვაგვარად სანქცია იქნებოდა დაკისრებული სიცოცხლის ბოლომდე, მაშინ ამ მუხლით გათვალისწინებული დარჩენილი სანქციის პერიოდი არ შეიძლება იყოს 8 წელზე ნაკლები. ამ პარაგრაფის მიზნებიდან გამომდინარე, სხვაგვარად გამოსაყენებელი დისკვალიფიკაციის პერიოდი არ უნდა მოიცავდეს დისკვალიფიკაციის პერიოდს რომელიც შეიძლება დაემატოს მუხლის 10.9.3.2 ის შესაბამისად.

თუ სახეზეა ქმედითი დახმარების გამწევი სპორტსმენის ან სხვა პირის მოთხოვნა, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ რომელსაც აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება, უნდა მისცეს სპორტსმენს ან სხვა პირს მისთვის ინფორმაციის მიწოდების უფლებამოსილება შემზღუდავი ხელშეკრულების დადებით.

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი არ გააგრძელებს თანამშრომლობას და სრულყოფილი და ქმედითი დახმარების გაწევას, რის საფუძველზეც მოხდა დისკვალიფიკაციის შეჩერება, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელმაც შეაჩერა დისკვალიფიკაციის პერიოდი, შეუძლია აღადგინოს შეჩერებული შედეგები ან გადაწყვიტოს არ შეაჩეროს შედეგები. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ნებისმიერი პირის მიერ, რომელსაც აქვს გასაჩივრების უფლება მე-13 მუხლის საფუძველზე.

10.7.1.2 იმისთვის რომ კიდევ უფრო შეუწყოს ხელი სპორტსმენების და სხვა პირების მიერ ქმედითი დახმარების გაწევას ანტიდოპინგური ორგანიზაციებისთვის, შედეგების მართვაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის მოთხოვნით, ან იმ სპორტსმენის ან სხვა პირის მოთხოვნით, რომელმაც დაარღვია ანტიდოპინგური წესები ან კოდექსი (ან ბრალდებულია დარღვევაში), მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტომ შეიძლება შედეგების მართვის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე (მათ შორის მე-13 მუხლის მიხედვით საბოლოო სააპელაციო გადაწყვეტილების მიღების შემდეგაც) განაცხადოს თანხმობა, შეხედულებისამებრ, შეაჩეროს დისკვალიფიკაციის პერიოდი ან სხვა შედეგები. გამონაკლის შემთხვევებში, მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ შეიძლება თანხმობა განაცხადოს დისკვალიფიკაციისა და სხვა შედეგების შეჩერებაზე ქმედითი დახმარების სანაცვლოდ, რომელიც უფრო მეტია ვიდრე ეს ამ მუხლით არის გათვალისწინებული, ან სრულიად გააუქმოს დისკვალიფიკაციის ვადა, სავალდებულო გასაჯაროება და/ან პრიზებისა და ფულის ჩამორთმევა, ან ხარჯების დაფარვა. მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს თანხმობის მიუხედავად, შესაძლებელია შედეგების აღდგენა ამ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებში. მე-13 მუხლით გათვალისწინებული პირობების მიუხედავად, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს ამ მუხლით გათვალისწინებული ეს გადაწყვეტილება არ შეიძლება გასაჩივრდეს.

10.7.1.3 თუ ანტიდოპინგური სააგენტო შეაჩერებს შესაბამისი სანქციის ნებისმიერ ნაწილს გაწეული ქმედითი დახმარების გამო, ეს შეტყობინება უნდა გაეგზავნოს სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ გასაჩივრების უფლება 13.2.3 მუხლით, 14.2 მუხლის შესაბამისად.

განსაკუთრებულ შემთხვევებში ანტიდოპინგური ინტერესებიდან გამომდინარე, მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ შეიძლება მიანიჭოს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას უფლებამოსილება, დადოს კონფიდენციალური ხელშეკრულება, რაც გულისხმობს გაწეული ქმედითი დახმარების შინაარსის გამჟღავნების შეზღუდვას ან გადავადებას.

10.7.2 ანტიდოპინგური წესების დარღვევის აღიარება სხვა მტკიცებულების არარსებობისას

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი ნებაყოფლობით აღიარებს ანტიდოპინგური წესების დარღვევას მანამ, სანამ მიიღებს შეტყობინებას სინჯის ჩაბარების მოთხოვნის შესახებ, რომელმაც შეიძლება გამოავლინოს დარღვევა (ან 2.1 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გარდა, სხვა ანტიდოპინგური წესის დარღვევასა და დარღვევის პირველი შეტყობინების მიღებამდე მე-7 მუხლით დადგენილი წესით) და თუ აღიარება არის დარღვევის ერთადერთი მტკიცებულება, მაშინ დისკვალიფიკაციის ვადა შეიძლება შემცირდეს, მაგრამ გათვალისწინებული ვადის მაქსიმუმ ნახევრით.⁶⁹

10.7.3 სანქციის შემსუბუქების რამოდენიმე საფუძვლის ერთდროულად გამოყენება

როცა სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს, რომ აქვს უფლება სანქციის შემცირებაზე მუხლების 10.5, 10.6 ან 10.7 შესაბამისად, მანამ სანამ განისაზღვრება დისკვალიფიკაციის შემცირება ან შეჩერება მუხლის 10.7 მიხედვით, უნდა დადგინდეს რა ვადა შეესაბამება ანტიდოპინგური წესების დარღვევას მუხლების 10.2, 10.3, 10.5 და 10.6 თანახმად. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი დაამტკიცებს რომ აქვს სანქციის გაუქმების ან შეჩერების უფლება 10.7 მუხლიდან გამომდინარე, მაშინ დისკვალიფიკაციის პერიოდი შეიძლება შემცირდეს ან შეჩერდეს, მაგრამ იგი უნდა შეადგენდეს არა უმცირეს გათვალისწინებული დისკვალიფიკაციის ვადის ერთ მეოთხედს.

10.8 შედეგების მართვის შეთანხმებები

10.8.1 დისკვალიფიკაციის ერთი წლით შემცირება ცალკეული ანტიდოპინგური წესების დარღვევისთვის ადრეული აღიარებით ან სანქციაზე თანხმობის გამოხატვით

მას შემდეგ რაც მოხდება ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ პოტენციური ანტიდოპინგური წესის დარღვევის ფაქტის შეტყობინება სპორტსმენისა და სხვა პირისათვის, და სანქცია ამ დარღვევისთვის არის ოთხი ან მეტი წელი (მათ შორის დისკვალიფიკაციის პერიოდი 10.4 მუხლის მიხედვით), ხოლო სპორტსმენი ან სხვა პირი აღიარებს დარღვევას და დისკვალიფიკაციის პერიოდს არა უმეტეს შეტყობინების მიღებიდან 20 დღისა, სპორტსმენმა ან სხვა პირმა შეიძლება მიიღოს დისკვალიფიკაციის ერთი წლით შემცირება ანტიდოპინგური ორგანიზაციის ინიციატივით. როდესაც სპორტსმენი ან სხვა პირი მიიღებს დისკვალიფიკაციის ერთი წლით შემცირებას ამ მუხლის მიხედვით, დამატებით ნებისმიერი სხვა სახის შემცირება სხვა მუხლების საფუძველზე დაუშვებელია.⁷⁰

⁶⁹ [კომენტარი მუხლზე 10.7.2: ეს მუხლი ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც სპორტსმენი ან სხვა პირი საკუთარი ინიციატივით აღიარებს ანტიდოპინგური წესის დარღვევას იმ სიტუაციაში, როცა არც ერთ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას არ აქვს ინფორმაცია ანტიდოპინგური წესების შესაძლო დარღვევაზე. იგი არ შეეხება იმ სიტუაციას, როცა აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც სპორტსმენი ან სხვა პირი გააცნობიერებს, რომ მოსალოდნელია მათი გამოაშკარავება. დისკვალიფიკაციის პერიოდის შემცირების ხარისხს განაპირობებს სპორტსმენის ან სხვა პირის გამოაშკარავების ალბათობა, მათ მიერ ნებაყოფლობითი აღიარების გარეშე.]

⁷⁰ [კომენტარი მუხლზე 10.8.1: მაგალითად, თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია ასკვნის, რომ სპორტსმენმა დაარღვია მუხლი 2.1 ანაბოლური სტეროიდის გამოყენებით და დაადასტურა, რომ

10.8.2 საქმის გადაწყვეტის შეთანხმება

როდესაც სპორტსმენი ან სხვა პირი თავისი დისკრეციის ფარგლებში აღიარებს ანტიდოპინგური წესების დარღვევას მას შემდეგ რაც მოხდება მათი კონფრონტაცია ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ და ისინი აღარებენ შედეგებს, რომელიც მისაღებია ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის და მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსთვის, მაშინ:

ა) სპორტსმენს ან სხვა პირს უფლება აქვს მიიღოს დისკვალიფიკაციის პერიოდის შემცირება, რისთვისაც ანტიდოპინგური ორგანიზაცია და მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო შეაფასებს მუხლებს 10.1 დან 10.7 გამოყენების შესაძლებლობას ანტიდოპინგური წესის დარღვევის სერიოზულობის, სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალის ხარისხის ან მათ მიერ დარღვევის აღიარების სიჩქარის საფუძველზე და ბ) დისკვალიფიკაციის პერიოდის ათვლა შეიძლება დაიწყოს სინჯის აღების დღიდან ან იმ დღიდან, როდესაც ბოლოჯერ დაირღვა ანტიდოპინგური წესი. ყველა შემთხვევაში, როდესაც მოხდება ამ მუხლის გამოყენება, სპორტსმენმა ან სხვა პირმა უნდა მოიხადოს სულ მცირე შეთანხმებული სანქციის ნახევარი, რომლის ათვლა დაიწყოს მაშინ, როდესაც სპორტსმენმა ან სხვა პირმა აღიარა დაკისრებული სანქცია ან როდესაც დაწესდა დროებითი სანქცია და სპორტსმენი ან სხვა პირი დაემორჩილა ამ სანქციას. მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს და ანტიდოპინგური ორგანიზაციის გადაწყვეტილება გამოიყენონ ეს შეთანხმება ან არ გამოიყენონ ეს შეთანხმება და სანქციის ოდენობა, ასევე დისკვალიფიკაციის პერიოდის დაწყების თარიღი, არ არის მოსმენის ორგანოს გადახედვის საგანი და არ შეიძლება გასაჩივრდეს მე-13 მუხლის საფუძველზე თუ სპორტსმენს ან სხვა პირს, სურს ამ მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების მიღწევა, მაშინ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება, შეუძლია ნება დართოს სპორტსმენს ან სხვა პირს რომ განიხილონ ანტიდოპინგური წესების დარღვევის აღარება ანტიდოპინგურ სააგენტოსთან, მზლუდავი შეთანხმებით დადებით. ⁷¹

10.9 მრავალჯერადი დარღვევები

10.9.1 ანტიდოპინგური წესების მეორე ან მესამე დარღვევა

10.9.1.1. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი მეორეჯერ დაარღვევს ანტიდოპინგურ წესს, მაშინ მისი დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა იყოს მეტი:

ა) ექვს თვეზე ან

ბ) შემდეგ დიაპაზონში:

დისკვალიფიკაციის ვადაა ოთხი წელი, მაშინ სპორტსმენს შეუძლია შეამციროს დისკვალიფიკაციის პერიოდი სამ წლამდე, თუ აღიარებს დარღვევას და მიიღებს დისკვალიფიკაციის სამწლიანი პერიოდს ამ მუხლით განსაზღვრულ ვადაში, შემდგომი შემცირების გარეშე. ეს დაასრულებს საქმეს დამატებითი მოსმენის გარეშე.]

⁷¹ [კომენტარი მუხლზე 10.8.2: მე -10 მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება განიხილება საქმის გადაწყვეტის შეთანხმებაში, რათა დაწესდეს შესაბამისი შედეგების და არ შეიძლება გამოიყენებულ იქნას ამ შეთანხმების პირობების მიღმა.

ზოგიერთ ქვეყანაში, დისკვალიფიკაციის პერიოდის დაწესება მთლიანად ექვემდებარება მოსმენის ორგანოს. ამ ქვეყნებში ანტიდოპინგურ ორგანიზაციას არ შეუძლია მოითხოვოს დისკვალიფიკაციის კონკრეტული პერიოდი 10.8.1 მუხლიდან გამომდინარე და არც აქვს უფლებამოსილება დაეთანხმოს დისკვალიფიკაციის კონკრეტულ პერიოდს 10.8.2 მუხლის შესაბამისად. ამ შემთხვევებში, ვერ მოხდება მუხლების 10.8.1 და 10.8.2 გამოყენება, მაგრამ ისინი შეიძლება განხილულ იქნეს მოსმენის ორგანოს მიერ.]

1. ანტიდოპინგური წესების პირველად დარღვევისას დაკისრებული დისკვალიფიკაციის პერიოდს დამატებული გამოსაყენებელი დისკვალიფიკაციის პერიოდი მეორე დარღვევისთვის და ეს დისკვალიფიკაცია ჩაითვალოს როგორც პირველი დარღვევა;

2. მეორე დარღვევისთვის გამოსაყენებელი დისკვალიფიკაციის გაორმაგებული ოდენობა, რომელიც განხილული იქნება როგორც პირველი დარღვევა, ხოლო ზუსტი ოდენობა განისაზღვრება საქმის გარემოებების და სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალის ხარისხით.

10.9.1.2 ანტიდოპინგური წესების მესამე დარღვევა ყოველთვის გამოიწვევს სიცოცხლის ბოლომდე დისკვალიფიკაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მესამე დარღვევა ექვემდებარება შემცირებას ან გაუქმებას 10.5 ან 10.6 მუხლებით, ან მოიცავს 2.4 მუხლით გათვალისწინებულ დარღვევას. ამ კონკრეტულ შემთხვევებში, დისკვალიფიკაციის პერიოდი შეიძლება განისაზღვროს რვა წლიდან სიცოცხლის ბოლომდე.

10.9.1.3 დისკვალიფიკაციის პერიოდი რომელიც დაწესდება მუხლების 10.9.1.1 და 10.9.1.2 მიხედვით შეიძლება შემდგომ შემცირდეს 10.7 მუხლის საფუძველზე.

10.9.2 ანტიდოპინგური წესის დარღვევა, სადაც სპორტსმენმა ან სხვა პირმა დაამტკიცა რომ ჩადენილი იყო ბრალის ან დაუდევრობის გარეშე, არ შეიძლება ჩაითვალოს დარღვევად 10.9 მუხლის მიზნებიდან დამომდინარე. ამასთან, ანტიდოპინგური წესის დარღვევა, რომლის სანქცირებაც მოხდა 10.2.4.1 მუხლით, არ შეიძლება ჩაითვალოს დარღვევად 10.9 მუხლის მიხედვით.

10.9.3 დამატებითი წესები პოტენციური მრავალჯერადი დარღვევებისთვის

10.9.3.1 მუხლი 10.9-ით დადგენილი სანქციების შესაფარდებლად, გარდა 10.9.3.2 და 10.9.3.3 მუხლებისა, ანტიდოპინგური წესების დარღვევა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მეორე დარღვევად, თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია დაამტკიცებს, რომ სპორტსმენმა ან სხვა პირმა დამატებით დაარღვია ანტიდოპინგური წესები, მას შემდეგ რაც ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ აცნობა სპორტსმენს ან სხვა პირს მათ მიერ ჩადენილი ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ მუხლი 7-ით შეტყობინებისთვის დადგენილი წესების დაცვით, ან მას შემდეგ რაც ანტიდოპინგური ორგანიზაცია გასწევს ყველა გონივრულ ძალისხმევას რომ შეატყობინოს დამრღვევს ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ. თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია ამას ვერ დაამტკიცებს, მაშინ ანტიდოპინგური წესების დარღვევა განიხილება როგორც პირველი დარღვევა, თუმცა, შესაძლებელია მას დაემატოს დამამძიმებელი გარემოებები. პირველი დარღვევის პერიოდში მიღებული შედეგები გაუქმდება 10.10 მუხლის შესაბამისად.⁷²

10.9.3.2 თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია დაამტკიცებს რომ სპორტსმენმა ან სხვა პირმა ჩაიდინა ანტიდოპინგური წესების დამატებითი დარღვევა შეტყობინების გაგზავნამდე, და დარღვევა მოხდა 12 ან მეტი თვის წინ ან პირველი შეტყობინების შემდგომ, მაშინ დისკვალიფიკაციის პერიოდის დაანგარიშება უნდა მოხდეს ისე, თითქოს დამატებითი დარღვევა იყოს დამოუკიდებელი პირველი დარღვევა და ამ დისკვალიფიკაციის ათვლა უნდა მოხდეს უკვე დაკისრებული დისკვალიფიკაციის შემდგომ და არა მასთან ერთად. ამ მუხლის გამოყენებისას, ერთად განხილული დარღვევები უნდა განხილულ იქნეს როგორც ერთი დარღვევა მუხლის 10.9.1 მიზნებიდან დამომდინარე.

⁷² [კომენტარი მუხლზე 10.9.3.1: იგივე წესი გამოიყენება, როდესაც სანქციის დაკისრების შემდგომ ანტიდოპინგური ორგანიზაცია აღმოაჩენს რომ ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტები მოხდა სპორტსმენისთვის პირველი შეტყობინების გაგზავნამდე, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დააწესოს სანქცია, რომელიც გამოყენებული იქნებოდა თუ ორივე დარღვევა ერთად იქნებოდა განხილული, მათ შორის განიხილოს დამამძიმებელი გარემოებების გამოყენება.]

10.9.3.3 თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია დაამტკიცებს რომ სპორტსმენმა ან სხვა პირმა ჩაიდინა მუხლი 2.5 გათვალისწინებული დარღვევა დოპინგ კონტროლის პროცესთან დაკავშირებით და დამატებით სხვა ანტიდოპინგური წესის დარღვევა, მუხლი 2.5 დადგენილი დარღვევა განიხილება როგორც ცალკე მდგომი პირველი დარღვევა და სანქცია ამ დარღვევისთვის დაეკისრება არა ერთობლივად, არამედ მიყოლებით, იმ დამატებით დარღვევასთან ერთად, თუ მასზე დაწესდა დისკვალიფიკაცია. ამ მუხლის გამოყენებისას, დარღვევები განიხილება როგორც ერთი დარღვევა მუხლი 10.9.1 ის მიზნებისთვის.

10.9.3.4 თუ ანტიდოპინგური სააგენტო დაამტკიცებს რომ პირმა ჩაიდინა მეორე ან მესამე ანტიდოპინგური წესის დარღვევა დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიკაციის პერიოდები მრავალჯერადი დარღვევებისთვის უნდა დაწესდეს მიყოლებით და არა ერთობლივად.

10.9.4 ანტიდოპინგური წესების მრავალჯერადი დარღვევა ათწლიანი პერიოდის განმავლობაში

მუხლის 10.4 მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ თითოეული ანტიდოპინგური წესი, დაირღვეს ათწლიან პერიოდში, რათა ჩაითვალოს მრავალჯერად დარღვევად.

10.10 შედეგების გაუქმება საშეჯიბრო პერიოდში სინჯის აღებასთან ან ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით

მუხლი 9-ით გათვალისწინებული დადებითი სინჯის მიღების შემდეგ, შეჯიბრის შედეგების ავტომატურ გაუქმებასთან ერთად, სპორტსმენის მიერ მიღწეული ყველა სხვა საშეჯიბრო შედეგები, რასაც მან მიაღწია ამ სინჯის აღების შემდეგ (საშეჯიბრო თუ არასაშეჯიბრო პერიოდში), ან იმ პეროდოდიდან როდესაც მოხდა სხვა ანტიდოპინგური წესის დარღვევა წინასწარი შეჩერების ან დისკვალიფიკაციის პერიოდის დაკისრებამდე, გაუქმდება, მათ შორის მოხდება მედლების, ქულებისა და ჯილდოების ჩამორთმევა, თუ სამართლიანობის პრინციპი სხვაგვარად არ მოითხოვს.⁷³

10.11 ფულადი ჯილდოს გაუქმება

ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ან ხელმომწერი მხარე, რომელმაც დაიბრუნა ფულადი ჯილდო ანტიდოპინგური წესების დარღვევისთვის, გაატარებს ყველა ზომას აღნიშნული ჯილდოს სხვა სპორტსმენებისთვის გადასაცემად, რომლებიც მიიღებდნენ ამ ჯილდოს, თუ სანქცირებული სპორტსმენი არ მიიღებდა შეჯიბრში მონაწილეობას. საერთაშორისო ფედერაციამ შეიძლება თავის წესებში გაითვალისწინოს, შეიძლება გახდეს თუ არა გადანაწილებული ფულადი ჯილდოს გამოყენება სპორტსმენების რანგირების საფუძველი.⁷⁴

⁷³ [კომენტარი მუხლზე 10.10: კოდექსის არც ერთი მუხლი არ ზღუდავს სპორტსმენს ან სხვა პირს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება იმ პირისგან, რომელმაც ჩაიდინა ანტიდოპინგური წესების დარღვევა და ზიანი მიაყენა სუფთა სპორტსმენს ან სხვა პირს.]

⁷⁴ [კომენტარი მუხლზე 10.11: ეს მუხლი არ არის გამიზნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის ან სხვა ხელმომწერს დააკისროს ვალდებულება მოიპოვონ ჩამორთმეული საპრიზო თანხა. თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია აირჩევს არ მიიღოს ზომები ჩამორთმეული საპრიზო თანხის დასაბრუნებლად, მას შეუძლია მიანიჭოს ამ ფულის დაბრუნების უფლებამოსილება სპორტსმენს

10.12 ფინანსური შედეგები

ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, თავიანთ წესებში, შეუძლიათ განსაზღვრონ ხარჯების პროპორციული ამოღება ან ფინანსური სანქციების დაწესება ანტიდოპინგური წესების დარღვევისთვის. თუმცა, ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ ფინანსური სანქციების დაწესება, როდესაც დისკვალიფიკაციის მაქსიმალური პერიოდი უკვე დაწესებულია. ფინანსური სანქციები მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს დაკისრებული, როდესაც პროპორციულობის პრინციპი არის დაცული. ხარჯების ანაზღაურების ან ფინანსური სანქციის დაკისრება არ შეიძლება გახდეს დისკვალიფიკაციის პერიოდის შემცირების საფუძველი ან ნებისმიერი კოდექსით დადგენილი სხვა სანქციის შემცირების საფუძველი.

10.13 დისკვალიფიკაციის პერიოდის ათვლა

როდესაც სპორტსმენი უკვე იხდის დისკვალიფიკაციას ანტიდოპინგური წესების დარღვევისთვის, ახალი დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა დაიწყოს მიმდინარე დისკვალიფიკაციის დასრულების შემდგომ დღეს. სხვა შემთხვევაში, გარდა ქვემოთმოყვანილი შემთხვევისა, დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა დაიწყოს მოსმენის ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან, ან როდესაც მოსმენის უფლებაზე მოხდება უარის თქმა, ან თუ არ ჩატარდება მოსმენა, მაშინ იმ დღეს, როდესაც მოხდება დისკვალიფიკაციის აღიარება ან მისი სხვაგვარად დაკისრება.

10.13.1 ვადის გადაცილებები, რომელიც არ არის დაკავშირებული სპორტსმენთან ან სხვა პირთან

როდესაც სახეზეა მოსმენის ჩატარების ვადის სერიოზული გადაცილება ან დოპინგ კონტროლის სხვა ეტაპების ვადის გადაცილება და თუ სპორტსმენს ან სხვა პირს შეუძლია დაამტკიცოს რომ ეს ვადის გადაცილება არ არის მათთან დაკავშირებული, მაშინ სანქციის დამკისრებელ ორგანოს შეუძლია დისკვალიფიკაციის პერიოდის ათვლის დაწყება იმ თარიღიდან, როდესაც მოხდა სინჯის აღება ან როდესაც ბოლოს მოხდა ანტიდოპინგური წესის დარღვევა. ყველა შეჯიბრიდან გამომდინარე შედეგი, რომელიც მიღწეულ იქნა დისკვალიფიკაციის დაწესებიდან, მათ შორის რეტროაქტიული დისკვალიფიკაცია, უნდა გაუქმდეს.⁷⁵

10.13.2 დროებითი დისკვალიფიკაციის ან დისკვალიფიკაციის პერიოდის მოხდის ჩათვლა

10.13.2.1 თუ სპორტსმენი ან სხვა პირი მოიხდის დროებითი დისკვალიფიკაციის პერიოდს, მას ეს პერიოდი ჩაეთვება საბოლოოდ დაწესებული დისკვალიფიკაციის პერიოდში. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი არ მოიხდის დაწესებულ დროებით დისკვალიფიკაციას, მაშინ მას არ

⁷⁵ [კომენტარი მუხლებზე 10.13.1: გარდა 2.1 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, ის პერიოდი რაც ანტიდოპინგურ ორგანიზაციას სჭირდება რომ მოპოვოს სათანადო ფაქტები და დაამტკიცოს ანტიდოპინგური წესების დარღვევა შეიძლება იყოს გრძელვადიანი, განსაკუთრებით მაშინ როდესაც სპორტსმენმა ან სხვა პირმა გამოიყენა ყველა ღონე, რომ თავი აარიდებინა გამჟღავნებისთვის. ამ შემთხვევებისთვის არის გათვალისწინებული ამ მუხლით დადგენილი სანქციების ვადის დაწესებაზე მოქნილობა.]

ეკუთვნის ჩათვლა ამ პერიოდისთვის. თუ დისკვალიფიკაციის პერიოდი მოხდილია იმ გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც შემდგომ გასაჩერდა, მაშინ სპორტსმენს ან სხვა პირს უნდა ჩათვალოს ის პერიოდი, რომელიც მოიხადა და საბოლოო დისკვალიფიკაციის ათვლაში.

10.13.2.2. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი ნებაყოფლობით აღიარებს დროებით დისკვალიფიკაციას წერილობითი ფორმით იმ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან, რომელსაც აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება და შემდგომ მოიხდის დროებით დისკვალიფიკაციას, მას ჩათვლება ნებაყოფლობითი დისკვალიფიკაციის პერიოდი საბოლოო დასკვალიფიკაციის პერიოდში. სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ამ წერილობითი აღიარების ასლი დროულად უნდა გაეგზავნოს ყველა მხარეს, რომელსაც აქვს უფლება მიიღოს ეს შეტყობინება 14.1 მუხლის თანახმად.⁷⁶

10.13.2.3 დისკვალიფიკაციის პერიოდში არ ჩაითვლება დროებითი დისკვალიფიკაციის ან ნებაყოფლობითი დისკვალიფიკაციის დაწესდებამდე პერიოდი, მიუხედავად იმისა, გადაწყვეტს თუ არა სპორტსმენი რომ აღარ მიიღოს შეჯიბრში მონაწილეობა ან იქნება თუ არა ის გუნდის მიერ შეჯიბრიდან მოხსნილი.

10.13.2.4 ჯგუფურ სპორტში დისკვალიფიკაცია ეკისრება გუნდს. თუ სამართლიანობა სხვაგვარად არ მოითხოვს, დისკვალიფიკაციის პერიოდი უნდა დაიწყოს მოსმენის შედეგად საბოლოო გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან, ან მოსმენის უფლებაზე უარის შემთხვევაში, იმ თარიღიდან, როდესაც მოხდა დისკვალიფიკაციის აღიარება ან მისი სხვაგვარად დაკისრება. დროებითი დისკვალიფიკაციის პერიოდი (მიუხედავად იმისა მოხდა მისი აღიარება ნებაყოფლობით თუ მოხდა მისი დაკისრება) უნდა ჩაითვალოს საბოლოო დაწესებული დისკვალიფიკაციის ვადაში.

10.14 სტატუსი დროებითი დისკვალიფიკაციის ან დისკვალიფიკაციის პერიოდში

10.14.1 დისკვალიფიკაციის პერიოდში შეჯიბრებებში მონაწილეობის აკრძალვა

არც ერთ დისკვალიფიცირებულ სპორტსმენს ან სხვა პირს, დისკვალიფიკაციის პერიოდში არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებებში ან სხვა ღონისძიებებში (გარდა სპეციალური ანტიდოპინგური საგანმანათლებლო ან სარეაბილიტაციო პროგრამებისა), რომლებიც ორგანიზებულია ხელმომწერი მხარის, მისი წევრი ორგანიზაციის, ან ამ უკანასკნელის წევრი კლუბის ან ორგანიზაციის მიერ. ასევე პროფესიული ლიგის მიერ ორგანიზებული შიდა თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში ან სამთავრობო ორგანოს მიერ დაფინანსებული ნებისმიერ ელიტარულ თუ ნაციონალური დონის სპორტულ ღონისძიებებში.⁷⁷

⁷⁶ [კომენტარი მუხლზე 13.2.2.: სპორტსმენის მიერ დროებით დისკვალიფიკაციის აღიარება არ არის ბრალის აღიარება და არ უნდა იყოს გამოყენებული სპორტსმენის საწინააღმდეგოდ.]

⁷⁷ [კომენტარი მუხლზე 10.14.1: მაგალითად, ქვემოთ მოცემული 10.14.2 მუხლის თანახმად, დისკვალიფიცირებულ სპორტსმენებს არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ თავიანთი ეროვნული ფედერაციის ან ამ ეროვნული ფედერაციის წევრი კლუბის მიერ ორგანიზებულ სასწავლო ბანაკში, გამოფენაში ან ვარჯიშში, რომელიც ფინანსდება სამთავრობო სააგენტოს მიერ. გარდა ამისა, დისკვალიფიცირებული სპორტსმენი არ შეიძლება მონაწილეობდეს არა-ხელმომწერ პროფესიონალურ ლიგაში (მაგ., ჰოკეის ეროვნული ლიგა, კალათბურთის ეროვნული ასოციაცია და ა.შ.), არა-ხელმომწერი საერთაშორისო ღონისძიების ორგანიზაციის ან არა-ხელმომწერი ეროვნული დონის ორგანიზებული ღონისძიებებში 10.14.3-ე მუხლში მოცემული შედეგების დადგომის გარეშე. ტერმინი "აქტივობა" ასევე მოიცავს ადმინისტრაციულ საქმიანობას, მაგალითად, ამ მუხლში აღწერილი

ოთხ წელზე მეტით დისკვალიფიცირებულ სპორტსმენს ან სხვა პირს, ოთხი წლის გასვლის შემდეგ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ ღონისძიებებში, რომელიც არ არის სანქცირებული ან კოდექსის ხელმომწერის ან კოდექსის ხელმომწერის წევრის უფლებამოსილების ქვეშ, მხოლოდ იმ პირობით, თუ ადგილობრივი სპორტული ღონისძიება არ აძლევს სპორტსმენს უფლებამოსილებას მიიღოს მონაწილეობა ეროვნულ ან საერთაშორისო ღონისძიებაზე და არ აძლევს სპორტსმენსა და სხვა პირს უფლებას, იმუშაონ დაცულ პირებთან.

დისკვალიფიცირებული სპორტსმენი ან სხვა პირი დისკვალიფიკაციის პერიოდში ექვემდებარება ტესტირებას და ანდიდოპინგური ორგანიზაციის მოთხოვნებს, წარმოადგინოს ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია.

10.14.2 ვარჯიშზე დაბრუნება

10.14.1 მუხლიდან გამონაკლისის სახით, სპორტსმენს შეუძლია დაბრუნდეს გუნდთან ერთად ვარჯიშზე ან გამოიყენოს კლუბის ან ხელმწიფის წევრი ორგანიზაციის ინვენტარი: 1. დისკვალიფიკაციის პერიოდის ამოწურვის ბოლო ორი თვის განმავლობაში ან 2) დაკისრებული დისკვალიფიკაციის ბოლო ერთი მეოთხედის განმავლობაში.⁷⁸

10.14.3 დისკვალიფიკაციის ან დროებითი დისკვალიფიკაციის პერიოდში შეჯიბრში მონაწილეობის აკრძალვის დარღვევა

თუ დისკვალიფიცირებული სპორტსმენი ან სხვა პირი, დაარღვევს 10.14.1-ით დადგენილი მონაწილეობის აკრძალვას, ასეთი მონაწილეობის შედეგები გაუქმდება და დაწესდება დისკვალიფიკაციის ახალი პერიოდი, რომლის ხანგრძლივობა ტოლია დისკვალიფიკაციის პირველი პერიოდის, და ის დაემატება თავდაპირველი დისკვალიფიკაციის პერიოდს, მისი დასრულების შემდგომ. ახალი დისკვალიფიკაციის პერიოდი, მათ შორის გაფრთხილების პერიოდი, შეიძლება განისაზღვროს კონკრეტულად სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხით. იმის განსაზღვრა, ჩაიდინა თუ არა სპორტსმენმა ან სხვა პირმა მონაწილეობის წესის დარღვევა და შესაფერისი სანქცია, უნდა მოხდეს იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, რომელმაც განახორციელა შედეგების მართვა პირველი დისკვალიფიკაციის პერიოდში. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მე-13 მუხლის შესაბამისად.

ორგანიზაციის ოფიციალურ დირექტორად, ოფიცრად, თანამშრომლად ან მოხალისედ ყოფნას. ერთ სპორტში დაწესებული დისკვალიფიკაცია ასევე აღიარებული უნდა იყოს სხვა სპორტის სახეობის მიერ (იხ. მუხლი 15.1, გადაწყვეტილებების ავტომატური სავალდებულო მოქმედება). სპორტსმენს ან სხვა პირს, რომელიც იხდის დისკვალიფიკაციის პერიოდს, არ აქვს უფლება იყოს მწვრთნელი ან სპორტსმენის დამხმარე პირი, ხოლო ამ ვალდებულების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სხვა სპორტსმენის მიერ 2.10-ის დარღვევა. დისკვალიფიკაციის პერიოდში განხორციელებული ნებისმიერი შესრულების სტანდარტი არ იქნება აღიარებული ხელმომწერი ან მისი ეროვნული ფედერაციების მიერ რაიმე მიზნისთვის.]

⁷⁸ [კომენტარი მუხლზე 14.2: ბევრ გუნდურ სპორტში და ზოგიერთ ინდივიდუალურ სპორტში (მაგალითად თხილამურებით ხტომა ან ტანვარჯიში) სპორტსმენებს არ შეუძლიათ თავად ეფექტურად ივარჯიშონ, იმისთვის რომ მოემზადონ შეჯიბრისთვის დისკვალიფიკაციის პერიოდში. იმ პერიოდის განმავლობაში, რაც ამ მუხლში არის მითითებული, დისკვალიფიცირებულ სპორტსმენს შეუძლია მხოლოდ ვარჯიში და არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრში ან აქტივობებში, რაც გაწერილია მუხლში 14.1.]

სპორტსმენს ან სხვა პირს, რომელმაც დაარღვია მონაწილეობის წესი დროებით დისკვალიფიკაციის პერიოდში, რომელიც აღწერილია მუხლში 10.13.1, არ შეიძლება მიეცეს შეღავათი დროებითი დისკვალიფიკაციის მოხდის პერიოდისთვის და ამ შეჯიბრში მიღწეული ყველა შედეგი უნდა გაუქმდეს.

თუ სპორტსმენის დამხმარე პერსონალი ან სხვა პირი დაეხმარება პირს მონაწილეობის წესის დარღვევაში დისკვალიფიკაციის ან დროებითი დისკვალიფიკაციის პერიოდში, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ რომელსაც გააჩნია ამ სპორტსმენის დამხმარე პირზე ან სხვა პირზე უფლებამოსილება, უნდა დააკისროს მას სანქციები 2.9 მუხლის დარღვევის გამო.

10.14.4 ფინანსური დახმარების შეწყვეტა დისკვალიფიკაციის პერიოდში

ნებისმიერი ანტიდოპინგური წესის დარღვევისთვის, რომელიც არ ითვალისწინებს შემცირებულ სანქციას მუხლების 10.5 და 10.6 შესაბამისად, ზოგიერთი ან ყველა სპორტთან დაკავშირებული ფინანსური დახმარება ან სხვა სპორტთან დაკავშირებული სარგებელი უნდა შეჩერდეს ხელმომწერის, ხელმომწერის წევრი ორგანიზაციისა და სახელმწიფოს მხრიდან.

10.15 სანქციის ავტომატური გამოქვეყნება

სანქციის სავალდებულო ნაწილი უნდა ითვალისწინებდეს ავტომატურ გამოქვეყნებას, როგორც ეს დადგენილია მუხლით 14.3.

მუხლი 11 შედეგები გუნდებისთვის

11.1 გუნდური სპორტის სახეობების ტესტირება

თუ ერთზე მეტ სპორტსმენს ღონისძიებასთან დაკავშირებით გაეგზავნება შეტყობინება ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ მე-7 მუხლის შესაბამისად, მაშინ ამ ღონისძიების ორგანიზატორმა, ღონისძიების განმავლობაში, უნდა ჩაატაროს გუნდის მიზნობრივი შესაბამისი ტესტირება.

11.2 შედეგები სპორტის გუნდური სახეობებისთვის

თუ სპორტული ღონისძიების დროს სპორტის გუნდურ სახეობაში გამოვლენილი იქნა ანტიდოპინგური წესების დარღვევა ორი ან მეტი გუნდის წევრის მიერ, ანტიდოპინგური წესების დამრღვევ სპორტსმენებზე დაკისრებული სანქციის გარდა, ღონისძიების ორგანიზატორმა, შესაბამისი სანქციები უნდა დააწესოს გუნდზეც (მაგალითად, ქულების ჩამორთმევა, შეჯიბრიდან დისკვალიფიკაცია ან სხვა სანქცია).

11.3 ღონისძიების ორგანიზატორის, ან საერთაშორისო ფედერაციის მიერ სპორტის გუნდური სახეობებისთვის უფრო მკაცრი სანქციის დაწესება

ღონისძიების ორგანიზატორმა შეიძლება დააწესოს უფრო მკაცრი ზომები ვიდრე ეს გათვალისწინებულია 11.2 მუხლის მიხედვით.⁷⁹ ასევე, საერთაშორისო ფედერაციას უფლება აქვს დააწესოს უფრო მკაცრი შედეგები გუნდებისთვის, ვიდრე ის, რაც ჩამოთვლილია მუხლში. 11.2.

მუხლი 12 სანქციები ხელმომწერი მხარეების ან სხვა სპორტული ორგანიზაციების მიმართ

თითოეულმა ხელმომწერმა მხარემ უნდა მიიღოს წესები, რაც ავალდებულებს მის წევრ ორგანიზაციებს და სხვა სპორტულ ორგანოებს, რომ დაემორჩილონ კოდექსს და დანერგონ მის მიერ დადგენილი პირობები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. როდესაც ხელმომწერი მხარე დაადგენს, რომ მისმა წევრმა ორგანიზაციამ ან სხვა სპორტულმა ორგანომ არ შეასრულა ეს წესი, მაშინ მან უნდა გაატაროს შესაბამისი ზომები ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ.⁸⁰ უფრო კონკრეტულად, ხელმომწერი მხარის საქმიანობა და წესები უნდა მოიცავდეს შესაძლებლობას, გარიცხოს ზოგიერთი ან ყველა ორგანიზაციის წევრი ან ორგანო, კონკრეტული ღონისძიებიდან ან ყველა ღონისძიებიდან კონკრეტული დროის მონაკვეთში.⁸¹

მუხლი 13 შედეგების მართვა: გასაჩივრება⁸²

13.1 გასაჩივრებას დაქვემდებარებული გადაწყვეტილებები

ამ კოდექსზე, ან კოდექსის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია 13.2 -13.4 მუხლების შესაბამისად, ან კოდექსის სხვა მუხლებით

⁷⁹ [კომენტარი მუხლზე 11.3: მაგალითად საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია შემოიღოს წესი, რომელიც ითვალისწინებს გუნდის დისკვალიფიკაციას ოლიმპიური თამაშებიდან უფრო მსუბუქი ანტიდოპინგური წესების დარღვევისთვის ოლიმპიური თამაშების განმავლობაში.]

⁸⁰ [კომენტარი მუხლზე 12: ეს მუხლი არ ითვალისწინებს ხელმომწერის დავალდებულებას, რომ მან აქტიური მონიტორინგი გაუწიოს ყველა წევრ ორგანიზაციას კოდექსის შესრულებაზე, არამედ ადგენს წესს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ხელმომწერი ამგვარი ინფორმაციის გაგების შემდეგ.]

⁸¹ [კომენტარი მუხლზე 12: ეს მუხლი ცხადყოფს, რომ კოდექსი არ კრძალავს ორგანიზაციებს შორის დისციპლინური უფლებების არსებობას. ხელმომწერი მხარეების შეუსაბამობის შესახებ იხილეთ კოდექსის მუხლი 24.1]

⁸² კოდექსის მიზანია ანტიდოპინგური საკითხების მოგვარება სამართლიანი და გამჭვირვალე შიდა პროცესების საბოლოო გასაჩივრების შესაძლებლობით. ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ ანტიდოპინგური გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა დადგენილია მე 14 მუხლით. კონკრეტულ განსაზღვრულ პირებს და ორგანიზაციებს, მათ შორის WADA-ს, მიეცემა შესაძლებლობა გასაჩივრონ

გათვალისწინებულ შემთხვევებში, ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. პირველი გადაწყვეტილება ძალაში რჩება გასაჩივრების პერიოდში, თუ სააპელაციო ორგანო სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

13.1.1. განხილვის საგანი არ არის შეზღუდული

აპელაციის განხილვის საგანი მოიცავს განხილვის თემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და არ არის შეზღუდული მხოლოდ იმ საკითხებით და საგნით, რაც პირველ ინსტანციაში იყო წარდგენილი. ნებისმიერ მხარეს შეუძლია წარადგინოს მტკიცებულება, სამართლებრივი არგუმენტები და მოთხოვნები, რომლებიც არ იყო წამოწეული პირველ ინსტანციაში იმდენად, რამდენადაც მათი წარმოშობა დაკავშირებულია ერთიდაიმივე ქმედებისგან ან ზოგადი ფაქტებისა და გარემოებებისგან, რომელიც წარმოდგენილი იყო პირველ ინსტანციაში მოსმენის პერიოდში.⁸³

13.1.2 საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟი არ უნდა იყოს შეზღუდული გასაჩივრებული საქმის დადგენილი გარემოებებით

თავის გადაწყვეტილებებში, საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟი არ უნდა იყოს შეზღუდული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დისკრეციით.⁸⁴

13.1.3 მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო არ არის ვალდებული ამოწუროს მოქმედების შიდა სშუალებები⁸⁵

იმ შემთხვევაში, როდესაც მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას აქვს აპელაციის უფლება მე-13 მუხლის მიხედვით და არც ერთი სხვა მხარე, რომელიც ჩართული იყო პროცესში არ ასაჩივრებს ამ გადაწყვეტილებას, მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს უფლება აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილება პირდაპირ საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში, მაშინაც კი, როდესაც არ არის ამოწურული შიდა პროცესით გათვალისწინებული სხვა საშუალებები.

13.2 გასაჩივრება ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე, შედეგებზე, დროებით სანქციებზე, გადაწყვეტილებების აღსრულებასა და უფლებამოსილებაზე

ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტის დადასტურების შესახებ გადაწყვეტილება, შესაბამისი სანქციების დაკისრების ან არ დაკისრების შესახებ, ან ანტიდოპინგური წესების

ეს გადაწყვეტილებები. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დაინტერესებული პირების და ორგანიზაციების განმარტება, რომელსაც აქვთ გასაჩივრების უფლება, არ გულისხმობს სპორტსმენებს და სხვა ფედერაციებს, რომლებმაც შეიძლება სარგებელი ნახონ მოწინააღმდეგეს დისკვალიფიკაციით.]

⁸³ [კომენტარი მუხლზე 13.1.1: განახლებული ტექსტი არ გულისხმობს 2015 წლის კოდექსის მნიშვნელოვან ცვლილებას, არამედ გამოიყენება სიცხადისთვის. მაგალითად, როდესაც პირველ ინსტანციაში მოსმენის დროს სპორტსმენს დაეკისრა პასუხისმგებლობა მხოლოდ გაყალბებისთვის, თუმცა, შეიძლება ასევე ყოფილიყო თანამონაწილეობა, სააპელაციო ორგანოს შეუძლია განიხილოს ორივე ბრალდება და დააკისროს სანქცია ორივესთვის.]

⁸⁴ [კომენტარი მუხლზე 13.1.2: CAS -ის მიერ საქმის წარმოება ხდება ხელ ახლა. მანამდე საქმის წარმოება არ ზღუდავს მტკიცებულებებს ან არ აქვს წონა CAS -ის მიერ საქმის წარმოებისას.]

⁸⁵ [კომენტარი მუხლზე 13.1.3: როდესაც გადაწყვეტილება ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ დადგენილი პროცესის ფინალურ ფაზაში შედის (მაგალითად, პირველი მოსმენა და არც ერთი მხარე არ ასაჩივრებს გადაწყვეტილებას, რომლისთვისაც დადგენილია შემდგომი ეტაპი ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ დადგენილი პროცესის წესების მიხედვით, როგორცაა გასაჩივრება საბჭოში, მაშინ მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას უფლება აქვს გვერდი აუაროს ანტიდოპინგური ორგანიზაციის შიდა წესებს და გაასაჩივროს გადაწყვეტილება პირდაპირ საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში.]

დარღვევის ფაქტის უარყოფის შესახებ; გადაწყვეტილება ანტიდოპინგური წესების დარღვევის განხილვის გაგრძელების შეუძლებლობის შესახებ პროცედურული მიზეზების გამო (როგორცაა მაგალითად ხანდაზმულობის ვადის გასვლა); მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უარი თქვას გამონაკლისის დაშვებაზე სპორტიდან წასული სპორტმენისთვის რომ გაუქმდეს ექვსთვიანი შეტყობინების ვალდებულება, რომელიც მას კოდექსის მიხედვით ევალება სპორტში დასაბრუნებლად მუხლი 5.6.1-ის მიხედვით; მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილება დანიშნოს შედეგების მართვის ორგანო მუხლი 7.1 მუხლის მიხედვით; ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ ჩათვალოს უარყოფითი ანალიტიკური შედეგი ან ატიპური შედეგი ანტიდოპინგური წესების დარღვევად ან გადაწყვეტილება რომ არ გააგრძელოს წარმოება ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტზე მას შემდეგ, რაც განახორციელა გამოძიება შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; გადაწყვეტილება, რომ დააკისროს ან გააუქმოს დროებითი დისკვალიფიკაცია წინასწარი მოსმენის საფუძველზე; ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ 7.4 მუხლით დადგენილ მოთხოვნების შეუსრულებლობა; გადაწყვეტილება რომ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას არ გააჩნია უფლებამოსილება, დაიწყოს წარმოება ანტიდოპინგური წესების შესაძლო დარღვევაზე ან მის შედეგებზე; გადაწყვეტილება რომ დაწესდეს ან არ დაწესდეს დისკვალიფიკაცია, რომ მოხდეს სტატუსის აღდგენა ან გაუქმება, რომ დადგეს შედეგები მუხლის 10.7.1-ის მიხედვით; მუხლების 7.1.4 და 7.1.5 დარღვევა; მუხლის 108.1 დარღვევა; გადაწყვეტილება მუხლის 10.14.3 შესაბამისად; გადაწყვეტილება რომ ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ არ აღასრულოს სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მუხლი 15-ის შესაბამისად; და გადაწყვეტილება მუხლის 27.3 შესაბამისად, შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ გასაჩივრდეს მუხლის 13.2 მიხედვით.

13.2.1 გასაჩივრება რომელიც ეხება საერთაშორისო სპორტსმენებს ან საერთაშორისო ღონისძიებებს

ის შეთხვევები, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებასთან ან საერთაშორისო დონის სპორტსმენებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებთან, გასაჩივრდება ექსკლუზიურად საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში.⁸⁶

13.2.2 სპორტსმენთან ან სხვა პირებთან დაკავშირებული გასაჩივრება

შემთხვევები, როდესაც სახეზე არ არის 13.2.1 მუხლით გათვალისწინებული პირობები, გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო ორგანოში ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. ამგვარი გასაჩივრების წესები უნდა პასუხობდეს შემდეგ პრინციპებს:

- დროული მოსმენა
- მომსმენი პანელის სამართლიანობა, მიუკერძოებლობა, და დამოუკიდებლობა;
- საკუთარი ხარჯებით წარმომადგენლის ყოლის უფლება;
- დროული და დასბუთებული წერილობითი გადაწყვეტილების მიღების უფლება;

⁸⁶ [კომენტარი მუხლზე 13.2.1: საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოსაყენებელი კანონი ადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან განხორციელების გადახედვის შესაძლებლობას.]

თუ ზემოთაღწერილი ნიშნების მქონე ორგანო არ არსებობს გასაჩივრების დროსა და ადგილას, მაშინ სპორტსმენს ან სხვა პირს აქვს უფლება პირდაპირ გაასაჩივროს გადაწყვეტილება საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში.

13.2.3 გასაჩივრების უფლების მქონე პირები

13.2.3.1 გასაჩივრება რომელიც ეხება საერთაშორისო დონის სპორტსმენებს ან საერთაშორისო დონისძიებებს

13.2.1 გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემდეგ პირებს აქვს საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში გასაჩივრების უფლება: ა) სპორტსმენს ან სხვა პირს რომელიც არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების სუბიექტი; ბ) საქმეში არსებული სხვა მხარეს, ვის მიმართაც მიღებულია გადაწყვეტილება; გ) შესაბამის საერთაშორისო ფედერაციას; დ) იმ ქვეყნის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომლის რეზიტენტი, მოქალაქე ან ლიცენზიის მფლობელი არის დამრღვევი პირი; ე) საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტს ან საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტს, როდესაც გადაწყვეტილებას შეიძლება გავლენა ჰქონდეს ოლიმპიურ თამაშებსა ან პარალიმპიურ თამაშებზე, მათ შორის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ოლიმპიური თამაშების და პარალიმპიური თამაშებში მონაწილეობის უფლებას; ე) მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს.

13.2.3.2 გასაჩივრება რომელიც ეხება სხვა სპორტსმენებს და სხვა პირებს

იმ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა 13.2.2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები, გასაჩივრების უფლების მქონე პირები უნდა განისაზღვროს ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესებით, მაგრამ სულ მცირე უნდა მოიცავდეს შემდეგ მხარეებს: ა) სპორტსმენი ან სხვა პირი, რომელიც არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების სუბიექტი; ბ) საქმეში არსებული სხვა მხარე, ვის მიმართაც არის გამოტანილი გადაწყვეტილება; გ) შესაბამისი საერთაშორისო ფედერაცია; დ) იმ ქვეყნის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომლის რეზიტენტი, მოქალაქე ან ლიცენზიის მფლობელი არის დამრღვევი პირი; ე) საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ან საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტი, როდესაც გადაწყვეტილებას შეიძლება გავლენა ჰქონდეს ოლიმპიურ თამაშებსა ან პარალიმპიურ თამაშებზე, მათ შორის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ოლიმპიური თამაშების და პარალიმპიური თამაშებში მონაწილეობის უფლებას; ე) მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტო. 13.2.2 მუხლის შესაბამისად, WADA- ს, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, საერთაშორისო პარალიმპიურ კომიტეტსა და შესაბამის საერთაშორისო ფედერაციას ასევე აქვთ უფლება, მიმართონ CAS- ს, ეროვნული დონის სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. საჩივრის შემტანების მიერ მხარეს უფლება აქვს მიიღოს დახმარება საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟისგან, იმ ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციისგან ინფორმაციის გამოსათხოვად, რომლის გადაწყვეტილებაც გასაჩივრებულია. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს, თუ საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟი ასე გადაწყვეტს.

13.2.3.3 შეტყობინების ვალდებულება

საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში აპელაციის შემტანი ყველა მხარე ვალდებულია, დროულად აცნობოს მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას და ყველა სხვა მხარეს, რომელსაც აქვთ გასაჩივრების უფლება, გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ.

12.2.3.4 გასაჩივრების უფლების მქონე მხარეებითვის დადგენილი ვადები (მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს გარდა)

მხარეებისთვის, გარდა მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსი, გასაჩივრების ვადები დგინდება იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესების მიხედვით, რომელსაც აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება.

13.2.3.5 გასაჩივრების ვადა მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გასაჩივრება არ უნდა მოხდეს უგვიანეს: ა) 21 დღისა, რომელიც აითვლება იმ უკანასკნელი დღიდან, როდესაც ნებისმიერ სხვა მხარეს ჰქონდა გასაჩივრების უფლება და შემდგომ გასაჩივრება; ბ) 21 დღისა, მას შემდეგ რაც მსოფლიო ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ მიიღო საქმესთან დაკავშირებული ყველა მასალა.⁸⁷

13.2.3.6 დროებითი დისკვალიფიკაციის დაკისრებიდან გამომდინარე გასაჩივრება წინამდებარე სხვა დებულებების მიუხედავად, ერთადერთი მხარე, ვისაც აქვს დროებითი დისკვალიფიკაციის გასაჩივრების უფლება არის სპორტსმენი ან სხვა პირი, ვის მიმართაც გამოტანილია დროებითი დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება.

13.2.4 ნებადართული ჯვარედინი გასაჩივრებები და თანმდევი გასაჩივრებები⁸⁸ ჯვარედინი გასაჩივრებები და თანმდევი გასაჩივრებები ნებადართულია ნებისმიერი რესპოდენტისგან, რომელიც დასახლდა საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში საქმის განხილვისას კოდექსის მიხედვით. ნებისმიერი მხარეს რომელსაც მე-13 მუხლის თანახმად აქვს გასაჩივრების უფლება, უნდა შეიტანოს ჯვარედინი საჩივარი ან თანმდევი საჩივარი არა უგვიანეს მხარისგან პასუხის მიღებისა.

13.3. ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ დროული გადაწყვეტილების გამოტანის შეუძლებლობა⁸⁹

იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც ანტიდოპინგური ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ დადგენილ დროის გონივრულ პერიოდში გადაწყვეტილების გამოტანას იმის შესახებ, დაირღვა თუ არა ანტიდოპინგური წესები, მაშინ მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას უფლება აქვს

⁸⁷ [კომენტარი მუხლზე 13.2.3: მიუხედავად იმისა, მოქმედებს საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის თუ მუხლის 13.2.3 წესები, მხარის გასაჩივრების ვადის ათვლა არ იწყება გადაწყვეტილების მხარისთვის ჩაბარებამდე. ამ მიზეზით, მხარის მიერ გასაჩივრების უფლების მოქმედების ვადის ამოწურვა არ შეიძლება, თუ მხარეს არ ჩაბარდა გადაწყვეტილება.]

⁸⁸ [კომენტარი მუხლზე 13.2.4: ეს დებულება აუცილებელია, რადგან 2011 წლის შემდგომ CAS -ის წესები აღარ აძლევს სპორტსმენებს უფლებას შეიტანონ ჯვარედინი აპელაცია, როდესაც ანტიდოპინგური ორგანიზაცია გასაჩივრებს გადაწყვეტილებას მას შემდეგ რაც ამოიწურება სპორტსმენის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა. ეს დებულება საშუალებას იძლევა ჩატარდეს სრულფასოვანი მოსმენა ყველა მხარისათვის.]

⁸⁹ კომენტარი მე-13 მუხლის მე-3 პუნქტზე: ანტიდოპინგური წესის დარღვევის გამოძიების, შედეგების მართვისა და მოსმენის პროცესის განსხვავებული გარემოებების გათვალისწინებით, შეუძლებელია ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის განსაზღვრული ვადის დადგენა, მანამ სანამ WADA- ს ჩაერევა და მიმართავს პირდაპირ CAS- ს. ამგვარი მოქმედებების დაწყებამდე, WADA გაივლის კონსულტაციას ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან და ანტიდოპინგურ ორგანიზაციას მისცემს შესაძლებლობას განმარტოს, რატომ არ მიუღია მას გადაწყვეტილება. ამ მუხლით არ იკრძალება საერთაშორისო ფედერაციას ასევე ჰქონდეს წესები, რომლებიც ანიჭებს მას უფლებამოსილებას თავის თავზე აიღოს შედეგების მართვა თუ ჩათვლის რომ ერუვნული ფედერაცია უსაფუძვლოდ აჭიანურებს შედეგების მართვის პროცესს.]

პირდაპირ აპელაციით მიმართოს საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟს ისე, თითქოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ გამოიტანა გადაწყვეტილება ანტიდოპინგური წესების დარღვევის არ არსებობის შესახებ. თუ საარბიტრაჟო სასამართლო დაადასტურებს ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტს და ჩათვლის, რომ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ შეტანილი საჩივარი იყო გონივრული, მაშინ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს ხარჯები და ადვოკატის მომსახურება უნდა აანაზღაუროს იმ ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, რომლის მოქმედებაც იყო გასაჩივრებული.

13.4 თერაპიული გამოყენების გამონაკლისთან დაკავშირებული გასაჩივრებები

თერაპიული გამოყენების გამონაკლისთან დაკავშირებული გასაჩივრებები შესაძლებელია მხოლოდ 4.4 მუხლით დადგენილ შემთხვევებში.

13.5 გასაჩივრებული გადაწყვეტილებების შესახებ შეტყობინება

ნებისმიერმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, რომელიც არის გასაჩივრების მხარე, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სპორტსმენს ან სხვა პირს და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, რომელთაც ექნებოდათ გასაჩივრების უფლება 13.2.2 მუხლის მიხედვით, გასაჩივრების გადაწყვეტილების შესახებ, როგორც ეს მითითებულია მუხლში 14.2.

13.6 მუხლი 24.1 -დან გამომდინარე გადაწყვეტილებების გასაჩივრება

როდესაც შეტყობინება არ საჩივრდება და შესაბამისად ხდება საბოლოო გადაწყვეტილება 24.1 მუხლის შესაბამისად, და გადაწყვეტილების მიხედვით ხელმომწერმა მხარეს დაიდგომდა კოდექსთან შეუსაბამობა და დაეკისრა შესაბამისი შედეგები, ასევე ის პირობები, რომლის შესრულების შემთხვევაშიც მოხდება მისი სტატუსის აღდგენა, შეიძლება გასაჩივრდეს საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში ხელმომწერებისთვის დადგენილი შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

13.7 აპელაციები ლაბორატორიებისთვის აკრედიტაციის შეჩერებასთან ან ლაბორატორიების აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით

მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომ შეაჩეროს ან გააუქმოს მის მიერ გაცემული აკრედიტაცია, შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ ამ ლაბორატორიის მიერ მხოლოდ საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში.

მუხლი 14 კონფიდენციალურობა და ანგარიშგება

ანტიდოპინგური შედეგების კოორდინაცია, საჯაროობა და ანგარიშგაღებულება, ამასთან ყველა სპორტსმენისა და სხვა პირის პირადი ინფორმაციის პატივიცემა, მოიცავს შემდეგს:

14.1 ინფორმაცია რომელიც ეხება არასასურველ ანატლიტიკურ შედეგს, ატიპურ შედეგს და სხვა დასაბუთებულ ანტიდოპინგური წესების დარღვევას

14.1.1 სპორტსმენისთვის ან სხვა პირისთვის ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ შეტყობინებას;

ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ შეტყობინების ფორმა და სახე უნდა იყოს ისეთი, როგორც მოცემულია ანტიდოპინგური ორგანოს წესებში, რომელსაც გააჩნია შედეგების მართვაზე პასუხისმგებლობა.

14.1.2 ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის, საერთაშორისო ფედერაციისა და მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის შეტყობინებას.

ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს შედეგების მართვის პასუხისმგებლობა, აცნობებს სპორტსმენის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, საერთაშორისო ფედერაციასა და მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ, სპორტსმენისა და სხვა პირისთვის მსგავს შეტყობინების გაგზავნასთან ერთად.

14.1.3 ანტიდოპინგური წესების დარღვევის შეტყობინების შინაარსი

შეტყობინება უნდა მოიცავდეს: სპორტსმენის სახელსა და გვარს, ქვეყანას, სპორტის სახეობასა და დისციპლინას, სპორტსმენის საშეჯიბრო დონეს, ტესტირების ტიპს (საშეჯიბრო თუ არასაშეჯიბრო), სინჯის აღების თარიღს, ლაბორატორიის მიერ მოწოდებულ ანალიტიკურ შედეგსა და სხვა ინფორმაციას ტესტირებისა და კვლევის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ან ანტიდოპინგური წესების დარღვევას, გარდა მუხლი 2.1 გათვალისწინებული დარღვევებისა, დარღვეულ წესს და ჩადენილი ქმედების საფუძველს.

14.1.4 ანგარიში არსებული მდგომარეობის შესახებ

იმ გამოძიების გარდა, რომლებსაც არ მოჰყოლია ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ შეტყობინება მუხლი 14.1.1 შესაბამისად, 14.1.2-ში მითითებულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია მუხლების 7, 8, ან 13-დან გამომდინარე გადახედვებსა და საქმის განხილვებზე. მათ ასევე მიეწოდებათ წერილობითი ახნა-განმარტება, რომელიც ასაბუთებს ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველს.

14.1.5 კონფიდენციალურობა

მიმღებმა ორგანიზაციებმა არ უნდა გააცნონ ეს ინფორმაცია სხვა პირებს, გარდა იმ პირებისა, ვისთვისაც დადგენილია მსგავსი ინფორმაციის ცოდნა (ეს გულისხმობს შესაბამის პირებს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში, ეროვნულ ფედერაციაში და გუნდში გუნდური სპორტული სახეობების შემთხვევაში) მანამ სანამ შედეგების მართვაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია არ გახდის ამ ინფორმაციას საჯაროს 14.3 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.⁹⁰

⁹⁰ [კომენტარიმუხლზე 14.1.5: ანტიდოპინგური ორგანიზაცია თავის ანტიდოპინგურ წესებში უზრუნველყოფს პროცედურებს კონფიდენციალური ინფორმაციის დასაცავად და კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევების გამოძიებასა და დისციპლინური სახდელის დაკისრებას თანაშრომლის ან ანტიდოპინგური ორგანიზაციის აგენტის მიმართ.]

14.2 ანტიდოპინგური წესების დარღვევაზე, დისკვალიფიკაციასა და დროებით

დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილების შეტყობინება და მასალების გამოთხოვა

14.2.1 ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ გადაწყვეტილებები ან გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება დისკვალიფიკაციას ან დროებით დისკვალიფიკაციას და მიღებულია მუხლების 7.6, 8.4, 10.5, 10.7, 10.14.3 ან 13.5 მიხედვით, უნდა მოიცავდეს სრულ დასაბუთებას, მათ შორის, იმის დასაბუთებას, თუ რატომ არ მოხდა მაქსიმალური სანქციის დაწესება (როდესაც ეს რელევანტურია). როდესაც გადაწყვეტილება არ არის ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს მოკლე შეჯამებისა და გადაწყვეტილების მიზეზების ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე თარგმნა.

14.2.2 ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება 14.2.1 მუხლიდან გამომდინარე, შეუძლია, გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის განმავლობაში, მოითხოვოს საქმის ყველა მასალა.

14.3 გასაჯაროება

14.3.1 მას შემდეგ რაც სპორტსმენს ან სხვა პირს, ასევე შესაბამის ანტიდოპინგურ ორგანიზაციას მუხლის 14.1.2-ის შესაბამისად, გაეგზავნება შეტყობინება შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, სადაც მითითებულია სპორტსმენი ან სხვა პირი, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება, აკრძალული ნივთიერებისა და მეთოდის და დარღვევის შინაარსის მითითებით და ექვემდებარება თუ არა სპორტსმენი ან სხვა პირი დროებით დისკვალიფიკაციას, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს შედეგების მართვაზე პასუხისმგებლობა, უფლება აქვს გაასაჯაროვოს ინფორმაცია.

14.3.2 არა უგვიანეს 20 დღისა, მას შემდეგ რაც განისაზღვრა საბოლოო სააპელაციო გადაწყვეტილება მუხლების 13.2.1 ან 13.2.2 მიხედვით, ან მოხდა გასაჩივრების უფლებაზე ან მოსმენაზე უარის თქმა მუხლი 8-ის მიხედვით, ან არ გახდა ანტიდოპინგური წესების დარღვევა სადაო, ან საკითხი გადაწყდა მუხლი 10.8-ის მიხედვით, ან ახალი დისკვალიფიკაციის პერიოდი ან გაფრთხილება იქნა გამოყენებული მუხლის 10.14.3-ის მიხედვით, ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელსაც აქვს შედეგების მართვის პასუხისმგებლობა, ასაჯაროვებს დისპოზიციას სპორტის, დარღვეული ანტიდოპინგური წესის, დამრღვევი სპორტსმენის ან სხვა პირის სახელის და გვარის, აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის და დამდგარი შედეგების მითითებით. იგივე ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ 20 დღის ვადაში ასევე საჯაროდ უნდა განაცხადოს სააპელაციო გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც გამოტანილი იქნა ანტიდოპინგური წესების დარღვევაზე ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის მითითებით.⁹¹

14.3.3 როდესაც სააპელაციო გადაწყვეტილებით დგინდება ანტიდოპინგური წესების დარღვევა მუხლების 13.2.1 ან 13.2.2 შესაბამისად, ან როდესაც მოხდა აპელაციაზე უარის თქმა, ან როდესაც მოსმენისას მოხდა აპელაციაზე უარის თქმა მუხლი 8-ის მიხედვით, ან როდესაც ამგვარ მოსმენის უფლებაზე მოხდა უარის თქმა, ან ანტიდოპინგური წესების

⁹¹ [კომენტარი მუხლზე 14.3.2: როდესაც ინფორმაციის გასაჯაროება სავალდებულოა მუხლის 14.3.2 მიხედვით, თუმცა, გასაჯაროება გამოიწვევს სხვა კანონის დარღვევას, ინფორმაციის არგასაჯაროება არ ჩაითვლება კოდექსთან შეუსაბამო ქმედებად როგორც ეს დადგენილია პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო სტანდარტის 4.1 მუხლით.]

დარღვევის ფაქტი სხვაგვარად არ გახდა სადაო, ან საკითხი გადაიჭრა მუხლის 10.8 შესაბამისად, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს შედეგების მართვის პასუხისმგებლობა, შეუძლია გადაწყვიტოს გაასაჯაროვოს ეს გადაწყვეტილება და გააკეთოს საჯარო კომენტარი.

14.3.4 ყველა შემთხვევაში, როდესაც მოსმენის ან გასაჩივრების შემდგომ არ დადასტურდება, რომ სპორტსმენმა ან სხვა პირმა ჩაიდინა ანტიდოპინგური წესების დარღვევა, გასაჩივრების ფაქტი შეიძლება გასაჯაროვდეს. თუმცა, თვითონ გადაწყვეტილება და მისი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიძლება გასაჯაროვდეს, თუ არ არსებობს სპორტსმენისა ან სხვა პირის თანხმობა, რომლებიც არიან გადაწყვეტილების სუბიექტები. ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს შედეგების მართვის პასუხისმგებლობა, უნდა მიიღოს ყველა გონივრული ძალისხმევა მსგავსი თანხმობის მისაღებად. თანხმობის მიღების შემთხვევაში, ანტიდოპინგური ორგანიზაცია გაასაჯაროვებს გადაწყვეტილებას მთლიანად ან რედაქტირებულად, როგორც ამას სპორტსმენი ან სხვა პირი მოითხოვს.

14.3.5 გამოქვეყნება უნდა მოხდეს სულ მცირე სავალდებულო ინფორმაციის ანტიდოპინგური ორგანიზაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებით და ამ ინფორმაციის ვებ გვერდზე ერთ თვეზე მეტი ხნის, ან დისკვალიფიკაციის პერიოდის მანძილზე შენარჩუნებით.

14.3.6 გარდა 14.3.1 და 14.3.3 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ან მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს აკრედიტირებულმა ლაბორატორიამ, ან ორივე ორგანიზაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, საჯაროდ უნდა გააკეთოს კომენტარი მიმდინარე საქმის კონკრეტულ ფაქტებზე (ზოგადად პროცესზე და არა მეცნიერებაზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პასუხის გაცემა ხდება საჯარო კომენტარებზე, რომლებიც ეხება სპორტსმენს სხვა პირს, მის გარემოცვას ან წარმომადგენელს.

14.3.7 სავალდებულო გასაჯაროება რომელიც დადგენილია მუხლით 14.3.2 შეიძლება არ იქნეს გამოყენებული, როდესაც სპორტსმენი ან სხვა პირი, ვის მიმართაც წაყენებულია ანტიდოპინგური წესების დარღვევის ბრალი, არის არასრულწლოვანი, დაცული პირი ან რეკრეაციული სპორტსმენი. ნებისმიერი არჩევითი გასაჯაროება, რომელიც მოიცავს არასრულწლოვანს, დაცულ პირს, ან რეკრეაციულ სპორტსმენს უნდა იყოს საქმის გარემოებებისა და ფაქტების პროპორციული.

14.4 სტატისტიკური ანგარიშგება

ანტიდოპინგური ორგანიზაცია, სულ მცირე ყოველწლიურად აქვეყნებს ზოგად სტატისტიკურ ანგარიშს მის მიერ განხორციელებული დოპინგ კონტროლის საქმიანობაზე და ასლს უგზავნის მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს. ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ გამოაქვეყნონ ანგარიში, რომელიც მოიცავს ტესტირებული სპორტსმენების სახელს და გვარს და ტესტირების ჩატარების თარიღს. მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო, სულ მცირე ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს, რომელიც აჯამებს ანტიდოპინგური ორგანიზაციებისა და ლაბორატორიებისგან გამოგზავნილ ანგარიშებს.

14.5 დოპინგ კონტროლის შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ბაზა და შესაბამისობის მონიტორინგი

იმისთვის, რომ მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ უზრუნველყოს შესრულების მონიტორინგი, არსებული რესურსების ეფექტური გამოყენება და დოპინგ კონტროლის შესახებ ინფორმაციის გაზიარება ანტიდოპინგური ორგანიზაციებისთვის, მან უნდა შეიმუშაოს და მართოს დოპინგ კონტროლის მონაცემთა ბაზა, მაგალითად, ადამსი. ანტიდოპინგური ორგანიზაციები ახდენენ მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან ანგარიშგებას ამგვარი მონაცემთა ბაზის მეშვეობით, ისეთი ინფორმაციის წარმოდგენით, როგორიცაა:

- ა) სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტის მონაცემები საერთაშორისო დონისა და ეროვნული დონის სპორტსმენებისთვის;
- ბ) ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია იმ სპორტსმენების, რომლებიც შეყვანილნი არიან რეგისტრირებულ ტესტირების სიაში;
- გ) ინფორმაცია თერაპიული გამოყენების გამონაკლისისა და
- დ) შედეგების მართვის შესახებ გადაწყვეტილებები.

როგორც ეს გათვალისწინებულია გამოსაყენებელი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

14.5.1 ტესტირების დაგეგმვისთვის, სხვადასხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ ტესტირების დუბლიკაციისგან თავის არიდებისთვის და სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტის განახლების უზრუნველსაყოფად, თითოეულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა აცნობოს მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ყველა საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირების შესახებ, ადამსში დოპინგ კონტროლის ფორმის შევსებით, იმ მოთხოვნებისა და ვადების გათვალისწინებით, რომელიც დადგენილია ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტით.

14.5.2 იმისთვის, რომ მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ჰქონდეს ზოგადი ინფორმაცია, ასევე გასაჩივრების უფლება, ყველა ანტიდოპინგური ორგანიზაცია ვალდებულია მიაწოდოს მას ყველა თერაპიული გამონაკლისის გამოყენების და მისი თანმდევი დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია ადამსის მეშვეობით, იმ მოთხოვნებისა და ვადების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილია თერაპიული გამოყენების გამონაკლისის საერთაშორისო სტანდარტით.

14.5.3 იმისთვის რომ მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ჰქონდეს ზოგადი ინფორმაცია და გასაჩივრების უფლება, ყველა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა აცნობოს მას ადამსის მეშვეობით შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების და ვადების გათვალისწინებით ინფორმაცია: ა) ანტიდოპინგური წესების დარღვევისა და უარყოფითი ანალიტიკური შედეგის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების შეტყობინებები; ბ) სხვა ანტიდოპინგური წესების დარღვევის შეტყობინებები, რომლებიც არ არის დაკავშირებული არასასურველ ანალიტიკურ შედეგთან; გ) ადგილმდებარეობის მოთხოვნის დარღვევის შესახებ ინფორმაცია და დ) დროებითი სანქციის დაწესების, მოხსნის და ხელახლა დაწესების გადაწყვეტილებები.

14.5.4 ინფორმაცია, რომელიც განხილული იყო ამ მუხლში, შესაბამისი წესების დაცვით, შეიძლება გახდეს ხელმისაწვდომი სპორტსმენისთვის, სპორტსმენის ეროვნული

ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის და საერთაშორისო ფედერაციისთვის, ასევე სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის, რომელსაც აქვს ამ სპორტსმენზე ტესტირების ჩატარების უფლებამოსილება.⁹²

14.6 მონაცემთა დაცვა⁹³

ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა შეიძლება შეაგროვონ, შეინახონ, გამოიყენონ ან გაასაჯაროვონ სპორტსმენებთან და სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაცია საჭიროებისამებრ, რათა განახორციელონ ანტიდოპინგური საქმიანობა კოდექსისა და საერთაშორისო სტანდარტების (მათ შორის კონკრეტულად პერსონალური მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტის), ასევე გამოსაყენებელი კანონების შესაბამისად.

მუხლი 15 გადაწყვეტილებების აღსრულება

15.1 ხელმომწერი ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ავტომატური სავალდებულო აღსრულება.

15.1.1 ხელმომწერი ანტიდოპინგური ორგანიზაციის, სააპელაციო ორგანოს, ან საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ, მხარეთათვის შეტყობინების შემდგომ, ავტომატურად ხდება სავალდებულო ყველა ხელმომწერისთვის და ყველა სპორტის სახეობებისთვის შემდეგი შედეგების დადგომით:

15.1.1.1 ზემოთ მოყვანილი ნებისმიერი ორგანოს მიერ დროებითი დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება (როდესაც ჩატარდა წინასწარი მოსმენა ან სპორტსმენმა ან სხვა პირმა აღიარა დისკვალიფიკაცია ან სხვაგვარად უარი თქვა მოსმენაზე, დაჩქარებულ მოსმენაზე ან დაჩქარებულ გასაჩივრებაზე მუხლი 7.4.3-ის შესაბამისად), ავტომატურად უკრძალავს სპორტსმენს ან სხვა პირს ყველა სახეობის სპორტში მონაწილეობას (როგორც ეს აღწერილია მუხლში 10.14.1), რომელიც ტარდება ხელმომწერის იურისდიქციის ქვეს დროებითი დისკვალიფიკაციის პერიოდში.

⁹² [კომენტარი მუხლზე 14.5: ადამსის ფუნქციონირება და მართვა ხორციელდება მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ და მიზნად ისახავს მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფას, რომელიც დადგენილია მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსა და სხვა ორგანიზაციებისთვის, ვინც ამ სისტემას იყენებს. პერსონალური ინფორმაცია სპორტსმენის ან სხვა პირის შესახებ ინახება ადამსში და დაცულია მკაცრი კონფიდენციალურობით პერსონალური ინფორმაციის დაცვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.]

⁹³ [კომენტარი მუხლზე 14.6: მუხლი 22.2 ადგენს, რომ „ყველა სახელწმიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი კანონების, რეგულაციებისა და პოლიტიკის ან ადმინისტრაციული პრაქტიკის დანერგვა, რომ უზრუნველყოს ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის და მონაცემების გაცვლა კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.]

15.1.1.2 ზემოთ მოყვანილი ნებისმიერ ორგანოს მიერ დაწესებული დისკვალიფიკაციის პერიოდი (მას შემდეგ რაც ჩატარდა მოსმენა ან მოხდა მასზე უარის თქმა) ავტომატურად უკრძალავს სპორტსმენს ან სხვა პირს ნებისმიერ სპორტში მონაწილეობას (როგორც ეს აღწერილია მუხლში 10.14.1) რომელიც ტარდება ხელმომწერის იურისდიქციის ქვეშ დისკვალიფიკაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

15.1.1.3 ნებისმიერი ზემოთ მოყვანილი ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც ადგენს ანტიდოპინგური წესების დარღვევას, ავტომატურად სავალდებულოა ყველა ხელმომწერისათვის.

14.1.1.4 ზემოთ მოყვანილი ნებისმიერი ორგანოს გადაწყვეტილება, რომ გაუქმდეს შედეგები მუხლის 10.10 შესაბამისად კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, ავტომატურად აუქმებს ყველა შედეგს, რომელიც ამ კონკრეტულ პერიოდში იქნა მიღწეული ნებისმიერი ხელმომწერის იურისდიქციის ქვეშ.

15.1.2 ყველა ხელმომწერი ვალდებულია აღიაროს და აღასრულოს გადაწყვეტილებები და მისი შედეგები, როგორც ეს დადგნილია მუხლით 15.1.1 დამატებითი ღონისძიებების გატარების გარეშე, იმ დღიდან როდესაც ხელმომწერს ეცნობება ამ გადაწყვეტილების შესახებ ან მაშინ, როდესაც მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო ამ ინფორმაციას განათავსებს ადამსის სისტემაში.

15.1.3 ანტიდოპინგური ორგანიზაციის, სააპელაციო ორგანოს ან საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ გააუქმოს ან დააწესოს დისკვალიფიკაცია, უნდა იყოს სავალდებულო ყველა ხელმომწერისთვის მათ მიერ დამატებითი ღონისძიებების გატარების გარეშე, მას შემდეგ რაც ხელმომწერი მიიღებს შეტყობინებას ამგვარ გადაწყვეტილებაზე ან მას შემდეგ რაც ეს ინფორმაცია განთავსდება ადამსის სისტემაში.

15.1.4 მიუხედავად 15.1.1. დადგნილი მოთხოვნებისა, მთავარი ღონისძიების ორგანიზატორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაჩქარებული პროცესის შესახებ კონკრეტულ ღონისძიებაზე არ არის სავალდებულო სხვა ხელმომწერებისთვის, თუ მთავარი ღონისძიების მომწყობი მისცემს სპორტსმენს ან სხვა პირს შესაძლებლობას გაასაჩივროს გადაწყვეტილება არა-დაჩქარებული პროცედურებით.⁹⁴

15.2 ანტიდოპინგური ორგანიზაციის სხვა გადაწყვეტილებების აღსრულება

ხელმომწერმა მხარეებმა შეიძლება გადაწყვიტონ სხვა ანტიდოპინგური წესების აღსრულება, რომელიც მიღებულია სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ და რომელიც არ არის მითითებული მუხლში 15.1.1, მაგალითად, დროებითი დისკვალიფიკაცია, წინასწარი მოსმენის, ან სპორტსმენის და სხვა პირის მიერ მის აღიარებამდე.⁹⁵

⁹⁴ [კომენტარი მუხლზე 15.1: მაგალითისთვის, როდესაც ძირითადი ღონისძიების ორგანიზატორის წესები აძლევს სპორტსმენს ან სხვა პირს CAS- ში დაჩქარებული გასაჩივრების ან CAS- ში ჩვეულებრივი გასაჩივრების არჩევის შესაძლებლობას მთავარი ღონისძიების ორგანიზატორის გადაწყვეტილება ან დასკვნა, სავალდებულოა სხვა ხელმომწერებისათვის, იმისდა მიუხედავად, აირჩევს თუ არა სპორტსმენი ან სხვა პირი დაჩქარებული გასაჩივრების ვარიანტს.]

⁹⁵ [კომენტარი 15.1 და 15.2 მუხლებზე: ანტიდოპინგური ორგანიზაციის გადაწყვეტილებები 15.1 მუხლის შესაბამისად ავტომატურად ხორციელდება სხვა ხელმომწერების მიერ ხელმომწერების მხრიდან რაიმე გადაწყვეტილების ან შემდგომი მოქმედების დაწესების გარეშე. მაგალითად, როდესაც ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია გადაწყვეტს დროებით დისკვალიფიკაცია მიანიჭოს

15.3 არახელმომწერი მხარის მიერ გადაწყვეტილებების აღსრულება

ანტიდოპინგური გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია იმ ორგანოს მიერ რომელიც არ არის კოდექსის ხელმომწერი უნდა აღსრულდეს ხელმომწერის მიერ, თუ ხელმომწერი ჩათვლის, რომ ეს გადაწყვეტილება მიმღები ორგანოს უფლებამოსილებას ექვემდებარება და ამ ორგანიზაციის ანტიდოპინგური წესები შეესაბამება კოდექსის მოთხოვნებს.⁹⁶

მუხლი 16 ანტიდოპინგური კონტროლი სპორტში მონაწილე ცხოველებისთვის

16.1 ნებისმიერი სპორტში, რომელიც ეხება ცხოველებს, საერთაშორისო ფედერაცია ადგენს და ნერგავს ანტიდოპინგურ წესებს ამ სპორტში მონაწილე ცხოველებისთვის. ანტიდოპინგური წესები უნდა მოიცავდეს აკრალულ ნივთიერებებს და შესაბამისი ტესტირების პროცედურებს, ასევე აკრედიტირებული ლაბორატორიების სიას.

16.2 იმისთვის რომ დადგინდეს ანტიდოპინგური წესების დარღვევა, მოხდეს შედეგების მართვა, ჩატარდეს სამართლიანი მოსმენა, დაწესდეს შედეგები და განხორციელდეს გასაჩივრება სპორტში, რომელიც ეხება ცხოველებს, ამ სპორტის ეროვნულმა ფედერაციამ უნდა მიიღოს და დანერგოს წესები, რომლებიც ზოგადად შეესაბამება კოდექსის მუხლებს 1,2,3,9, 10, 11, 13 და 17.

სპორტსმენს, ეს გადაწყვეტილება ავტომატურად იმოქმედებს საერთაშორისო ფედერაციის დონეზე. გასაგებად რომ ვთქვათ, "გადაწყვეტილება" არის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საერთაშორისო ფედერაციის მიერ ცალკე გადაწყვეტილება არ მიიღება. ამრიგად, სპორტსმენის ნებისმიერი პრეტენზია იმის შესახებ, რომ დროებითი დისკვალიფიკაცია არასწორად იქნა დაწესებული, მხოლოდ ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის წინააღმდეგ შეიძლება დამტკიცდეს. ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ 15.2 მუხლის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება ექვემდებარება მათ დისკრეციას. ხელმომწერის მიერ 15.1 ან 15.2 მუხლის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ ხდება ძირითადი გადაწყვეტილების გასაჩივრებისგან დამოუკიდებლად. სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ TUE გადაწყვეტილებების აღიარების განისაზღვრება მუხლით 4.4 და თერაპიული გამოყენების გამონაკლისების საერთაშორისო სტანდარტით.]

⁹⁶ [კომენტარი მუხლზე 15.3.: თუ ორგანოს გადაწყვეტილება, რომელმაც არ მიიღო კოდექსი, გარკვეული თვალსაზრისით, კოდექსს შეესაბამება და, სხვა მხრივ, კოდექსს არ შეესაბამება, ხელმომწერებმა უნდა შეეცადონ გამოიყენონ ეს გადაწყვეტილება კოდექსის პრინციპების შესაბამისად. მაგალითად, თუ კოდექსის შესაბამისად მიმდინარე პროცესში არა-ხელმომწერმა აღმოაჩინა, რომ სპორტსმენმა ჩაიდინა ანტი-დოპინგური წესის დარღვევა სპორტსმენის სხეულში აკრძალული ნივთიერების არსებობის დადგენით, მაგრამ დისკვალიფიკაციის პერიოდი უფრო ნაკლებია, ვიდრე კოდექსით გათვალისწინებული ვადა, მაშინ ყველა ხელმომწერმა უნდა აღიაროს ანტიდოპინგური წესის დარღვევის ფაქტი და სპორტსმენის ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა ჩაატაროს მოსმენა მე-8 მუხლის შესაბამისად, რათა დაადგინოს, კოდექსში გათვალისწინებულია თუ არა უფრო მკაცრი დისკვალიფიკაციის პერიოდი. ხელმომწერის მიერ გადაწყვეტილების შესრულება ან არ შესრულება მე-15.3 მუხლის შესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს მე-13 მუხლის მიხედვით.]

მუხლი 17 ხანდაზმულობის ვადა

ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით არ შეიძლება დაიწყოს რაიმე მოქმედება სპორტსმენის ან სხვა პირის მიმართ, თუ მას არ გაეგზავნა შეტყობინება ანტიდოპინგური წესების დარღვევის შესახებ მე-7 მუხლის შესაბამისად, ან ათი წლის განმავლობაში შეტყობინების გონივრულობის ფარგლებში, იმ დღიდან, როდესაც მოხდა ანტიდოპინგური წესების დარღვევა

ნაწილი 2.

განათლება და კვლევა

მუხლი 18 განათლება

18.1 პრინციპები

საგანმანათლებლო პროგრამებს ცენტრალური როლი უჭირავთ, ჰარმონიზებული, კოორდინირებული და ეფექტური ანტიდოპინგური პროგრამების განხორციელების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე. მათი მიზანია სპორტული სულისკვეთების შენარჩუნება და სპორტსმენის ჯანმრთელობის დაცვა, ასევე დოპინგისგან თავისუფალ სპორტში მონაწილეობის უზრუნველყოფა, როგორც ეს აღწერილია კოდექსის შესავალ ნაწილში.

საგანმანათლებლო პროგრამებმა უნდა მიაწოდონ ცოდნა, სწორი ინფორმაცია და განავითარონ გადაწყვეტილების მიღების უნარი, რათა მოახდინონ განზრახ და უნებლიე ანტიდოპინგური წესების დარღვევის და კოდექსის სხვა გადაცდომების პრევენცია. საგანმანათლებლო პროგრამები და მათმა აღსრულებამ უნდა განავითაროს პიროვნული ღირებულებები და პრინციპები, რომელიც იცავს სპორტულ სულისკვეთებას.

ყველა ხელმომწერმა მხარემ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და ერთმანეთთან თანამშრომლობით, უნდა დაგეგმოს, განახორციელოს, შეაფასოს და ხელი შეუწყოს

საგანმანათლებლო პროგრამებს განათლების საერთაშორისო სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამებს ცენტრალური როლი უჭირავთ, ჰარმონიზებული, კოორდინირებული და ეფექტური ანტიდოპინგური პროგრამების განხორციელების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე. მათი მიზანია სპორტული სულისკვეთების შენარჩუნება და სპორტსმენის ჯანმრთელობის დაცვა, ასევე დოპინგისგან თავისუფალ სპორტში მონაწილეობის უზრუნველყოფა, როგორც ეს აღწერილია კოდექსის შესავალ ნაწილში.

საგანმანათლებლო პროგრამებმა უნდა მიაწოდონ ცოდნა, სწორი ინფორმაცია და განავითარონ გადაწყვეტილების მიღების უნარი, რათა მოახდინონ განზრახ და უნებლიე ანტიდოპინგური წესების დარღვევის და კოდექსის სხვა გადაცდომების პრევენცია. საგანმანათლებლო პროგრამები და მათმა აღსრულებამ უნდა განავითაროს პიროვნული ღირებულებები და პრინციპები, რომელიც იცავს სპორტულ სულისკვეთებას.

ყველა ხელმომწერმა მხარემ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და ერთმანეთთან თანამშრომლობით, უნდა დაგეგმოს, განახორციელოს, შეაფასოს და ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამებს განათლების საერთაშორისო სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

18.2 ხელმომწერების საგანმანათლებლო პროგრამა და გეგმა

საგანმანათლებლო პროგრამები, ისე, როგორც ეს დადგენილია განათლების საერთაშორისო სტანდარტით, ხელს უწყობს სპორტული სულისკვეთების ჩამოყალიბებას და გააჩნია პოზიტიური ზეგავლენა სპორტსმენისა და სხვა პირის მიერ გაკეთებულ არჩევანზე.

ხელმომწერები შეიმუშავენ საგანმანათლებლო გეგმას განათლების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. სამიზნე ჯგუფების ან აქტივობების პრიორიტეტიზაცია მოხდება განათლების გეგმის შინაარსის მიხედვით.⁹⁷

ხელმომწერი მხარეები ასეთი თხოვნის საფუძველზე თავიანთი საგანმანათლებლო გეგმებს გადასცემენ სხვა ხელმომწერებს, რათა სადაც ეს შესაძლებელია, თავიდან აიცილონ დუბლირება, და ხელი შეუწყონ აღიარების პროცესს, რომელიც აღწერილია განათლების საერთაშორისო სტანდარტში.

ანტიდოპინგური ორგანიზაციის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს შემდეგს: ცნობიერებას, ინფორმაციას, ღირებულებებზე დაფუძნებულ და საგანმანათლებლო

⁹⁷ [კომენტარი მუხლზე 18.2: რისკის შეფასება, რომელიც ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, წარმოადგენს ჩარჩოს, რომელიც ეხება სპორტში დოპინგის რისკს. ამგვარი შეფასების გამოყენება შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტული სამიზნე ჯგუფების დასადგენად. WADA აგრეთვე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების ხელმომწერებისთვის ხელმისაწვდომობას თავიანთი პროგრამის შესასრულებლად.]

კომპონენტებს, რომლებიც სულ მცირე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ხელმომწერის ვებგვერდზე.⁹⁸

- პრინციპები და ღირებულებები რომლებიც დაკავშირებულია სპორტთან;
- სპორტსმენების, სპორტსმენების დამხმარე პერსონალისა და სხვა ჯგუფების უფლებები და მოვალეობები კოდექსის მიხედვით;
- მკაცრი ვალდებულების პრინციპი
- დოპინგის გამოყენების შედეგები, მაგალითად, ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა, სოციალური და ეკონომიკური ეფექტები და სანქციები;
- ანტიდოპინგური წესების დარღვევა
- აკრძალული სიის ნივთიერებები და მეთოდები
- დანამატების გამოყენების რისკები
- მედიკამენტებისა და თერაპიული გამოყენების გამოჩვენების გამოყენება
- ტესტირების პროცედურები, მათ შორის შარდი, სისხლი და სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტი
- რეგისტრირებული ტესტირების სიის მოთხოვნები, მათ შორის ადგილსამყოფელის შესახებ შეტყობინება და ადამის გამოყენება
- დოპინგთან დაკავშირებულ საკითხებზე ღიად საუბარი

18.2.1 საგანმანათლებლო სია და ხელმომწერების მიერ დადგენილი სამიზნე ჯგუფები

ხელმომწერები ადგენენ თავიანთ სამიზნე ჯგუფებს საგანმანათლებლო სიისთვის, მინიმუმ იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც დადგენილია განათლების საერთაშორისო სტანდარტით.⁹⁹

18.2.2 ხელმომწერების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა ნებისმიერი საგანმანათლებლო აქტივობა საგანმანათლებლო სიის მიხედვით, უნდა ჩატარდეს მომზადებული და უფლებამოსილი პირის მიერ განათლების საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.¹⁰⁰

18.2.3 კოორდინაცია და თანამშრომლობა

მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტომ უნდა ითანამშრომლოს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან განათლების საერთაშორისო სტანდარტის დანერგვის

⁹⁸ [კომენტარი მუხლზე 18.2: თუ, მაგალითად, კონკრეტულ ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას არ აქვს საკუთარი ვებგვერდი, საჭირო ინფორმაცია შეიძლება განთავსდეს ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ან სპორტის საკითხებზე პასუხისმგებელ სხვა ორგანიზაციის ვებგვერდზე.]

⁹⁹ [კომენტარი მუხლზე 18.2.1. საგანმანათლებლო სია არ უნდა იყოს შემოფარგლული ეროვნული ან საერთაშორისო დონის სპორტსმენებით და უნდა მოიცავდეს ყველა პირს, მათ შორის ახალგაზრდებს, რომლებიც მონაწილეობენ სპორტში ხელმომწერის, სახელმწიფოების და სხვა სპორტული ორგანიზაციების იურისდიქციის ქვეშ, რომელთაც აღიარებული აქვთ კოდექსი.]

¹⁰⁰ [კომენტარი მუხლზე 18.2.2: ამ დებულების მიზანია, ტრენერის კონცეფციის დანერგვა. განათლებას იძლევა მხოლოდ ნასწავლი და კომპეტენტური პირი, მსგავსად ტესტირებისა, რომლის დროსაც მხოლოდ ნასწავლ და შესაბამისი წესით დანიშნულ დოპინგ კონტროლის ოფიცერებს შეუძლიათ ტესტების ჩატარება. ორივე შემთხვევაში, მომზადებულ პერსონალს ევალება სპორტსმენის დაცვა და შესაბამისი თანმიმდევრული სტანდარტების შენარჩუნება. ტრენერისთვის მარტივი აკრედიტაციის პროგრამის დაწესების შესახებ დამატებითი დეტალები აღწერილია WADA-ს სახელმძღვანელო ინსტრუქციებში, მათ შორის საუკეთესო პრაქტიკული მაგალითების ჩათვლით, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია.]

ხელშესაწყობად და შეასრულოს ინფორმაციისა და საგანმანათლებლო რესურსების ან / და პროგრამების რეესტრის შექმნა, რომელიც შემუშავებულია მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს ან ხელმოწერების მიერ. ხელმოწერებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და მთავრობებთან ერთობლივი ძალისხმევის კოორდინაციის მიზნით.

ეროვნულ დონეზე, საგანმანათლებლო პროგრამების კოორინირება უნდა მოხდეს ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, რომელიც მუშაობს შესაბამის ეროვნულ სპორტულ ფედერაციებთან, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან, ეროვნულ პარალიმპიურ კომიტეტთან, მთავრობებთან და საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან. ეს კოორცინაცია ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების მასშტაბის ზრდას სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ის მოიცავს სპორტსმენებსა და სპორტსმენის დამხმარე პერსონალის და მიზნად ისახავს საგანმანათლებლო ძალისხმევის დუბლირების მინიმუმამდე დაყვანას.

საგანმანათლებლო პროგრამები საერთაშორისო დონის სპორტსმენებისთვის პრიორიტეტულია საერთაშორისო ფედერაციებისთვის. ღონისძიებაზე დაფუძნებული განათლება სავალდებულო ელემენტია ნებისმიერი ანტიდოპინგური პროგრამისთვის, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო ღონისძიებასთან.

ყველა ხელმოწერი მხარე თანამშრომლობს ერთმანეთთან და მთავრობებთან, რათა ხელი შეუწყონ შესაბამის სპორტულ ორგანიზაციას, საგანმანათლებლო ინსტიტუტებს და პროფესიულ ასოციაციებს, შეიმუშაონ ქცევის კოდექსი, რომელშიც საუკეთესო პრაქტიკა და სპორტში ანტიდოპინგური პრაქტიკა იქნება ასახული. დისციპლინური პოლიტიკა და პროცედურები ნათლად უნდა იყოს ფორმირებული და გაეცნოს დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის სანქციებიც, რომელიც შეესაბამება კოდექსს. ამგვარი ქცევის კოდექსი ითვალისწინებს სპორტული ორგანოების მიერ დაწესებულ დისციპლინურ სახდელს დოპინგთან დაკავშირებული სანქციების განხორციელების ხელშესაწყობად, ან დისციპლინურ სახდელებს იმ შემთხვევაში, როდესაც არასათანადო მტკიცებულებების გამო ვერ ხერხდება ანტიდოპინგური წესების დადასტურება.

მუხლი 19 კვლევა

19.1 ანტიდოპინგური კვლევის მიზანი და ამოცანები

ანტიდოპინგური კვლევა ხელს უწყობს დოპინგის კონტროლის ფარგლებში ეფექტური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, ასევე დოპინგისგან თავისუფალი სპორტის შესახებ ინფორმაციასა და განათლებას.

ყველა ხელმოწერი მხარე, ანტიდოპინგური სააგენტო და მთავრობები თანამშრომლობს ერთმანეთთან კვლევის ხელშესაწყობად და ისეთი ზომების მისაღებად, რაც უზრუნველყოფს კვლევის შედეგების კოდექსით დადგენილი პრინციპებისთვის გამოყენებას.

19.2 კვლევის სახეები

ანტიდოპინგური კვლევა, შეიძლება მოიცავდეს, მაგლითად, სოციოლოგიურ, ქცევით, სამართლებრივ ან ეთიკურ სწავლებას, სამეცნიერო, სამედიცინო, ანალიტიკური, სტატისტიკური და ფიზიოლოგიურ კვლევებთან ერთად. მეცნიერულად დადასტურებული ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და ეფექტურობის შესწავლა, რომლებიც შეესაბამება კოდექსის პრინციპებს და პატივს სცემენ ადამიანის მთლიანობას ტარდება შეზღუდვის გარეშე, აგრეთვე კვლევები ახალი ნივთიერებების ან მეთოდების შესახებ, რომელიც სამეცნიერო განვითარებიდან გამომდინარეობს.

19.3 კვლევის კოორდინაცია და შედეგების გაზიარება

ანტიდოპინგური კვლევის კოორდინაცია აუცილებელია მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მეშვეობით. ინტელექტუალური საკუთრების გათვალისწინებით, ამგვარი ანტიდოპინგური კვლევის შედეგები ეგზავნება მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ასევე - ხელმომწერებს, სპორტსმენებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს.

19.4 კვლევის პრაქტიკა

ანტიდოპინგური კვლევა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისოდ აღიარებულ ეთიკურ პრაქტიკას.

19.5 კვლევა, რომელიც იყენებს აკრძალულ ნივთიერებებს და მეთოდებს

კვლევის დროს თავიდან უნდა იქნეს აცილებული აკრძალული ნივთიერებებისა და მეთოდების გამოყენება სპორტსმენის მიმართ.

19.6 შედეგების არამიზნობრივად გამოყენება

სათანადო სიფრთხილის ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ ანტიდოპინგური კვლევის შედეგები არ იქნას არამიზნობრივად და დოპინგის მიზნებისათვის გამოყენებული.

ნაწილი 3: როლი და პასუხისმგებლობები

ყველა ხელმომწერი და მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო მოქმედებს პარტნიორობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების და კოდექსის პატივისცემის მისაღწევად.¹⁰¹

მუხლი 20 ხელმომწერ მხარეთა და მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს დამატებითი როლი და პასუხისმგებლობა

ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია მოახდინოს დოპინგ კონტროლის ან ანტიდოპინგური განათლების ცალკეული ასპექტების დელეგირება, მაგრამ ეკისრება სრული პასუხისმგებლობა რჩება იმის უზრუნველსაყოფად, რომ მის მიერ დელეგირებული ასპექტები შესრულდება კოდექსის შესაბამისად. რამდენადაც ასეთი დელეგირება ხორციელდება მესამე მხარეზე, რომელიც არ არის ხელმომწერი, შეთანხმება დელეგირებულ მესამე მხარესთან მოითხოვს მის შესაბამისობას კოდექსთან და საერთაშორისო სტანდარტებთან.¹⁰²

¹⁰¹ [კომენტარი: ხელმომწერების, სპორტსმენებისა და სხვა პირების პასუხისმგებლობები დადგენლია კოდექსის სხვადასხვა მუხლით, ამ ნაწილში ჩამოთვლილი პასუხისმგებლობები არის დამატებითი ხასიათის.]

¹⁰² კომენტარი მუხლზე 20: ცხადია, ანტიდოპინგური ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი კოდექსის შეუსრულებლობაზე, არა ხელმომწერი დელეგირებული მესამე მხარეების მხრიდან, თუ დელეგირებული მესამე მხარის მიერ შეუსაბამოა გამოწვეულია სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის გაწეული მომსახურებით. მაგალითად, თუ FINA და FIBA დოპინგის კონტროლის ასპექტებს გადასცემენ ერთსა და იმავე არა-ხელმომწერ დელეგირებულ მესამე მხარეს, და პროვადიდერი ვერ ასრულებს კოდექსს მოთხოვნებს FINA-ს მომსახურებების შესრულებისას, შედეგად, მხოლოდ FINA და არა FIBA იქნება პასუხისმგებელი შეუსაბამოებაზე. ამასთან, ანტიდოპინგური ორგანიზაციები ვალდებული არიან ხელშეკრულების საფუძველზე მოთხოვონ დელეგირებულ მესამე მხარეებს, რომელსაც გადასცეს ანტიდოპინგური პასუხისმგებლობის ნაწილი, შეატყობინონ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას დელეგირებული მესამე მხარეების მხრიდან ნებისმიერი შეუსაბამობის შესახებ.]

20.1 საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა

20.1.1. მიიღოს და დანერგოს ანტიდოპინგური პოლიტიკა და წესები ოლიმპიური თამაშების დროს, რომელიც შეესაბამება კოდექსს და საერთაშორისო სტანდარტებს.

20.1.2 როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგან აღიარების წინაპირობა, მოთხოვოს საერთაშორისო ფედერაციებს და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს ოლიმპიური მოძრაობის ფარგლებში, კოდექსთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

20.1.3 გააუქმოს ნაწილი ან მთლიანად ოლიმპიური დაფინანსება და /ან სხვა სარგებელი იმ სპორტულ ორგანიზაციებს, რომლებიც არ შეესაბამებიან კოდექსს და/ან საერთაშორისო სტანდარტებს, როგორც ეს გათვალისწინებულია მუხლით 24.1.

20.1.4 მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა ხელი შეუშალოს ხელმომწერ მხარეებს საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობას მუხლი 24.1 შესაბამისად და ნებისმიერი სხვა სპორტული ორგანოებს, რომელზედაც მას აქვს უფლებამოსილება მუხლი 12-ის შესაბამისად.

20.1.5 განახორციელოს დამოუკიდებელი დამკვირვებლის პროგრამის სანქცირება და უზრუნველყოფა.

20.1.6 მოსთხოვოს ყველა სპორტსმენს, რომელიც ემზადება ან მონაწილეობს ოლიმპიურ თამაშებში და სპორტსმენის დამხმარე ყველა პერსონალს, რომელიც დაკავშირებულია სპორტსმენთან, აღიარონ და ვალდებული იყვნენ დაიცვან ანტიდოპინგური წესები კოდექსთან შესაბამისად, როგორც მონაწილეობისა ან ჩართულობის წინაპირობა.

20.1.7 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც ამ თანამდებობის ან ჩართულობის წინაპირობა, მოსთხოვოს საბჭოს ყველა წევრს, დირექტორებს, ოფიცრებს და იმ თანამშრომლებს (და დელეგირებული მესამე მხარეების მიერ დანიშნულ პირებს), რომლებიც ჩართულნი არიან დოპინგ კონტროლის ნებისმიერ ასპექტში, აღიარონ და ვალდებული იყვნენ დაიცვან ანტიდოპინგური წესები, როგორც პირები, რომლებიც ექვემდებარებიან კოდექსს პირდაპირი ან განზრახ გადაცდომისათვის, ან აღიარონ ხელმომწერი მხარის მიერ დადგენილი სხვა შესაბამისი წესები და რეგულაციები.

20.1.8 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეუგნებლად, არ აიყვანოს პირი ისეთ პოზიციაზე, რომელიც მოიცავს დოპინგ კონტროლს (გარდა ავტორიზირებული განათლების ან სარეაბილიტაციო პროგრამისა), რომელსაც დაკისრებული ჰქონდა დროებითი დისკვალიფიკაცია ან დისკვალიფიკაცია კოდექსის მიხედვით, ან პირი, რომელსაც მიმართა არ მოქმედებდა კოდექსი და რომელმაც პირდაპირ და განზრახვით ჩაიდინა ქმედება წინა ექვსი წლის განმავლობაში და ეს ქმედება ჩაითვლებოდა კოდექსის მიხედვით ანტიდოპინგური წესების დარღვევად, ამ პირის მიმართ კოდექსი რომ გამოყენებულიყო.

20.1.9 მტკიცედ დევნოს ნებისმიერი პოტენციური ანტიდოპინგური დარღვევები თავისი იურისდიქციის ფარგლებში, მათ შორის გამოიძიოს ჩართულნი იყვნენ თუ არა სპორტსმენის დამხმარე პერსონალი ან სხვა პირები დოპინგის საქმეში.

20.1.10 დაგეგმოს, დანერგოს, შეაფასოს და ხელი შეუწყოს ანტიდოპინგურ განათლებას განათლების საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

2.1.11 მიიღოს შეთავაზებები ოლიმპიადის ჩატარებაზე მხოლოდ იმ ქვეყნებისგან და მთავრობებისგან, რომელმაც მოახდინა იუნესკოს კონვენციის რატიფიცირება, მიღება, აღიარება ან მიერთება და (როდესაც ეს დადგენილია მუხლით 24.1.9) არ მიიღოს შეთავაზებები ღონისძიებების ჩატარებაზე იმ ქვეყნებისგან სადაც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი და/ან ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია არ შეესაბამება კოდექსს ან საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

20.1.12 ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან.

20.1.13 პატივი სცეს ლაბორატორიების დამოუკიდებლობას, როგორც ეს დადგენილია ლაბორატორიებისთვის საერთაშორისო სტანდარტებით.

20.1.14 გაატაროს შესაბამისი პოლიტიკა მუხლი 2.11 დასაწერად.

20.2. საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა

20.2.1. მიიღოს და დანერგოს ანტიდოპინგური პოლიტიკა და წესები პარალიმპიური თამაშების დროს, რომელიც შეესაბამება კოდექსს და საერთაშორისო სტანდარტებს.

20.2.2 როგორც საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტისგან აღიარების წინაპირობა, მოსთხოვოს საერთაშორისო ფედერაციებს და ეროვნულ პარალიმპიურ კომიტეტებს პარალიმპიური მოძრაობის ფარგლებში, კოდექსთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

20.2.3 გააუქმოს ნაწილი ან მთლიანად პარალიმპიური დაფინანსება და /ან სხვა სარგებელი იმ სპორტულ ორგანიზაციებს, რომლებიც არ შეესაბამებიან კოდექსს და/ან საერთაშორისო სტანდარტებს, როგორც ეს გათვალისწინებულია მუხლით 24.1.

20.2.4 მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა ხელი შეუშალოს ხელმომწერ მხარეებს საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობას მუხლი 24.1 შესაბამისად და ნებისმიერი სხვა სპორტული ორგანოებს, რომელზედაც მას აქვს უფლებამოსილება მუხლი 12-ის შესაბამისად.

20.2.5 განახორციელოს დამოუკიდებელი დამკვირვებლის პროგრამის სანქცირება და უზრუნველყოფა.

20.2.6 მოსთხოვოს ყველა სპორტსმენს, რომელიც ემზადება ან მონაწილეობს პარალიმპიურ თამაშებში და ყველასპორტსმენის დამხმარე პერსონალს, რომელიც დაკავშირებულია ასეთ სპორტსმენთან, კოდექსთან შესაბამისად, აღიარონ და ვალდებული იყვნენ დაიცვან ანტიდოპინგური წესები როგორც ღონისძიებაში მონაწილეობის ან ჩართულობის წინაპირობა.

ანტიდოპინგურ წესებს და იყოს კოდექსთან შესაბამისობაში, როგორც ღონისძიებაში მონაწილეობის წინაპირობა.

20.2.7 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც ამ თანამდებობის ან ჩართულობის წინაპირობა, მოსთხოვოს საბჭოს ყველა წევრს, დირექტორებს, ოფიცრებს და იმ თანამშრომლებს (და დელეგირებული მესამე მხარეების მიერ დანიშნულ პირებს), რომლებიც ჩართულნი არიან დოპინგ კონტროლის ნებისმიერ ასპექტში აღიარონ და ვალდებული იყვნენ დაიცვან ანტიდოპინგური წესები, როგორც პირები, რომლებიც ექვემდებარებიან კოდექსს პირდაპირი ან განზრახ გადაცდომისათვის, ან აღიარონ ხელმომწერი მხარის მიერ დადგენილი სხვა შესაბამისი წესები და რეგულაციები.

20.2.8 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეუგნებულად არ აიყვანოს სამსახურში პირი, რომელიც ჩართულია დოპინგ კონტროლში (გარდა უფლებამოსილი ტრენერისა ან სარეაბილიტაციო პროგრამისა), რომელიც ადრე დროებით იყო დისკვალიფიცირებული ან დისკვალიფიცირებული კოდექსის მიხედვით, ან თუ არ მოხდა კოდექსის გამოყენება, ის პირი, ვინც განზრახ იყო ჩართული ანტიდოპინგურ ქმედებებში წინა 6 წლის განმავლობაში, ხოლო მისი ქმედება ჩაითვლებოდა ანტიდოპინგური წესების დარღვევად, თუ მის მიმართ მოხდებოდა კოდექსთან შესაბამისი წესების გამოყენება.

20.2.9 დაგეგმოს, დანერგოს, შეაფასოს და ხელი შეუწყოს ანტიდოპინგურ განათლებას განათლების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

20.2.10 მტკიცედ დევნოს ანტიდოპინგური წესების პოტენციური დარღვევები თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, მათ შორის გამოიძიოს ჩართული იყო თუ არა დოპინგის საქმეში სპორტსმენის დამხმარე პერსონალი ან სხვა პირი.

20.2.11 ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან, ასევე სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.2.12 პატივი სცეს ლაბორატორიების დამოუკიდებლობას, როგორც ეს დადგენილია ლაბორატორიებისთვის საერთაშორისო სტანდარტებით.

20.3 საერთაშორისო ფედერაციების როლი და პასუხისმგებლობა

20.3.1 მიიღოს და დანერგოს პოლიტიკა და წესები, რომელიც შეესაბამება კოდექსს და საერთაშორისო სტანდარტებს.

20.3.2 მოითხოვოს როგორც წევრობის წინაპირობა, რომ ეროვნული ფედერაციებისა და სხვა წევრების პოლიტიკის დოკუმენტები, წესები და პროგრამები შეესაბამებოდეს კოდექსს და საერთაშორისო სტანდარტებს და გაატაროს სათანადო ზომები, რომ უზრუნველოს შესაბამისობა, შესაბამისობის არეალი უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგს: 1. მოსთხოვოს ეროვნულ ფედერაციებს განახორციელონ ტესტირება მხოლოდ დოკუმენტირებული უფლებამოსილებით, რომელიც გასცა მათმა საერთაშორისო ფედერაციამ და გამოიყენონ ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია ან სხვა სინჯის ამღები უფლებამოსილი ორგანო, რომ აიღონ სინჯები ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; 2. მოსთხოვოს ეროვნულ ფედერაციებს აღიარონ თავიანთ ქვეყანაში მოქმედი ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია მუხლი 5.2.1 ის შესაბამისად და დაეხმარონ ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას განახორციელონ ეროვნული ტესტირების პროგრამა მათ სპორტის სახეობაში; 3. მოსთხოვონ თავიანთ ეროვნულ ფედერაციებს გაანალიზონ აღებული სინჯები მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული ან აღიარებული ლაბორატორიის გამოყენებით მუხლი 6.1 შესაბამისად და 4. მოითხოვოს რომ ეროვნულ დონეზე ჩადენილი ანტიდოპინგური წესების დარღვევის საქმეები, რომელიც აღმოაჩინა მათმა ეროვნულმა ფედერაციამ გამოძიებული იყოს დამოუკიდებელი მოსმენის ორგანოს მიერ მუხლი 8.1 და შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

20.3.3. მოსთხოვოს ყველა სპორტსმენს, რომელიც ემზადება ან მონაწილეობს შეჯიბრში ან აქტივობაში რომელიც ორგანიზებულია საერთაშორისო ფედერაციის ან მისი წევრი ორგანიზაციის მიერ ან მათ იურისდიქციის ქვეშ, რომ ყველა სპორტსმენის დამხმარე პერსონალი რომელიც დაკავშირებულია ამ სპორტსმენტთან, დაეთანხმოს და კოდექსის შესაბამისი ანტიდოპინგური წესებით ამგვარი მონაწილეობის ან ჩართულობის წინაპირობად.

20.3.4 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამ თანამდებობის ან ჩართულობის წინაპირობად, მოსთხოვოს თავისი საბჭოს ყველა წევრს, დირექტორებს, ოფიცერებს და იმ თანამშრომლებს (და ისინი, ვინც დანიშნულები არიან დელეგირებული მესამე მხარეების მიერ), რომლებიც ჩართულები არიან დოპინგ კონტროლის ნებისმიერ ასპექტში, აღიარონ და ვალდებული იყვნენ დაიცვან ანტიდოპინგური წესები, როგორც პირები, რომლებიც ექვემდებარებიან კოდექსს პირდაპირი ან განზრახ გადაცდომისათვის, ან აღიარონ ხელმომწერი მხარის მიერ დადგენილი სხვა შესაბამისი წესები და რეგულაციები.

20.3.5 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეუგნებულად არ აიყვანოს ისეთი პირი ნებისმიერ პოზიციაზე, რომელიც გულისხმობს დოპინგ კონტროლს (გარდა ავტორიზებული საგანმანათლებლო ან სარეაბილიტაციო პროგრამებისა), რომელსაც დაკისრებული ჰქონდა დროებითი დისკვალიფიკაცია ან დისკვალიფიკაცია და განზრახ ჩაიდინა ქმედება უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში, რომელიც ჩაითვლებოდა ანტიდოპინგური წესების დარღვევად, მისი გამოყენება ამ პირის მიმართ რომ ყოფილიყო შესაძლებელი.

20.3.6 მოსთხოვოს სპორტსმენებს, რომლებიც არ არიან საერთაშორისო ფედერაციის მუდმივი წევრები ან თავის წევრ ეროვნულ ფედერაციებს, ხელმისაწვდომები იყვნენ სინჯის აღებისთვის და მიაწოდონ მას ადგილსამყოფელის შესახებ განახლებული ინფორმაცია, საერთაშორისო ფედერაციის რეგისტრირებული სიის მიხედვით იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც დადგენილია საერთაშორისო ფედერაციის მიერ, ან მთავარი ღონისძიების ორგანიზატორის მიერ, საჭიროებისამებრ.¹⁰³

20.3.7 როგორც მონაწილეობის წინაპირობა, მოსთხოვოს თითოეულ თავის ეროვნულ ფედერაციას დაადგინოს წესები, რომელიც ავალდებულებს სპორტსმენებს, რომლებიც ემზადებიან ან მონაწილეობენ ეროვნული ფედერაციის ან მისი წევრი ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრში და სპორტსმენის დამხმარე პერსონალს, რომელიც დაკავშირებულია ამ სპორტსმენტან, აღიარონ და ვალდებული იყვნენ დაიცვან ანტიდოპინგური წესები და ანტიდოპინგური ორგანიზაციის შედეგების მართვის უფლებამოსილება, კოდექსის შესაბამისად, როგორც მონაწილეობისა და ჩართულობის წინაპირობა.

20.3.8 მიიღოს შესაბამისი ზომები, რომ ხელი შეუშალოს კოდექსთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობას ა) ხელმომწერების მხრიდან მუხლი 24.1 შესაბამისად და ხელმომწერი მხარეების კოდექსთან შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტებთან ბ) ნებისმიერი სხვა სპორტული ორგანოს მხრიდან, რომლის მიმართაც აქვს უფლებამოსილება მუხლი 12-ის შესაბამისად.

20.3.10 განახორციელოს დამოუკიდებელი სადამკვირვებლო პროგრამის ავტორიზების და უზრუნველყოფა საერთაშორისო ღონისძიებებზე.

20.3.11 მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს იმ წევრის ან აღიარებული ეროვნული ფედერაციების დაფინანსება, რომლებიც არ არსულებენ კოდექსის და/ან საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს.

20.3.12 მტკიცედ აწარმოოს თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პოტენციური ანტიდოპინგური წესის დარღვევის წინააღმდეგ საქმიანობა, მათ შორის გამოიძიოს, იყო თუ არა სპორტსმენის დამხმარე პერსონალი ან სხვა პირი ჩართული დოპინგის საქმეში, რათა უზრუნველყოს სათანადო შედეგების დაწესება და განახორციელოს ავტომატური გამოძიება სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიმართ ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტზე, რომელიც ეხება დაცულ პირს ან სპორტსმენის დამხმარე პირს, ვინც ეხმარება ერთზე მეტ სპორტსმენს, რომელიც ბრალდებულია ანტიდოპინგური წესების დარღვევაში.

20.3.13 დაგეგმოს, დანერგოს, შეაფასოს და ხელი შეუწყოს ანტიდოპინგურ განათლებას განათლების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის

¹⁰³ [კომენტარი მუხლზე 20.3.46: ეს მაგალითად შეიძლება მოიცავდეს სპორტსმენის პროფესიულ ლიგას.]

მოსთხოვოს ეროვნულ ფედერაციებს განახორციელონ ანტიდოპინგური სწავლება შესაბამის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

20.3.14 მიიღოს შეთავაზებები მსოფლიო ჩემპიონატებზე და სხვა საერთაშორისო ღონისძიებებზე მხოლოდ იმ ქვეყნებისგან და მთავრობებიგან, რომელმაც მოახდინა იუნესკოს კონვენციის რატიფიცირება, მიღება, აღიარება ან მიერთება და (როდესაც ეს დადგენილია მუხლით 24.1.9) არ მიიღოს შეთავაზებები ღონისძიებების ჩატარებაზე იმ ქვეყნებისგან სადაც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი და/ან ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია არ შეეესაბამება კოდექსს ან საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

20.3.15 ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.3.16 ითანამშრომლოს მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან იმ გამოძიებებთან დაკავშირებით, რომელიც ხორციელდება მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიხერ მუხლის 20.7.12 შესაბამისად.

20.3.17 ჰქონდეს დამცვიებული დისციპლინური წესები და მოსთხოვოს ეროვნულ ფედერაციებს დაამტკიცონ დისციპლინური წესები რათა ხელი შეუშალონ სპორტსმენის დამხმარე პირებს, რომლებიც იყენებენ აკრძალულ ნივთიერებებს ან მეთოდებს გაუწიონ სპორტსმენს დახმარება საერთაშორისო ფედერაციის ან ეროვნული ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ.

20.3.18 პატივი სცეს ლაბორატორიების დამოუკიდებლობას, როგორც ეს დადგენილია ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

20.3.19 მიიღოს პოლიტიკის დოკუმენტი ან წესი მუხლის 2.11 დასაწერად.

20.4 ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისა და ეროვნული პარალიმპიური კომიტეტების როლი და პასუხისმგებლობა

20.4.1 უზრუნველყოს თავიანთი ანტიდოპინგური პოლიტიკისა და წესების კოდექსთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

20.4.2 როგორც წევრობის წინაპირობა, მოსთხოვონ ეროვნულ ფედერაციებს და სხვა წევრებს, რომ მათი პოლიტიკა, წესები და პროგრამები შეესაბამებოდეს კოდექსს და საერთაშორისო სტანდარტებს და გაატარონ სათანადო ზომები ამ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

20.4.3 პატივი სცენ თავიანთ ქვეყანაში მოქმედ ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის დამოუკიდებლობას და არ ჩაერიონ მის გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაში.

20.4.4. მოსთხოვონ ეროვნულ ფედერაციებს მიაწოდონ ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას და საერთაშორისო ფედერაციას ნებმისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს ან უკავშირდება ანტიდოპინგური წესების დარღვევას და ითანამშრომლონ გამოძიებასთან, რომელსაც ჩაატარებს ნებმისმიერი ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელსაც ამის უფლებამოსილება გააჩნია.

20.4.5 სულ მცირე, როგორც ოლიმპიური თამაშებისა და პარალიმპიურ თამაშებში მონაწილეობის წინაპირობა, მოსთხოვონ სპორტსმენს რომელიც არ არის ეროვნული ფედერაციის მუდმივი წევრი, ხელმისაწვდომი იყოს სინჯის აღებისთვის და წარმოადგინოს ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია, როგორც ეს დადგენილია ტესტირების და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტით, მას შემდეგ, რაც მოხდება სპორტსმენის შერჩევა სიაში ან მომდევნო სიაში ოლიმპიურ ან პარალიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით.

20.4.6 ითანამშრომლონ თავიანთ ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან და მთავრობასთან, ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის დასაარსებლად, თუ ის ჯერ არ

არსებობს, და უზრუნველყონ რომ შუალედურ პერიოდში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ან მის მიერ განსაზღვრული ორგანო ასრულებდეს ანტიდოპინგური ორგანიზაციის ფუნქციას.

20.4.6.1 იმ ქვეყნებში, რომლებიც არიან რეგიონული ანტიდოპინგური ორგანიზაციის წევრები, ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, მთავრობასთან თანამშრომლობით, უნდა შეინარჩუნოს აქტიური როლი და თანადგომა გაუწიოს შესაბამის რეგიონულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს.

20.4.7 მოსთხოვონ ყველა თავის ეროვნულ ფედერაციებს შემოიღონ წესები (ან სხვა საშუალება), რომელიც დაავალდებულებს ყველა სპორტსმენს, რომელიც ემზადება ან მონაწილეობს ეროვნული ფედერაციების ან მათი წევრი ორგანიზაციების მიერ სანქცირებულ შეჯიბრში, და ყველა დამხმარე პერსონალს, რომელიც დაკავშირებულია ამ სპორტსმენტთან, აღიარონ და ვალდებული იყვნენ დაიცვან ანტიდოპინგური წესები და ანტიდოპინგური ორგანიზაციის შედეგების მართვის უფლებამოსილება, კოდექსის შესაბამისად, როგორც მონაწილეობისა და ჩართულობის წინაპირობა.

20.4.8 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც ამ თანამდებობის ან ჩართულობის წინაპირობა, მოსთხოვოს საბჭოს ყველა წევრს, დირექტორებს, ოფიცრებს და იმ თანამშრომლებს (და მათ, ვინც დანიშნულია დელეგირებული მესამე მხარეების მიერ), რომლებიც ჩართულნი არიან დოპინგ კონტროლის ნებისმიერ ასპექტში, აღიარონ და ვალდებული იყვნენ დაიცვან ანტიდოპინგური წესები, როგორც პირები, რომლებიც ექვემდებარებიან კოდექსს პირდაპირი ან განზრახ გადაცდომისათვის, ან აღიარონ ხელმომწერი მხარის მიერ დადგენილი სხვა შესაბამისი წესები და რეგულაციები.

20.4.9 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეუგნებლად არ აიყვანოს პირი ისეთ პოზიციასზე, რომელიც მოიცავს დოპინგ კონტროლს (გარდა ანტიდოპინგური განათლებისა და სარეაბილიტაციო პროგრამებისა) და რომელსაც დაკისრებული ჰქონდა დროებითი დისკვალიფიკაცია ან დისკვალიფიკაცია კოდექსის მიხედვით, ან თუ კოდექსის გამოყენება ვერ განხორციელდა ამ პირის მიმართ, ის პირი, ვინც პირდაპირ და განზრახ ჩართული იყო ქმედებაში წინა ექვსი წლის განმავლობაში და ეს ქმედება ჩაითვლებოდა ანტიდოპინგური წესების დარღვევად, თუ კოდექსის შესაბამისი წესების გამოყენება მოხდებოდა ამ პირის მიმართ.

20.4.10 შეუჩეროს ანტიდოპინგური წესების დამრღვევ სპორტსმენს ან სპორტსმენის დამხმარე პირს მთლიანი ან ნაწილობრივი დაფინანსება დისკვალიფიკაციის პერიოდში.

20.4.11 შეუჩეროს მთლიანი ან ნაწილობრივი დაფინანსება თავის წევრ ან აღიარებულ ეროვნულ ფედერაციებს, რომელთა საქმიანობა არ შეესაბამება კოდექსს და საერთაშორისო სტანდარტებს.

20.4.12 დაგეგმოს, დანერგოს, შეაფასოს და ხელი შეუწყოს ანტიდოპინგურ განათლებას, რომელიც ითვალისწინებს განათლების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, მათ შორის მოსთხოვოს ეროვნულ ფედერაციებს რომ ჩაატარონ ანტიდოპინგური განათლება შესაბამის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან ერთად.

20.4.13 მკაცრად დევნოს ყველა პოტენციური ანტიდოპინგური წესის დარღვევა თავისი იურისდიქციის ქვეშ, მათ შორის გამოიძიოს იყო თუ არა სპორტსმენის დამხმარე პერსონალი ან სხვა პირი ჩართული დოპინგის საქმეში.

20.4.14 ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.4.15 ჰქონდეს შემუშავებული დისციპლინური წესები, რაც ხელს შეუშლის სპორტსმენის დამხმარე პერსონალს, რომელიც იყენებს აკრძალულ ნივთიერებებს ან აკრძალულ მეთოდებს,

სათანადო დასაბუთების გარეშე, დაეხმაროს სპორტსმენს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ან ეროვნული პარალიმპიური კომიტეტის იურისდიქციის ფარგლებში.

20.4.16 პატივი სცეს ლაბორატორიების საქმიანობის დამოუკიდებლობას, როგორც ეს განსაზღვრულია ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტით.

20.4.17 შეიმუშაოს პოლიტიკა მუხლი 2.11 დასაწერად.

20.4.18 მიიღოს შესაბამისი ზომები რომ ხელი შეუშალოს ხელმომწერი მხარეების კოდექსთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობას მუხლი 24.1 შესაბამისად და ხელმომწერი მხარეებისა და სხვა სპორტული ორგანოების კოდექსთან შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტთან შეუსაბამობას რომელზედაც მას აქვს იურისდიქცია მუხლის 12 შესაბამისად.

20.5 ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა ¹⁰⁴

20.5.1 იყოს სპორტისა და სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი თავის გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაში, მათ შორის აკრძალოს ნებისმიერი პირის ნებისმიერი სახის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების ან საქმიანობის პროცესში, რომელიც ამავე დროს ჩართულია საერთაშორისო ფედერაციის, ეროვნული ფედერაციის, ძირითადი ღონისძიების ორგანიზატორის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, ეროვნული პარალიმპიური კომიტეტის ან მთავრობის დეპარტამენტის მართვასა ან საქმიანობაში სპორტის ან ანტიდოპინგის მიმართულებით. ¹⁰⁵

20.5.2 მიიღოს და დანერგოს ანტიდოპინგური წესები და პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება კოდექსს და საერთაშორისო სტანდარტებს.

20.5.3 ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.5.4 ხელი შეუწყოს საპასუხო ტესტირებებს ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შორის.

20.5.5 ხელი შეუწყოს ანტიდოპინგურ კვლევას.

20.5.6 სადაც დაფინანსება სახეზეა, გააუქმოს მთლიანი ან ნაწილობრივი დაფინანსება დისკვალიფიკაციის პერიოდში, სპორტსმენისა და სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა ანტიდოპინგური წესების დარღვევა.

20.5.7 მტკიცედ დევნოს შესაძლო ანტიდოპინგური წესების დარღვევები თავისი იურისდიქციის ფარგლებში, მათ შორის გამოიძიოს იყო თუ არა სპორტსმენის დამხმარე პერსონალი ან სხვა პირი ჩართული დოპინგის საქმეში და უზრუნველყოს შესაბამისი შედეგების დადგომა.

20.5.8 დაგეგმოს, დანერგოს, შეაფასოს და ხელი შეუწყოს ანტიდოპინგურ განათლებას განათლების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

20.5.9 თითოეული ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია უნდა იყოს ანტიდოპინგური განათლების განმახორციელებელი ორგანო თავის ქვეყანაში.

20.5.10 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც ამგვარი თანამდებობისა და ჩართულობის წინაპირობა, მოსთხოვოს საბჭოს ყველა წევრს, დირექტორებს, ოფიცრებსა და იმ

¹⁰⁴ [კომენტარი მუხლზე 20.5: უფრო მცირე ზომის ქვეყნებისთვის, ზოგიერთი ზემოთ მოყვანილი პასუხისმგებლობა შეიძლება დელეგირებულ იქნეს ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციისგან რეგიონულ ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის.]

¹⁰⁵ [კომენტარი მუხლზე 20.5.1: ეს, მაგალითად არ კრძალავს რომ ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ შეასრულოს დელეგირებული მესამე მხარის როლი ძირითადი ღონისძიების ორგანიზატორის ან სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის.]

თანამშრომლებს (და მათ, ვინც დანიშნულები არიან დელეგირებული მესამე მხარის მიერ), რომლებიც ჩართულნი არიან დოპინგ კონტროლის ნებისმიერ ასპექტში, აღიარონ და ვალდებული იყვნენ დაიცვან ანტიდოპინგური წესები, როგორც პირები, რომლებიც ექვემდებარებიან კოდექსს პირდაპირი ან განზრახ გადაცდომისათვის, ან აღიარონ ხელმომწერი მხარის მიერ დადგენილი სხვა შესაბამისი წესები და რეგულაციები.

20.5.11 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეუგნებულად არ აიყვანოს პირი პოზოციაზე, რომელიც მოიცავს დოპინგ კონტროლს (გარდა ავტორიზირებული განათლების ან რეაბილიტაციის პროგრამებისა), რომელიც დროებით იყო დისკვალიფიცირებული ან დისკვალიფიცირებული კოდექსის მიხედვით, ან თუ კოდექსი ამ პირის მიმართ არ მოქმედებდა, პირი, რომელიც განზრახვით ჩართული იყო ქმედებაში წინა ექვსი წლის განმავლობაში, და ეს ქმედება ჩაითვლებოდა ანტიდოპინგური წესების დარღვევად, კოდექსის შესაბამისი წესებს რომ ემოქმედა ამ პირის მიმართ.

20.5.12 ჩაატაროს ავტომატური გამოძიება სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიმართ თავისი იურისდიქციის ფარგლებში ანტიდოპინგური წესების დარღვევის ნებისმიერ საქმეზე, რომელიც განხორციელდა დაცული პირის მიერ და ჩაატაროს ავტომატური გამოძიება სპორტსმენის დამხმარე პირის მიმართ, რომელმაც დახმარება გაუწია ანტიდოპინგური წესების დამრღვევ ერთ სპორტსმენზე მეტს.

20.5.13 სრულად ითანამშრომლოს მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებული გამოძიებისას მუხლის 20.7.14 შესაბამისად.

20.5.14 პატივი სცეს ლაბორატორიის საქმიანობის დამოუკიდებლობას ლაბორატორიებისთვის დადგენილი საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

20.5.15 შეიმუშაოს პოლიტიკა მუხლი 2.11 დასაწერად.

20.5.16 მიიღოს შესაბამისი ზომები რომ ხელი შეუშალოს ხელმომწერი მხარეების კოდექსთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობას მუხლი 24.1 შესაბამისად და ხელმომწერი მხარეებისა და სხვა სპორტული ორგანოების კოდექსთან შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტთან შეუსაბამობას, რომელზედაც მას აქვს იურისდიქცია მუხლის 12 შესაბამისად.

20.6 მთავარი ღონისძიების ორგანიზატორის როლი და პასუხისმგებლობა

20.6.1 მიიღოს და დანერგოს ანტიდოპინგური პოლიტიკა და წესები თავისი ღონისძიებებისთვის, რომელიც შეესაბამება კოდექსს და საერთაშორისო სტანდარტებს.

20.6.2 მიიღოს შესაბამისი ზომები რომ ხელი შეუშალოს ხელმომწერი მხარეების კოდექსთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობას მუხლი 24.1 შესაბამისად და ხელმომწერი მხარეებისა და სხვა სპორტული ორგანოების კოდექსთან შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტთან შეუსაბამობას რომელზედაც მას აქვს იურისდიქცია მუხლის 12 შესაბამისად.

20.6.3 მისცეს უფლებამოსილება და უზრუნველყოს დამოუკიდებელი დამკვირვებლის პროგრამა.

20.6.4 მოსთხოვოს ყველა სპორტსმენს, რომელიც ემზადება ან მონაწილეობს ღონისძიებაში, და სპორტსმენის დამხმარე ყველა პერსონალს, რომელიც დაკავშირებულია სპორტსმენთან, კოდექსის შესაბამისად, აღიარონ და ვალდებული იყვნენ დაიცვან ანტიდოპინგური წესები როგორც მონაწილეობისა და ჩართულობის წინაპირობა.

20.6.5 გამოსაყენებელი სამართლის მიხედვით, როგორც ამგვარი თანამდებობისა და ჩართულობის წინაპირობა, მოსთხოვოს საბჭოს ყველა წევრს, დირექტორებს, ოფიცრებს და იმ თანამშრომლებს, რომლებიც ჩართულები არიან დოპინგ კონტროლის ნებისმიერ ასპექტში, აღიარონ და ვალდებული იყვნენ დაიცვან ანტიდოპინგური წესები, როგორც პირები,

რომლებიც ექვემდებარებიან კოდექსს პირდაპირი ან განზრახ გადაცდომისათვის, ან აღიარონ ხელმომწერი მხარის მიერ დადგენილი სხვა შესაბამისი წესები და რეგულაციები.

20.6.6 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეუგნებულად არ აიყვანოს პირი ისეთ პოზიციაზე, რომელიც მოიცავს დოპინგ კონტროლს (გარდა ავტორიზირებული საგანმანათლებლო ან სარეაბილიტაციო პროგრამებისა), რომელსაც დაკისრებული ჰქონდა დროებითი დისკვალიფიკაცია ან არის დისკვალიფიცირებული კოდექსის მიხედვით, ან პირი, რომელის მიმართაც არ მოქმედებდა კოდექსი და რომელმაც პირდაპირ და განზრახვით ჩაიდინა ქმედება წინა ექვსი წლის განმავლობაში და ეს ქმედება ჩაითვლებოდა კოდექსის მიხედვით ანტიდოპინგური წესების დარღვევად, ამ პირის მიმართ კოდექსი რომ გამოყენებულიყო.

20.6.7 მტკიცედ დევნოს ნებისმიერი პოტენციური ანტიდოპინგური დარღვევები თავისი იურისდიქციის ფარგლებში, მათ შორის გამოიძიოს ჩართულნი იყვნენ თუ არა სპორტსმენის დამხმარე პერსონალი ან სხვა პირები დოპინგის საქმეში.

20.6.8 დაგეგმოს, დანერგოს, შეაფასოს და ხელი შეუწყოს ანტიდოპინგურ განათლებას ანტიდოპინგური განათლების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

20.6.9 მიიღოს შეთავაზებები ღონისძიების ჩატარებაზე მხოლოდ იმ ქვეყნებიდან, სადაც მოხდა იუნესკოს კონვენციის რატიფიცირება, მიღება, აღიარება ან მიერთება და (როდესაც ეს მოთხოვნილია მუხლით 24.1.9) არ მიიღოს შეთავაზებები ღონისძიებების ჩატარებაზე იმ ქვეყნებისგან სადაც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, ეროვნული პარალიმპიური კომიტეტის და/ან ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის საქმიანობა არ შეესაბამება კოდექსს ან საერთაშორისო სტანდარტებს.

20.6.10 ითანამშრომლოს შესაბამის ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.6.11 პატივი სცეს ლაბორატორიების საქმიანობის დამოუკიდებლობას, როგორც ეს განსაზღვრულია ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტით.

20.6.12 შეიმუშაოს პოლიტიკა მუხლის 2.11 დასაწერად.

20.7 მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის როლი და პასუხისმგებლობა

20.7.1 აღიაროს კოდექსი და აიღოს ვალდებულება, რომ განახორციელებს თავის როლსა და პასუხისმგებლობას კოდექსის შესაბამისად იმ დეკლარაციის საფუძველზე, რომელიც აღიარებულია მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის დამფუძნებელი საბჭოს მიერ.¹⁰⁶

20.7.2 მიიღოს და დანერგოს პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც შეესაბამება კოდექსს და საერთაშორისო სტანდარტებს.

20.7.3 გაუწიოს დახმარება ხელმომწერ მხარეებს, რათა მათი საქმიანობა შეესაბამებოდეს კოდექსს და საერთაშორისო სტანდარტებს და მოახდინოს შესაბამისობის მონიტორინგი მუხლის 24.1 შესაბამისად და კოდექსთან შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

20.7.4 მიიღოს საერთაშორისო სტანდარტები კოდექსის განსახორციელებლად.

20.7.5 მისცეს ლაბორატორიებს აკრედიტაცია ან განაახლოს მათი აკრედიტაცია, რათა მათ გაანალიზონ სინჯები ან აღიაროს სხვა ლაბორატორიები სინჯების ანალიზითვის.

¹⁰⁶ [კომენტარი მუხლზე 20.7.1: მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო ვერ იქნება ხელმომწერი მხარე, რადგან მან უნდა გაუწიოს ხელმომწერ მხარეებს მონიტორინგი კოდექსის მიხედვით.]

20.7.6 შეიმუშაოს და გამოაქვეყნოს სახელმძღვანელო დოკუმენტები და საუკეთესო პრაქტიკის მოდელები.

20.7. მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს სპორტსმენების კომიტეტის რეკომენდაციით, გაუზიაროს მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს აღმასრულებელ კომიტეტს სპორტსმენების ანტიდოპინგური უფლებების შესახებ აქტი, რომელიც აერთიანებს სპორტსმენების იმ უფლებებს, რომლებიც დადგენილია კოდექსითა და საერთაშორისო სტანდარტებით, ან საუკეთესო პრაქტიკით აღიარებული პრინციპებით, ანტიდოპინგურ კონდექსტში სპორტსმენების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

20.7.8 ხელი შეუწყოს, განახორციელოს, ნება დართოს, დააფინანსოს და კოორდინირება გაუწიოს ანტიდოპინგურ კვლევას და ანტიდოპინგური განათლების გავრცელებას.

20.7.9 შექმნას და განახორციელოს ეფექტური დამოუკიდებელი დამკვირვებლის პროგრამა და ღონისძიებებისთვის სხვა სახის მრჩეველის პროგრამები.

20.7.10 გამონაკლის შემთხვევებში და გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, ჩაატაროს ტესტირება საკუთარი ინიციატივით ან სხვა ანტიდოპინგური სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე და ითანამშრომლოს სხვა შესაბამის ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან, მათ შორის, უზრუნველყოს გამოკითხვა და გამოძიება.¹⁰⁷

20.7.11 საერთაშორისო ფედერაციებთან, ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან და მთავარი ღონისძიების ორგანიზატორებთან კონსულტაციების შემდგომ, მიიღოს ტესტირებისა და სინჯის აღების პროგრამები.

20.7.12 მოქმედი კანონმდებლობის შესაგამისად, როგორც ამგვარი თანამდებობისა და ჩართულობის წინაპირობა, მოსთხოვოს საბჭოს ყველა წევრს, დირექტორებს, ოფიცრებს და სხვა თანამშრომლებს (და მათ ვინც დანიშნულები არიან დელეგირებული მესამე მხარის მიერ), რომლებიც ჩართულები არიან დოპინგ კონტროლის ნებისმიერ ასპექტში, აღიარონ და ვალდებული იყვნენ დაიცვან ანტიდოპინგური წესები, როგორც პირები, რომლებიც ექვემდებარებიან კოდექსს პირდაპირი ან განზრახ გადაცდომისათვის, ან აღიარონ ხელმომწერი მხარის მიერ დადგენილი სხვა შესაბამისი წესები და რეგულაციები.

20.7.13 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეუზღუბლად არ აიყვანოს პოზიციაზე პირი, რომელიც დაკავშირებულია დოპინგ კონტროლთან (გარდა ავტორიზირებული ანტიდოპინგური განათლებისა და სარეზილტაციო პროგრამებისა) რომელსაც დაკისრებული ჰქონდა დისკვალიფიკაცია ან არის დისკვალიფიცირებული კოდექსის მიხედვით, ან პირი, რომლის მიმართაც არ მოქმედებდა კოდექსი, თუმცა პირდაპირ და განზრახ მონაწილეობდა ქმედებაში წინა ექვსი წლის მანძილზე და ეს ქმედება ჩაითვლებოდა ანტიდოპინგური წესების თანახმად მის მიმართ კოდექსი რომ გავრცელდებოდა.

20.7.14 აწარმოოს საკუთარი გამოძიება ანტიდოპინგური წესების დარღვევაზე, ხელმომწერი მხარეების შეუსაბამობაზე და აკრედიტირებული ლაბორატორიების მიმართ და სხვა აქტივობებზე, რომელიც შეიძლება ხელს უწყობდნენ დოპინგს.

20.8 მესამე მხარეების მიერ დადგენილ რეგულაციებთან დაკავშირებული თანამშრომლობა

¹⁰⁷ [კომენტარი მუხლზე 20.7.10: მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო არ არის ტესტირების სააგენტო, მაგრამ აქვს უფლება, გამონაკლის შემთხვევებში განახორციელოს ტესტირება, როდესაც მას ეცნობება არსებული პრობლემის შესახებ და შესაბამისი ანტიდოპინგური ორგანიზაცია ვერ ახერხებს დამაკმაყოფილებლად პრობლემის აღმოფხვრას.]

ხელმომწერმა მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან, მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოსთან და მთავრობებთან პროფესიულ ასოციაციებს და ინსისტუტების ხელშესაწყობად, რომლებსაც გააჩნიათ იმ სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიმართ უფლებამოსილება, რომლებიც სხვაგვარად არ ექცევიან კოდექსის მოქმედების არეალში, დანერგონ რეგულაციები, ისეთი ქმედებების ასაკრძალად, რომელიც ჩაითვლებოდა ანტიდოპინგური წესების დარღვევად სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ, რომლებიც ექცევა კოდექსის მოქმედების არეალში.

მუხლი 21 სპორტსმენებისა და სხვა პირების დამატებითი როლი და პასუხისმგებლობა

21.1. სპორტსმენების როლი და პასუხისმგებლობა

21.1.1 იცნობდნენ და ემორჩილებოდნენ ანტიდოპინგურ პოლიტიკას და წესებს, რომელიც მიღებულია კოდექსის შესაბამისად.

21.1.2 ყოველთვის იყვნენ ხელმისაწვდომები სინჯის აღებისთვის.¹⁰⁸

21.1.3 აიღოს პასუხისმგებლობა ანტიდოპინგის კონტექსტში იმაზე, თუ რას მიიღებს ან გამოიყენებს.

21.1.4 აცნობოს სამედიცინო პერსონალს რომ გააჩნია ვალდებულება არ გამოიყენოს აკრძალული ნივთიერებები და აკრძალული მეთოდები. ასევე აიღოს პასუხისმგებლობა სამედიცინო მკურნალობის პერიოდში, რომ არ დაუშვებს ანტიდოპინგური პოლიტიკის და წესების დარღვევას.

21.1.5 აცნობოს ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას და საერთაშორისო ფედერაციას არა ხელმომწერი მხარის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც ადგენს სპორტსმენის მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევას უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში.

21.1.6 ითანამშრომლოს ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამოძიებისას.¹⁰⁹

21.1.7 გასცეს ინფორმაცია სპორტსმენის დამხმარე პერსონალის ვინაობის შესახებ იმ ანტიდოპინგურ ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც გააჩნია სპორტსმენზე უფლებამოსილება.

¹⁰⁸ [კომენტარი მუხლზე 21.1.2: სპორტსმენის ადამიანის უფლებებისა და პირადი სივრცის გათვალისწინებით, საფუძვლიანი ანტიდოპინგურ ვარაუდის არსებობისას, საჭიროა სინჯის გვიან ღამით ან დილით ადრე აღება. მაგალითად, ცნობილია, რომ ზოგიერთი სპორტსმენი იყენებს EPO-ს მცირე დოზებს ამ პერიოდის განმავლობაში და მისი აღმოჩენა დილის სინჯში შეუძლებელია.]

¹⁰⁹ [კომენტარი მუხლზე 21.1.6: ანტიდოპინგური წესების დარღვევად კოდექსის მიხედვით არ ჩაითვლება, თუ სპორტსმენი არ ითანამშრომლებს გამოძიებისას, მაგრამ ეს შეიძლება საფუძვლად დაედოს დისციპლინურ წარმოებას ხელმომწერი მხარის წესების შესაბამისად.]

21.2 სპორტსმენის დამხმარე პერსონალის როლი და პასუხისმგებლობა

21.2.1 იცნობდეს და ასრულებდეს კოდექსის მიხედვით მიღებულ ანტიდოპინგური პოლიტიკის დოკუმენტებსა და წესებს, რომელიც ეხება იმ სპორტსმენს, რომელსაც ისინი უწყვენ დახმარებას.

21.2.2 ითანამშრომლოს სპორტსმენის ტესტირების პროგრამასთან.

21.2.3 გამოიყენოს თავიანთი გავლენა სპორტსმენის ღირებულებებსა და ქცევაზე ანტიდოპინგური სულიკვეთების გასაძლიერებლად.

21.2.4 მიაწოდოს ინფორმაცია ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას და საერთაშორისო ფედერაციას არა ხელმომწერი მხარის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც ადგენს რომ მან ჩაიდინა ანტიდოპინგური წესების დარღვევა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში.

21.2.5 ითანამშრომლოს ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან რომლებიც იძიებენ ანტიდოპინგური წესების დარღვევებს.¹¹⁰

21.2.6 სპორტსმენის დამხმარე პერსონალი არ შეიძლება ფლობდეს აკრძალულ ნივთიერებას ან აკრძალულ მეთოდს სათანადო საფუძვლის გარეშე.¹¹¹

21.3 კოდექსით გათვალისწინებული სხვა პირების როლი და პასუხისმგებლობა

21.3.1. იცნობდეს და ასრულებდეს ანტიდოპინგურ პოლიტიკას და წესებს, რომელიც მიღებულია კოდექსის მიხედვით და მასზე ვრცელდება.

21.3.2 აცნობოს თავიანთ ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასა და საერთაშორისო ფედერაციას არა ხელმომწერი მხარის გადაწყვეტილების შესახებ, რომლითაც დადგინდა მის მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში.

21.3.3 ითანამშრომლოს ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან, რომლებიც იძიებენ ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტებს.

21.4 რეგიონული ანტიდოპინგური ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა

21.4.1 უზრუნველყონ წევრი ქვეყნების მიერ კოდექსის შესაბამისი წესების, პოლიტიკისა და პროგრამების აღიარება და დანერგვა.

21.4.2 წევრობის წინაპირობის სახით, მოთხოვონ წევრ სახელმწიფოებს ხელი მოაწერონ ოფიციალურ რეგიონული ანტიდოპინგური ორგანიზაციის წევრობის ფორმას, რომელიც

¹¹⁰ [კომენტარი უხლზე 21.2.5 სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ თანამშრომლობაზე უარი კოდექსის მიხედვით არ ჩაითვლება ანტიდოპინგური წესების დარღვევად, მაგრამ ის შეიძლება გახდეს დისციპლინური წარმოების საფუძველი ხელმომწერი მხარის მიერ მიღებული წესების შესაბამისად.]

¹¹¹ [კომენტარი მუხლზე 21.2.6: იმ შემთხვევებში, როდესაც სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება ან დაუფლება სათანადო დასაბუთების გარეშე არ წარმოადგენს ანტიდოპინგური წესის დარღვევას კოდექსის მიხედვით, მაშინ ის უნდა დაექვემდებაროს სპორტის სხვა დისციპლინურ წესებს. მწვრთნელები და სპორტსმენთა სხვა დამხმარე პერსონალი ხშირად მისაბამი მაგალითები არიან სპორტსმენებისთვის. ისინი არ უნდა იქცეოდნენ ისე, რომ ეწინააღმდეგებოდნენ იმ პასუხისმგებლობას, რაც აქვთ სპორტსმენის წინაშე მათი დოპინგის წინააღმდეგ წასახალისებლად.]

ნათლად განსაზღვრავს ანტიდოპინგური უფლებამოსილების დელეგირებას რეგიონული ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის.

21.4.3 ითანამშრომლონ შესაბამის ეროვნულ და რეგიონულ ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებთან.

21.4.4 უზრუნველყონ საპასუხო ტესტირებების ჩატარება ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებსა და რეგიონულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შორის.

21.4.5 ხელი შეუწყონ და დაეხმარონ უნარების განვითარებას შესაბამის ანტიდოპინგურ ორგანიზაციებში.

21.4.6 ხელი შეუწყონ ანტიდოპინგურ კვლევას.

21.4.7 დაგეგმონ, დანერგონ, შეაფასონ და ხელი შეუწყონ ანტიდოპინგურ განათლებას განათლების საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 22 მთავრობების ჩართულობა ¹¹²

თითოეული მთავრობის პასუხისმგებლობა კოდექსის წინაშე გამოიხატება სპორტში ანტიდოპინგის შესახებ 2003 წლის 3 მარტის კოპენჰაგენის დეკლარაციის ხელმოწერით და იუნესკოს კონვენციის რატიფიცირებით, მიღებით, მიერთებით ან აღიარებით. ხელმოწერმა მხარეებმა იციან, რომ ნებისმიერი მოქმედება, რომელიც განხორციელდება მთავრობის მიერ არის ამ მთავრობის საკითხი და ექვემდებარება საერთაშორისო კანონმდებლობას ისევე როგორც საკუთარ კანონებსა და რეგულაციებს. მთავრობები შებოჭილები არიან მხოლოდ შესაბამისი საერთაშორისო სამთავრობო საერთაშორისო შეთანხმებების მოთხოვნებით (და იუნესკოს კონვენციით), თუმცა, მომდევნო მუხლები ასახავს ხელმოწერი მხარეების იმ მოლოდინს, რაც მათ გააჩნიათ მთავრობების მიმართ კოდექსის განხორციელებლად.

21.1 თითოეულმა სახელმწიფომ უნდა გაატაროს ყველა ღონისძიება რათა უზრუნველყოს იუნესკოს კონვენციასთან შესაბამისობა.

22.2 თითოეულმა მთავრობამ უნდა შეიმუშაოს კანონმდებლობა, რეგულაციები, პოლიტიკა, ადმინისტრაციული პრაქტიკა რათა უზრუნველყოს: ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობა; კოდექსის შესაბამისად ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შორის მონაცემთა გაზიარება; შარდისა და სისხლის სინჯების შეუფერხებელი ტრანსპორტირება, ისე რომ არ დაირღვეს უსაფრთხოება და მათი მთიანობა; დოპინგ კონტოლის ოფიცრებისთვის შეუფერხებელი შესვლა და გასვლა და შეუზღუდავი დაშვება ყველა იმ ტერიტორიაზე, სადაც საერთაშორისო ან ეროვნული დონის სპორტსმენები ცხოვრობენ ან ვარჯიშობენ შეტყობინების გარეშე ტესტირების ჩასატარებლად, საზღვრის დაცვის, იმიგრაციის და შესვლისთვის დადგენილი მოთხოვნებისა და რეგულაციების გათვალისწინებით.

22.3 თითოეულმა მთავრობამ უნდა მიიღოს კანონები, რეგულაციები და პოლიტიკა, რომელიც ასწავლის ოფიცრებს და დოპინგ კონტროლში ჩართულ სხვა დასაქმებულ პირებს, სპორტულ ან სამედიცინო პერსონალს, მათ შორის ზედამხედველობის უფლებამოსილების მქონე პირებს,

¹¹² [კომენტარი მუხლზე 22: მთავრობების უმეტესობა არ შეიძლება იყოს მხარე ან შეიბოჭოს კერძო არასამთავრობო ინსტრუმენტით, როგორიცაა კოდექსი. ამ მიზეზით, მთავრობებს არ სთხოვენ, იყვნენ კოდექსის ხელმომწერები, არამედ უნდა მოაწერონ ხელი კოპენჰაგენის დეკლარაციას და მოახდინონ იუნესკოს კონვენციის რატიფიცირება, მიღება, დამტკიცება ან მიერთება. მიუხედავად იმისა, რომ მიღების მექანიზმები შეიძლება განსხვავებული იყოს, კოდექსში ასახული კოორდინირებული და ჰარმონიზებული პროგრამა, რომელიც ასახულია კოდექსში, წარმოადგენს სპორტული მოძრაობისა და მთავრობების ერთობლივ ძალისხმევას აღმოფხვრან დოპინგი სპორტში.]

რომ არ მიიღონ მონაწილეობა ისეთ საქმიანობაში, რაც გამოიწვევს ანტიდოპინგური წესების დარღვევას, თუ კოდექსის მოთხოვნები ვრცელდება ამ პირებზე.

22.4 თითოეული მთავრობა ვალდებულია უარი უთხრას პირს ისეთი თანამდებობის დაკავებაზე, რომელიც დაკავშირებულია დოპინგის კონტროლთან, სპორტულ შედეგებთან ან სპორტულ კონტექსტში სამედიცინო დახმრების გაწევასთან, მათ შორის საზედამხედველო თანამდებობაზე, თუ ეს პირი: 1. არის დისკვალიფიცირებული ანტიდოპინგური წესების დარღვევისთვის კოდექსის შესაბამისად, ან 2. არ არის ანტიდოპინგური ორგანიზაციის უფლებამოსილების ქვეშ და დისკვალიფიკაცია არ დაწესდა შედეგების მართვის პროცესში, თუმცა, სისხლის სამართლებრივი, დისციპლინური ან პროფესიული წარმოებისას მას ბრალად დაედო ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც ჩაითვლებოდა ანტიდოპინგური წესების დარღვევად მის მიმართ კოდექსის წესების გამოყენების შესაძლებლობა რომ ყოფილიყო. ამ შემთხვევაში, ამ პირის დისკვალიფიკაციის სტატუსი უნდა გაგრძელდეს ექვსი წლით სისხლის სამართლებრივი, პროფესიული ან დისციპლინური გადაწყვეტილებიდან ან სისხლის სამართლებრივი, დისციპლინური ან პროფესიული სანქციის დაწესებიდან.

22.5 თითოეულმა მთავრობამ ხელი უნდა შეეუწყოს საჯარო სერვისების ან სააგენტოების და ანტიდოპინგური ორგანიზაციების თანამშრომლობას, ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის ისეთი ინფორმაციის დროულად მისაწოდებლად, რომლის მიწოდებაც არ არის სამართლებრივად აკრძალული და დაეხმარება ანტიდოპინგურ ორგანიზაციას დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში.

22.6 თითოეულმა მთავრობამ პატივი უნდა სცეს არბიტრაჟს, როგორც დოპინგთან დაკავშირებული საქმეების საუკეთესო გადაჭრის საშუალებას, რომელიც აღიარებს ადამიანისა და ფუნდამენტურ უფლებებს და გამოსაყენებელ ეროვნულ კანონმდებლობას.

22.7 თითოეულმა სახელმწიფომ, რომელსაც არ ჰყავს ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია თავის ქვეყანაში, უნდა უზრუნველყოს მისი დაარსება ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან თანამშრომლობით.

22.8 თითოეულმა მთავრობამ პატივი უნდა სცეს თავისი ქვეყნის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის ან იმ რეგიონული ანტიდოპინგური ორგანიზაციის ავტონომიურობას, რომლის წევრიც არის მისი სახელმწიფო და მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ აღიარებულ ყველა ლაბორატორიის დამოუკიდებლობას და არ ჩაერიოს მათ გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაში.

22.9 მთავრობებმა არ უნდა შეზღუდონ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს წვდომა ნებისმიერ სინჯზე ან ანტიდოპინგურ ჩანაწერებზე, რომელსაც ფლობს ხელმომწერი მხარე, ხელმომწერი მხარის წევრი ან მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ აკრედიტირებული ლაბორატორია.

22.10 მთავრობის უარს იუნესკოს კონვენციის რატიფიკაციაზე, აღიარებაზე, მიერთებაზე, ასევე შემდგომ ეტაპზე კონვენციის მოთხოვნების შესრულებლობას, შეიძლება მოჰყვეს უარი შეჯიბრის ჩატარებასთან დაკავშირებით განაცხადის მიღებაზე, როგორც ეს განსაზღვრულია 20.1.11, 20.3.14 და 20.6.9 მუხლებით. ასევე მთავრობის მიერ იუნესკოს კონვენციის შესრულებლობამ, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი შედეგები, როგორც იუნესკოს ისე მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მხრიდან.

ნაწილი მეოთხე: კოდექსის მიღება, შესაბამისობა, ცვლილებები და ინტერპრეტაცია

მუხლი 23 მიღება და იმპლემენტაცია

23.1 კოდექსის მიღება

23.1.1 შემდეგი ორგანიზაციები შეიძლება იყვნენ კოდექსის ხელმომწერები: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო ფედერაციები, საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი, მთავარი ღონისძიების ორგანიზატორები, ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სპორტთან.

23.1.2 საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებული საერთაშორისო ფედერაციები, საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები, ეროვნული პარალიმპიური კომიტეტები, ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოები და მთავარი ღონისძიების ორგანიზატორები, რომლებიც აღიარებულები არიან ერთი ან მეტი ზემოთნახსენები ორგანიზაციის მიერ, გახდებიან ხელმომწერი მხარეები აღიარების დეკლარაციის ხელმოწერით ან მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსთვის მისაღები აღიარების სხვა ფორმით.

23.1.3 ნებისმიერ სხვა ორგანიზაციას, რომელიც აღწერილია მუხლში 23.1.1 შეუძლია განაცხადით მიმართოს მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს რათა გახდეს ხელმომწერი მხარე. ეს განაცხადი გადაიხედება მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესის მიხედვით. მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ ამგვარი განაცხადის მიღება უნდა პასუხობდეს იმ პირობებსა და მოთხოვნებს, რაც დაწესებულია მის პოლიტიკაში.¹¹³ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ განაცხადის მიღების ემდეგ, განმცხადებლის ხელმომწერის სტატუსის მინიჭება ხდება მის მიერ კოდექსის აღიარებისა და კოდექსით დადგენილი პირობებისა და მოთხოვნების დეკლარაციის ხელმოწერით, რომელსაც ადგენს მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო ამ განმცხადებლისთვის.

23.1.4 ხელმომწერ მხარეთა სია გასაჯაროვდება მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ.

23.2 კოდექსის იმპლემენტაცია

23.2.1 ხელმომწერმა მხარეებმა კოდექსის მუხლების განხორციელება უნდა უზრუნველყონ შესაბამისი პოლიტიკის, სტატუტების, წესებისა და რეგულაციების მიღებით, თავიანთი უფლებამოსილებისა პასუხისმგებლობის სფეროების ფარგლებში.

23.2.2 ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლები, რამდენადაც ისინი მოიცავენ ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ანტიდოპინგურ საქმიანობას, ხელმომწერი

¹¹³ [კომენტარი მუხლზე 23.1.3: მაგალითად, ეს პირობები და მოთხოვნები ითვალისწინებს ორგანიზაციის მხრიდან ფინანსური ვალდებულების გაღებას, რაც საჭიროა მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს ადმინისტრაციული, მონიტორინგისა და შესაბამისობის ხარჯების დასაფარად, შესაბამისად, ეს შეიძლება გახდეს განაცხადის განხილვისა და ხელმომწერი მხარის სამომავლო სტატუსის განმსაზღვრელი.]

მხარეების მიერ გადმოღებული უნდა იქნეს მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე (ცვლილებები შეიძლება მხოლოდ შეეხოს ორგანიზაციის სახელს, სპორტის სახეობას, დანომრვას და მსგავს საკითხებს).¹¹⁴

- მუხლი 1 (დოპინგის განმარტება)
- მუხლი 2 (ანტიდოპინგური წესების დარღვევა)
- მუხლი 3 (დოპინგის მტკიცებულება)
- მუხლი 4.2.2 (განსაზღვრული ნივთიერებები და განსაზღვრული მეთოდები)
- მუხლი 4.2.3 (ზოროტად გამოყენებული ნივთიერებები)
- მუხლი 4.3.3 (მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ აკრძალული სიის განსაზღვრა)
- მუხლი 7.7 (სპორტიდან წასვლა)
- მუხლი 9 (ინდივიდუალური შედეგების ავტომატური დისკვალიფიკაცია)
- მუხლი 10 (სანქციები ინდივიდების მიმართ)
- მუხლი 11 (შედეგები სპორტის გუნდური სახეობებისთვის)
- მუხლი 13 (გასაჩივრებები) მუხლის 13.2.2., 13.6 და 13.7 გამოკლებით
- მუხლი 15.1 (გადაწყვეტილებების ავტომატური სავალდებულო ხასიათი)
- მუხლი 17 (ხანდაზმულობის ვადა)
- მუხლი 26 (კოდექსის ინტერპრეტაცია)
- დანართი 1 განმარტებები

არ შეიძლება დამატებითი მუხლები შევიდეს ხელმომწერი მხარის წესებში, რომელიც ცვლის ზემოთ მოყვანილი მუხლების შინაარსს. ხელმომწერების წესები ცალსახად უნდა აღიარებდეს კოდექსის კომენტარებს და აძლევდეს კომენტარებს კოდექსის შესაბამის თუმცა, კოდექსი არ უზღუდავს ხელმომწერ მხარეს მიიღოს უსაფრთხოების, სამედიცინო, შერჩევის თუ ქცევის კოდექსი, რომელიც გათვალისწინებულია ანტიდოპინგის გარდა, სხვა მიზნებისთვის.¹¹⁵ 23.2.3 კოდექსის იმპლემენტაციისას, ხელმომწერი მხარეები წახალისებულნი არიან გამოიყენონ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, რომელიც რეკომენდირებულია მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ.

¹¹⁴ [კომენტარი მუხლზე 23.2.2: კოდექსში არ უშლის ხელს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის საკუთარი დისციპლინური წესების მიღებასა და აღსრულებას, თუ ეს ქმედება თავისთავად არ წარმოადგენს დოპინგის წესის დარღვევას კოდექსის მიხედვით. მაგალითად, ეროვნულმა ან საერთაშორისო ფედერაციამ შეიძლება უარი თქვას მწვრთნელისთვის ლიცენზიის განახლებაზე, როდესაც მრავალმა სპორტსმენმა ჩაიდინა ანტიდოპინგური წესების დარღვევა ამ მწვრთნელის მეთვალყურეობის ქვეშ.]

¹¹⁵ [კომენტარი მუხლზე 23.2.2: მაგალითად, საერთაშორისო ფედერაციამ შეიძლება გადაწყვიტოს, მიიღოს ქცევის კოდექსი, რომელიც სპორტსმენს უკრძალავს არასაშეჯიბრო პერიოდში კოკაინის გამოყენებას ან ფლობას. ანტიდოპინგური სინჯის აღებისას, ესეთი საერთაშორისო ფედერაცია ასევე მიუთითებს, რომ სპორტსმენი შემოწმდეს კოკაინზე, რომ ნახოს, რამდენადაც ასრულებს ის ფედერაციის მოთხოვნებს. მეორეს მხრივ, საერთაშორისო ფედერაციის ქცევის კოდექსს არ აქვს უფლება დამატებითი სანქციები დააწესოს კოკაინის გამოყენებისთვის საშეჯიბრო პერიოდში, რადგან ეს ექცევა კოდექსის მოქმედების ფარგლებში. სხვა შესაძლო მაგალითები მოიცავს წესებს, რომეიც ეხება ალკოჰოლისა და ჟანგბადის მოხმარებას. ამასთან, საერთაშორისო ფედერაციას შეუძლია გამოიყენოს მონაცემები დოპინგ კონტროლის ტესტირებიდან, რათა გააკონტროლოს ტრანსგენდერების დასაშვებობასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა დასაშვებობის წესები.]

23.3 ანტიდოპინგური პროგრამების იმპლემენტაცია

ხელმომწერმა მხარეებმა სათანადო რესურსები უნდა დაუთმონ ანტიდოპინგური პროგრამების იმპლემენტაციას, რომლებიც შეესაბამება კოდექსს და საერთაშორისო სტანდარტებს.

მუხლი 24 კოდექსთან და იუნესკოს კონვენციასთან შესაბამისობის მონიტორინგი და აღსრულება

24.1 კოდექსთან შესაბამისობის მონიტორინგი და აღსრულება¹¹⁶

24.1.1 ხელმომწერი მხარეების მიერ კოდექსთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი უნდა განახორციელოს მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ ხელმომწერ მხარეთა კოდექსთან შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

24.1.2 მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, თითოეულმა ხელმომწერმა მხარემ მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე უნდა წარუდგინოს ანგარიში კოდექსთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე. როგორც ანგარიშგების ნაწილი, ხელმომწერმა მხარემ სწორად უნდა წარადგინოს ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ და განმარტოს ყველა მოქმედება, რომელიც განახორციელა, რომ გამოესწორებინა შეუსაბამობები.

24.1.3 ხელმომწერი მხარის მიერ მუხლი 24.1.2 დადგენილი სწორი ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა თავისთავად წარმოადგენს კოდექსთან შეუსაბამობას, ისევე როგორც ხელმომწერი მხარის მიერ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსთვის სწორი ინფორმაციის წარუდგენლობა, რომელიც განსაზღვრულია სხვა მუხლებით, კოდექსთან შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტით ან სხვა საერთაშორისო სტანდარტით.

24.1.4 შეუსაბამობის შემთხვევებში (ანგარიშის წარდგენის ვალდებულების ან სხვა ვალდებულებისგან გამომდინარე) მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ უნდა გაატაროს შესწორების პროცედურები, რომელიც დადგენილია კოდექსთან შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტით. თუ ხელმომწერი მხარე ან მის მიერ დელეგირებული პირი ვერ გამოსწორებს შეუსაბამობას დაწესებული ვადის განმავლობაში, მაშინ (მას შემდეგ რაც მიიღებს WADA -ს აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობას) მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო გაუგზავნის ხელმომწერ მხარეს ფორმალურ შეტყობინებას, სადაც აღნიშნულია, რომ ხელმომწერი მხარე არ არის კოდექსთან შესაბამისობაში და ჩამოთვლილია ის შედეგები, რასაც მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტომ შეიძლება დააწესოს მუხლში 24.1.12 ჩამოთვლილი შედეგებიდან და ის პირობები, რომელსაც მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო მიიჩნევს რომ უნდა შესრულდეს რათა ხელმომწერმა მხარემ აღიდგინოს შესაბამისობაში მყოფი ხელმომწერის სტატუსი. ეს შეტყობინება უნდა გასაჯაროვდეს კოდექსთან შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

24.1.5 თუ ხელმომწერი მხარე არ ხდის სადაოდ WADA-ს მიერ მის მიმართ შეუსაბამობის დადგენას ან შედეგებს ან სტატუსის განახლების პირობებს ფორმალური შეტყობინების

¹¹⁶ [კომენტარი მუხლზე 24.1: ტერმინები რომლებიც ამ მუხლშია ნახსენები, განმარტებულია კოდექსის ბოლოს დანართ 1-ში]

მიღებიდან 21 დღის განმავლობაში, შეუსაბამობა ჩაითვლება მიღებულად, შედეგებისა და სტატუსის აღდგენის პირობების მიღებასთან ერთად და შეტყობინება ავტომატურად გამოიცემა მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ როგორც საბოლოო გადაწყვეტილება და (ნებისმიერი გასაჩივრებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, რომელიც ხორციელდება მუხლის 13.6 მიხედვით) მის აღსრულებას ექნება დაუყოვნებლივი ხასიათი მუხლის 24.1.9 შესაბამისად.

24.1.6 თუ ხელმომწერ მხარეს სურს, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს შესაბამისობის შეტყობინების, შედეგების ან სტატუსის აღდგენის პირობების სადაოდ გახდა, მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს წერილობითი ფორმით ფორმალური შეტყობინების მიღების დღიდან 21 დღის განმავლობაში. ამ შემთხვევაში, მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ უნდა მიმართოს საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟს დავის ფორმალური შეტყობინებით, და დავა გადაწყდება საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის ორდინალური განყოფილების მიერ ხელმომწერ მხარეთა კოდექსთან შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით. მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს ექნება მტკიცების ტვირთი არბიტრაჟის წინაშე, ალბათობის ბალანსიდან გამომდინარე, რომ ხელმომწერი მხარე არ შეესაბამება კოდექსს (თუ ეს არის სადაო საკითხი). თუ არბიტრაჟის პანელი გადაწყვეტს რომ მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ მოახდინა მტკიცების ტვირთის შესრულება ხოლო ხელმომწერმა მხარემ გახადა შედეგები და/ან სტატუსის აღდგენის პირობები სადაო, არბიტრაჟის პანელმა ხელმომწერ მხარეთა კოდექსთან შესაბამისობის სტანდარტების შესაბამის მუხლებზე მითითებით უნდა გადაწყვიტოს: ა) რა შედეგები უნდა დაწესდეს პოტენციური შედეგების სიიდან, რომელიც მოცემულია კოდექსის მუხლში 24.1.12 და ბ) რა პირობები უნდა დააკმაყოფილოს ხელმომწერმა მხარემ იმისთვის, რომ აღუდგეს სტატუსი.

24.1.7 მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო გაასაჯაროებს ინფორმაციას, რომ საკითხი გადაეცა საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟს განსახილველად. ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პირს აქვს ჩარევის უფლება და საქმის განხილვაში მხარედ ჩართვის უფლება იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ აცნობებს მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს ამ ინფორმაციის გასაჯაროებიდან ათი დღის ვადაში:

24.1.7.1 საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და/ან საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტი (საჭიროებისამებრ) და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და/ან ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი (საჭიროებისამებრ), როდესაც გადაწყვეტილებამ შიძლება გავლენა იქონიოს ოლიმპიურ ან პარალიმპიურ თამაშებზე (მათ შორის გადაწყვეტილებებზე რომელიც ეხება ოლიმპიურ ან პარალიმპიურ თამაშებზე დასწრების/მონაწილეობის დასაშვებობას) და

24.1.7.2 საერთაშორისო ფედერაცია, როდესაც გადაწყვეტილებას შეიძლება გავლენა ჰქონდეს საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო ჩემპიონატებზე და/ან სხვა საერთაშორისო ღონისძიებებზე მონაწილეობას და/ან შეთავაზებას, რომელიც წარედგინა ქვეყანას რომ მან უმასპინძლოს საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო ჩემპიონატს და/ან სხვა საერთაშორისო ღონისძიებას.

ნებისმიერ სხვა პირს, რომელსაც სურს მხარედ ჩაერთოს საქმეში უნდა მიმართოს საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟს მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟისთვის საქმის გადაცემის შეტყობინების გამოქვეყნებიდან ათი დღის ვადაში. არბიტრაჟი გასცემს ჩართვის უფლებას თუ: 1. საქმის ყველა მხარე თანახმაა ან: 2. თუ განმცხადებელი დაამტკიცებს რომ აქვს საკმარისი სამართლებრივი ინტერესი საქმის შედეგიდან გამომდინარე, რათა განხილული იყოს როგორც მხარე.

24.1.8 საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გასაჯაროვდება არბიტრაჟისა და მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ. შვეიცარიის კანონმდებლობის მიხედვით, ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება შვეიცარიის ფედერალურ ტრიბუნალში, სხვა შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო და ექვემდებარება დაუწყევნებლივ აღსრულებას მუხლის 24.1.9 მიხედვით.

24.1.9 გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია მუხლების 24.1.5 ან 24.1.8 მიხედვით და ადგენს, რომ ხელმომწერი მხარე არ შეესაბამება კოდექსს, შეუსაბამობისთვის დადგენილ შედეგს და/ან პირობებს, რომელიც ხელმომწერმა მხარემ უნდა დააკმაყოფილოს, რათა აღინდინოს სტატუსი და საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის მიერ მუხლი 24.1.10 შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებები, ძალაშია მსოფლიოს მასშტაბით და აღიარებული უნდა იყოს ყველა ხელმომწერი მხარის მიერ თავიანთი უფლებამოსილებისა და სამოქმედო სფეროს ფარგლებში.

24.1.10 თუ ხელმომწერ მხარეს სურს სადაო გახადოს მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს დასკვნა, რომ ხელმომწერმა მხარემ არ შეასრულა სტატუსის აღსადგენად დადგენილი პირობები და შესაბამისად არ უნდა აღუდგეს კოდექსთან შესაბამისი ხელმომწერი მხარის სტატუსი, ხელმომწერმა მხარემ უნდა აცნობოს მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს ამის შესახებ ოცდაერთი დღის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მიიღებს მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ დასკვნას. ამ შემთხვევაში, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო აცნობებს საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟს დავის თაობაზე და დავა განხილული იქნება CAS-ის ორდინალური საარბიტრაჟო განყოფილების მიერ მუხლების 14.1.6 და 24.1.8 მიხედვით. მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს ექნება მტკიცების ტვირთი CAS-ის პანელის წინაშე, ალბათობის ბალანსიდან გამომდინარე, რომ ხელმომწერმა მხარემ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო სტატუსის აღსადგენად დადგენილი პირობები და შესაბამისად არ არის უფლებამოსილი რომ აღუდგეს სტატუსი, როგორც შესაბამისობაში მყოფ ორგანიზაციას. შვეიცარიის კანონმდებლობის თანახმად შესაძლებელია არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრება შვეიცარიის ფედერალურ ტრიბუნალში, სხვა შემთხვევაში, არბიტრაჟის გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო და ექვემდებარება დაუწყევნებლივ აღსრულებას მუხლის 24.1.9 მიხედვით.

24.1.11 მოთხოვნები, რომელსაც კოდექსი და საერთაშორისო სტანდარტები აწესებს ხელმომწერ მხარისთვის კლასიფიცირდება როგორც კრიტიკული, მაღალი პრიორიტეტის მქონე ან ზოგადი, ხელმომწერ მხარეთა კოდექსთან შესაბამისობის სტანდარტის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს მათ სპორტში დოპინგის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს კლასიფიკაცია უნდა იყოს გადამწყვეტი იმის დასადგენად, თუ რა შედეგები უნდა დაწესდეს შეუსაბამობის შემთხვევაში ხელმომწერი მხარისთვის შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტის მე-10 მუხლის მიხედვით. ხელმომწერ მხარეს უფლება გახადოს კლასიფიკაცია სადაო, ამ შემთხვევაში საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟი მიიღებს გადაწყვეტილებას სათანადო კლასიფიკაციის განსასაზღვრად.

24.1.12 შემდეგი შედეგები შეიძლება დაწესდეს ინდივიდუალურად ან კუმულაციურად იმ ხელმომწერი მხარის მიმართ, რომელიც არ შეესაბამება კოდექსს და/ან საერთაშორისო სტანდარტებს, საქმის ფაქტებისა და გარემოებებისა და ხელმომწერი მხარეების მიერ შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტების მე-10 მუხლის გათვალისწინებით.

24.1.12.1 მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს პრივილეგიების დაუშვებლობა ან გაუქმება

ა) მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს სტატუტების შესაბამისი მუხლების თანახმად, ხელმომწერი მხარის წარმომადგენლებს შეიძლება ჩამოერთვათ უფლება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, დაინიშნონ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოში ან მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს ნებისმიერი საბჭოს ან კომიტეტის ან სხვა ორგანოს

წევრად (მათ შორის WADA-ს სადამფუძნებლო საბჭოს, აღმასრულებელი კომიტეტის ან მუდმივმოქმედი კომიტეტის), (თუმცა, მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ გამონაკლისის სახით შეიძლება ნება დართოს ხელმომწერის წარმომადგენელს რომ დარჩეს მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს ექსპერტთა ჯგუფში, იქ სადაც შესაბამისი ჩანაცვლება ვერ ხერხდება).

ბ) ხელმომწერ მხარეს შეიძლება ჩამოერთვას უფლება უმასპინძლოს ნებისმიერ ღონისძიებას რომელიც ორგანიზებულია ან თანაორგანიზებულია მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ, ან რომელის მასპინძელიც ან თანამასპინძელიც არის მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო.

გ) ხელმომწერის წარმომადგენლებს შეიძლება ჩამოერთვათ უფლება მონაწილეობა მიიღონ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს სადამკვირვებლო პროგრამაში ან გავრცელების პროგრამაში ან სხვა აქტივობებში;

დ) მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ ხელმომწერი მხარისათვის დაფინანსების შეწყვეტა (პირდაპირი ან ირიბი), რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული აქტივობის განხორციელებასა და კონკრეტულ პროგრამებში მონაწილეობასთან, და:

ე) ხელმომწერი მხარის წარმომადგენლებს შეიძლება ჩამოერთვათ უფლება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ნებისმიერი სხვა ხელმომწერი მხარის (ან მისი წევრის) ან ხელმომწერ მხარეების ასოციაციაში მუშაობის ან მათ საბჭოსა და კომიტეტის ან სხვა ორგანოში წევრობა.

24.1.12.2 სპეციალური მონიტორინგი ხელმომწერი მხარის ზოგიერთ ან ყველა ანტიდოპინგურ საქმიანობაზე, სანამ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო არ გადაწყვეტს, რომ ხელმომწერ მხარეს შეუძლია ამ ანტიდოპინგური საქმიანობის კოდექსის შესაბამისად განხორციელება მონიტორინგის გარეშე.

24.1.12.3 ხელმომწერი მხარის ყველა ან ზოგიერთი ანტიდოპინგური საქმიანობის მეთვალყურეობა და/ან ხელში აღება მესამე მხარის მიერ, მანამ, სანამ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო გადაწყვეტს, რომ ხელმომწერ მხარეს შეუძლია ამ ანტიდოპინგური საქმიანობის განხორციელება კოდექსთან შესაბამისად ამგვარი ზომების გატარების გარეშე.

ა) თუ შეუსაბამოა გულისხმობს შეუსაბამო წესებს, რეგულაციებს და/ან კანონმდებლობას, მაშინ ანტიდოპინგური საქმიანობა უნდა განხორციელდეს სხვა გამოსაყენებელი წესების მიხედვით (ერთი ან რამოდენიმე ანტიდოპინგური ორგანიზაციის, მაგალითად, საერთაშორისო ფედერაციების ან ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციების ან რეგიონული ანტიდოპინგური ორგანიზაციების) რომლებიც შესაბამისობაში არიან კოდექსთან. ამ შემთხვევაში, როდესაც ანტიდოპინგური საქმიანობა (მათ შორის ტესტირება და შედეგების მართვა) განხორციელდება აღიარებული მესამე მხარის მიერ გამოსაყენებელი წესების მიხედვით, შეუსაბამო ხელმომწერი მხარის ხარჯებით. ნებისმიერი ხარჯი, რომელიც ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ გასწია ამგვარი წესების გამოყენებისთვის, ასევე უნდა ანაზღაურდეს შეუსაბამო ხელმომწერი მხარის მიერ.

ბ) თუ არ არის შესაძლებელი რომ ზემოთხსენებული მეთოდით შეივსოს შეუსაბამო ხელმომწერი მხარის მიერ ანტიდოპინგური საქმიანობის განხორციელება (მაგალითად იმის გამო, რომ ეროვნული კანონმდებლობა ამახ კრძალავს, და ეროვნულ ანტიდოპინგურ სააგენტოს არ შეუტანია ცვლილება კანონმდებლობაში ან არ არსებობს სხვა გამოსავალი), მაშინ შეიძლება საჭირო გახდეს სხვა ალტერნატიული ზომების გატარება, რათა მოხერხდეს იმ სპორტსმენების მონაწილეობის გაუქმება ოლიმპიურ თამაშებზე/პარალიმპიურ თამაშებზე ან სხვა ღონისძიებებზე, რომლებიც ხელმომწერი მხარის ანტიდოპინგური საქმიანობის არეალში ექცეოდნენ, იმისთვის რომ დაცული იყოს სუფთა სპორტსმენების უფლებები და საჯარო ნდობა შეჯიბრის მთლიანობის მიმართ.

24.1.12.4 ჯარიმა

24.1.12.5 მთლიანი ან ნაწილობრივი დაფინანსების გაუქმება ან მისი მიღების უფლების ან სხვა სარგებლის მიღების უფლების დაკარგვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ან საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტის ან ნებისმიერი სხვა ხელმომწერი მხარის მხრიდან კონკრეტული პერიოდის განმავლობაში (იმ უფლებით რომ სტატუსის აღდგენის შემდგომ მიიღოს დაფინანსება და/ან სარგებელი რეტროსპექტიულად, ან არ ჰქონდეს ამის უფლება)

24.1.12.6 შესაბამისი საჯარო უწყებებისთვის რეკომენდაციის გაცემა, რომ მათ შეაჩერონ სახელწიფო და/ან სხვაგვარი დაფინანსება და/ან სხვა სარგებელი ხელმომწერი მხარისათვის კონკრეტული პერიოდის განმავლობაში (იმ უფლებით რომ სტატუსის აღდგენის შემდგომ მიიღოს დაფინანსება და/ან სარგებელი რეტროსპექტიულად, ან არ ჰქონდეს ამის უფლება) ¹¹⁷

24.1.12.7 როდესაც ხელმომწერი არის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია ან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც ასრულებს ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის ფუნქციას, და ხელმომწერი მხარის ქვეყანას ჩამოერთვა უფლება იყოს მასპინძელი ან თანამასპინძელი და/ან მიეცეს უფლება იყოს საერთაშორისო ღონისძიების (მაგალითად, ოლიმპიური თამაშების, პარალიმპიური თამაშების ან სხვა მთავარი ღონისძიების ორგანიზატორის ღონისძიების, მსოფლიო ჩემპიონატების, რეგიონული ან კონტინენტური ჩემპიონატების, და/ან სხვა საერთაშორისო ღონისძიების) მასპინძელი ან თანამასპინძელი:

ა) თუ კითხვის ქვეშ მყოფ ქვეყანას უკვე მიეცა უფლება უმასპინძლოს ან იყოს მსოფლიო ჩემპიონატის და/ან სხვა საერთაშორისო ღონისძიებ(ებ)ის თანამასპინძელი, ხელმომწერმა მხარემ რომელმაც გასცა აღნიშნული უფლება უნდა შეაფასოს არის თუ არა სამართლებრივად და პრაქტიკულად შესაძლებელი რომ შეჩერდეს ეს უფლება და ღონისძიების მასპინძლობა გადაეცეს სხვა ქვეყანას. თუ ეს სამართლებრივად და პრაქტიკულად შესაძლებელია, მაშინ ხელმომწერმა მხარემ ეს უნდა განახორციელოს.

ბ) ხელმომწერმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ რომ მათ თავიანთი სტატუტების, წესებისა და რეგულაციების, და/ან მასპინძლობის ხელშეკრულებებით, ჰქონდეთ შესაძლებლობა შეესაბამებოდნენ ამ მოთხოვნას (მათ შორის უფლება ნებისმიერი მასპინძლობის ხელშეკრულებაში, რომ გაუქმდეს ხელშეკრულება ჯარიმის გარეშე, სადაც შესაბამის ქვეყანას ჩამოერთვა მასპინძლობის უფლება).

24.1.12.8 იმ შემთხვევაში, როდესაც ხელმომწერი არის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია ან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ან ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი, შემდეგი პირებისთვის ოლიმპიურ თამაშებსა და პარალიმპიურ თამაშებზე ან/და სხვა კონკრეტულ ღონისძიებებზე, მსოფლიო ჩემპიონატებზე, რეგიონულ ან კონტინენტურ ჩემპიონატებზე და/ან სხვა საერთაშორისო ღონისძიებაზე მონაწილეობისა და დასწრების აკრძალვა კონკრეტული პერიოდის განმავლობაში:

ა) ხელმომწერი მხარის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და/ან ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი;

ბ) ამ ქვეყნის და/ან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის და/ან ეროვნული პარალიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები და/ან

¹¹⁷ [კომენტარი მუხლზე 24.1.12.6: საჯარო უწყებები არ არიან კოდექსის ხელმომწერები. იუნესკოს კონვენციის მე-11 გ მუხლის მიხედვით, წევრმა მთავრობებმა, სადაც საჭიროა, უნდა შეაჩერონ მთლიანი ან ნაწილობრივი დაფინანსება ან სპორტთან დაკავშირებული დახმარება ნებისმიერი სპორტული ორგანიზაციისა და ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის, რომელიც არ შეესაბამება კოდექსს.]

გ) სპორტსმენი და სპორტსმენის დამხმარე პერსონალი, რომელიც ასოცირებულია ამ ქვეყანასთან და/ან ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან და/ან ეროვნულ პარალიმპიურ კომიტეტთან და/ან ეროვნულ ფედერაციასთან.

24.1.12.9 როდესაც ხელმომწერი მხარე არის საერთაშორისო ფედერაცია, შემდეგი პირებისთვის მონაწილეობის ან დასწრების უფლების აკრძალვა ოლიმპიურ თამაშებსა და პარალიმპიურ თამაშებზე და/ან სხვა ღონისძიებებზე კონკრეტული პერიოდის განმავლობაში: საერთაშორისო ფედერაციების წარმომადგენლები და/ან სპორტსმენი და სპორტსმენის დამხმარე პირები, რომლებიც მონაწილეობენ ამ საერთაშორისო ფედერაციის სპორტში (ან სპორტის ერთ ან რამოდენიმე დისციპლინაში).

24.1.12.10 როდესაც ხელმომწერი მხარე არის მთავარი ღონისძიების ორგანიზატორი:

ა) სპეციალური მონიტორინგი ან მეთვალყურეობა ან მთავარი ღონისძიების ორგანიზატორის ანტიდოპინგური აქტივობების მთლიანად აღება ამ ღონისძიების შემდგომ ეტაპზე; და/ან:

ბ) დაფინანსების მიღების უფლების შეჩერება ან დაკარგვა, ასევე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგან, საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტისგან, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ასოციაციებისგან ან სხვა მმართველი ორგანოსგან სარგებლის, როგორცაა აღიარება, წევრობა და პატრონაჟი, შეჩერება ან დაკარგვა; და/ან

გ) ღონისძიებისთვის სტატუსის ჩამორთმევა, როგორც ოლიმპიური და პარალიმპიური თამაშებისთვის მაკვალიფიცირებული ღონისძიების.

24.1.12.11 ოლიმპიური მოძრაობის და/ან პარალიმპიური მოძრაობის წევრობის აღიარების შეჩერება.

24.1.13 სხვა შედეგები

მთავრობებს და ხელმომწერ მხარეებს და ხელმომწერი მხარეების ასოციაციებს შეუძლიათ დააწესონ დამატებითი შედეგები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ხელმომწერი მხარეების საქმიანობის შეუსაბამობისთვის, იმის გათვალისწინებით რომ ეს ხელს არ შეუშლის და აკრძალავს 24.1 მუხლით გათვალისწინებული შედეგების დადგომას.¹¹⁸

24.2 იუნესკოს კონვენციასთან შესაბამისობის მონიტორინგი

იუნესკოს კონვენციასთან შესაბამისობის მონიტორინგი მოხდება იუნესკოს კონვენციის მხარეთა კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად, მხარე ქვეყნებისა და მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოსთან კონსულტაციების შემდგომ. მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ უნდა მისცეს რჩევები მთავრობებს ხელმომწერი მხარეების მიერ კოდექსის იმპლემენტაციის თაობაზე და ხელმომწერ მხარეებს - მთავრობების მხრიდან იუნესკოს კონვენციის რატიფიცირების, მიღების, აღიარებისა და მიერთების თაობაზე.

¹¹⁸ კომენტარი მუხლზე 24.1.13 : მაგალითად, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შეიძლება გადაწყვიტოს საერთაშორისო ფედერაციას ან ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს დაუწესოს სიმბოლური ან სხვა შედეგები ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად, როგორცაა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომის ან ოლიმპიური კონგრესის ორგანიზების უფლებამოსილების მოხსნა; ხოლო საერთაშორისო ფედერაციამ შეიძლება გადაწყვიტოს გააუქმოს საერთაშორისო ღონისძიებები, რომლებიც დაგეგმილი უნდა ყოფილიყო შეუსაბამო ხელმომწერის ქვეყანაში, ან გადაიტანოს ეს ღონისძიებები სხვა ქვეყანაში.]

მუხლი 25 კოდექსის განახლება და კოდექსიდან გასვლა

25.1 განახლება

25.1.1 მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო პასუხისმგებელია კოდექსის ევოლუციასა და გაუმჯობესებაზე. სპორტსმენები და სხვა დაინტერესებული მხარეებსა და მთავრობებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში.

25.1.2 მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ უნდა მოახდინოს კოდექსში ცვლილებების შეტანის ინიცირება და უზრუნველყოს საკონსულტაციო პროცესის ჩამოყალიბება, რათა მიიღოს რეკომენდაციები და ასევე უპასუხოს გაცემულ რეკომენდაციებს და უზრუნველყოს სპორტსმენებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან უკუგება შესაძლო ცვლილებებზე.

25.1.3 კოდექსის ცვლილებები, შესაბამისი კონსულტაციების გავლის შემდგომ, მიღებული უნდა იყოს მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს დამფუძნებელი საბჭოს უმრავლესობის ორი მესამედით, მათ შორის ხმის მიმცემი საჯარო სექტორისა და ოლიმპიური მოძრაობის წევრების ორივე მხარის უმრავლესობით. ცვლილებები, თუ ეს სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, ძალაში უნდა შევიდეს ამ დამტკიცებიდან სამი თვის შემდგომ.

25.1.4 ხელმომწერმა მხარეებმა უნდა განახლონ თავიანთი წესები რათა მოახდინონ 2021 კოდექსის ცვლილებების გათვალისწინება 2021 წლის 1 იანვარს ან მანამდე, რათა მოხდეს წესების ძალაში შესვლა 2021 წლის 1 იანვრიდან. ხელმომწერმა მხარეებმა უნდა მოახდინონ კოდექსში თანმდევი ცვლილებების შეტანა, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს სადამფუძნებლო საბჭოს მიერ მათი დამტკიცების შემდგომ ერთი წლის განმავლობაში.¹¹⁹

25.2 კოდექსიდან გასვლა

ხელმომწერ მხარეებს შეუძლიათ გავიდნენ კოდექსიდან მას შემდეგ, რაც მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს ექვსი თვით ადრე წერილობით აცნობებენ ამ განზრახვის შესახებ.

მუხლი 26 კოდექსის ინტერპრეტაცია

¹¹⁹ [კომენტარი მუხლზე 25.1.3 და 25.1.4: მუხლი 25.1.3 მიხედვით, ახალი ან შეცვლილი ვალდებულებები, რომლებიც ეხება ხელმომწერ მხარეებს ძალაში შედის ავტომატურად მათი დამტკიცებიდან სამი თვის შემდეგ, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული. ამის საწინააღმდეგოდ, მუხლი 25.1.4 ეხება ახალ ან შეცვლილ ვალდებულებებს, რომელიც ეხება სპორტსმენებს და სხვა პირებს და რომელთა აღსრულებაც შესაძლებელია ამ ინდივიდუალური სპორტსმენის ან სხვა პირის მიმართ მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესაბამისი ცვლილებები განხორციელდება შესაბამისი ხელმომწერი მხარის ანტიდოპინგურ წესებში. (მაგალითად საერთაშორისო ფედერაცია). ამ მიზნით, მუხლი 25.1.4 ადგენს უფრო გახანგრძლივებულ პერიოდს თითოეული ხელმომწერისათვის, რათა მათ შეძლონ 2021 კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და გაატარონ ყველა ღონისძიება სპორტსმენებისა და სხვა პირებთან დაკავშირებულ წესებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.]

26.1 კოდექსის ოფიციალური ტექსტი შენარჩუნებული უნდა იყოს მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ და უნდა გამოქვეყნდეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ინგლისურ და ფრანგულ ვერსიებს შორის შეუსაბამობა, უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ვერსიას.

26.2 კომენტარები, რომლებიც ერთვის კოდექსის მუხლებს, გამოყენებული უნდა იქნეს კოდექსის ინტერპრეტაციისთვის.

26.3 კოდექსი უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც დამოუკიდებელი და ავტონომიური ტექსტი და არა როგორც მითითება მთავრობებისა და ხელმომწერი მხარეების მიერ მიღებულ კანონებსა და სტატუტებზე.

26.4 კოდექსის სხვადასხვა ნაწილებისა და მუხლების სათაურები მოცემულია მხოლოდ სიმარტივისთვის, არ უნდა განიხილებოდეს, როგორც კოდექსის არსებითი ნაწილი და არ უნდა ახდენდეს გავლენას იმ დებულებების შინაარზე, რომლებსაც ისინი ეხება.

26.5 იქ სადაც ტერმინი „დღეები“ არის ნახსენები ან საერთაშორისო სტანდარტი, იგულისხმება კალენდარულ დღეებს, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

26.6 კოდექს არ აქვს უკუძალა. იგი არ შეიძლება გამოყენებული იყოს ხელმომწერი მხარის მიერ მის მიღებამდე მომხმდარი საკითხების მიმართ. თუმცა, კოდექსის მიღებამდე ანტიდოპინგური წესების დარღვევები უნდა ჩაითვალოს „პირველ დარღვევად“ ან „მეორე დარღვევად“ რათა განისაზღვროს სანქციები კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად კოდექსის მიღების შემდგომ მომხდარ დარღვევებზე.

26.7 ანტიდოპინგური პროგრამისა და ანტიდოპინგური კოდექსის მიზანი, მოქმედების ფარგლები და მოწყობა, დანართი 1 დეფინიციები და დანართი 2 მუხლი 10-ის გამოყენების მაგალითები, უნდა ჩაითვალოს კოდექსის განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 27 გარდამავალი დებულებები

27.1 2021 კოდექსის კოდექსის ძალაში შესვლა

2021 წლის კოდექსი ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან (ეფექტური თარიღი)

27.2 კოდექსის უკუძალის არ ქონა მუხლების 10.9.4 და 17 გარდა , ან თუ არ მოქმედებს „ლექს მიტიორის“ პრინციპი

ანტიდოპინგური წესის დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა, რომელიც განხილვის პროცესშია ეფექტური თარიღის დღეს და ანტიდოპინგური წესის დარღვევა, რომელიც წარმოდგენილი იქნა ეფექტური თარიღის შემდგომ და ეფუძნება დარღვევას, რომელიც ჩადენილი იქნა ეფექტურ თარიღამდე, განხილული უნდა იყოს იმ ძირითადი ანტიდოპინგური წესების მიხედვით, რომელიც მოქმედებდა ანტიდოპინგური წესის დარღვევისას და არა 2021 კოდექსის ძირითადი წესების მიხედვით, გარდა იმ შემთხვევისა როცა მოსმენის ორგანო დაადგენს რომ „ლექს მიტიორის“ პრინციპის გამოყენება შეესაბამება საქმის გარემოებებს. ამ მიზნებისთვის, უკუძალის პერიოდებით, მოხდება ადრინდელი დარღვევები მხედველობაში მიღება და მათი განხილვა მრავალჯერად დარღვევებად მუხლის 10.9.4 შესაბამისად. ამ შემთხვევაში უკუძალა ასევე უნდა მიენიჭოს ხანდაზმულობის ვადებს, რომელიც დადგენილია მე-17 მუხლით და წარმოადგენს პროცედურულ წესს, და არა ძირითად წესს და 2021 კოდექსში გათვალისწინებული ყველა პროცედურულ წესს (იმის გათვალისწინებით, რომ მუხლი 17

ენიჭება უკუძალა მხოლოდ მაშინ თუ ხანდამულობით დადგენილი პერიოდი არ გასულა ეფექტურ თარიღის დადგომამდე).

27.3 2021 კოდექსის მიღებამდე მიღებული გადაწყვეტილებების გამოყენება

იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიც მიღებულ იქნა კოდექსის ძალაში შესვლამდე, მაგრამ სპორტსმენი ან სხვა პირი ჯერ კიდევ იხდის დისკვალიფიკაციის პერიოდს კოდექსის ძალაში შესვლის თარიღიდან, სპორტსმენს ან სხვა პირს შეუძლია მიმართოს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება, რომ შეამციროს დისკვალიფიკაციის პერიოდი 2021 კოდექსის შესაბამისად. ამ მუხლის გამოყენება შესაძლებელია მანამ, სანამ დისკვალიფიკაციის პერიოდი ამოიწურება. ანტიდოპინგური ორგანიზაციის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მუხლი 13.2 შესაბამისად. 2021 კოდექსის გამოყენება ვერ მოხდება ანტიდოპინგური წესების დარღვევის საქმეზე, სადაც მოხდა გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ადგენს ანდიტოპინგური წესების დარღვევას და დისკვალიფიკაციის პერიოდის ვადა არის გასული.

27.4 მრავალჯერადი დარღვევები, როდესაც პირველი დარღვევა მოხდა 2021 წლის 1 იანვრამდე

10.9.1 მუხლით დადგენილი მეორე დარღვევისთვის დისკვალიფიკაციის პერიოდის განსაზღვრის მიზნით, თუ პირველი დარღვევის სანქცია განისაზღვრა 2021 კოდექსამდე არსებული წესების საფუძველზე, დისკვალიფიკაციის პერიოდის განსაზღვრა პირველი დარღვევისთვის უნდა მოხდეს იმგვარად, თითქოს 2021 კოდექსის მუხლები მოქმედებდა.¹²⁰

27.5 კოდექსის დამატებითი ცვლილებები

კოდექსში შეტანილი ცვლილებები ძალაში შედის მუხლი 27.1 დადგენილი წესის შესაბამისად.

27.6 აკრძალულ სიაში შეტანილი ცვლილებები

აკრძალულ სიაში და ტექნიკურ დოკუმენტებში, რომელიც ეხება აკრძალული სიაში არსებულ ნივთიერებებს, შეტანილ ცვლილებებს არ აქვს უკუძალა. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულია, რომ ამ ცვლილებებს აქვთ უკუძალა. როგორც გამონაკლისი, როდესაც აკრძალული ნივთიერების ამოღება ხდება აკრძალული სიიდან, სპორტსმენი ან სხვა პირს, რომელიც დისკვალიფიკაცირებულია ამ აკრძალული ნივთიერების გამო, შეუძლია მიმართოს შედეგების მართვის უფლებამოსილების მქონე ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, განიხილოს სანქციის შემცირება იმის გამო, რომ მოხდა ამ ნივთიერების აკრძალული სიიდან ამოღება.

¹²⁰ [კომენტარი მუხლზე 27.4: გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც დადგენილია მუხლით 27.4, როდესაც ანტიდოპინგური წესების დარღვევის გადაწყვეტილება მიღებულია კოდექსის მიღებამდე ან 2021 კოდექსის ძალაში შესვლამდე და დისკვალიფიკაციის პერიოდი ბოლომდე იქნა მოხდილი, 2021 კოდექსი არ შეიძლება გამოყენებული იყოს დარღვევის გადასახედად.]

დანართი 1

განმარტებები ¹²¹

ადამსი: ანტიდოპინგის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სისტემა არის ვებზე დაფუძნებული მონაცემთა მართვის ინსტრუმენტი მონაცემთა შეყვანის, შენახვის, გაზიარებისა და ანგარიშგებისთვის, რათა დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებსა და მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს ანტიდოპინგური მოქმედებების განხორციელებაში მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან გამოყენებით.

ადმინისტრირება: სხვა პირის მიერ აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის მიწოდება, უზრუნველყოფა, ხელშეწყობა, ზედამხედველობა ან სხვაგვარი მონაწილეობა აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენებას ან გამოყენების

¹²¹ [კომენტარი განმარტებებზე: განმარტებული ტერმინები უნდა მოიცავდეს მათ მრავლობით და კუთვნილებით ფორმებს, ასევე ისეთ ტერმინებს, რომლებიც მეტყველების სხვა ნაწილებად გამოიყენება.]

მცდელობაში. თუმცა, ეს განმარტება არ უნდა შეეხოთ კეთილსინდისიერი სამედიცინო პერსონალის მოქმედებას, რომლებიც იყენებდნენ აკრძალულ ნივთიერებებს ან აკრძალულ მეთოდებს ნამდვილი და სამართლებრივი თერაპიული გამოყენების გამონაკლისის მიზნებისთვის, ან სხვა დასაშვები მიზნით და არ მოიცავს ქმედებებს, რომელიც ეხება აკრძალულ ნივთიერებებს, რომლებიც არ არის აკრძალული არასასაშეჯიბრო ტესტირებისას, მანამ სანამ გარემოებები მთლიანობაში არ მიუთითებს, რომ ამგვარი აკრძალული ნივთიერებების გამოყენება არ იყო ნამდვილი და სამართლიანი თერაპიული გამოყენების გამონაკლისისთვის ან განკუთვნილი იყო სპორტული შედეგების გასაუმჯობესებლად.

არასასურველი ანალიტიკური შედეგი: ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტთან და სათანადო ტექნიკურ დოკუმენტებთან შესაბამისობაში მყოფი, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ აკრედიტირებული ლაბორატორიის ან მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს აღიარებული სხვა ლაბორატორიის ანგარიში, სინჯში აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტების ან მარკერების დადგენის ან აკრძალული მეთოდის გამოყენების მტკიცებულების შესახებ.

პასპორტის უარყოფითი შედეგი: ანგარიში, რომელიც იდენტიფიცირებულია, როგორც პასპორტის არასასურველი შედეგი, აღწერილია შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებში.

დამამძიმებელი გარემოებები: გარემოებები, რომელიც მოიცავს ისეთ ქმედებებს სპორტსმენის ან სხვა პირის მხრიდან, რომელმაც შეიძლება დაასაბუთოს დისკვალიფიკაციის პერიოდის დაწესება იმაზე მეტი ხნით, ვიდრე ეს დადგენილია სტანდარტული საწყევით. ამგვარი გარემოებები და მოქმედებები უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით: სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ სხვადასხვა აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება, ან ფლობა; აკრძალული ნივთიერებების ან აკრძალული მეთოდების მრავალჯერ გამოყენება ან მრავალი ანტიდოპინგური წესის დარღვევა; ნორმალური ინდივიდი ისიამოვნებდა ანტიდოპინგური წესების დარღვევით მიღებული შედეგების გაუმჯობესების ეფექტით თუ არ იქნებოდა გამოყენებული დამატებითი დისკვალიფიკაციის პერიოდი; სპორტსმენი ან სხვა პირი მონაწილეობას იღებდა ობსტრუქციულ ქმედებაში, რათა ხელი შეეშალა ანტიდოპინგური წესების დადგენისთვის ან მისი განხილვისთვის; ან სპორტსმენი ან სხვა პირი ჩართული იყო შედეგების მართვის პროცესის ხელის შეშლაში ან მოსმენის ხელის შეშლაში. ვარაუდის გამოსარიცხად, ამგვარი გარემოებების მაგალითები, რომელიც აქ არის აღწერილი არ არის ექსკლუზიური და სხვა მსგავსი გარემოებებისა და ქმედებების დადგომამ, შეიძლება გაამართლოს უფრო გრძელვადიანი დისკვალიფიკაციის დაწესება.

ანტიდოპინგური საქმიანობა: ანტიდოპინგური განათლება და ინფორმაცია, ტესტირების განაწილების დაგეგმვა, რეგისტრირებული ტესტირების სიის შენახვა, სპორტსმენების ბიოლოგიური პასპორტის მართვა, ტესტირების განხორციელება, სინჯების ანალიზის ორგანიზება, ინფორმაციის მოგროვება და კვლევის წარმოება, თერაპიული გამოყენების გამონაკლისების განაცხადების განხილვა, შედეგების მართვა, მოსმენები, მონიტორინგი და კოდექსთან შესაბამისობა. შედეგების აღსრულება და სხვა აქტივობები, რომლებიც დაკავშირებულია ანტიდოპინგურ საქმიანობასთან და უნდა განხორციელდეს ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, როგორც ეს დადგენილია კოდექსით ან საერთაშორისო სტანდარტებით.

ანტიდოპინგური ორგანიზაცია: მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო ან ხელმძღვანელი მხარე, რომელიც პასუხისმგებელია ანტიდოპინგური წესების მიღებაზე, რათა უზრუნველყოს დოპინგ კონტროლის ნებისმიერი პროცესის ინიცირება, დაწესება და აღსრულება. ეს მაგალითად მოიცავს, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, საერთაშორისო პარალიმპიურ კომიტეტს, სხვა მთავარი ღონისძიების ორგანიზატორებს რომლებიც ახორციელებენ

ტესტირებას თავიანთ ღონისძიებებზე, ასევე საერთაშორისო ფედერაციებსა და ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს.

სპორტსმენი: ნებისმიერი პირი, რომელიც ასპარეზობს სპორტში საერთაშორისო დონეზე (როგორც ეს დადგენილია თითოეული საერთაშორისო ფედერაციის მიერ), ან ეროვნულ დონეზე (როგორც ეს დადგენილია თითოეული ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ). ანტიდოპინგურ ორგანიზაციას აქვს უფლებამოსილება, გამოიყენოს ანტიდოპინგური წესები სპორტსმენის მიმართ, რომელიც არ არის არც საერთაშორისო და არც ეროვნული დონის სპორტსმენი და იგი მოაქციოს „სპორტსმენის“ განმარტების ქვეშ. იმ სპორტსმენებთან მიმართებით, რომლებიც არ არიან არც საერთაშორისო არც ეროვნული დონის სპორტსმენები, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია აირჩიოს: ტესტირება ან ტესტირებისგან სრულიად გათავისუფლება: სინჯების ანალიზი აკრძალული ნივთიერებების არასრულ ჩამონათვალზე, ადგილსამყოფელის შესახებ შეზღუდული ინფორმაციის მოთხოვნა ან ამ ინფორმაციის მოთხოვნისგან გათავისუფლება, თერაპიული გამოყენების გამონაკლისის წინასწარ მოპოვების მოთხოვნისგან გათავისუფლება. თუმცა, თუ, რომელიმე სპორტსმენმა, რომლის მიმართაც ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა ტესტირების ჩატარება და რომელიც მონაწილეობს საერთაშორისო ან ეროვნული დონის შეჯიბრების ქვედა დონეზე, ჩაიდინა 2.1, 2.3 ან 2.5 მუხლებით გათვალისწინებული ანტიდოპინგური წესების დარღვევა, მაშინ გამოყენებული უნდა იყოს ის შედეგები, რაც კოდექსის მიხედვით არის დადგენილი. მუხლი 2.8 და 2.9 და ანტიდოპინგური ინფორმაციისა და განათლების მიზნებიდან გამომდინარე, ნებისმიერი პირი, რომელიც მონაწილეობს სპორტში კოდექსის მიმღები ხელმომწერი მხარის, მთავრობის ან სხვა სპორტული ორგანიზაციის უფლებამოსილების ფარგლებში ითვლება სპორტსმენად.¹²²

სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტი: მონაცემების შეგროვების პროგრამა და მეთოდი, ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტისა და ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

სპორტსმენის დამხმარე პერსონალი: მწვრთნელი, ინსტრუქტორი, მენეჯერი, აგენტი, გუნდის თანამშრომელი, ოფიციალური პირი, სამედიცინო/პარასამედიცინო პერსონალი, მშობელი ან სხვა პირი, რომელიც მუშაობს, მკურნალობს ან ეხმარება სპორტსმენს სპორტულ შეჯიბრში მონაწილეობასა და მომზადებაში.

მცდელობა: განზრახ მონაწილეობა ისეთ ქმედებაში, რომელიც გულისხმობს მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას და ითვალისწინებს ანტიდოპინგური წესების დარღვევით დასრულებას. მცდელობაზე დაფუძნებული ანტიდოპინგური წესების დარღვევას ადგილი არ ექნება, თუ პირი უარს იტყვის მცდელობაზე, მანამ სანამ მას აღმოაჩენს მესამე პირი, რომელიც არ არის ჩართული მცდელობაში.

ატიპური შედეგი: მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ აკრედიტირებული ან აღიარებული ლაბორატორიის დასკვნა, რომელიც საჭიროებს დამატებით კვლევას,

¹²² კომენტარი სპორტსმენზე: ინდივიდები, რომლებიც მონაწილეობენ სპორტში შეიძლება მიეკუთვნებოდნენ შემდეგი ხუთი კატეგორიიდან ერთ-ერთს: 1) საერთაშორისო დონის სპორტსმენები; 2) ეროვნული დონის სპორტსმენები; 3) ინდივიდები, რომლებიც არ არიან არც ეროვნული და არც საერთაშორისო დონის სპორტსმენები, მაგრამ ვის მიმართაც საერთაშორისო ფედერაციას ან ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ადებული აქვთ უფლებამოსილება; 4) რეკრეაციული სპორტსმენები; და 5) ინდივიდები, რომელთა მიმართ არც ერთმა საერთაშორისო ფედერაციამ ან ეროვნულმა ორგანიზაციამ არ აიღო უფლებამოსილების გამოყენების უფლება. ყველა საერთაშორისო ან ეროვნული დონის სპორტსმენი ექვემდებარება კოდექსის ანტიდოპინგურ წესებს, საერთაშორისო ფედერაციებისა და ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციების წესებში ზუსტად უნდა იყოს მოცემული საერთაშორისო და ეროვნული დონის სპორტსმენის განმარტება.]

ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტის ან სათანადო ტექნიკური დოკუმენტების შესაბამისად მანამ, სანამ დადგინდება არასასურველი ანალიტიკური შედეგი.

სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტის ატიპური შედეგი: დასკვნა, რომელიც განმარტებულია შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებით.

CAS - საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟი

კოდექსი: მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი

შეჯიბრი: ერთეული რეისი (გარბენი, გაცურვა), მატჩი, თამაში, ან ცალკეული სპორტული ასპარეზობა. მაგალითად, საკალათბურთო მატჩი, ან მძლეოსნობაში 100 მეტრზე ოლიმპიური სპრინტის ფინალი. მრავალეტაპიანი რბოლებისთვის და სხვა სპორტული ასპარეზობისთვის, სადაც ჯილდოების მინიჭება ხდება ყოველდღიურად, ან სხვა ინტერვალით. განსხვავება სპორტულ შეჯიბრსა და ღონისძიებას შორის დგინდება შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით.

ანტიდოპინგური წესების დარღვევის შედეგები (შედეგები): სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევას შეიძლება მოყვეს ერთი ან მეტი შედეგი: ა) შეჩერება, რაც გულისხმობს სპორტსმენის მიერ კონკრეტული შეჯიბრის ან ღონისძიების დროს მიღებული შედეგების გაუქმებას, ყველა სხვა შედეგთან ერთად, როგორცაა მედლის, ქულებისა და პრიზების ჩამორთმევა; ბ) დისკვალიფიკაცია, რაც გულისხმობს სპორტსმენის ან სხვა პირის კონკრეტული პერიოდით შეჯიბრისგან ან სხვა აქტივობიდან ჩამოშორებას და დაფინანსების აკრძალვას ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამო; გ) დროებითი დისკვალიფიკაცია გულისხმობს რომ სპორტსმენს ან სხვა პირს ეკრძალება დროებით მონაწილეობა ღონისძიებებში ან ნებისმიერ აქტივობებში მანამ სანამ მოსმენის ორგანო არ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მე-8 მუხლის მიხედვით; დ) ფინანსური შედეგები გულისხმობს ფინანსური სანქციების დაწესებას ანტიდოპინგური წესების დარღვევისთვის ან ხარჯების ანაზღაურებას, რაც განპირობებულია ანტიდოპინგური წესების დარღვევით; და ე) გასაჯაროება, რაც გულისხმობს ინფორმაციის გავრცელებას ან მიწოდებას საზოგადოებისთვის ან იმ პირებისთვის, რომლებიც მუხლი 14-ის შესაბამისად, უფლებამოსილნი არიან მიიღონ ინფორმაცია სხვა პირებზე ადრე. გუნდებს გუნდურ სპორტის სახეობებში ასევე შეიძლება დაეკისროთ სანქციები მე-11 მუხლის შესაბამისად.

დაბინძურებული პროდუქტი: პროდუქტი რომელიც შეიცავს აკრძალულ ნივთიერებას, თუმცა ეს ინფორმაცია არ არის მითითებული ეტიკეტზე და არ დგინდება ინტერნეტში გონივრული ძიების საფუძველზე.

გადაწყვეტილების ზღვრული ოდენობა: სინჯში ნივთიერების ზღვრული ოდენობა, რომლის ზემოთაც დგინდება არასასურველი ანალიტიკური შედეგი და განისაზღვრება ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

დელეგირებული მესამე მხარე: ნებისმიერი პირი, ვისაც ანტიდოპინგური ორგანიზაცია გადასცემს დოპინგ კონტროლის ან ანტიდოპინგური განათლების პროგრამის ნებისმიერი ასპექტის დელეგირებას, მათ შორის, მესამე მხარეები ან სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ სინჯის აღებას ან სხვა დოპინგ კონტროლის მომსახურებას, ან ანტიდოპინგური განათლების პროგრამას ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის, ან ინდივიდები, რომლებიც მოქმედებენ ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე და ახორციელებენ დოპინგ კონტროლის მომსახურებას ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის (მაგალითად, არამუდმივად დასაქმებული დოპინგ კონტროლის ოფიცრები ან ჩაპერონები). ეს განმარტება არ გულისხმობს CAS-ს.

დისკვალიფიკაცია: იხილეთ ზემოთ, ანტიდოპინგური წესების დარღვევის შედეგები.

დოპინგ კონტროლი: ტესტის ჩატარების დაგეგმვიდან, ნებისმიერი აპელაციის საბოლოო გადაწყვეტილებისა და შედეგების დაწესებამდე, მათ შორის: ტესტირება, გამოძიებები,

ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია, თერაპიული გამოყენების გამონაკლისები, სინჯის აღება და მართვა, ლაბორატორიული ანალიზები, შედეგების მართვა, მოსმენები და გასაჩივრებები, ასევე გამოძიებები და საქმის წარმოება, რომელიც დაკავშირებულია მე-10.14 მუხლთან (დისკვალიფიკაციის პერიოდში სტატუსი და დროებითი დისკვალიფიკაცია.)

განათლება: სწავლის პროცესი, რომელიც გულისხმობს ისეთი ღირებულებების და ქცევის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს და იცავს სპორტულ სულისკვეთებას და ხელს უშლის განზრახ თუ უნებლიედ, დოპინგის გამოყენებას.

ლონისძიება: ინდივიდუალური შეჯიბრის სერიები, რომლებიც ტარდება ერთდროულად ერთი მმართველი ორგანოს მიერ (მაგალითად, ოლიმპიური თამაშები, საერთაშორისო ფედერაციების სპორტული ჩემპიონატები, პანამერიკული თამაშები.)

ლონისძიების პერიოდი: ლონისძიების დაწყებისა და დასასრულს შორის არსებულ პერიოდი, რომელიც დგინდება ლონისძიების ორგანიზატორის მიერ.

ლონისძიების ადგილმდებარეობა: ლონისძიების ორგანიზატორის მიერ დადგენილი ადგილი.

ბრალი: არის ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა ან მოცემული სიტუაციისთვის შესაბამისი სიფრთხილის დაუცველობა. სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალის ხარისხის შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები: სპორტსმენის ან სხვა პირის გამოცდილება, ხომ არ არის სპორტსმენი ან სხვა პირი არასრულწლოვანი, განსაკუთრებული გარემოებები, როგორცაა უნარშეზღუდულობა, სპორტსმენის პერპექტივიდან აღქმული რისკის ხარისხი და ამ რისკის ხარისხის შესაბამისად სპორტსმენის მიერ მიღებული სიფრთხილის ზომების და გამოძიების ხარისხი. სპორტსმენის ან სხვა პირის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ ის გარემოებები, რომლებიც კონკრეტულად და ნათლად ხსნიან სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ქცევის მოსალონდელი სტანდარტიდან გადახვევას. მაგალითად, ის ფაქტი, რომ სპორტსმენი დაკარგავდა დიდი რაოდენობით განხის გამომუშავების შესაზღვრულობას დისკვალიფიკაციის პერიოდში, ან ის ფაქტი, რომ სპორტსმენს მხოლოდ მცირე დრო აქვს დარჩენილი კარიერის დასრულებამდე, ან კონკრეტული პერიოდი სპორტული შეჯიბრის კალნდარში, არ მიიჩნევა გარემოებებად, რომელთა გათვალისწინება უნდა მოხდეს 10.1 ან 10.6.2 მუხლებით დისკვალიფიკაციის პერიოდის შესამცირებლად.¹²³

ფინანსური შედეგები: იხილეთ ზემოთ, ანტიდოპინგური წესების დარღვევის შედეგები.

საშეჯიბრო: პერიოდი, რომელიც იწყება 11.59 წუთზე იმ შეჯიბრის დაწყების წინა დღიდან, რომელშიც სპორტსმენმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, გრძელდება შეჯიბრისა და სინჯის აღების პროცესის დასრულებამდე, რომელიც დაკავშირებულია ამ შეჯიბრთან. თუმცა, მსოფლიო ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, ცალკეული სპორტისთვის, შეიძლება დადგინოს სხვაგვარი განმარტება თუ საერთაშორისო ფედერაცია წარმოადგენს მყარ დასაბუთებას, რატომ არის სხვაგვარი განმარტება აუცილებელი მისი სპორტისათვის; მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ ამგვარი განსაზღვრების დამტკიცების შემთხვევაში, ალტერნატიული განსაზღვრებას უნდა დაემორჩილოს ყველა მთავარი ლონისძიების ორგანიზატორი იმ კონკრეტულ სპორტის სახეობაში.¹²⁴

¹²³ [კომენტარი ბრალზე: სპორტსმენის ბრალეულობის ხარისხის შესაფასებელი კრიტერიუმები საერთოა ყველა მუხლისათვის, რომელიც ბრალეულობას ეხება. თუმცა, მუხლი 10.5.2 შემთხვევაში, სანქციის შემცირება არ მოხდება, თუ ბრალის ხარისხის შეფასებისას არ დადგინდა, რომ სპორტსმენის ან სხვა პირის მხრიდან ადგილი ჰქონდა მხოლოდ უმნიშვნელო ბრალს ან უმნიშვნელო დაუდევრობას.]

¹²⁴ [კომენტარი საშეჯიბროზე: უნივერსალური განმარტება იძლევა უფრო მეტ ჰარმონიზაციას სხვადასხვა სპორტული სახეობების სპორტსმენებს შორის, ხსნის და ამცირებს დაბნეულობას სპორტსმენებს შორის საშეჯიბრო პერიოდში ტესტირებასთან მიმართებით, იცოლებს უნებლიე

დამოუკიდებელი დამკვირვებლის პროგრამა: დამკვირვებლებისა და აუდიტორების გუნდი, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მეთვალყურეობის ქვეშ, რომლებიც აკვირდებიან და იძლევიან მითითებებს დოპინგ კონტროლის პროცესთან დაკავშირებით კონკრეტული ღონისძიებების დაწყებამდე და აკეთებენ ანგარიშს თავიანთი დაკვირვების შესახებ, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს შესაბამისობის მონიტორინგის პროგრამის ნაწილს.

ინდივიდუალური სპორტი: ნებისმიერი სპორტი, რომელიც არ არის გუნდური სპორტი.

დისკვალიფიკაცია: იხილეთ ზემოთ, ანტიდოპინგური წესების დარღვევა.

ინსტიტუციური დამოუკიდებლობა: სააპელაციო მოსმენის პანელები ინსტიტუციონალურად დამოუკიდებელი უნდა იყოს ანტიდოპინგური ორგანიზაციისგან, რომელიც პასუხისმგებელია შედეგების მართვაზე. შესაბამისად, ისინი არანაირად არ უნდა იმართოს ან დაექვემდებაროს ანტიდოპინგური ორგანიზაციას, რომელიც პასუხისმგებელია შედეგების მართვაზე.

საერთაშორისო ღონისძიება: ღონისძიება ან შეჯიბრი, სადაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო ფედერაცია, მთავარი ღონისძიების ორგანიზატორი ან სხვა საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია არის ღონისძიების ორგანიზატორი ან ნიშნავს ტექნიკურ ოფიცრებს ამ ღონისძიებისთვის.

საერთაშორისო დონის სპორტსმენი: სპორტსმენები, რომლებიც მონაწილეობენ სპორტში საერთაშორისო დონეზე, როგორც ეს განმარტებულია თითოეული საერთაშორისო ფედერაციის მიერ, ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.¹²⁵

საერთაშორისო სტანდარტი: მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ მიღებული სტანდარტი კოდექსის განსახორციელებლად. შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან (სხვა ალტერნატიული სტადარტის, პრაქტიკისა თუ პროცედურისგან განსხვავებით) საკმარის პირობას წარმოადგენს იმაში დასარწმუნებლად, რომ საერთაშორისო სანტარტით გათვალისწინებული პროცედურები სწორად სრულდება. საერთაშორისო სტანდარტები უნდა მოიცავდეს ყველა ტექნიკურ დოკუმენტს, რომლებიც გამოიცა საერთაშორისო სტანდარტთან კავშირში.

მთავარი ღონისძიების ორგანიზატორი: ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების და სხვა საერთაშორისო მრავალმხრივი სპორტული ორგანიზაციების კონტინენტური გაერთიანებები, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც მმართველი ორგანოები კონტინენტური, რეგიონული თუ სხვა საერთაშორისო ღონისძიებისთვის.

მარკერი: შენაერთი ან შენაერთთა ჯგუფი ან ბიოლოგიური ცვლად(ებ)ი, რომლებიც მიუთითებენ აკრძალული ნივთიერებებისა და მეთოდების გამოყენებაზე.

უარყოფითი ანალიტიკურ შედეგებს შეჯიბრებებს შორის ღონისძიების განმავლობაში და ეხმარება პოტენციური შედეგების გაუმჯობესების პრევენციას იმ ნივთიერებებისგან, რომლებიც აკრძალულია არასასაშეჯიბრო პერიოდში, თუმცა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს საშეჯიბრო პერიოდში.]

¹²⁵ [კომენტარი საერთაშორისო დონის სპორტსმენზე: ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, საერთაშორისო ფედერაციას უფლება აქვს თვითონ განსაზღვროს ის კრიტერიუმები, რომლითაც ადგენს სპორტსმენთა კატეგორიზაციას, როგორც საერთაშორისო დონის სპორტსმენებს. მაგალითად, რანგირება, კონკრეტულ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა, ლიცენზიის ტიპი და ასე შემდეგ. თუმცა, მან ეს კრიტერიუმები უნდა გამოაქვეყნოს ნათელი და ზუსტი ფორმით, ისე რომ სპორტსმენებმა შეძლონ სწრაფად და იოლად გაიგონ, ჩაითვლებიან თუ არა ისინი საერთაშორისო დონის სპორტსმენებად. მაგალითად, თუ კრიტერიუმი გულისხმობს კონკრეტულ საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობას, მაშინ საერთაშორისო ფედერაციამ უნდა გამოაქვეყნოს ამგვარი ღონისძიებების სრული სია.]

მეტაბოლიტი: ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც წარმოიშობა ბიოტრანსფორმაციის შედეგად.

ანგარიშგების მინიმალური დონე: სინჯში აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტების ან მარკერების შესაძლო ოდენობა, რომლის ქვემოთაც მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ აკრედიტირებულ ლაბორატორიებს არ შეუძლიათ სინჯში უარყოფითი ანალიტიკური შედეგის დადგენა.

მცირეწლოვანი: პირი, რომელსაც არ მიუღწევია თვრამეტი წლის ასაკამდე.

ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციები: ორგანიზაცია (ები) რომელსაც მინიჭებული აქვთ ძირითადი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, რომ გაატარონ ანტიდოპინგური წესები, გაუძღვნენ სინჯის აღების პროცედურებს, მოახდინონ ტესტირების შედეგების მართვა და ჩაატარონ მოსმენები ეროვნულ დონეზე. თუ უფლებამოსილების მინიჭება არ მოხდა კომპეტენტური საჯარო ორგანო (ები)ის მიერ, მაშინ ასეთ ორგანოდ ჩაითვლება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ან მის მიერ განსაზღვრული პირი.

ეროვნული დონისძიება: დონისძიება ან შეჯიბრი, რომელშიც მონაწილეობენ საერთაშორისო ან ეროვნული დონის სპორტსმენები და რომელიც არ არის საერთაშორისო დონის შეჯიბრი.

ეროვნული დონის სპორტსმენი: სპორტსმენი, რომელიც ასპარეზობს ეროვნულ დონეზე, როგორც ეს განსაზღვრულია ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი: ორგანიზაცია, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ. ტერმინი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ასევე შეიძლება მოიცავდეს ეროვნულ სპორტულ კონფედერაციას იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნული სპორტული კონფედერაცია ასრულებს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ფუნქციებს ანტიდოპინგურ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ბრალის ან დაუდევრობის არ არსებობა: სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ იმ ფაქტის დამტკიცება, რომ მან არ იცოდა, არ ეჭვობდა და გონივრული სიფრთხილის ზომების გამოყენებითაც ვერ გაიგო, რომ გამოიყენა ან შეუყვანეს აკრძალული ნივთიერება ან აკრძალული მეთოდი, ან რომ სხვაგვარად დაარღვია ანტიდოპინგური წესი. ამასთან ერთად, თუ სპორტსმენი არ არის დაცული პირი ან რეკრეაციული სპორტსმენი, 2.1 მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი ანტიდოპინგური წესის დარღვევისას, მან უნდა ახსნას თუ როგორ მოხვდა აკრძალული ნივთიერება მის ორგანიზმში.

უმნიშვნელო ბრალი ან უმნიშვნელო დაუდევრობა: სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ იმ ფაქტის დამტკიცება, რომ გარემოებების ერთიანობაში განხილვის ფონზე და ბრალისა ან დაუდევრობის არარსებობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, ბრალისა და დაუდევრობის დონე არ იყო მნიშვნელოვანი ამ ანტიდოპინგური წესის დარღვევასთან მიმართებით. ამასთან თუ სპორტსმენი არ არის დაცული პირი ან რეკრეაციული სპორტსმენი, 2.1 მუხლით გათვალისწინებული ანტიდოპინგური წესის დარღვევისას, მან უნდა ახსნას, თუ როგორ მოხვდა აკრძალული ნივთიერება მის ორგანიზმში.

ოპერაციული დამოუკიდებლობა: ეს ნიშნავს, რომ 1) ანტიდოპინგური ორგანიზაციის საბჭოს წევრები, თანამშრომლები, კომისიის წევრები, კონსულტანტები და ოფიციალური პირები, რომელსაც აქვს შედეგების მართვის უფლებამოსილება ან მასთან აფილირებული პირები (მაგალითად, ფედერაციის ან კონფედერაციის წევრები), ასევე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ჩართულია გამოძიებასა და საკითხის წინასწარ შეფასებაში, არ შეიძლება დაინიშნონ იმ მოსმენის პანელის წევრებად და/ან კლერკებად (რამდენადაც ასეთი კლერკი მონაწილეობს განხილვის პროცესში ან / და ნებისმიერი გადაწყვეტილების შემუშავებაში) რომელ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასაც გააჩნია შედეგების მართვის უფლებამოსილება და 2) მოსმენის პანელის უნდა ჰქონდეთ უფლება ჩაატარონ მოსმენა და გადაწყვეტილების მიღების

პროცესი ანტიდოპინგური ორგანიზაციის ან ნებისმიერი მესამე მხარის ჩარევის გარეშე. ამის მიზანია, უზრუნველყოს რომ მოსმენის პანელი ან მოსმენის პანელის გადაწყვეტილებაში სხვაგვარად ჩართული ინდივიდები, არ იყვნენ გამოძიებაში ჩართულები ან საქმის წარმოების გაგრძელების გადაწყვეტილებაში.

არასაშეჯიბრო: ნებისმიერი პერიოდი, რომელიც არ არის საშეჯიბრო.

მონაწილე: ნებისმიერი სპორტსმენი ან სპორტსმენის დამხმარე პერსონალი

პირი: ფიზიკური პირი ან ორგანიზაცია ან სხვა ორგანო

ფლობა: ნამდვილი, ფიზიკური ფლობა ან შემდგომი ფლობა (რომელიც უნდა დადგინდეს მხოლოდ მაშინ თუ პირს აქვს ექსკლუზიური კონტროლი ან განზრახული აქვს რომ ჰქონდეს კონტროლი აკრძალულ ნივთიერებაზე ან აკრძალულ მეთოდზე, ან აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის ადგილსამყოფელზე); თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ თუ პირს არ აქვს აკრძალულ ნივთიერებაზე ან აკრძალულ მეთოდზე ექსკლუზიური კონტროლი ან იმ ადგილსამყოფელზე, სადაც არის აკრძალული ნივთიერება ან აკრძალული მეთოდი, შემდგომი მფლობელობა მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგინდეს, თუ პირმა იცოდა აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის არსებობის შესახებ და განზრახული ჰქონდა მასზე კონტროლის აღება. თუმცა, ანტიდოპინგური წესების დარღვევა ვერ დადგინდება მხოლოდ ფლობით, თუ შეტყობინების მიღებამდე, რომ ნებისმიერმა პირმა ჩაიდინა ანტიდოპინგური წესის დარღვევა, პირმა განახორციელა კონკრეტული მოქმედებები, რომელიც ადასტურებს, რომ მას არასდროს ჰქონია ფლობის განზრახვა და უარი თქვა ფლობაზე ანტიდოპინგური ორგანიზაციისთვის შეტყობინების გზით. ამ განსაზღვრებაში მოყვანილი ნებისმიერი პირობის მიუხედავად, აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის შესყიდვა (მათ შორის ელექტრონული ან სხვა საშუალებით) ჩაითვლება ფლობად იმ პირის მიერ, ვინც მოახდინა შესყიდვა.¹²⁶

აკრძალული სია: სია, რომელიც ადგენს აკრძალულ ნივთიერებებსა და აკრძალულ მეთოდებს
აკრძალული მეთოდები: მეთოდები, რომლებიც აღწერილია აკრძალულ სიაში

აკრძალული ნივთიერებები: ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთიერებათა კლასი, რომელიც ამგვარად არის აღწერილი აკრძალულ სიაში

დაცული პირი: სპორტსმენი ან სხვა ფიზიკური პირი, რომელიც ანტიდოპინგური წესების დარღვევისას: 1. არ იყო თექვსმეტი წლის; 2. არ იყო თვრამეტი წლის და არ შედის არც ერთ რეგისტრირებულ ტესტირების სიაში და არასოდეს მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებაში ღია კატეგორიით; ან 3. ასაკისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, პირი რომელსაც დაუდგინდა შეზღუდული სამართლებრივი ქმედუნარიანობა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით.¹²⁷

¹²⁶ [კომენტარი ფლობაზე: ამ განსაზღვრების თანახმად, სპორტსმენის მანქანაში ნაპოვნი ანაბოლური სტეროიდები ჩაითვლება ანტიდოპინგური წესების დარღვევად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სპორტსმენი დაამტკიცებს, რომ სხვამ ისარგებლა მისი მანქანით; ასეთ შემთხვევაში, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დაამტკიცოს, რომ მართალია, სპორტსმენს არ გააჩნდა ექსკლუზიური კონტროლი მანქანაზე, მაგრამ მან იცოდა სტეროიდების შესახებ და განზრახული ჰქონდა მათზე კონტროლის მოპოვება. ანალოგიურად, თუ სტეროიდები აღმოჩნდა საოჯახო აფთიაქში, რომელიც იმყოფება სპორტსმენისა და მისი მეუღლის ერთობლივი კონტროლის ქვეშ, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დაატკიცოს, რომ სპორტსმენმა იცოდა აფთიაქში სტეროიდების არსებობის შესახებ და განზრახული ჰქონდა მათზე კონტროლი მოეპოვებინა. აკრძალული ნივთიერების შემენის ფაქტი თავისთავად ითვლება ფლობად, თუნდაც, მაგალითად იმ შემთხვევაში, თუ შენაძენი არ ჩამოვა, გათვალისწინებული იყო სხვისთვის ან გაიგზავნა მესამე მხარის მისამართზე.]

¹²⁷ [კომენტარი დაცულ პირზე: კოდექსი ექცევა დაცულ პირებს განსხვავებულად ცალკეულ გარემოებებში იმაზე დაყრდნობით, რომ გარკვეული ასაკისა და ინტელექტუალური უნარების ქვემოთ,

წინასწარი მოსმენა: მუხლი 7.4.3 მიზნებიდან გამომდინარე, დაჩქარებული მოსმენა, რომელიც ტარდება მე-8 მუხლით დადგენილ მოსმენამდე, რაც აძლევს სპორტსმენს უფლებას, რომელსაც გადაეცა შეტყობინება, მოუსმინონ წერილობითი ან ზეპირი ფორმით. ¹²⁸

დროებითი დისკვალიფიკაცია: იხილეთ ზემოთ შედეგები ანტიდოპინგური წესების დარღვევისთვის.

საჯაროდ გამოქვეყნება: იხილეთ ზემოთ, შედეგები ანტიდოპინგური წესების დარღვევისთვის.

რეკრეაციული სპორტსმენი: ფიზიკური პირი, რომელიც ამგვარად არის განმარტებული ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, იმის გათვალისწინებით, რომ ის არ მოიცავს პირს, რომელმაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩაიდინა ანტიდოპინგური წესების დარღვევა როგორც საერთაშორისო ან ეროვნული დონის სპორტსმენმა (როგორც ეს განმარტებულია საერთაშორისო ფედერაციის მიერ ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით) ან ეროვნული დონის სპორტსმენი (როგორც ეს განმარტებულია ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად), რომელმაც წარმოადგინა ნებისმიერი ქვეყანა საერთაშორისო დონის დიეზელზე ღია კატეგორიაში ან შეყვანილი იყო რეგისტრირებული ტესტირების სიაში, ან რომლის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია შენახული იყო საერთაშორისო ფედერაციაში ან ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციაში. ¹²⁹

რეგიონული ანტიდოპინგური ორგანიზაცია: რეგიონული ორგანო, რომელსაც მინიჭებული აქვს წევრი ქვეყნების მიერ უფლებამოსილება, მოახდინოს კოორდინირება და მართოს ეროვნული ანტიდოპინგური პროგრამებიდან დელეგირებული სფეროები, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ანტიდოპინგური წესების მიღებას და დანერგვას, სინჯების დაგეგმვასა და შეგროვებას, შედეგების მართვას და თერაპიული გამონაკლისის განაცხადების განხილვას, მოსმენების ჩატარებას და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას რეგიონულ დონეზე.

რეგისტრირებული ტესტირების სია: ყველაზე მაღალი პრიორიტეტის მქონე სპორტსმენების სია, რომელიც დადგენილია საერთაშორისო დონეზე საერთაშორისო ფედერაციების მიერ და ეროვნულ დონეზე ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ, რომლებზედაც ტარდება საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირება საერთაშორისო ფედერაციის ან ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის ტესტირების გეგმის მიხედვით. ასეთი სპორტსმენები შესაბამისად ვალდებული არიან წარმოადგინონ ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია როგორც ეს გათვალისწინებულია მუხლში 5.5 და ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტებში.

შედეგების მართვა: პროცესი რომელიც მოიცავს დროის პერიოდს მას შემდეგ რაც გაიგზავნება შეტყობინება შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტის მუხლი 5-ის მიხედვით, ან

სპორტსმენს ან სხვა პირს არ შეიძლება გააჩნდეს მენტალური უნარი გაიგოს და პატივი სცეს აკრძალვებს რომლებიც დადგენილია კოდექსით. ეს მაგალითად მოიცავს, პარალიმპიურ სპორტსმენს, რომელსაც დადასტურებულად აქვს შეზღუდული შემდუნარიანობა გონებრივი ტრამვის გამო. ტერმინი „ღია კატეგორია“ გულისხმობს იმას, რომ გამოირიცხოს შეჯიბრებები, რომლებიც შეზღუდულია უმცროსი ან სხვა ასაკობრივი კატეგორიებით.]

¹²⁸ [კომენტარი წინასწარ მოსმენაზე: წინასწარი მოსმენა არის მხოლოდ წინარე საქმისწარმოება, რომელიც არ მოიცავს საქმის მასალების სრულ განხილვას. წინასწარი განხილვის შემდგომ, სპორტსმენს აქვს უფლება მოითხოვოს სრული მოსმენა საქმიდან გამომდინარე. დაჩქარებული მოსმენა, რომელიც გამოყენებულია მუხლში 7.4.3 არის სრული მოსმენა რომელიც ტარდება დაჩქარებული წესით.]

¹²⁹ [კომენტარი რეკრეაციულ სპორტსმენზე: ტერმინი „ღია კატეგორია“ გულისხმობს იმ შეჯიბრებების გამორიცხვას, რომელშიც მონაწილეობენ ახალგაზრდები ან სხვა ასაკობრივი ჯგუფები.]

ცალკეულ შემთხვევებში (მაგალითად ატიპური შედეგის, სპორტსმენის ბიოლოგიური პასპორტის, ადგილსამყოფელის ინფორმაციის მიუწოდებლობისას), შეტყობინების წინა ნაბიჯები, რომელიც მოცემულია შედეგების მართვის საერთაშორისო სტანდარტის მე-5 მუხლში, საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, რაც ასევე მოიცავს მოსმენის პროცესს პირველ ინსტანციაში და გასაჩივრებას (თუ გადაწყვეტილება გასაჩივრდა.)

სინჯი ან ნიმუში: ნებისმიერი ბიოლოგიური მასალა რომლის აღებაც ხდება დოპინგ კონტროლის მიზნებისთვის.¹³⁰

ხელმოწერი მხარეები: ის ორგანიზაციები, რომლებიც აღიარებენ კოდექსს და მის იმპლემენტაციას, მუხლი 23-ის შესაბამისად.

განსაზღვრული მეთოდი: იხილეთ მუხლი 4.2.2

განსაზღვრული ნივთიერება: იხილეთ მუხლი 4.2.2

მკაცრი პასუხისმგებლობა: წესი, რომელიც ადგენს რომ მუხლების 2.1. და 2.2 შემთხვევაში, არ არის აუცილებელი რომ განზრახვა, ბრალი, დაუდებრობა ან შეუგნებლად გამოყენება სპორტსმენის მხრიდან დამტკიცდეს ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, იმისთვის, რომ დადგინდეს ანტიდოპინგური წესების დარღვევა.

ნივთიერების ბოროტად გამოყენება: იხილეთ მუხლი 4.2.3

ქმედითი დახმარების გაწევა: მუხლი 10.7.1 მიზნებისთვის, პირმა რომელმაც გაწია ქმედითი დახმარება უნდა: 1) აღიაროს წერილობითი ფორმით ან ჩაწერილი ინტერვიუს მეშვეობით სრული ინფორმაცია რაც მას გააჩნია ანტიდოპინგური წესების დარღვევის ან სხვა შემთხვევების შესახებ რომელიც აღწერილია მუხლში 10.7.1.1 და 2) სრულიად ითანამშრომლოს გამოძიებასთან და საქმის განმხვილველ ორგანოსთან, მათ შორის, წარმოადგინოს ჩვენება მოსმენის დროს, თუ ამას მოითხოვს ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია ან მოსმენის პანელი. გარდა ამისა, მოწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს სანდო და წარმოადგენდეს აღძრული საქმის მნიშვნელოვან ნაწილს, ან იმ შემთხვევაში თუ საქმე არ აღზრულა - უნდა წარმოადგენდეს საკმარის საფუძველს საქმის აღსამრავად.

გაყალბება: განზრახი ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს დოპინგ კონტროლის პროცესს მაგრამ არ ექცევა აკრძალული მეთოდების დეფინიციის ქვეშ. ხელის შეშლა გულისხმობს მოსყიდვას რომ განხორციელდეს ან არ განხორციელდეს მოქმედება, ხელი შეეშალოს სინჯის აღებას, მოხდეს სინჯის ანალიზზე ზემოქმედება ან მისი ჩატარების შეუძლებლობა, დოკუმენტების გაყალბება, რომელიც წარედგინება ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, თერაპიული გამოყენების გამონაკლისის კომიტეტს, ან მოსმენის პანელს, ყალბი ჩვენების აღებას მოწმისგან, და ნებისმიერი სხვა თაღლითური ქმედების ჩადენას ანტიდოპინგური ორგანიზაციის ან მოსმენის ორგანოს მიმართ, რათა გავლენა იქონიოს შედეგების მართვაზე ან შედეგების დაწესებაზე, და ნებისმიერი სახის მსგავსი ჩარევა ან ჩარევის მცდელობა დოპინგ კონტროლის ნებისმიერ ასპექტში.¹³¹

¹³⁰ [კომენტარი სინჯზე ან ნიმუშზე: ზოგჯერ იყო მტკიცება იმისა, რომ სპორტსმენისგან სისხლის აღება ეწინააღმდეგება ცალკეული რელიგიური თუ კულტურული ჯგუფების შეხედულებებს. თუმცა, დადგინდა, რომ ამგვარი მტკიცება უსაფუძვლოა.]

¹³¹ [კომენტარი გაყალბებაზე: მაგალითად, ეს მუხლი კრძალავს დოპინგ კონტროლის ფორმის საიდენტიფიკაციო ნომრის შეცვლას ტესტირებისას, ზ სინჯის გატეხვას ზ სინჯის ანალიზის დროს, სინჯის შეცვლას უცხო ნივთიერების დამატებით ან პოტენციური მოწმის ან ჩვენების წარმოდგენი მოწმის დაშინებას ან დაშინების მცდელობას. გაყალბება ასევე ნიშნავს გადაცდომას, რაც განხორციელდა შედეგების მართვის ან მოსმენის პროცესში. იხილეთ მუხლი 9.3.3 თუმცა, ქმედებები, რომლებიც ხორციელდება პირის ლეგიტიმური დაცვის ფარგლებში, არ უნდა ჩაითვალოს გაყალბებად. დოპინგ კონტროლის ოფიციალური წარმომადგენლის ან დოპინგ კონტროლის პროცესში ჩართული

მიზნობრივი ტესტირება: კონკრეტული სპორტსმენების შერჩევა ტესტირებისთვის იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც დადგენილია ტესტირებისა და გამოძიების საერთაშორისო სტანდარტით.

გუნდური სპორტი: სპორტი სადაც მოთამაშეების ცვლილება დაშვებულია შეჯიბრის დროს.

ტექნიკური დოკუმენტი: მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ მიღებული და დროდადრო გამოქვეყნებული ტექნიკური დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სავალდებულო ტექნიკურ მოთხოვნებს კონკრეტულ ანტიდოპინგთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორც ეს დადგენილია საერთაშორისო სტანდარტებით.

ტესტირება: დოპინგ კონტროლის პროცესის ნაწილი, რომელიც მოიცავს ტესტის დისტრიბუციის გეგმას, სინჯის აღებას, სინჯის მართვას და სინჯის ლაბორატორიაში ტრანსპორტირებას.

თერაპიული გამოყენების გამონაკლისი: თერაპიული გამოყენების გამონაკლისი აძლევს სამედიცინო ჩვენების მქონე სპორტსმენს უფლებას, გამოიყენოს აკრძალული ნივთიერება ან აკრძალული მეთოდი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომლებიც დადგენილია მუხლით 4.4 და თერაპიული გამონაკლისის გამოყენების საერთაშორისო სტანდარტით.

ტრეფიკინგი: სპორტსმენის, სპორტსმენის დამხმარე პერსონალის ან ანტიდოპინგური ორგანიზაციის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ნებისმიერი სხვა პირის მიერ ნებისმიერი მესამე მხარისათვის აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის მიყიდვა, მიცემა, ტრანსპორტირება, გაგზავნა, მიტანა ან განაწილება (ფიზიკურად ან ელექტრონულად ან სხვა საშუალებით ან ფლობა ნებისმიერი ამ მიზნით) თუმცა, გასათვალისწინებელია რომ ეს განსაზღვრება არ მოიცავს სამედიცინო პერსონალის კეთილსინდისიერ ქცევას, რაც გულისხმობს აკრძალული ნივთიერების დანიშნულებისამებრ თერაპიული მიზნით ან სხვა გამართლებული მიზნით გამოყენებას. აგრეთვე არ მოიცავს იმ არკადალულ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ქმედებებს, რომელიც არ არის აკრძალული არასასეჯიბრო ტესტირებისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარემოებები მთლიანობაში მიუთითებს, რომ ასეთი აკრძალული ნივთიერების გამოყენება არ იყო გამართლებული და ლეგიტიმურ თერაპიული მიზნით, ან გამიზნული იყო სპორტული შედეგის გასაუმჯობესებლად.

იუნესკოს კონვენცია: სპორტში დოპინგის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო კონვენცია, რომელიც მიღებული იქნა იუნესკოს გენერალურ კონფერენციის 33 სესიაზე 2005 წლის 19 ოქტომბერს და მოიცავს ყველა ცვლილებას, რომელიც შეტანილ იქნა კონვენციაში წევრი სახელმწიფოების და მხარეთა კონფერენციის მიერ.

გამოყენება: ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების ან აკრძალული მეთოდის უტილიზაცია, გამოყენება, მიღება, ინექცია ან ნებისმიერი სხვა სახით მოხმარება.

WADA : მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო:

მზლუდავი ხასიათის შეთანხმება: მუხლების 10.7.1 და 10.8.2 მიზნებისთვის დადებული წერილობითი შეთანხმება ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, სპორტსმენისა და სხვა პირს შორის, რაც უფლებას აძლევს სპორტსმენს ან სხვა პირს მიაწოდოს ინფორმაცია ანტიდოპინგურ ორგანიზაციას განსაზღვრული დროის პერიოდში იმ გაგებით, რომ თუ შეთანხმება ქმედით დახმარებაზე ან საქმის გადაწყვეტაზე არ დასრულდება, ინფორმაცია სპორტსმენისგან ან სხვა პირისგან ამ კონკრეტულ გარემოებებში არ შეიძლება გამოყენებული იყოს ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ სპორტსმენის ან სხვა პირის წინააღმდეგ ნებისმიერი შედეგების მართვის პროცესში კოდექსის მიხედვით, და ინფორმაცია რომელიც მოწოდებულია ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლება სპორტსმენმა ან სხვა პირმა

სხვა პირის მიმართ შეურაცხმყოფელი მოქცევა, რომელიც არ წარმოადგენს გაყალბებას, უნდა დაექვემდებაროს სპორტული ორგანიზაციის დისციპლინურ წესებს.]

გამოიყენოს ანტიდოპინგური ორგანიზაციის წინააღმდეგ ნებისმიერი შედეგების მართვის პროცესში კოდექსის მიხედვით. ამგვარმა შეთანხმებამ არ უნდა შეზღუდოს ანტიდოპინგური ორგანიზაცია, სპორტსმენი ან სხვა პირი რომ გამოიყენოს ინფორმაცია ან მტკიცებულება სხვა წყაროებიდან, გარდა ამ დროის კონკრეტულად განსაზღვრული მონაკვეთში, როგორც ეს დადგენილია ამ შეთანხმებით.

განმარტებები, რომლებიც კონკრეტულად ეხება 24.1-ე მუხლს

დამამძიმებელი ფაქტორები: ეს ტერმინი მოიცავს ისეთ განზრახ ქმედებას, რომელიც გულისხმობს კოდექსის გვერდის ავლას ან კოდექსის ან საერთაშორისო სტანდარტების დაკნინებას ან/და ანტიდოპინგური სისტემის მორყევას. ის ასევე გულისხმობს, შეუსაბამობის დაფარვის მცდელობას ან ნებისმიერ არაკეთილსინდისიერი მცდელობას შეუსაბამობაზე ექვემდებარებული ხელმომწერი მხარის მხრიდან; ხელმომწერი მხარის მიერ გამჟღავნებული უარს ან ხელმომწერი მხარის უუნარობას გაატაროს გონივრული ღონისძიებები იმ შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, რომლის შესახებაც მას ეცნობა მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ, დარღვევის გამეორებას ან ნებისმიერი სხვა ფაქტორს რაც ამძიმებს ხელმომწერი მხარის შეუსაბამობას.

დამტკიცებული მესამე მხრე: ერთი ან მეტი ანტიდოპინგური ორგანიზაცია და/ან დელეგირებული მესამე მხარე, რომლებსაც ირჩევს ან ამტკიცებს მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო, შეუსაბამო სტატუსის მქონე ხელმომწერ მხარესთან კონსულტაციის შემდგომ, რათა მეთვალყურეობა გაუწიოს და აიღოს ხელმომწერი მხარის მიერ განსახორციელებელი ანტიდოპინგური საქმიანო მთლიანად ან ნაწილობრივ. უკიდურეს შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოს არ არსებობისას, მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ თვითონ შეიძლება შეასრულოს ეს ფუნქცია.

კრიტიკული: ვალდებულება, რომელიც ითვლება კრიტიკულად სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში. იხილეთ ხელმომწერ მხარეთა შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტის დანართი ა.

ჯარიმა: ხელმომწერი მხარის მიერ გადახდილი ოდენობა, რომელიც ასახავს შეუსაბამობის/დამამძიმებელი გარემოებების სიმძიმეს, მის ხანგრძლივობას და იმის საჭიროებას, რომ ეს შეუსაბამობა აღარ განმეორდეს მომავალში. თუ საქმე არ ეხება შეუსაბამობას კრიტიკულ ვალდებულებასთან დაკავშირებით, ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს ა) ხელმომწერი მხარის მთლიანი წლიური ბიუჯეტის დანახარჯების 10% და ბ) 100 000 აშშ დოლარს. ჯარიმა, გამოიყენება მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, შესაბამისობაზე მონიტორინგის გასაგრძელებლად ან/და ანტიდოპინგური განათლებისა და კვლევის დასაფინანსებლად.

ზოგადი: ვალდებულება, რომელიც მიჩნეულია მნიშვნელოვნად სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ არ წარმოადგენს კრიტიკულ ან მაღალი პრიორიტეტის მქონე ვალდებულებას. იხილეთ ხელმომწერ მხარეთა კოდექსთან შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტის დანართი ა.

მაღალი პრიორიტეტულობის მქონე: ვალდებულება, რომელიც ჩაითვლება მაღალი პრიორიტეტულობის მქონედ, მაგრამ არა კრიტიკულად სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. იხილეთ ხელმომწერ მხარეთა კოდექსთან შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტის დანართი ა.

შეუსაბამობა: როდესაც ხელმომწერი მხარე არ შეესაბამება კოდექსით და/ან საერთაშორისო სტანდარტებით და/ან მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, მაგრამ ჯერ კიდევ არ ამოწურულა ხელმომწერ მხარეთა კოდექსთან შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებული

შესაძლებლობები, რომ გასწორდეს შეუსაბამობა/შეუსაბამობები, მანამ სანამ მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო არ აღიარებს ამ ხელმომწერ მხარეს, როგორც კოდექსთან შეუსაბამოს.

სტატუსის აღდგენა: ხელმომწერი მხარის კოდექსთან და/ან საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამოდ აღარების შემდგომ, შეუსაბამობის აღმოფხვრა და ყველა სხვა პირობის შესრულება, რომელიც დადგენილია ხელმომწერი მხარის კოდექსთან შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტით. (სტატუსის აღდგენის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს შესაბამისად.)

წარმომადგენლები: ხელმომწერი მხარის ან ექვის ქვეშ მყოფი ორგანოს ოფიციალური პირები, დირექტორები, ოფიცრები, არჩეული წევრები, თანამშრომლები, კომიტეტის წევრები და ასევე (ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის ან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც მოქმედებს როგორც ეროვნული ანტიდოპინგური ორგანო) იმ ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის ან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ქვეყნის სახელმწიფოს წარმომადგენლები.

სპეციალური მონიტორინგი: როდესაც იმ შედეგების გათვალისწინებით, რომელიც დაუწყესდა შეუსაბამობაში მყოფ ხელმომწერ მხარეს, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო იყენებს სპეციალური და მიმდინარე მონიტორინგის სისტემას ხელმომწერი მხარის ყველა ან ზოგიერთ ანტიდოპინგურ საქმიანობაზე რათა უზრუნველყოს რომ ხელმომწერი მხარე ამ საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი დადგენილი წესით.

მეთვალყურეობა: შეუსაბამო ხელმომწერი მხარისთვის დაკისრებული შედეგების ნაწილი გულისხმობს, დამტკიცებული მესამე მხარისთვის ანტიდოპინგური საქმიანობის მეთვალყურეობის გადაცემას მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მითითებით, ხელმომწერი მხარის ხარჯით (მეთვალყურეობის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს შესაბამისად). იმ შემთხვევაში, როდესაც ხელმომწერი მხარე გამოცხადდა შეუსაბამოდ, თუმცა ჯერ არ დასრულებულა მეთვალყურეობის შეთანხმება დამტკიცებულ მესამე მხარესთან, მაშინ ხელმომწერმა მხარემ დამოუკიდებლად არ უნდა განახორციელოს არანაირი ანტიდოპინგური საქმიანობა იმ სფეროებში, რომელზედაც დამტკიცებულ მესამე მხარეს უნდა გაეწია მეთვალყურეობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის შესახებ მიიღებს წინასწარ წერილობით თანხმობას მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსგან.

კონტროლის ქვეშ აღება: ხელმომწერი მხარის შეუსაბამობისთვის დაწესებული შედეგების ნაწილი, სადაც დამტკიცებული მესამე მხარე იღებს კონტროლს ხელმომწერი მხარის ანტიდოპინგური საქმიანობაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მითითებით, ხელმომწერი მხარის ხარჯებით. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელმომწერი მხარე გამოცხადება შეუსაბამოდ და ჯერ არ აქვს დასრულებული კონტროლის ქვეშ აღების შეთანხმება დამტკიცებულ მესამე მხარესთან, ხელმომწერმა მხარემ არ შეიძლება დამოუკიდებლად განახორციელოს ანტიდოპინგური საქმიანობა იმ საკითხებზე, რომელიც გადაცემული ჰქონდა დამტკიცებულ მესამე მხარეს, გარდა მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოსგან წინასწარ წერილობითი თანხმობისა.